

აზერბაიჯანის ისტორია

9

Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,
sözləri Əhməd Cavadındır.

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

იაკუბ მაჰმუდლუ, კაბილ ალიევი
მეჰმან აბდულაევი, ლეილა ჰუსეინოვა
ჰაფიზ ჯაბაროვი

აზერბაიჯანის ისტორია

9

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების
მე-9 კლასისათვის აზერბაიჯანის ისტორიის საგნის
სახელმძღვანელო

გთხოვთ ამ გამოცემასთან დაკავშირებული
თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნოთ
info@eastwest.az და derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე.
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

ŞƏRQ-QƏRB
BAKI 2017

სარჩევი

შესავალი 7

I განყოფილება. აზერბაიჯანი ახალ დროში

თავი I. აზერბაიჯანი XIX საუკუნის 30-50-იან წლებში

1. კოლონიური რეჟიმის შექმნა 8
2. მეურნეობა და მოსახლეობის ცხოვრების წესი 12
3. სახალხო მოძრაობა 16
4. კოლონიალური რეჟიმის განმტკიცება 19

თავი II. აზერბაიჯანი XIX საუკუნის 60-90-იან წლებში

5. ბურჟუაზიული რეფორმები 24
6. სიახლეები სოფლის მეურნეობაში 27
7. ბაქოს მსოფლიოს ნავთობის ცენტრად გადაქცევა 31
8. მრეწველობის სხვა დარგები. ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ვაჭრობა 36
9. ერის ფორმირება 39
10. სახალხო მოძრაობა 43
11. სამხრეთ აზერბაიჯანი ყაჯართა სახელმწიფოს შემადგენლობაში 47
12. განათლება და მეცნიერება XIX საუკუნეში 50
13. ეროვნული პრესისა და თეატრის შექმნა. ლიტერატურა და ხელოვნება 54

თავი III. აზერბაიჯანი XX საუკუნის დასაწყისში

14. მრეწველობის მდგომარეობა 58
15. სოფლის მეურნეობა. ახალი აგრარული კანონები 61
16. განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი 64
17. სომხების მიერ აზერბაიჯანის მოსახლეობის მასობრივი განადგურება. ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა 68
18. ეროვნული პარტიებისა და ორგანიზაციების შექმნა 72
19. აზერბაიჯანი პირველი მსოფლიო ომის წლებში 75
20. აზერბაიჯანი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში 79
21. კულტურა 84

II განყოფილება. აზერბაიჯანი თანამეროვე პერიოდში

თავი IV. აზერბაიჯანი დემოკრატიული რესპუბლიკა

22. თურქულ-მუსლიმანური მოსახლეობის გენოციდები ჩრდილოეთ აზერბაიჯანში 89
23. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა..... 92
24. ღონისძიებები სახელმწიფოებრივი მშენებლობის სფეროში..... 96
25. ბრძოლა სომეხი დამპყრობლების წინააღმდეგ 99
26. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ღონისძიებები..... 103
27. საგარეო პოლიტიკა 106
28. ეროვნული-განმათავისუფლებელი ბრძოლები სამხრეთ აზერბაიჯანში..... 109

თავი V. აზერბაიჯანი 1920-30–იან წლებში

29. საბჭოთა რეჟიმის დამყარება..... 111
30. სახალხო მოძრაობა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ 115
31. ფორმალური დამოუკიდებლობის გაუქმება 118
32. ახალი თავდასხმები აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობაზე..... 121
33. აზერბაიჯანში საბჭოთა მთავრობის ეკონომიკური ღონისძიებები 124
34. იძულებითი კოლექტივიზაცია 126
35. ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება. მასობრივი რეპრესიები 129
36. ღონისძიებები კულტურის სფეროში 132

თავი VI. აზერბაიჯანი მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში

37. აზერბაიჯანის სსრ მეორე მსოფლიო ომის წლებში..... 134
38. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ აზერბაიჯანში..... 137
39. აზერბაიჯანის სსრ ომის შემდგომ ათწლეულში..... 140
40. ეროვნული გამოღვიძების მცდელობები..... 144
41. კულტურის სფეროს წარმატებები 1940-60-იან წლებში 147
42. სოციალურ-ეკონომიკური აღორძინება 1970-80 -იან წლებში 150
43. გარდაქმნის პოლიტიკის კრახი 153
44. ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული უფლებების დაცვისათვის..... 156
45. სამხრეთი აზერბაიჯანი ომის შემდგომ პერიოდში..... 159
46. კულტურის განვითარება 1970-80-იან წლებში..... 161

თავი VII. აზერბაიჯანის რესპუბლიკა დამოუკიდებლობის პერიოდში (1991- 2000 წლები)

47. სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა 165
48. ხსნის მოძრაობა 169
49. ყარაბაღის ომი 171
50. აზერბაიჯანის რესპუბლიკის გაწევრიანება საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციაში 174
51. სახელმწიფო დამოუკიდებლობის განმტკიცების ღონისძიებები 176

თავი VIII. აზერბაიჯანი ახალი ათასწლეულის დასაწყისში

52. ახალი ეტაპი აზერბაიჯანის რესპუბლიკის განვითარებაში 181
53. საგარეო პოლიტიკა 185
54. დიდი წარმატებები კულტურის განვითარებაში 188
გამოყენებული ლიტერატურა 192

პირობითი ნიშნები



შესავალი

ძვირფასო მოსწავლეებო!

თქვენს წინაშე წარმოდგენილი აზერბაიჯანის ისტორიის სახელმძღვანელო მოგითხრობთ ჩვენს სამშობლოში ახალ და თანამედროვე პერიოდში მომხდარ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებზე. თქვენ ამ სახელმძღვანელოთი მოიპოვებთ შესაძლებლობას შეისწავლოთ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესები: უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, სახალხო მოძრაობები, ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ისტორია, მოპოვებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წარმატებები, ადამიანების ცხოვრების წესის განვითარება. სახელმძღვანელოში სხვადასხვა წყაროებიდან ნაწყვეტებია (ციტატები) მოცემული. ეს ნიმუშები შერჩეული იქნა იმისათვის, რომ შეგექმნათ უფრო სრული წარმოდგენა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში მომხდარ რეალურ მოვლენებსა და პროცესებზე. სხვადასხვა პირველწყაროებიდან აღებული საინტერესო ცნობები, რომლებიც ასახავენ განსხვავებულ დამოკიდებულებას ისტორიული პიროვნებებისა და მოვლენებსადმი, მოგცემენ ისტორიის გაკვეთილებზე შედარებისა და დისკუსიის შესაძლებლობას. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი რუკები, წყაროები, ნახატები, სქემები და ცხრილები გახდებიან თქვენი დამხმარეები ისტორიული სივრცისა და მოვლენების შესახებ ცოდნის გაღრმავებაში.

ინფორმაცია მეფის რუსეთის იმპერიის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ სახალხო მოძრაობის შესახებ, იმ პირობებში, რომლებმაც გამოიწიეს ეროვნული გაღვიძება, გატარებული რეფორმების, კულტურული აღმავლობის, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, სამხრეთ აზერბაიჯანში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის შექმნის, ასევე მიღწეული წარმატებების შესახებ ემსახურება იმ მიზანს, რომ ახლოს გაგაცნოთ ჩვენი სამშობლოს წარსული და აწმყო.

გისურვებთ წარმატებებს ჩვენი ისტორიის შესწავლაში!

ავტორები

განყოფილება I. აზერბაიჯანი ახალ დროში
თავი I. აზერბაიჯანი XIX საუკუნის 30–50–იან წლებში

1. კოლონიალური რეჟიმის შექმნა

თქვენ უკვე იცით განსხვავება კოლონიასა და კოლონიალურ სახელმწიფოს ანუ მეტროპოლიას შორის. როგორ ფორმირდებოდა ურთიერთობა ამ სუბიექტებს შორის? რომელი პრინციპებით ხელმძღვანელობდა კოლონიური სახელმწიფო, კოლონიის მართვის სისტემის შექმნისას? იქნებ, კოლონიას მართავდნენ სტიქიურად, გარკვეული სისტემის გარეშე?



ჩრდილოეთ აზერბაიჯანი XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში

საშხედრო–ოკუპაციური რეჟიმი. 1928 წელს დადებული თურქმენჩაის ხელშეკრულებით ჩვენი სამ-შობლო გაიყო ორ ნაწილად. სახანოები, რომლებიც მანამდე წარმოადგენდნენ ჩვენი ხალხის სუვერენი-ტეტის განსახიერებას, ლიკვიდირებული იქნა და ისინი გადაიქცნენ რუსეთის იმპერიის პროვინციებად.

რუსეთმა, რომელიც მტრულად ეპყრობოდა თურქულ-მუსლიმანურ ხალხებს, ჩრდილოეთ აზერბაიჯანის დაკავებულ (დაპყრობილ) ტერიტორიებზე (მიწებზე) შექმნა მძიმე სამხედრო-ოკუპაციური რეჟიმი. მთელი კავკასია იმართებოდა მეფის მიერ დანიშნული მეფისნაცვალის მიერ. პროვინციები, რომლებიც შექმნილი იყო ყოფილი სახანოების ტერიტორიებზე, იმართებოდა **კომენდანტების** მიერ. კომენდანტები ინიშნებოდნენ მეფისნაცვალის მიერ. ისინი შეირჩეოდნენ რუს ოფიცრებს შორის და ფლობდნენ დიდ უფლებამოსილებებს. ისინი აკონტროლებდნენ შემოსავლის ყველა წყაროს, მეურნეობის დარგებსა და გადასახადების შეკრებას. ისინი ასევე ნიშნავდნენ მაჰალის ნაიბებსა და ქენდხუდებს (სოფლის მამასახლისებს).

კომენდანტები ფლობდნენ ასევე მოსამართლის უფლებებსაც. სარგებლობდნენ რა თავისი მდგომარეობით, ისინი თვითნებობდნენ მართვაში, ამასთან არღვევდნენ რუსეთის იმპერიის კანონებს. ოფიციალურად კომენდანტებს არ ჰქონდათ უფლება გამოეტანათ სასიკვდილო განაჩენი, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლიდათ, იმაში, რომ მოეკლათ მათთვის არახელსაყრელი აზერბაიჯანელები სასამართლოსა და გამოძიების გარეშე.

რაში მდგომარეობს კომენტარებისათვის ასეთი ფართო უფლებამოსილებების მინიჭების მიზეზი? მოახდინეთ საკუთარი აზრის არგუმენტირება. .



რუსეთის მეფის ხელისუფლებამ მიაყენა მძიმე დარტყმა უმაღლესი სასულიერო ფენის (ბეგების, აღაების, უმაღლესი რელიგიური პირების) მიწით სარგებლობის უფლებებსა და პრივილეგიებს, რომლებითაც სარგებლობდნენ ისინი სახანოების პერიოდში. მოხდა მათი ეროვნული და რელიგიური დისკრიმინაცია. ზოგიერთ ადგილობრივ ფეოდალს, უკეთეს შემთხვევაში, შეეძლო ემსახურა რუსი კომენდანტისათვის - დაეკავებინა მაჰალის ნაიბის ან ქენდხუდის თანამდებობა, გადასახადების თავის დროული შეკრების პირობით. ამ პირებს, რომლებიც რუსეთის მთავრობის მიმართ ახდენდნენ ლოიალობის დემონსტრირებას, კომენდანტები გადასცემდნენ სატიტულე მიწებს. ანტირუსულად განწყობილი ბეგებისა და აღაების მიწებს კი კონფისკაციას უკეთებდნენ.

რუსეთის საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც ტარდებოდა მუსლიმანურ პროვინციებში იწვევდა ჩვენი ხალხის გაღატაკებას. ძირითადი როლი მუსლიმანური პროვინციების მოსახლეობის დაუფარავ ძარცვაში ეკუთვნოდა კომენდანტს, მაგრამ სხვა თანამდებობის პირებიც ასევე არ ჩამორჩებოდნენ მას მმართველობაში თვითნებობასა და უკანონობაში. გლეხებისაგან, მეწარმეებისაგან და ვაჭრებისაგან ამოღებული გადასახადების ზომები იყო გაცილებით მაღალი, ვიდრე წინა პერიოდებში. მოსახლეობა თანდათან ღატაკდებოდა.

შეგროვებული გადასახადების მნიშვნელოვან ნაწილს ხარბად მიითვისებდნენ კომენდანტები და მხოლოდ მისი მცირე ნაწილი შედიოდა რუსეთის ხაზინაში. საქმის ასეთმა მდგომარეობამ რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ყურადღება მიიქცია. 1829-1830 წლებში სამხრეთ კავკასიაში შემოწმების ჩატარებისათვის წარგზავნილმა სენატორებმა პ.ი. ქუთაისოვმა და ე.ი. მენჩიკოვმა გამოავლინეს დიდი რაოდენობის უკანონობა და თვითნებობა მუსლიმანური პროვინციების ფინანსურ-საგადასახადო სისტემაში.

იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სახელზე გაგზავნილ რაპორტში ისინი წერდნენ. "მუსლიმანურ პროვინციებში შეუძლებელია წარმოიდგინოთ მმართველობის გაშმაგება და მოსახლეობის ტანჯვა. აქ შელახულია ადამიანური ღირსება, დავიწყებულია ყოველგვარი სამართლიანობა, კანონი კი ქცეულია მხოლოდ ჩაგვრის იარაღად. რეგიონის მუსლიმანი მოსახლეობის მოთმინების ფიალა გადავსებულია და მხოლოდ ბედნიერების წყალობით არ გადმოღვრილა" ჩრდილოეთ აზერბაიჯანში აჯანყების საფრთხის გამო სენატორებმა შესთავაზეს მეფეს სასწრაფოდ მოეხდინა საკომენდანტო მმართველობის ლიკვიდაცია.

გადასახლების პოლიტიკა რუსეთის იმპერიაში. რუსეთის იმპერია ცდილობდა შეექმნა თავისი დასაყრდენი ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ქრისტიანი მოსახლეობის სახით. ამ მიზნით, დაპყრობის შემდეგ, მალე დაიწყო სამხრეთ კავკასიაში და მათ შორის აზერბაიჯანში **გერმანელებ-ის, სომხების, რუსების** და სხვა ქრისტიანი ხალხების წარმომადგენლების ჩასახლება.

XIX საუკუნის დასაწყისში ნაპოლეონ I-ის დამპყრობელური ომისა და ფეოდალური უღლისაგან გერმანიის მოსახლეობა აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში და მისმა ნაწილმა დაიწყო ემიგრირება. 1818 წელს რუსეთის მთავრობამ სამხრეთ კავკასიაში გადმოსახლებული გერმანული ოჯახების ნაწილი განათავსა ელიზავეტპოლის (განჯის) ოკრუგში. დაფუძნდა გერმანული დასახლებები **ელენენდორფი** (ამჯამინდელი გეიგელი) და ანენფელდ (ამჯამინდელი შამქირი). რუსეთის მთავრობა თვლიდა, რომ გერმანელი კოლონისტები (ჩასახლებულები) შეასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს, რეგიონში მიწათმოწმედების ევროპული კულტურის გავრცელებაში. პირველ ხანებში გერმანული კოლონიების შენახვაზე დაიხარჯა აზერბაიჯანში შეგროვილი თანხის ხარჯზე ათასობით რუბლი.

აქ გერმანელი კოლონისტების განთავსების შემდეგ, დასავლეთის რეგიონის ადგილობრივმა აზერბაიჯანელმა მოსახლეობამ, გერმანელების მსგავსად, დაიწყო სარდაფიანი, სხვენიანი, კრამიტდახურული სახლების მშენებლობა. გადმოსახლებულ გერმანელებთან არის დაკავშირებული ასევე ფურგონის ტიპის ოთხთვალას დამზადება, რომელშიც ხდებოდა ცხენის შებმა და გამოიყენებოდა სოფლის მეურნეობაში. ამავდროულად გერმანელმა გადმოსახლებულებმა გადაიღეს ადგილობრივი მოსახლეობიდან ზოგიერთი სასოფლო -სამეურნეო ჩვევა.

წარმატებული იყო თუ არა რუსეთის პოლიტიკა, რომ ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ქრისტიანი მოსახლეობისაგან შეექმნა თავისი საყრდენი? გამოთქვით თქვენი აზრი.

ალექსანდრ გრიბოედოვი

ა. გრიბოედოვი სომხების გადასახლებასთან დაკავშირებით წერდა: "სომხების უმრავლესობა ჩასახლებულია მუსლიმანი მიწათმფლობელების მიწებზე. ზაფხულობით ამის დაშვება შეიძლებოდა პატრონები, მუსლიმანები უპირატესად იმყოფებოდნენ სამოშთაბარეო ცხოვრებაზე და უცხო რწმენის მოსულებთან ურთიერთობის ნაკლები შემთხვევა ჰქონდათ".

წყაროს საფუძველზე განამარტეთ, უსამართლობა აზერბაიჯანელებთან მიმართებაში.

რუსეთის იმპერია, ოსმანური სახელმწიფოსა და ირანის მიმართ შემდგომი აგრესიული გეგმების ცხოვრებაში გატარების მიზნით ეცდებოდა მასიურად განეთავსებინა სამხრეთ კავკასიაში სომხები, განსაკუთრებით - ისტორიულ აზებაიჯანულ მიწებზე. ამიტომ, ყაჯარებთან თურქმენჩაის ხელშეკრილებისა (1828) და ოსმანებთან ადრიანოპოლის ხელშეკრულების (1829) თანახმად, მოხდა ამ

სახელმწიფოების ტერიტორიებზე (მიწებზე) მცხოვრები სომხების მასობრივი წესით გადასახლება აზერბაიჯანის მიწებზე. ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში ჩართული იყვნენ რუსეთის არმიაში მომსახურე სომეხი ოფიცრები. ხელმძღვანელობდა რა, ამ გადასახადების პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებით, რუსეთის არმიის სომხური წარმოშობის პოლკოვნიკი ლაზარევი (ლაზარიანი) ირანის ტერიტორიიდან ჩრდილოეთ აზერბაიჯანში გადასახლებული სომხებისადმი მიმართვაში ამბობდა: “ ... იქ (ესე იგი ჩრდილოეთ აზერბაიჯანში - რედ.) თქვენ შეიძენთ ქრისტიანებით დასახლებულ ახალ სამშობლოს... იჩქარეთ! დრო ფასდაუდებელია... მიუხედავად მცირე დანაკარგებისა მცირე დროში თქვენ მიაღწევთ ყველაფერს, ამასთან - სამუდამოდ”.

რუსეთის იმპერიამ სომხები ძირითადად განათავსა ყოფილი **ყარაბაღის, ირევანისა და ნახჩევანის** სახანოების ტერიტორიებზე და **ბორჩალოში**. მცირე დროის განმავლობაში ამ რეგიონებში გადაასახლეს დაახლოებით 130 ათასი სომეხი. შემდგომში ეს პროცესი გრძელდებოდა. ირევანისა და ნახიჩევანის სახანოებსის ტერიტორიებზე შეიქმნა “სომხეთის ოლქი”. თუმცა ნახჩევანში, ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცე წინააღმდეგობის შედეგად, ვერ განახორციელეს სომეხთა მასობრივი განთავსება.

ცნობილი რუსი მკვლევარი ნ. შავროვი წერდა: “სამხრეთი კავკასიის მოპოვებამდე სომეხ ხალხს აქ არ ჰქონდა მყარი პოზიციები. სომხები ძირითადად ცხოვრობდნენ ირანში და ოსმანთა სახელმწიფოს ტერიტორიებზე. სომხების გადასახლება სამხრეთ კავკასიაში დაიწყო ირანთან და ოსმანებთან 1828–1829 წლების ომის შემდეგ. 1828 წლიდან 1830 წლამდე ჩვენ გადავასახლეთ 40 ათასზე მეტი ირანული და 84 ათასი თურქეთის სომეხი და განვათავსეთ ისინი ელიზავეტპოლისა და ირევანის გუბერნიების საუკეთესო სახელმწიფო მიწებზე ტფილისის, ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მხარეებში”.

1911 წელს სამხრეთ კავკასიაში სომხების ჩამოსახლების პროცესისა და ჩამოსახლებულ სომეხთა რაოდენობის შესახებ შესწავლის შემდეგ ნ. შავროვი წერდა: “ამჟამად სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები 1 მლნ 300 ათასი სომეხიდან 1 მლნ-ზე მეტი არაა მხარის მკვიდრი მოსახლე. ისინი აქ ჩვენ ჩამოვასახლეთ”.

M *გაანალიზეთ სომხებთან მიმართებაში ნ. შავროვის მიერ მოყვანილი ფაქტები.*

ყველაზე დიდი უსამართლობა იყო სომხებისათვის მეურნეობის შექმნის მიზნით, აზერბაიჯანელებისათვის კუთვნილი სავარგულების, ნაყოფიერი მიწების გადაცემა. რუსეთის მეფის მთავრობა მფარველობდა სომეხთა გადასახლებას, ყველაზე მაღალ დონეზე. ისინი ექვსი წლით განთავისუფლებულნი იყვნენ ყოველგვარი გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან. უფრო მეტიც, ირანისაგან მიღებული კონტრიბუციის ნაწილი გამოიყო დამატებითი საშუალებების სახით. მიუხედავად სომხების მასობრივი ჩამოსახლებისა, რუსეთის მთავრობა დიდი ხნის მანძილზე ვერ აღწევდა შეეცვალა ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. ირევანის სახანოს დამპყრობი რუსი გენერალი პასკევიჩი აღიარებდა, რომ აქ სომხების ჩამოსახლებისა და განთავსების შემდეგაც კი, აზერბაიჯანელი თურქები მაინც შეადგენენ ირევანის მოსახლეობის სამ მეოთხედს.

რა იყო ჩრდილოეთ აზერბაიჯანში სომხების მასობრივი განთავსების შედეგი?

ჩრდილოეთ აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ, აქ ასევე დაიწყო იმპერიის ცენტრალური გუბერნიებიდან რუსი გლეხების გადმოსახლებაც. პირველ ხანებში, სამხრეთ კავკასიაში, როგორც გადასახლების ადგილზე იგზავნებოდნენ სექტანტები, რომლებიც გამოდიოდნენ ოფიციალური მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ. იმპერტორის **1830 წლის 20 ოქტომბრის** ბრძანებულებით მოკლე პერიოდში სექტანტებისა და ერეტიკოსების (მწვალებლების) ასეულობით რუსული ოჯახი განათავსეს შირვანის, ყარაბაღისა და ლენქორანის პროვინციებში. დაარსდა 30-მდე რუსული სოფელი. პირველ ხანებში ჩამოსახლებულთა პროდუქტებით მომარაგება ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე.

რუსი გადასახლებულების განთავსებამ, ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილ ზაფხულისა და ზამთრის საძოვრებზე დიდი ზიანი მიაყენა ტრადიციულ ნახევრადმემთაბარულ მესაქონლეობას. აზერბაიჯანში, რუსეთის ხელისუფლების მიერ შექმნილმა კოლონიურმა რეჟიმმა, იძულებითი გადასახლების პოლიტიკამ და მოსახლეობის ძარცვამ, გარკვეული დროის შემდეგ გამოიწვია ანტიკოლონიური აჯანყებები.

კითხვები და დავალებები:

1. *გაანალიზეთ ცვლილებები ჩრდილოეთ აზებაიჯანის მართვის სისტემაში.*
2. *რაში მდგომარეობდა ადგილობრივი მოსახლეობის დისკრიმინაციის ძირითადი მიზეზი?*
3. *რა მიზეზით სურდათ სენატორებს საკომენდატო მმართველობის გაუქმება?*
4. *განმარტეთ რუსეთის ხელისუფლების გადასახლების პოლიტიკის ზოგადი მიზნები.*
5. *გაანალიზეთ გადასახლების პოლიტიკის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალი.*
6. *შეადგინეთ თემის ძირითად მოვლენებთან დაკავშირებული დროის ღერძი.*

2. მეურნეობა და მოსახლეობის ცხოვრების წესი

ჩრდილოეთი აზერბაიჯანი იყო რუსეთის იმპერიისათვის ნედლეულის წყარო და გასაღების ბაზარი. რა იზიდავდა აქ ისეთ დიდ იმპერია, როგორიცაა რუსეთი? რა ცვლილებები მოხდა ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ეკონომიკაში კოლონალური რეჟიმის დროს? რა ცვლილებები მოხდა მოსახლეობის ცხოვრებაში?

ჩრდილოეთი აზრბაიჯანის ეკონომიკური ათვისების გზები. ჩრდილოეთი აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ, რუსეთის წინაშე მდგომი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო, აქ კოლონიალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება. რუსეთის მთავრობას, ეს მდიდარი მხარე, რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობისათვის "ძალიან სასარგებლო კოლონიად" მიაჩნდა. ჩვენს ქვეყანას უნდა შეესრულებინა მზარდი რუსული ფაბრიკებისათვის ნედლეულის წყაროსა და რუსეთის სამრეწველო საქონლის გასაღებისათვის გასაღების ბაზრის როლი. ჩრდილოეთ აზერბაიჯანში რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო აქ ნედლეულის წარმოების გაზრდა და სამთო მრეწველობის დარგის შექმნა. ამასთან ერთად, რუსეთი ეცდებოდა არ დაეშვა აზერბაიჯანში მოსახმარებლად მზა პროდუქციის წარმოება, იმდენად, რამდენადაც კოლონიებში იაფი ნედლეულის შეძენას, შემდგომ ცენტრალური გუბერნიების ფაბრიკებში მისი მზა პროდუქციად გადაქცევას და კოლონიებში ამ პროდუქციის ძვირად გაყიდვას მოჰქონდა რუსეთის მესაკუთრეებისათვის დიდი მოგება.

კოლონიალური ეკონომიკის პოლიტიკის ძირითადი თავისებურებების სქემა:



განმარტეთ კოლონიალური ეკონომიკური პოლიტიკა აბრეშუმის ქსოვილის წარმოების ნიმუშზე.

სოფლის ცხოვრება. XIX საუკუნის შუა ხანებში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მოსახლეობის საერთო რაოდენობამ მიაღწია 1 მილიონ კაცს. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცხოვრობდა სოფელ ადგილებში. გლეხები იყოფოდნენ სახელმწიფო და კერძო მფლობელობაში მყოფებად. ის გლეხები, რომლებიც ცხოვრობდნენ ხაზინის საკუთრებაში მყოფ მიწებზე, იხდიდნენ გადასახადებს სახ-ელმწიფოს ხაზინაში, ხოლო ის გლეხები, რომლებიც ცხოვრობდნენ ბეგებისა და აღაების მიწებზე, უხდიდნენ გადასახადებს როგორც სახელმწიფოს, ასევე მიწის მესაკუთრეს.

სოფლის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა, როგორც წინათ იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. მოსახლეობა სამეურნეო ტრადიციების საფუძველზე ამუშავებდა თავის მიწის ნაკვეთს. მეურნეობაში გამოიყენებოდა ცოცხალ გამწევ ძალაშებმული გუთანი და კავი. მძიმე შრომის შედეგად მიღებული მოსავლის დიდი ნაწილი ჩამოერთმეოდა გლეხებს გადასახადების სახით. მდგომარეობას უარესად ართულებდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიწის სავარგულების ჩამორთმევა და მათი ჩამოსახლებული ქრისტიანებისათვის გადაცემა.

მიუხედავად იმისა, რომ მიწათმოქმედება იყო გავრცელებული ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონში, გარკვეული პროვინციები გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნაყოფიერებით. ყარაბაღისა და შირვანის პროვინციები დაწინაურდნენ ხორბლისა და ქერის წარმოებაში. თუმცა ომის დროს ჭების სახით ტრადიციული სარწყავი სისტემის ნგრევამ მოსახლეობას დიდი ზარალი მიაყენა.

ასევე დიდ სიძნელეებს წააწყდნენ გლეხები, რომლებიც დასაქმებული იყვნენ ნახევრად მომთაბარე მესაქონლეობით, იმიტომ, რომ რუსეთის იმპერიის გადასახლების პოლიტიკის შედეგად ზაფხულისა და ზამთრის საძოვრების დიდი ნაწილი აღმოჩნდა ჩამოსახლებულების-სომხებისა და რუსების ხელში. იმის გამო, რომ შეუძლებელი გახდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის თავისდროულად გადაერეკათ საქონელი ზაფხულის საძოვრებიდან ზამთრის საძოვრებზე და პირიქით, პირუტყვის ნაწილი დაიხოცა, ხოლო გლეხები, რომლებსაც ჩამოერთვათ სახლები და შემოსავლის წყარო, გაღატაკდნენ. რუსეთის მთავრობას, ნახევრად მომთაბარედ მცხოვრები მოსახლეობა მიაჩნდა როგორც „ველური და ცივილიზაციისაგან შორს მდგომი“. ამიტომ ეცდებოდნენ, ისინი იძულებით მიეჩვიათ არამემთაბარული ცხოვრებისათვის და ეს იწვევდა ამ კატეგორიის მოსახლეობის მძიმე შედეგამდე მიყვანას.

იპოვეთ კავშირი ნახევრად მემთაბარულ მესაქონლეობასა და ბუნებრივ პირობებს შორის.

ითვალისწინებდა რა, სასაქონლო წარმოების ზრდას სოფლის მეურნეობაში, მეფის მთავრობამ შეცვალა ნატურალური გადასახადი ფულადი გადასახადით. მძიმე გადასახადებმა გააღატაკეს მოსახლეობის ყველა ფენა და გაართულეს სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობა.

რუსეთის მთავრობამ ჩრდილოეთ აზერბაიჯანის დაუფლების შემდეგ დაიწყო აქ თავისი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. ნუხში (შექი), შუშაში, შემახიში და ჭარ-ბელაქანში გავრცელდა უძველესი ისტორიის მქონე მეაბრეშუმეობა. რუსეთის მთავრობამ აქ დაიწყო აბრეშუმის პარკის წარმოების გაზრდა. რუსეთის საფეიქრო მრეწველობის აბრეშუმის ნედლეულზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის შექიში გაიხსნა **ხანაბადის მანუფაქტურა. 1836 წელს** შექიში შექმნილი

“**მეაბრეშუმეობის გავრცელებისა და კავკასიაში სავაჭრო მიწათმოქმედების საზოგადოება**” გადაიქცა დაქირავებული შრომის გამომყენებელ სამხრეთ კავკასიის ყველაზე დიდ მეაბრეშუმეობის მეურნეობად. უკვე XIX საუკუნის შუა ხანებში რუსეთის ფაბრიკებში აბრეშუმის ნედლეულზე მოთხოვნილების დიდ ნაწილს უზრუნველყოფდა ჩრდილოეთი აზერბაიჯანი. საფეიქრო მრეწველობის განვითარება რუსეთში ზრდიდა მოთხოვნილებას საღებავ ნივთიერებებზე. ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ტექნიკური კულტურა რომელიც მოჰყავდათ იმჟამად აზერბაიჯანში, იყო ენდრო. იგი გამოიყენებოდა ქსოვილების შესაღებად. ჩრდილოეთ აზერბაიჯანიდან რუსეთში გაჰქონდათ დიდი რაოდენობით ენდრო.

გაიხსენეთ. რომელ ქვეყნებში იყიდებოდა აბრეშუმი XIX საუკუნემდე?

ქალაქური ცხოვრება. აზერბაიჯანის ქალაქებში ხდებოდა გამოცოცხლება. ისეთ ქალაქებში, როგორიცაა შამახი **შექი, შუშა, ირევანი, დერბენდი და განჯა**- თითოეულში ცხოვრობდა 10 ათას მცხოვრებზე მეტი. ქალაქის მოსახლეობა ძირითადად შედგებოდა მეწარმეებისა და ვაჭრებისაგან. მეწარმეები კვლავაც მისდევდნენ ტრადიციული მეწარმეობის დარგებს. შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანის ყველა მხარეში გავრცელებული იყო მეწარმეობის ისეთი დარგები, როგორიცაა სპილენძისა და რკინის დამუშავება, მეჭურჭლეობა, მეხალიჩეობა, მქსოველობა, მღებაობა, ხეზე კვეთა, მექუდეობა და სხვა. მეწარმეთა სახელოსნოები ძირითადად მუშაობენ შეკვეთებზე. მძიმე იყო მეწარმეთა ცხოვრება. ისინი იძულებულნი იყვნენ გადაეხადათ მაღალი გადასახადები. ვაჭრები იყვნენ ქალაქის ცენტრში მდებარე მაღაზიების მესაკუთრეები. გლეხები რომლებსაც მოჰქონდათ თავისი პროდუქცია ქალაქში, ყიდდნენ მას ბაზარში. ვაჭრობის განვითარების მიზნით რუსეთმა **1821 წელს** შემოიღო სამხრეთ კავკასიაში შეღავათიანი სავაჭრო ტარიფი. ამ ტარიფის თანახმად, ქვეყანაში შემოტანილი უცხოური საქონლის მხოლოდ 50% ექვემდებარებოდა საბაჟო გადასახადს. ამ ტარიფის მოქმედების პერიოდში სამხრეთ კავკასიაში ვაჭრობა გარკვეულად გამოცოცხლდა. მაგრამ, იმ მიზეზის გამო, რომ დასავლეთ ევროპის მაღალხარისხიანი ფაბრიკული საფეიქრო პროდუქცია სამხრეთ

სარდარის მეჩეთი ერევანში. მხატვარი დ. დემონბერე. 1843 წელი.

***XIX** საუკუნის პირველ ნახევარში ქალაქი ირევანი კვლავაც რჩებოდა აზერბაიჯანელი თურქების შშვენიერ ქალაქად. რუსი ავტორი ვ. ჟელიხოვსკაია წერდა: ”ირევანი შესანედაობრივად შთლიანობაში თათრული (აზერბაიჯანული) ქალაქია. თეთრი სახლები, კოშკები, ციხე-სიმაგრეების ნანგრევები, ფერადი შორენკეცით (კაფელი) დაფარული მეჩეთები და შესანიშნავი მინარეთები ჩაფლულია ბაღებში”.*

წყაროს საფუძველზე დაამტკიცეთ, რომ ირევანი იყო აზერბაიჯანული ქალაქი.

კავკასიის ბაზრებიდან დევნიდა დაბალხარისხოვან რუსულ საქონელს, რუსეთის მთავრობამ შეაჩერა შეღავათიანი ტარიფი.

1831 წლიდან გამოიყენებოდა ახალი ტარიფი, რომლის თანახმადაც იკრძალებოდა დასავლეთ ევროპიდან აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით საქონლის მესამე ქვეყანაში (ირანი, ცენტრალური აზია) გატანა.

თქვენი აზრით რატომ აკრძალა რუსეთის მთავრობამ დასავლეთი ევროპიდან საქონლის შემოტანა? მოახდინეთ საკუთარი აზრის არგუმენტირება.

ნავთობის მოპოვება ბალახანში

1836 წელს მოხდა რახდარის - შიგა საბაჟო გადასახადის ლიკვიდაცია. ამ ღონისძიებებმა მოახდინეს დადებითი ზემოქმედება მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარებაზე. ისინი ხელს უწყობდნენ ერთიანი შიგა ბაზარის ფორმირებას.

აზერბაიჯანში სხვადასხვა ფულადი სისტემის, წონისა და სიგრძის საზომის არსებობა უარყოფით გავლენას ახდენდა ვაჭრობაზე. ამის გადალახვისათვის შეიქმნა ერთიანი ფულადი სისტემა, მოხდა სიგრძისა და წონის საზომის უნიფიცირება. სახანოების პერიოდის მონეტები შეიცვალა რუსული ვერცხლის რუბლებით (მანეთებით).

ნავთობმოპოვება და მრეწველობის სხვადასხვა დარგები. XIX საუკუნის 30-50-იან წლებში, ბაქოში ისეთი მიწები სადაც ნავთობის მოპოვება შეიძლებოდა, ბარდებოდა რუსეთს გამოსყიდვაზე. მეწარმე, რომელსაც აღებული ჰქონდა გამოსყიდვაზე ნავთობის ჭა, გარკვეული თანხის რუსეთის ხაზინაში გადადის შემდეგ, თვითონ ახდენდა ნავთობის მოპოვებისა და გაყიდვის ორგანიზებას. ნავთობმოპოვება აბშერონზე ხელით შრომას ეფუძნებოდა. ამ პერიოდში ნავთობის მოპოვებაში გლეხების სავალდებულო შრომა გამოიყენებოდა.



ნავთობით სავსე კასრები გადაჰქონდათ საზიდრებით

ჩრდილოეთ აზერბაიჯანში სხვა ძირითადი წარმოების სფეროები იყო მეთევზეობა და მარილის მოპოვება. მეფის რუსეთის მთავრობამ დაპყრობის დამთავრების შემდგომ პერიოდში მეთევზეობაში მოახდინა გამოსყიდვის სისტემის ლიკვიდაცია. თევზის რეწვის ძირითადი ნაწილი გაერთიანდა და მათ ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო კომპანია „**სალიანის სახაზინო მეურნეობა**„ მეთევზეობაში ფართოდ გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა.

ძირითადი მარილმომპოვებელი სარეწები განთავსებული იყო აბშერონზე და ნახჩევანში. ამ დარგში კვლავ შენარჩუნებული იყო გამოსყიდვის სისტემა.

***XIX** საუკუნის პირველ ნახევარში ნავთობსარეწებზე ბალახანში გამოიყენებოდა გლეხების იძულებითი შრომა. იძულებითი შრომა გამოიყენებოდა არა მხოლოდ ნავთობსარეწების ხაზინის მხრიდან მართვის პერიოდში, არამედ ნავთობსამრეწების გამომსყიდველთა ხელში გადასვლის პერიოდშიც.*

შეადარეთ ბალახანელი გლეხების რაოდენობა, თავისუფალი გლეხებისა და დასავლეთის ქვეყნებში დაქირავებული მუშების რაოდენობასთან.

კითხვები და დავალებები:

1. *განმარტეთ კოლონიალური ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებები.*
2. *გაანალიზეთ ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ვაჭრობის მოწესრიგების ღონისძიებები.*
3. *მოამზადეთ ცხრილი, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მოსახლეობის სოციალური შემადგენლობისა და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.*
4. *როგორ ვლინდებოდა კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში?*
5. *მოიფიქრეთ: რატომ იყენებდა რუსეთის მთავრობა ნავთობის დარგში გამოსყიდვის სისტემას?*

3. სახალხო მოძრაობა

თქვენ გაეცანით რუსეთის იმპერიის ჩრდილოეთ -აზერბაიჯანში გატარებულ პოლიტიკას. თითოეული კომენდანტი, ისახავდა რა მიზნად პირად გამდიდრებას, ჩვენს ხალხს უწევდა მძიმე ექსპუატაციას. ქრისტიანული მოსახლეობის ჩამოსახლებით მოხდა ჩვენი ხალხის რელიგიური დისკრიმინაცია. რით უპასუხა ხალხმა ამ უსამართლობას? მოიტანა თუ არა სასურველი შედეგები. ბრძოლამ რუსეთის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ?

აჯანყების მიზეზები. XIX საუკუნის დასაწყისში, მეფის რუსეთის მიერ ჩრდილოეთ აზერბაიჯანის დაპყრობის დამთავრების შემდეგ, ჩვენმა ხალხმა განაგრძო ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. რუსეთის იმპერიის კოლონიურმა პოლიტიკამ XIX საუკუნის 30-იან წლებში გამოიწვია სახალხო აჯანყებების მთელი ტალღა. ეს აჯანყებები გამოწვეული იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზეზებით.

პოლიტიკური	მართვის კომენდანტური სისტემა, მეფის ჩინოვნიკების თვითნებობა.
ეკონომიკური	გადასახლებისა და ბეგარების ზრდა.
სოციალური	ადგილობრივი მმართველი ფენების პოლიტიკური და მიწაზე უფლებების შეზღუდვა, ეროვნული და რელიგიური დისკრიმინაცია, გადასახლების პოლიტიკა.

ჭარ-ბელექნის აჯანყება. რუსეთის მიერ დაპყრობილი, ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ჭარ-ბელექნის ჯამაათი (ამჟამინდელი ბელექანის, ზაქათალისა და კახის რაიონების ტერიტორია) პირველ ხანებში ინარჩუნებდა შიდა ავტონომიას. ამ პერიოდში ჯამაათს დაუგროვდა დიდი ვალი, იმის გამო, რომ რუსეთის ხაზინაში მოსახლეობა გადასახადებს არ იხდიდა. კავკასიის მეფისნაცვალმა, ვერ მიიღო რა პასუხი დავალიანების დაფარვის მოთხოვნაზე, 1830 წლის **თებერვალში** ჭარში გააგზავნა ჯარი. გაუქმდა ჭარ-ბელექნის ჯამაათის შიგა ავტონომია. მათ მართვისათვის შეიქმნა ''დროებითი სამმართველო" 9 კაცისაგან (3 რუსი ჩინოვნიკი და 6 ჯამაათების მიერ არჩეული წარმომადგენელი). სინამდვილეში ჭარ-ბელექნის ოკრუგი უნდა ემართა ოკრუგის უფროსსა და 2 რუს ჩინოვნიკს, ხოლო ჯამაათების წარმომადგენლებს ჰქონდათ მხოლოდ სათათბირო ხმა.

ხელისუფლების მიერ რუსული არმიის გაგზავნა და ჯამაათებისათვის ყველა უფლების ჩამორთმევა გახდა ჭარ-ბელექნის აჯანყების მიზეზი. **შეიხ-შაბანისა და ჰამზათ-ბეგის** ხელმძღვანელობით აჯანყებულებმა გაანადგურეს რუსული არმია ახალი ზაქათალის ციხე-სიმაგრის

ჭარ–ბელექანის აჯანყების მონაწილეები

შეაგროვეთ ინფორმაცია XIX საუკუნის 30–იან წლებში ჭარ–ბელექნის ოკრუგში მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ.

სიახლოვეს. მთავრობამ რეგიონში მოიყვანა ახალი ჯარი და გამოიყენა მძიმე არტილერია. რუსეთის ხელისუფლებამ, შეიტანა განხეთქილება აჯანყების ხელმძღვანელებს შორის, მათ შეძლეს გაეთიშათ ძალები და ჩაეხშოთ აჯანყება. აჯანყებულებს გამოუტანეს მძიმე სასჯელი. ბევრი სოფელი მთლიანად დაინგრა, აჯანყებულთა ოჯახის წევრები გადაასახლეს მდინარე ალაზანის გასწვრივ დაუსახლებელ მიწებზე.

ლენქორანის აჯანყება. 1826 წელს სახანოს ლიკვიდაციის შემდეგ, კომენდანტმა მოახდინა ხანის ქონების დიდი ნაწილის კონფისკაცია. მირჰასან ხანმა ვერ აიტანა შეურაცხყოფა, დევნა და წავიდა ემიგრაციაში ირანში. ლენქორანის პროვინციაში გატარებულ მკაცრ პოლიტიკას მოწმობს რუსეთის არმიის გადამდგარი პორუჩიკის დობროტვორსკის ჩანაწერი "ასეთ უკანონობას როგორიცაა, რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთებულ ლენქორანის სახანოში, მე არ შევხვედრივარ ამის გარეთ არსად... ძნელი იყო მოსახლეობის საჩივრების მოსმენა პოლკოვნიკ კორნიენკოს მხრიდან მათი შევიწროების შესახებ''. მათ ვინც არ იხდიდა გადასახადს, თითქმის სასიკვდილოდ სცემედნენ, სცემდნენ არა მხოლოდ მამაკაცებს , არამედ ქალებსაც. უმწეო ბავშვები კი ტირილით დარბოდნენ გარშემო... ხალხს ჩამოართვეს ყველაფერი რაც კი გააჩნდათ" (1831 წლის დოკუმენტი).

კოლონიური უღელი გახდა ლენქერანის სახანოს მოსახლეობის შევიწროების, ჩარმორთმევის, დაჩაგვრის მიზეზი. უმაღლესი ფენის წარმომადგენლები ჩამოაცილეს მმართველობას. რუსეთის მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა გამოიწვიეს რელიგიის მსახურთა ავტორიტეტის შემცირება მოსახლეობაში. აქ განსაკუთრებით მძიმე იყო ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა. გადასახადების თანხა, რომელიც ამოიღებოდა მოსახლეობიდან გაიზარდა 2-3-ჯერ. ლენქორანის კომენდანტი იღებდა ქრთამს და არღვევდა კანონებს. მისი ბრძანებით სასამართლოსა და გამოძიების გარეშე ზღვაში ჩაახრჩვეს 20 ადამიანი. მოსახლეობაში იზრდებოდა კოლონიზატორების მიმართ სიძულვილი. მათ ირანში **მირჰასან–ხანს** გაუგზავნეს წერილი მოწოდებით, რომ დაბრუნებულიყო ლენქორანში და სათავეში ჩასდგომოდა ანტირუსულ აჯანყებას. აჯანყება დაიწყო მირჰასან-ხანის დაბრუნების შემდეგ 1831 წელს ლენქორანში. აჯანყებაში გლეხებთან ერთად მონაწილეობდნენ უმაღლესი ფენების წარმომადგენლებიც.

მთავრობამ აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნა რუსული ჯარი შემახიდან, შექიდან და დერბენდიდან. 1831 წლის აპრილის დასწყისში აჯანყება ჩაახშეს. ხანი დაბრუნდა ირანში. აჯანყებულთა ოჯახების ნაწილი იძულებული იყო არაზზე გადაცურვით გადასულიყო ირანში, რათა გადარჩენილიყო რუსეთის ხელისუფლების სასჯელისაგან.

შეიხ შამილი

ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა განთავისუფლებელი მოძრაობის მეთაური შეიხ შამილი კუბის მოსახლეობისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: ''უცხომიწელთა უღლისაგან განთავისუფლებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი გზა–შეიარაღებული წინააღმდეგობა. აღსდექით ჩვენი რწმენისა და ჩვეულების მტრების წინააღმდეგ!

რუსებს იმიტომ არ შეუძლიათ ჩემგან რაიმეს მოთხოვნა, რომ მე ვიბრძვი რა დღე და ღამე დაგამტკიცე ჩვენი ძალის უპირატესობა. ნუ დაუჯერებთ ცრუ დაპირებებსა და დოკუმენტებს, დუმილი თქვენთვის სიკვდილის ტოლფასია!''

წყაროზე დაყრდნობით გაანალიზეთ კავშირი კუბის აჯანყებასა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა გამათავისუფლებელ ბრძოლას შორის.

კუბის აჯანყება. XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში, რუსეთის კოლონიალური უღლის წინააღმდეგ მომხდარ აჯანყებას შორის, ყველაზე ძლიერი იყო კუბის აჯანყება.

კუბის პროვინციის კომენდანტი აჭარბებდა უფლებამოსილებას, მოსახლეობას აკისრებდა ისეთ გადასახადებს, რომელთა გადახდაც შეუძლებელი იყო, ავალებდა არაკანონიერი ბეგარის გადახდას და ისაკუთრებდა თვით ზაქათსაც კი, რომელსაც აგროვებდა ადგილობრივი მოსახლეობა მეჩეთებისა და მედრესების შენახვისათვის. 1837 წლის დასაწყისში აჯანყების დაწყების საბაბი გახდა გავრცელებული ცნობა კუბის პროვინციის მოსახლეობას შორის, ვარშავაში განთავსებულ მუსლიმანურ პოლკში გასაგზავნად მხედრების შერჩევის შესახებ. სხვა პროვინციებისაგან განსხვავებით კუბის პროვინციის მცხოვრებლებს ერთი მხედრის აღჭურვა უჯდებოდათ გაცილებით ძვირი. მოსახლეობამ მოითხოვა ხელისუფლებისაგან მხედრების შერჩევის შეჩერება, კომენდანტისა და მისი ხელქვეითების თანამდებობდან ჩამოცილება და გადასახადების შემცირება. ოკრუგის სამხედრო მეთაურმა პირობა მისცათ ზოგიერთი მოთხოვნილების შესრულებაზე, მაგრამ დაპირება არ შეასრულა.

1837 წლის აგვისტოში კუბაში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება რუსეთის იმპერიის კოლონიალური უღლის წინააღმდეგ. ეს აჯანყება განსხვავდებოდა სხვა აჯანყებებისაგან თავისი მასშტაბითა და მონაწილეთა რაოდენობით. აჯანყების მონაწილეთა რიცხვი აღწევდა 12 ათას კაცს. აჯანყების ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ გლეხები, ამასთან მათ შეუერთდნენ კუბელი ბეგებიც.

აჯანყებას ხელმძღვანელობდა **ჰაჯი მუჰამმედი.** აჯანყების მსვლელობისას შეიქმნა **სამხედრო საბჭო**. მათ მიერ შემუშავებული გეგმის საფუძველზე აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ კუბას. აჯანყებულთა ერთი რაზმი შევიდა კუბაში, მაგრამ აჯანყებულთა ძირითადი ძალის მიერ ქალაქზე შეტევის შენელებამ არ მისცათ საშუალება მთლიანად აეღოთ ქალაქი. მიუხედავად თავდადებული ბრძოლისა, აჯანყებულებმა ვერ მიაღწიეს წარმატებას და იძულებული იყვნენ ქალაქიდან უკან დაეხიათ.

კავკასიის სამხედრო ხელმძღვანელმა კუბაში დამატებითი ძალები გააგზავნა. აჯანყება მკაცრად იქნა ჩახშობილი. ჰაჯი მუჰამმედი ბაქოს სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენით ჩამოახრჩვეს. აჯანყების სხვა აქტიური მონაწილეები გააციმბირეს.

შექის აჯანყება. რუსეთის იმპერიის კოლონიალური რეჟიმის წინააღმდეგ ერთ-ერთი მსხვილი სახალხო გამოსვლა მოხდა შექის პროვინციაში. სახანოების პერიოდში გადასახადებისაგან გათავისუფლებული მაფები კვლავ დაიბეგრნენ გადასახადებით და ბეგარით. ყოველწლიურად იზრდებოდა გადასახადები გლეხებისა და მეწარმეებისაგან. მთავრობის ჩინოვნიკები თვითნებობდნენ, ახორციელებდნენ დისკრიმინაციას ადგილობრივი უმაღლესი ფენებისადმიც. ყოველივე ეს გახდა მიზეზი შექის აჯანყების დაწყებისა.

შექის ყოფილი მართველის სელიმ-ხანის შვილმა ჰაჯი-ხანმა გამოგზავნა ირანიდან შექიში თავისი წამომადგენელი **მეშადი მუჰამმედი**. აჯანყებულებს შეუერთდა დაღესტნის მოსახლეობაც. მეშადი მუჰამმედმა შეაგროვა მომხრეთა 5 ათასიანი არმია და **1838 წელს** გამოვიდა რუსეთის

ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყებულებმა დაამარცხეს რუსეთის სამთავრობო ჯარები შექის მისადგომებთან. შექის ციხე-სიმაგრის გარდა გარშემო მყოფი ტერიტორიები გადავიდა აჯანყებულთა კონტროლის ქვეშ. მიუხედავად ამ წარმატებისა, კავკასიის მთავარმა სამხედრო ხელმძღვანელმა გააგზავნა შექიში დამატებითი ძალები და შეძლო აჯანყების ჩახშობა. მეშადი მუჰამმედი იძულებული იყო დაბრუნებულიყო სამხრეთ აზერბაიჯანში.

XIX საუკუნის 30-წლების აჯანყებების მარცხის ძირითადი მიზეზები იყო მათი ადგილობრივი ხასიათი, აჯანყებულთა იარაღით ცუდი უზრუნველყოფა, აჯანყებულთა და რუსეთის რეგულარული სამთავრობო ჯარების ძალთა უთანასწორობა.

მიუხედავად აჯანყებების მარცხისა, მათ ჰქონდათ დიდი ისტორიული მნიშვნელობა. ხალხის გამათავისუფლებელმა ბრძოლამ კოლონიზატორებს აჩვენა, რომ ჩვენს ხალხს შესწევს უნარი დაიცვას თავისი უფლებები და თავისუფლება. არ შეიძლება ამ ხალხს მოექცე, როგორც მონებს. რუსეთის ხელისუფლებაში გააცნობიერეს, რომ უკვე შეუძლებელია ძველებურად მართო ეს მხარე-ქვეყნის მმარველი და ხალხის შემვიწროვებელი საკომენდანტურო სისტემის დახმარებით.

რა აერთიანებდა აჯანყებაში მონაწილე მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმო-მადგენლებს?

კითხვები და დავალებები:

1. *განსაზღვრეთ XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში აჯანყებების ძირითადი მიზეზები.*
2. *შეადგინეთ აჯანყებების ქრონოლოგიური ცხრილი.*
3. *რა განშასხვავებელი ნიშნები ახასიათებდა კუბის აჯანყებას სხვა აჯანყებებისაგან?*
4. *განმარტეთ კოლონიალური უღლის წინააღმდეგ აჯანყებების დამარცხების მიზეზები.*
5. *შეადგინეთ თემასთან დაკავშირებული ძირითადი მოვლენების დროის ღერძი.*

4. კოლონიალური რეჟიმის განმტკიცება

ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მომხდარი აჯანყებები გახდა რუსეთის ხელისუფლების აფორიაქების მიზეზი. მიუხედავად აჯანყებების ჩახშობისა, რუსეთის ხელისუფლებამ გააცნობიერა მუსლიმანური პროვინციების მართვის სისტემის არაეფექტიანობა.
რა ცვლილებები გატარდა ადმინისტრაციულ მმართველობაში?

ჩვენი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ აიძულა რუსეთის ხელისუფლება მოეხდინა მხარის მართვის რეფორმა. რა თქმა უნდა, ეს რეფორმები არ ისახავდნენ მიზნად აზერბაიჯანელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას. რუსი კოლონიზატორები ეძებდნენ უფრო ეფექტიან მეთოდებს თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნების რეალიზაციისათვის.

ახალი ადმინისტრაციული დაყოფა და მართვის სისტემა. რუსეთის მთავრობამ გადა-წყვიტა მთლიანად შეეცვალა ადმინისტრაციული მართვის სისტემა სამხრეთ კავკასიაში. გატარდა რეფორმები სამხრეთ კავკასიაში მართვის სისტემის საერთოდ რუსეთის მართვის სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

მეფე ნიკოლოზ I

რეფორმების გატარების დაწყების წინ იმპერატორი ნიკოლოზ I წერდა: ''ამიერკავკასიის (სამხრეთი კავკასიის) მხარის კეთილმოწყობისათვის ...არ ჰყოფნის მტკიცე სამოქალაქო მართვა, რომელიც ეფუძნება შიდა გუბერნიების მართვის ზოგად საწყისებს, უნდა შეესაბამებოდეს... კავკასიის მცხოვრებთა ყოფას .''

განიხილეთ ნიკოლოზ I-ის ეს მოსაზრება.

ხანგრძლივი განხილვების შემდეგ იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა **1840 წლის 10 აპრილს** ხელი მოაწერა კანონს სამხრეთ კავკასიაში **ადმინისტრაციულ-სასამართლო რეფორმის** გატარების შესახებ. სამხრეთ კავკასიაში გამოყენებული იქნა მთელ რუსეთში მიღებული ადმინისტრაციული დაყოფა **გუბერნია-მაზრა-უბანი და სასამართლო სისტემა.**

შეესაბამებოდა თუ არა ეს ცვლილებები ჩვენი ხალხის ინტერესებს? ამის გაგებისათვის მოდით განვიხილოთ რეფორმის ძირითადი პუნქტები. რეფორმის შესაბამისად მოხდა მართვის **საკომენდანტო სისტემის ლიკვიდაცია** და სამხრეთ კავკასია ადმინისტრაციული თვალსაზრისით დაიყო 2 ნაწილად: **საქართველო-იმერეთის გუბერნია და კასპის ოლქი.** ახალი კანონით მოხდა "სომხეთის ოლქის" ლიკვიდაცია და მის ადგილა ს შეიქმნა ნახჩევანისა და ირევანის მაზრები.

ახალი ადმინისტრაციული მოწყობის თანახმად მაზრების განაწილება უპირატესად აზერბაიჯანელი მოსახლეობით

მოსახლეობით კასპიის ოლქი ცენტრი ქალაქ შამახიში	საქართველო-იმერეთის გუბერნია ცენტრით ქალაქ თბილისში
შამახის, ყარაბაღის, შექის, ბაქოს, ლენქორანის, კუბის, დერბენდის მაზრები	**ელიზაბეტპოლის (განჯის), ნახჩევანის, ირევანის მაზრები, ჭარ-ბელექანის ოკრუგი**

თქვენი აზრით, მოუტანა თუ არა სარგებელი ჩვენს ხალხს ნახჩევანისა და ირევანის მაზრების შექმნამ?

რუსეთის ხელისუფლებამ უკვე შეწყვიტა ბეგებისა და აღაების ნდობა სახალხო ანტიკოლონიალურ გამოსვლებში მათი აქტიური მონაწილეობის გამო. ამიტომაც, ისინი მთლიანად ჩამოაცილეს მმართველობას. მთავრობამ, მართვის ყველა საფეხურზე, მათ ადგილებზე დანიშნა რუსები ან უკიდურეს შემთხვევაში ქრისტიანი ჩინოვნიკები. ამასთან, ეს ჩინოვნიკები უშუალოდ უნდა დაქვემდებარებოდნენ რუსეთის დედაქალაქში - სანქტ-პეტერბურგში მდებარე სამინისტროებსა და უწყებებს. იქ მსხდომ მეფის მინისტრებსა და ჩინოვნიკებს კი არ ჰქონდათ მცირედი წარმოდგენაც კი კავკასიის მოსახლეობისა და განსაკუთრებით მუსლიმანების ცხოვრების წესზე, ყოფაზე და ტრადიციებზე.

ჩრდილოეთ აზერბაიჯანში შეიმნა რუსული კანონების საფუძველზე მოქმედი სასამართლოები. სასამართლო სხდომები ტარდებოდა რუსულ ენაზე, რუსული კანონების მიხედვით. შარიათის სასამართლო წყვეტდა მხოლოდ ქორწინება-განქორწინებისა და მემკვიდრეობის საკითხებს. სასამართლო საქმეების განხილვამ რუსი მოსამართლეების მიერ, რომლებმაც არ იცოდნენ ადგილობრივი ენა და ჩვეულები, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში.

რუსეთის მთავრობამ, რომელმაც ჩამოაცილა მხარის მართვას უმაღლესი სასულიერო ფენა, არ გაითვალისწინა, რომ ამ ფენის წარმომადგენელთა დახმარების გარეშე, რომლებსაც გააჩნიათ დიდი ავტორიტეტი მოსახლეობაში, შეუძლებელი იქნება ხალხის მორჩილებაში ყოლა. ამიტომაც, 1840 წლის რეფორმა დამთავრდა წარუმატებლად და მთავრობა იძულებული გახდა მალე კვლავ შეეცვალა კავკასიის მართვის სისტემა.

ჩრდილოეთ აზერბაიჯანი 1840–1846 წლებში

გაანალიზეთ ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა რუკასა და ცხრილზე დაყრდნობით.

1844 წელს მეფის ხელისუფლებამ **სამხრეთ კავკასიაში შექმნა სამეფისნაცვლო** სამმართველო. მეფისნაცვალს ძალიან დიდი სამხედრო და სამოქალაქო უფლებამოსილებები ჰქონდა. პირველი მეფისნაცვალი კავკასიაში გახდა გრაფი მ. ვორონცოვი. მეფე იმედოვნებდა, რომ ნაცვალი კავკასიაში მუდმივი დარჩენით უკეთ აღიქვამდა ადგილობრივ პირობებს და ამ თვისებებს მართვისას გაითვალისწინებდა.

გრაფი მ. ვორონცოვის ინიციატივით მეფემ **1846 წლის 14 დეკემბერს** გასცა ახალი განკარგულება. სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში კიდევ ერთი ცვლილება იქნა შეტანილი. გაუქმებულ იქნა საქართველო-იმერეთის გუბერნია და ხაზარის პროვინცია, რომელთა ნაცვლად თბილისის, **ქუთაისის, შამახისა და დარუბანდის გუბერნიები** წარმოიქმნა.

სამხრეთ კავკასიის გუბერნიები

თბილისი	ქუთაისი	შამახი	დარუბანდი	ერევანი	იელიზავეტპოლი
1846 წელს შეიქმნა.	1846 წელს შეიქმნა.	1846 წელს შეიქმნა. 1859 წლიდან ბაქოს გუბერნიად გადაიქცა.	1846 წელს შეიქმნა. 1860 წელს გაუქმდა.	1849 წელს შეიქმნა.	1868 წელს შეიქმნა.

ოსმალეთის იმპერია
კასპიის ზღვა
ყაჯართა სახელმწიფო
ერევანი
ერევანის გუბერნია
ნახჩივანი
ორდუბადი
ელიზავეტპოლის მაზრა
1849
1840
ბორჩალოს მაზრა
1840
ტფილისის მაზრა
ტფილისის გუბერნია
ბიანეთის მაზრა
ელავეთის მაზრა
სიღნაღის მაზრა
1840
ზაქათალა
ნუხა
ნუხას მაზრა
1840
1846
დარუბანდის გუბერნია
დარუბანდი
შაქის გუბერნია
შუშა
შუშას მაზრა
1840
1846
1840
1840
1840
1840
1840
1840
1846
ბაქოს მაზრა
ბაქო
შაქის მაზრა
ლენქორანის მაზრა
ლენქორანი
1840
1840
1840
1840
1840
1840

თავიანთი საკუთრების თაობიდან-თაობაზე გადაცემის, გაყიდვისა და ჩუქების უფლება. რესკრიპტის თანახმად ადრე მოქალაქე, ბატრაკი, მსახური და მთესვარი სახელის მქონე გლეხებს საერთო სახელი - მესაკუთრეს დაქვემდებარებული ეწოდათ.

1846 წლის რესკრიპტით რუსეთის მთავრობამ ჩვენს ქვეყანაში გადადგა პირველი სერიოზული ნაბიჯი სოციალური საყრდენის შექმნის მიზნით.

როგორ გესმით ვამოთქმა სოციალური საყრდენი? განსაზღვრეთ სხვაობა სოციალურ საყრდენსა და ეთნიკურ საყრდენს შორის.

მეფის ხელისუფლებამ **1847 წელს მიიღო "საგლეხო დადგენილებანი"** ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სამფლობელო სოფლებში ბეგსა და გლეხს შორის ურთიერთობების რეგულირების მიზნით. ამ საბუთის მიხედვით, 15 წელს მიღწეული ყოველი მამრობითი სქესის გლეხისათვის უნდა მიეცათ 5 დესიატინი[1] ვარგისი ნაკვეთი. ამის ნაცვლად გლეხს ევალებოდა მემამულესათვის მარცვლეულის მოსავლის მეათედის, აგრეთვე პედისა და ხილ-ბოსტნეულის მოსავლის მესამედის გადახდა საქონლის გადასახადის (მალჯაჰათი) სახით. თუ გლეხი მიწას დაამუშავებდა ბეგის მუშა ცხოველის, თესლისა და ხელსაწყოების გამოყენებით, გადასახადი შეადგენდა მოსავლის მეხუთედს. გლეხები, რომლებიც იყენებდნენ საძოვრებს, მემამულესათვის უნდა გადაეხადათ საბანჯარად წოდებული გადასახადი. გარდა ამისა მემამულის მეურნეობაში გადაუხდელი შრომისათვის ყოველი გლეხის ოჯახიდან თითო პირი უნდა გამოსულიყო, რომელიც ვალდებული იყო შეესრულებინა ხვნა-თესვითი სამუშაოები წელიწადში 18 დღე ყოველგვარი ანაზღაურების მიღების გარეშე.

გაიხსენეთ. როგორი იყო ბეგსა და გლეხს შორის ურთიერთობები? რომელი გადასახადები და ვალდებულებები იყო?

მთელ გლეხობას ერთად წელიწადში ორი დღე ბეგის მეურნეობაში ანვარად (ნადი) წოდებული საერთო სამუშაო უნდა შეესრულებინა. შენარჩუნებული იქნა გლეხების საცხოვრებელი ადგილის შეცვლისა და სხვა სოფლებში გადასვლის უფლება. ახალი წესების მიხედვით ბეგებს მიეცათ ადმინისტრაციული, საპოლიციო და სასამართლო უფლებები გლეხების მიმართ.

ბეგის სასამართლოსა და რუსეთის კანონებით მოქმედი რუსული სასამართლოთაგან, რომელი იყო უფრო ხელსაყრელი აზერბაიჯანელი გლეხისათვის? იფიქრეთ და იმსჯელეთ.

ასე, რომ "საგლეხო დადგენილებამ" უმაღლესი მუსლიმანური ფენასა და გლეხთა შორის დამოკიდებული ურთიერთობების ოფიციალური გაფორმებით მას კანონის სახე მიანიჭა.

კითხვები და დავალებები:

1. *რა იყო მეფის რუსეთის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პოლიტიკის ძირითადი მიზანი?*
2. *იმსჯელეთ 1846 წლის 6 დეკემბრის რესკრიპტზე. მაშ რატომ აირჩია მეფის მთავრობამ თავის სოციალურ საყრდენად ბეგები და ბატონები?*
3. *შეადარეთ აზერბაიჯანში "მესაკუთრის მორჩილად" წოდებული მფლობელი გლეხების მდგომარეობა რუსეთში მცხოვრები ყმა გლეხების მდგომარეობასთან.*
4. *შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი ტექსტის მიხედვით.*
5. *მოამზადეთ "ქალაქი დარუბანდი XIX საუკუნის შუა წლებში" სახელწოდების წარდგინება.*

[1] **დესიატინი**- ნაკვეთის საზომი ერთეული, 1.036 ჰექტარის ტოლია

II თავი. აზერბაიჯანი XIX საუკუნის 60-90-იან წლებში

5. ბურჟუაზიული რეფორმები

როგორც იცით, რუსეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნის 40 - იან წლებში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში გატარებული ღონისძიებები ჯერ კიდევ ფეოდალურ ხასიათს ატარებდა. საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალურმა წესებმა დაიწყო კაპიტალისტური ურთიერთობებისათვის ხელის შეშლა. რა იწვევდა რუსეთის კოლონიურ პერობაში მყოფ ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ახალი რეფორმების გატარებას? რა იყო რუსეთის ინტერესი?

1870 წლის საგლეხო რეფორმა. XIX საუკუნის 40-იან წლებში გატარებული რეფორმები შემდგომ ათწლეულებში ვეღარ ამართლებდა, იმიტომ რომ იმპერიის მასშტაბით ყალიბდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობები. საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების რეგულირების მიზნით საჭირო გახდა ახალი კანონების მიღება. რუსეთის მთავრობა იძულებული იყო გამოეყენებინა ახალი წესები, თავის კოლონიად გადაქცეულ სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური ინტერესების უზრუნველსაყოფად. ცენტრალურ გუბერნიებში შექმნილ ახალ ფაბრიკა - ქარხნებს, მთიან კოლონიურ მიწებზე ნედლეულითა და საწვავით რეგულირების გზით, აგრეთვე ფართო უზრუნველყოფით სამსახური უნდა გაეწია იმპერიის დიდი ინტერესებისათვის.

1861 წელს ცენტრალურ რუსეთში გატარდა საგლეხო რეფორმა და გაუქმდა ბატონყმობა. რუსეთისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანში გლეხები მემამულეებზე მხოლოდ მიწის გამო იყვნენ დამოკიდებულნი. ამიტომაც ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მიწათმფლობელებსა და გლეხებს შორის სოციალური ურთიერთობები არც თუ ისე მწვავე იყო. გარდა ამისა, მთავრობა ჩვენს ქვეყანაში საგლეხო რეფორმის გასატარებლად შესაბამისი პირობების არ არსებობის მომიზეზებით აღნიშნავდა, რომ ჯერ აუცილებელი იყო მოსამზადებელი ღონისძიებების გატარება. ყოველივე ამან მთავრობას შესაძლებლობა მისცა გადაედო რეფორმა, მაგრამ მთავრობა, თუმცა გვიან მაინც იძულებული გახდა მთიანეთში, მათ შორის აზერბაიჯანშიც სახალხო რეფორმა გაეტარებინა. კაპიტალისტური ურთიერთობების განმავითარებელი რუსეთის ცენტრალური გუბერნიებისა და სამხრეთ კავკასიაში მყოფი კოლონიების შესაძლებლობებს უნდა შეევსოთ ერთმანეთი.

რეფორმის გასატარებლად პირველ რიგში საჭირო იყო სახელმწიფოს, მემამულეებისა და გლეხების წილობრივი საზღვრების ზუსტი განსაზღვრა. მეფის მთავრობამ ამ მიზნით XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში შექმნა **სამხრეთ კავკასიის მარზის**[1] **პალატა**. მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა ბეგების კომისიების შექმნა. **ბაქოში, თბილისში, ერევანსა და შუშაში** მოქმედ ამ კომისიებს, ზუსტად უნდა განესაზღვრა უმაღლესი მუსლიმანური ფენის შემადგენლობა.

რუსეთის მთავრობამ **1870 წლის 14 მაისს** დაამტკიცა დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა ჩრდილოეთ აზერბაიჯანში გლეხებთან დაკავშირებული რეფორმის გატარებას. დადგენილება ეხებოდა სამ ძირითად საკითხს:

- გლეხების გათავისუფლება ფეოდალური მორჩილებისაგან;
- წილობრივი ნაკვეთი;
- გადასახადი და ვალდებულებანი;

დადგენილების მიხედვით, ბოლო მოეღო გლეხების დამოკიდებულებას ფეოდალებზე. გლეხის

[1] **მარზი** - სათბურის, ბაღის, ბოსტანისა და სხვ. ნაკვეთის ერთმანეთისაგან გამომყოფი საზღვარი.

საბეგო კომისიების მხრიდან ჩრდილოეთ აზერბაიჯანში 1188 გვარის ოჯახი-მოდგმა ბეგის გვარად იქნა აღიარებული. დაახლოებით იმდენივეს 1048 გვარს უარი ეთქვა ბეგის ტიტულის მიცემაზე. გარდა ამისა დამტკიცებული იქნა შირვანის, ლენქორანისა და ბაქოს სახანოების საგვარეულო უფლებები. მაგრამ აზერბაიჯანის უმაღლეს მუსლიმანურ ფენაში შემავალი ბეგები არ ფლობდნენ რუსი არისტოკრატების უფლებებთან თანაბარ უფლებებს. მათ არ ეძლეოდათ წარმომადგენლობის უფლება ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში.

M *გაანალიზეთ რუსეთის იმპერიის მორიგი დისკრიმინაციული პოლიტიკის ხასიათი.*

სარგებლობაში მყოფი სათესი დანიშნულების ნაკვეთები, აგრეთვე ხილის, თუთისა და ყურძნის ბაღები ჩაითვალა მის წილობრივ მიწად და შენარჩუნებული იქნა გლეხის მუდმივ სარგებლობაში. გლეხს შეეძლო მისი წილობრივი მიწის კერძო საკუთრებად გადაქცევა მისი შესყიდვის გზით, მაგრამ შესასყიდი ვარგისი მიწები თითო გლეხისათვის არ შეიძლებოდა 5 დესიატინზე მეტი ყოფილიყო, ამაზე მეტი მიწის ნაკვეთი მესაკუთრის სასარგებლოდ გამოიყოფოდა, ამავდროულად მიწის მესაკუთრეს ეძლეოდა მთელი ვარგისი მიწის $^1/_3$ ნაწილის თავის განკარგულებაში დატოვების ნებართვა.



გაანალიზეთ აზერბაიჯანელი გლეხის შრომის პირობები XIX საუკუნის მეორე ნახევარში სურათისა და ტექსტის მიხედვით.

შესყიდვისას გლეხს სახელმწიფოს მხრიდან არავითარი დახმარება არ მიუღია. ამის შედეგი იყო, რომ 1870 წლის საგლეხო რეფორმას ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მფლობელი გლეხი მიწის მესაკუთრედ არ გადაუქცევია და დიდი ხნის განმავლობაში ის "დროებითი ვალდებულის" მდგომარეობაში რჩებოდა. გლეხს უნდა გადაეხადა მის სარგებლობაში მყოფი მიწის სამაგიერო- "მალჯაჰათი" მოსავლის მეათედის ოდენობით, ხოლო მოსავლის დანარჩენი ნაწილი რჩებოდა მის თავისუფალ სარგებლობაში. გაუქმდა გადაუხდელი მუშაობა, რომელიც დესიატინის წილობრივი მიწის სამაგიეროდ ფულადი გადახდით ჩანაცვლდა. ამ თვალსაზრისის გამო იყო, რომ რეფორმა ბურჯუაზიულ ხასიათს ატარებდა.

მაგრამ რეფორმის გატარება ნელად მიედინებოდა. ამიტომ მფლობელი გლეხები ვერ გახდნენ თავიანთი წილობრივი მიწების მესაკუთრენი. მიწების ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გადაქცევით და გლეხების დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებით გზა გაეხსნა კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებას ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სოფლებში.

რუსეთის მთავრობის მხრიდან 1872–1876 წლებში 1 დესიატინი მიწის ფასი, მოსავლიანობის მიხედვით, ბაქოს გუბერნიაში 18 რუბლიდან 30 რუბლამდე, ხოლო იელიზავეტპოლის გუბერნიაში კი 25 რუბლიდან 52 რუბლამდე ოდენობით განისაზღვრა. ოფიციალური წრეებიც კი ამ ფასების რეალურ მდგომარეობასთან შეუსაბამობას აღიარებდნენ. ზუსტად ამ მიზნით, ნაცვალმა კავკასიაში უარყო ამ ფასების დამტკიცება. ანგარიშების მიხედვით, ბაქოს გუბერნიაში 1 დესიატინი მიწის ფასი მინსკის გუბერნიასთან შედარებით 25-ჯერ, ჰაშთარხანის გუბერნიასთან შედარებით კი 20- ჯერ ძვირი იყო.

M *გამოთქვით თქვენი აზრი, რუსეთის მთავრობის აზერბაიჯანში მყოფი მიწის შესყიდვის ფასთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ. განმარტეთ ამ პოლიტიკის კოლონიური ხასიათი.*

სასამართლო რეფორმა. სასამართლო რეფორმა ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ვითომცდა მოსახლეობის „საზოგადოებრივი ცნობიერების თვალსაზრისით ჩამორჩენილობის“ მომიზეზებით რამდენადმე გვიან განხორციელდა. **1866 წლის** რეფორმის მიხედვით, გაუქმდა კლასობრივი სასამართლოები და შეიქმნა საერთო სასამართლოები, მოსახლეობის ყველა ფენისათვის. სასამართლო სხდომები ღიად უნდა ჩატარებულიყო. რუსეთისაგან განსხვავებით ჩრდილოეთ აზერბაიჯანში სასამართლოს მოსამართლეები არ აირჩეოდა მოსახლეობის მიერ, არამედ კავკასიაში ნაცვალის მიერ ინიშნებოდა. სასამართლო მოსამართლის თანამდებობაზე, წესისამებრ, რუსი ან სხვა ქრისტიანი ხალხის წარმომადგენელთაგან ინიშნებოდა. სასამართლო საქმის მხოლოდ რუსულ ენაზე წარმოების გამო, სხდომებში თარჯიმანიც მონაწილეობდა. მიუხედავად გარკვეული ნაკლოვანებისა, სასამართლო რეფორმაში მყოფი სიახლეები პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა.

საქალაქო რეფორმა. რუსეთის იმპერიაში საქალაქო რეფორმის გატარების ძირითადი მიზეზი უკავშირდებოდა ქალაქის მოსახლეობის ხვედრით წილში მომატებული მრეწველებისა და ვაჭრების, ქალაქების სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ მოღვაწეობას. **1870 წლის 16 ივნისს** ცენტრალურ რუსეთში მიღებული იქნა დადგენილება ქალაქის თვითმმართველობის ორგანოების ორგანიზაციის შეასახებ. ამ დადგენილების მიხედვით ქალაქის დუმის არჩევნებში მხოლოდ 25 წელს მიღწეულ, ქალაქში მცხოვრებ, გადასახადის გადამხდელ და განსაზღვრული ქონების მფლობელ მამაკაცებს შეეძლოთ მონაწილეობის მიღება.

ეს დადგენილება პირველად **1878 წელს ქალაქ ბაქოში** იქნა გამოყენებული. დადგენილების შესაბამისად შეიქმნა ქალაქ ბაქოს დუმა და დუმის აღმასრულებელი ორგანო - ქალაქის სამმართველო. ქალაქის სამმართველოს უფროსი მხოლოდ რუსი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ უფროსს დუმა ირჩევდა, მას შინაგან საქმეთა სამინისტრო ამტკიცებდა.

ქალაქის დუმის უფლებამოსილებაში შედიოდა: ქალაქის ეკონომიკის მართვა, ადგილობრივი ვაჭრობისა და მრეწველობის დაცვა, ბრძოლა ხანძარის წინააღმდეგ, ჯანდაცვა და სახალხო განათლება. ქალაქ ბაქოს დუმაში ყველა საქმე რუსულ ენაზე წარმოებდა.

მეფის ხელისუფლებამ **1892 წელს** ახალი საქალაქო დადგენილების მიღებით გააფართოა გუბერნატორების ქალაქების თვითმართველობის საქმეებში ჩარევის უფლებები. ამ დადგენილების შესაბამისად, **იელიზავეტპოლში** (განჯაში) სრული მოცულობის ქალაქის თვითმმართველობა, ხოლო **ლენქორანში, შექიში, შამახიში, კუბასა** და სხვა ქალაქებში კი უფლებებშეზღუდული მმართველობა იქნა გამოყენებული.

1878 წელს ბაქოში დუმის არჩევნები ჩატარდა. პირველად დუმაში 72 პირი, შემდგომში კი 75 წევრი იქნა არჩეული. დუმის წევრს მაშინ კლასნი ეწოდებოდა. გარკვეულების თანახმად, აზერბაიჯანელი წარმომადგენლების რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო დუმის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. ქალაქის უფროსი კი, ქრისტიანი მოსახლეობიდან უნდა ყოფილიყო.

M *როგორ ფიქრობთ, რატომ ზღუდავდა რუსეთის მთავრობა აზერბაიჯანელთა რიცხვს დუმაში?*

კითხვები და დავალებები:

1. *რა იყო მეფის რუსეთის საგლეხო რეფორმების გატარების მიზანი?*
2. *შეადარეთ 1870 წლის საგლეხო დადგენილება 1847 წლის დადგენილებასთან.*
3. *გაანალიზეთ, თუ რამდენად ატარებს სასამართლო რეფორმა კოლონიურ ხასიათს.*
4. *განმარტეთ ქალაქის დუმის უფლებამოსილებანი. გამოიკვლიეთ, თუ რომელ თანამედროვე დროის ორგანოებს ეკუთვნის ეს უფლებამოსილებანი.*
5. *შეადგინეთ დროის ისარი თემაში მოცემული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.*

6. სიახლეები სოფლის მეურნეობაში

XIX საუკუნის შუა წლებში ჩრდილოეთი აზერბაიჯანი რჩებოდა რუსეთის იმპერიის ნედლეულისა და გაყიდვის ბაზრად. რა სახის სიახლეებს ჰქონდა ადგილი ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობაში, საუკუნის მეორე ნახევარში? როგორ იმოქმედა მეუნეობის განვითარებაზე რეფორმებმა და ახალმა წესებმა?

მემარცვლეობა და მესაქონლეობა. ამ პერიოდში ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ეკონომიკაში ძირითადი ადგილი სოფლის მეურნეობას ეკავა. აზერბაიჯანში დამუშავებული მიწების დიდ ნაწილზე მარცვლეულის მოსავალი (ხორბალი, შვრია, ბრინჯი და ა.შ.) მოყავდათ. წარმოებული მოსავალი სრულად აკმაყოფილებდა ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნებს მარცვლეულზე. რეგიონში რუსეთის

აზერბაიჯანელი გოლჩომაგი XIX საუკუნის II ნახევარი

გოლჩომაგი სიტყვის ბუკვალური მნიშვნელობაა: "მკლავი ყავარჯინით". ის იყო სოფლის ბურჯუაზია, რომელიც იყენებდა ანაზღაურებად შრომას. ზოგიერთ სამეცნიერო ლიტერატურაში გოლჩომაგი ფერმერად მოიხსენიება.

მრავალრიცხოვანი ჯარის მარცვლეულით უზრუნველყოფა აზერბაიჯანის ხარჯზე ხდებოდა. მარცვლეულის ერთი ნაწილი ბაზარში იყიდებოდა. აზერბაიჯანის მარცვლეულის ძირითადი საცავი იელიზავეტპოლის (განჯის) გუბერნია იყო. ლენქორანისა და შექის მაზრები დახელოვნებული იყვნენ მებრინჯეობის საქმეში. მემარცვლეობის მეურნეობაში გამოიყენებოდა ანაზღაურებადი შრომა.

რეფორმის შემდეგ, როგორც მთელ რუსეთში, ისე ჩრდილოეთ აზერბაიჯანშიც ფენებად დაყოფას ჰქონდა ადგილი. გლეხთა ერთი ნაწილი მდიდრდებოდა და გოლჩომაგად იქცეოდა, მცირე მიწიანი და უმიწო გლეხები კი ანაზღაურებადი შრომით მუშაობდნენ. მდიდარი გლეხები, რომელთაც ჰქონდათ შესყიდული მიწები და გაწონასწორებული ფინანსური მდგომარეობა, უკვე იჯარით იღებდნენ სხვათა მიწებს, მეურნეობაში ამუშავებდნენ ღარიბებს, რომლებსაც ხელფასს უხდიდნენ.

სოფლის მეურნეობის სხვა მნიშვნელოვანი სფერო მესაქონლეობა იყო. მესაქონლეობაში ძირითად ადგილს მეცხვარეობა იკავებდა. რუსეთის შინაგან გუბერნიებსა და სხვა საგარეო ბაზრებზე მატყლის ექსპორტის ყოველწლიურად მომატების გამო, ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა წმინდამატყლიანი ცხვრების შენახვა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის შიგნით მესაქონლეობა სუსტად ვითარდებოდა.



აზერბაიჯანში ნახევრად-მომთაბარე მცხოვრები მოსახლეობის ერთ ნაწილს თარაქამა ეწოდებოდა. მათ შავქუდებსაც უწოდებდნენ. თარაქამები აზერბაიჯანში მტკვარ-არაქსის დაბლობში, მილ-გარაბაღში, მუღანისა და შირვანის ვაკეში ცხოვრობდნენ, ასევე ტომობრივად მთის ფერდობებზე სახლდებოდნენ. ისინი ძირითადად მეცხვარეობით იყვნენ დაკავებულნი, ასევე აწარმოებდნენ მეცხოველეობის პროდუქციას (კარაქი, ყველი, მატყლი და სხვ.) და მას მარცვლეულთან და ხელოვნების პროდუქტებთან ცვლიდნენ. თარაქამები ასევე მისდევდნენ სოფლის მემინდვრეობას. ისინი დაბლობების დარჩენილი ნაწილის მომკის შემდეგ, საშემოდგომო თესვისათვის ემზადებოდნენ. თარაქამებს შორის განვითარებული იყო მეხალიჩეობა და მქსოველობა. ხალხური ცეკვა და მუსიკა თარაქამა მათთანაა დაკავშირებული. თარაქამები ამჟამინდელი აზერბაიჯანის, თურქეთის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტანისა და ირანის ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ. რუსეთის იმპერიის პერიოდში თარაქამებმა დაკარგეს ზაფხულის საძოვრებისა და ზამთრის საძოვრების ერთი ნაწილი. მეფის მთავრობის გადასახლების პოლიტიკის შედეგად მათმა ერთმა ნაწილმა დაკარგა დაბლობებში მყოფი სახლები და მიწები. გადასახლებამ მესაქონლეობას მძიმე დარტყმა მიაყენა. ყოველი სიძნელის მიუხედავად, თარაქამებმა არ შეცვალეს თავიანთი ცხოვრების სტილი და ადათობრივი სამეურნეო ჩვევები. მაგრამ შემდგომში საბჭოთა მთავრობამ თარაქამათა დიდი ნაწილი ცენტრალურ აზიაში გადაასახლა.

M *გაანალიზეთ სახელმწიფოს მხრიდან თარაქამების ცხოვრების წესის შეცვლის მცდელობის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები.*

ტექნიკური მცენარეების მოყვანა. ჩრდილოეთ აზერბაიჯანში XIX საუკუნის 60 - იან წლებში სწრაფად მატულობდა ენდროს წარმოება. აზერბაიჯანის ენდრო თავისი ხარისხით, არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მსოფლიოში დიდად ფასობდა. ენდროს წარმოების ძირითადი ცენტრი გუბას მაზრა იყო. ენდროს მოყვანისთვის გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა. მამაკაცებთან ერთად ქალებიც ანაზღაურებით მუშაობდნენ. სამხრეთ აზერბაიჯანიდან ენდროს პლანტაციებში სამუშაოდ წამოსული თანამემამულეებიც ქირით მუშაობდნენ. მაგრამ 1869 წელს, ხელოვნური საღებავის ალიზარინის აღმოჩენის შემდეგ შეწყვეტილი იქნა ენდროს წარმოება.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში **მებამბეობა** სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ძალიან მომგებიან სფეროდ გადაიქცა. მებამბეობის მეურნეობის უმეტესი ნაწილი ბაქოს, ერევანისა და იელიზავეტპოლის გუბერნიებში იყო შეგროვილი. მეფის ხელისუფლება „კოლონიურ მცენარედ„ ცნობილი ბამბის მოყვანას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. აზერბაიჯანის ბამბის დიდი ნაწილი ცენტრალური რუსეთისა და პოლონეთის საქსოვ ფაბრიკებში იგზავნებოდა, ხოლო მცირე ნაწილი გადამუშავების მიზნით ჩვენს ქვეყანაში რჩებოდა. ბამბის გაყიდვით მიღებული დიდი შემოსავალი დაქირავებული შრომით ფართო სარგებლობის საშუალებას იძლეოდა.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში **მევენახეობაც** სწრაფად ვითარდებოდა, იმიტომ რომ მატულობდა ღვინის ქარხნები. ვენახთა დიდი ნაწილი იმყოფებოდა შამახის, გოიჩაის, შუშასა და იელიზავეტპოლის მაზრებში. მიღებული მოსავლის ერთი ნაწილი სამხრეთ კავკასიისა და რუსეთის შიგა გუბერნიების ბაზრობებზე გაჰქონდათ.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და მომგებიანი სფერო იყო მეაბრეშუმეობა. მეაბრეშუმეობის ძირითად ცენტრს - შექის ამ პერიოდში „კავკასიის ლიონი“ ეწოდებოდა. აზერბაიჯანში მოყვანილი აბრეშუმის პარკის დიდი ნაწილი წილად ამ მაზრას ხვდებოდა. ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ნედლეული აბრეშუმის დიდი ნაწილი რუსეთის საფეიქრო საწარმოებში იგზავნებოდა, ხოლო გარკვეული ნაწილი ექსპორტირდებოდა.

კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილ ახალი აბრეშუმის ჭიის თესლს აზერბაიჯანის აბრეშუმის მეურნეობაში ავრცელებდა. 1887 წელს თბილისში გახსნილი „**კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური**“ მეაბრეშუმეობას ასწავლიდა.

XIX საუკუნის შუა წლებში ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობაში განვითარება დაიწყო ახალმა სფერომ - მეთამბაქოეობამ. თამბაქოს პლანტაციების დიდი ნაწილი ზაქათლის მხარეში, გუბასა და შექის მაზრებში მდებარეობდა. საზღვარგარეთიდან შემოტანილ თამბაქოზე მაღალი ბაჟის დადებამ ბიძგი მისცა ამ სფეროს განვითარებას. პლანტაციებიდან მიღებული თამბაქო ბაქოსა და სხვა ქალაქებში მდებარე თამბაქოს ფაბრიკებში იგზავნებოდა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში სამედიცინო და კვების მრეწველობისათვის გამოყენებადი, დიდად ფასეული ნედლეულის, ძირტკბილას შეგროვება დაიწყო. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეგროვილ ძირტკბილას უცხო კომპანიები ძალიან იაფად ყიდულობდნენ. შემდეგ ეს ძვირფასი ნედლეული დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში იგზავნებოდა.

ამ პერიოდში ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სასოფლო სამეურნეო წარმოება მთლიანად რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს დაქვემდებარებული იყო. განვითარებული სფეროები, პირველ რიგში, რუსული მრეწველობის სანედლეულო მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ იყო მიმართული. ამავდროულად ტექნიკური მცენარეების წარმოების სწრაფმა ზრდამ ხელი შეუწყო ადგილებზე ნედლეულის პირველადი გადამუშავების საწარმოების შექმნასა და განვითარებას.

ძირითადი სიახლეები. 1870 წლის საგლეხო რეფორმის შემდეგ, ჩრდილოეთი აზერბაიჯანის სოფლებში დაიწყო კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება. მიწათმფლობელებს კუთვნილი მიწები თანდათან უფრო მეტად ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გადაიქცა. ფართოდ გავრცელდა მიწის

იჯარისა და ანაზღაურებადი შრომის გამოყენება. სოფლის მეურნეობის ზოგიერთ სფეროებში (ენდრო, მემარცვლეობა, მებამბეობა, მევენახეობა) წარმოება სავაჭროდ თესვის დონეზე ასული იყო. ღრმავდებოდა სპეციალიზაცია, ფართოვდებოდა ტექნიკური მცენარეების დარგვა. განსაკუთრებით ბამბის პლანტაციების ზრდა ჩრდილოეთ აზერბაიჯანში, წყალმომარაგების სისტემის ხელახალ მოწყობას მოითხოვდა. მეფის მთავრობამ მიწების წყლით მომარაგების საქმის მწყობრში ჩაყენების მიზნით, **1890 წელს კავკასიის წყლის ინსპექცია შექმნა**.

განმარტეთ ჩრდილოეთ აზერბაიჯანში წყალმომარაგების სისტემის გამოუსადეგარ მდგომარეობაში ყოფნის მიზეზები.

ამ პერიოდში სოფლის მეურნეობაში ახალი სრულყოფის ხელსაწყოებისა და მანქანების გამოყენება დაიწყო. სხვადასხვა ქალაქებში მოეწყო გაყიდვები და გამოფენები მოსახლეობისათვის ახალი ტექნიკის გაცნობის მიზნით, ტარდებოდა სოფლის მეურნეობის მანქანების გამოცდა. 90-იან წლებში უკვე მრავალი სრულყოფილი გუთანი გამოიყენებოდა. ბაქოს გუბერნიაში საკმაო ოდენობის სამკელი მანქანა არსებობდა, მაგრამ გლეხთა უმეტესობა განაგრძობდა ხის გუთნითა და კავით მიწის დამუშავებას, იმიტომ რომ სრულყოფილი ინსტრუმენტები და მანქანები ძალიან ძვირი ღირდა.

აზერბაიჯანელი გლეხი XIX საუკუნის მეორე ნახევარში



XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო სოფლის მეურნეობაში სრულყოფილი ტექნიკის ფართოდ გამოყენება. ძირითადად ამერიკელი ფერმერების მიერ გამოყენებულ ას ტექნიკა დიდი ინტერესს იწვევდა, როგორც ევროპასა და რუსეთში, ასევე სამხრეთ კავკასიაში. მიწის ხვნის მძიმე გუთნები, სათესი და სათიბი მანქანები, ავრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა ტექნიკა თავდაპირველად მისაბმელი ცხოველების მეშვეობით გამოიყენებოდა. ხოლო XIX საუკუნის ბოლოსკენ ეს ტექნიკა ორთქლმავალი ძრავით მუშაობდა. ეს მანქანები ძალიან ძვირად იყიდებოდა. მას მხოლოდ რუსი მემამულეები და მდიდარი ადგილობრივი ბურჟუაზიის წარმომადგენლები ყიდულობდნენ და იყენებდნენ.

შეიძლება თუ არა სოფლის მეურნეობაში ტექნიკის გამოყენებას კაპიტალისტური განვითარება ეწოდოს? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

ჩრდილოეთი აზერბაიჯანელი გლეხები გადასახადს მოსავლისა და ფულის სახით იხდიდნენ. საკუთრებაში მყოფ სოფელში სასაქონლო და ხილის გადასახდელი შენარჩუნებული იყო. **1887 წელს** ჯარში გაწვევის ასაკს მიღწეულ ახალგაზრდობას **სამხედრო გადასახადი** დაეკისრა. ამის მიზეზიიყო ის, რომ რუსეთის მთავრობა აზერბაიჯანელი ხალხისადმი არსებული უნდობლობის გამო ჩვენს ახაგაზრდებს ჯარში არ იწვევდა.

იყო თუ არა რუსეთის მთავრობა აზერბაიჯანელებისადმი უნდობლობის გამო მართალი? რა იყო თქვენი აზრით ამის მიზეზი? იმსჯელეთ.

ასე, რომ რეფორმის შემდგომ პერიოდში ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სოფლებში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება დაიწყო.

კითხვები და დავალებები:

1. *სოფლის მეურნეობის რომელ სფეროებში ფართოდ გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა?*
2. *რომელი მცენარეები გაჰქონდათ რუსეთში და საზღვარგარეთ? განმარტეთ მიზეზები.*
3. *გაანალიზეთ სოფლის მეურნეობაში მომხდარი სიახლეების კაპიტალისტური ხასიათი.*
4. *იმსჯელეთ XIX საუკუნის მეორე ნახევარში სოფლის მეურნეობის განვითარების მიზეზებსა და შედეგებზე.*
5. *რა იყო მეფის რუსეთის მიერ ჩვენი ახალგაზრდების სამხედრო სამსახურში გაუწვევლობის მიზეზი?*

7. ბაქოს მსოფლიო ნავთობის ცენტრად გადაქცევა

ნავთობი ჩვენი სამშობლოს სტრატეგიული სიმდიდრეა. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობმრეწველობის ისტორია არის საკმაოდ ძველი, მისი სწრაფი განვითარება XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. როგორ განვითარდა ნავთობის მრეწველობა? რომელ სფეროში გახდა ჩვენი სამშობლო პირველი მსოფ-ლიო მასშტაბით? რა შედეგები მოჰყვა ნავთობის მრეწველობის შექმნასა და განვითარებას? როგორ იმოქმედა ყოველივე ამან ბაქოს იერსახეზე?

ძირითადი სიახლეები. XIX საუკუნის შუა წლებში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ნავთობის წარმოების ჯერ კიდევ დაბალი დონე იყო. ნავთობიანი მიწები ნაკრძალად იქნა გამოცხადებული. ნავთობსაბადოებში გლეხის იძულებითი შრომა გამოიყენებოდა.

1848 წელს მსოფლიოში პირველად მექანიკური გათხრის - ბიბიჰეიბათში **ბურღვის მეთოდით** ამოქმედებული იქნა ნავთობის ჭაბურღილი, მაგრამ ნავთობი, თავდაპირველად ხელით ამოთხრილი ჭაბურღილებიდან მოიპოვებოდა. XIX საუკუნის 60-იან წლებში ნავთობზე მოთხოვნის თანდათანობითი ზრდა, ამ სფეროში გარკვეული წინსვლის საფუძველი გახდა. მთავრობის გადაწყვეტილებით **1864 წელს** ბალახანის ნავთობსაბადოებში გაუქმდა გლეხთა სავალდებულო შრომა. ამ ნაბიჯმა ფართო გასაქანი მისცა **ნავთობის წარმოებაში ანაზღაურებადი შრომის** გამოყენებას.

ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე მოთ-ხოვნის ზრდა ნავთობგადამამუშავებელი ქარ-ხნების შექმნის საფუძველი გახდა. XIX საუკუნის 50-იან წლებში აბშერონში პირველი ნავთობ გადამამუშავებელი სამრეწველო დაწესებულება შეიქმნა. რუსმა კაპიტალისტებმა სურახანიში პირველი თეთრი ნავთობის გადამამუშავებელი ქარხანა ააშენეს. აზერბაიჯანელმა მეწარმემ ჯავად მელიქოვმაც ქალაქ ბაქოში თავისი პროექტის მიხედვით თეთრი ნავთობის ქარხანა ააშენა.

ბიბიჰეიბათში ნავთობის ჭაბურღილი

ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევი

ნავთობის მოპოვებაში სავალდებულო სისტემის არსებობა ხელს უშლიდა ახალი ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, ასევე არც დიდი მოცულობის კაპიტალის[1] დაბანდებას ხელს არ უწყობდა. მეორე მხრივ, ცენტრალურ რუსეთში სამრეწველო დაწესებულებების მომატებასთან ერთად, თხევად საწვავზე მათი მოთხოვნის ფართო მაშტაბით მომატებაც სავალდებულო სისტემის გაუქმებას აუცილებელს ხდიდა. **1872 წლის 17 თებერვლის კანონით ნავთობის მრეწველობაში სავალდებულო სისტემა გაუქმდა**. ამის შემდეგ დაიწყო ნავთობის საბადოების კერძო პირებისათვის მიყიდვა აუქციონის[2] წესით. მეფის მთავრობა ნავთობიანი მიწების, უფრო მეტად რუსი მემამულეების ხელში ჩაგდებას ცდილობდა. გადამდგარი უმაღლესი წოდების მქონე სამხედრო და სამოქალაქო რუს მოხელეებს ნავთობიანი მიწის ნაკვეთები საჩუქრად ეძლეოდა. მაგრამ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში აუქციონზე გატანილი ნავთობიანი მიწების ერთი ნაწილი აზერბაიჯანელი მემამულეების ხელში მოხვდა. ნავთობის მრეწველობაში ეროვნულ კაპიტალს **ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევი, მუსა ნაღიევი, შემსი ასადულაევი და მურთუზა მუხთაროვი** წარმოადგენდნენ.

ნავთობის წარმოებაში დიდი კაპიტალდაბანდება სამრეწველო გადატრიალების მიზეზი გახდა. 70-იანი წლებიდან ფართო მაშტაბი მიიღო გათხრებმა, ნავთობის ჭაბურღილების ბურღვისა და დარტყმის მეთოდებით. 1873 წლიდან გათხრის საქმეში ხელითი შრომა ორთქლმავალებმა შეცვალა. ამ ტექნიკური სიახლეების კვალობაზე ნავთობის მოპოვება ფაბრიკა-ქარხნის საფეხურზე ავიდა.



ძმები ნობელების "ზოროასტრ (ზარათუშტრა)" ტანკერი.

უცხოური კაპიტალის დინება. მეფის მთავრობას უძნელდებოდა ნავთობის მრეწველობის განვითარება მხოლოდ რუსი და ადგილობრივი კაპიტალების ხარჯზე. ამიტომაც XIX საუკუნის 70-იანი წლების შემდგომ პერიოდში საშუალება მიეცა ნავთობის მრეწველობაში უცხოური კაპიტალის დინებას. 1879 წელს ბაქოში შვეიცარიული სუბიექტების მხრიდან საფუძველი ჩაეყარა „ძმები ნობელების კომპანიას“. XIX საუკუნის 80-იან წლებში ბაქოს ნავთობის მრეწველობაში ფრანგული კაპიტალის წარმომადგენელმა როტშილდმა, 90-იან წლებში კი ინგლისელმა ბანკირმა ე. კუბბარდმა დიდი კაპიტალი ჩადეს. XIX საუკუნის ბოლოს ბაქოში მრავალი ნავთობკომპანია ეწეოდა საქმიანობას.

XIX საუკუნის შუა წლებში ცენტრალური რუსეთი ნავთობპროდუქტებზე, განსაკუთრებით კი თეთრ ნავთობზე თავის მოთხოვნებს აშშ-ს ხარჯზე უზრუნველყოფდა. ნავთობ პროდუქტების აშშ-საგან შესყიდვა საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. სავალდებულო სისტემის გაუქმების შემდეგ, რუსი და აზერბაიჯანელი მემამულეების, აგრეთვე უცხოური კომპანიების მხრიდან ნავთობის მოპოვებასა და გადამუშავებაში დიდი მოცულობის კაპიტალდაბანდებას ჰქონდა ადგილი. ბაქოსა და აბშერონში ნავთობის მრეწველობის სწრაფი განვითარებით ყველაზე დიდად რუსეთმა ისარგებლა.

---

[1] **კაპიტალი** - ნიშნავს დახარჯულ ფულს, უფრო დიდი მოგების მიზნით.

[2] **აუქციონი** - მყიდველთა კონკურსის საფუძველზე ქონებისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვა, განსაზღვრულ დროსა და ადგილას.

XIX საუკუნეში ნავთობის სფეროში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მოპოვებული "პირველ"ები

1848 წელს მსოფლიოში პირველად ბაქოში მექანიკური გათხრა – ბურღვის მეთოდით ნავთობის ჭაბურღილი მოხმარებაში მიეცა.

1863 წელს ჯავად მელიქოვმა ბაქოში თეთრი ნავთობის ქარხანა ააშენა და მსოფლიოში პირველმა გამოიყენა მაცივარი სისტემა ნავთობის გაწმენდის პროცესში.

1878 წელს ბაქოდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვისათვის, მსოფლიოში პირველად თხევადის გადამზიდველი ტანკერი იქნა გამოყენებული.

1878 წელს ბალახანისა და გარაშაჰარს შორის ევრაზიაში პირველად ნავთობსადენი მილი იქნა გაყვანილი.

1880 წელს რკინიგზით ნავთობის გადაზიდვისას პირველად იქნა გამოყენებული ვაგონ–ცისტერნები.

აზერბაიჯანული ნავთობის დიდი ნაწილი ცენტრალურ რუსეთში იგზავნებოდა. ამ ნავთობის ხარჯზე, 80-იან წლებში რუსეთმა სრულიად შეწყვიტა აშშ- დან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანა.

1878 წელს ბაქოს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რუსეთში დიდი მოცულობით გასატანად მსოფლიოში პირველად ტანკერის ტიპის გემით სარგებლობა დაიწყო. ძმები ნობელების დაკვეთით აშენებული სანავთობო ტანკერმა ბაქოსა და ჰაშთარხანს შორის დაიწყო რეგულარული მოძრაობა. მოპოვებული ნავთობი საბადოებიდან ქარხნებში კუპერებისა და მეურმეების მძიმე სამუშაოს ხარჯზე იზიდებოდა. **1878 წელს** საბადოებიდან მოპოვებული ნავთობის ბაქოში - ქალაქში კონცენტრირებული ნავთობის გამოყოფის ქარხნებში მიტანისათვის ორთქლის ტუმბოებით მომუშავე რუსეთის იმპერიაში **პირველი ნავთობდსადენი მილისა და 1880 წელს პირველი რკინიგზის გაყვანამ** გადაზიდვის ხარჯები მკვეთრად შეამცირა.

***XIX** საუკუნის ბოლოს ბაქოს ნავთობსაბადოებში მომუშავე მუშები დროისა და სამუშაოს მიხედვით ხელფასებს იღებდნენ. უფრო ფართოდ გავრცელებული იყო ხელფასის ყოველთვიური ფორმა.*

იმ პერიოდის ხელფასის სისტემით მხედველობაში მიიღებოდა ავრეთვე ეროვნული კუთვნილება და პროფესიონალიზმი. დაბალი დონის სპეციალიტეტს უფრო მძიმე სამუშაოზე იწვევდნენ, რომლებიც შედარებით ნაკლებ ხელფასს იღებდნენ. ყველაზე ნაკლები ხელფასის მქონე დაბალი დონის სპეციალისტები, განსაკუთრებით სამხრეთი აზერბაიჯანიდან წამოსულები იყვნენ.

აზერბაიჯანში ამ პერიოდში არსებული ხელფასი რუსეთის იმპერიის სხვა მხარეებთან შედარებით უფრო დაბალი იყო.

M *რატომ იღებდნენ ყველაზე დაბალ ხელფასს სამხრეთი აზერბაიჯანიდან ჩამოსული მუშები?*



ბაქო. გარაშაჰარი. XIX საუკუნის ბოლო

ბაქო. აღშაჰარის გეგმა. 2015 წელი

შეადარეთ ერთმანეთს გარაშაჰარის XIX საუკუნის ბოლო დროინდელი და ამჟამინდელი მდგომარეობა.

მონოპოლიზაციის დასაწყისი. XIX საუკუნის 60-90-იან წლებში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ნავთობის მრეწველობა სწრაფად ვითარდებოდა. ნავთობის მოპოვება და გადამუშავება აბშერონში, ბაქოში იყო ცენტრალიზებული. ბაქო არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიოს ყველაზე დიდ ნავთობის სამრეწველო ცენტრად იყო გადაქცეული. აზერბაიჯანულმა ნავთობმა საუკუნის დასასრულს გაუსწრო აშშ-ს და მსოფლიოში პირველ ადგილას გავიდა. ამ პერიოდში მსოფლიოს მაშტაბით წარმოებული მთლიანი ნავთობის ნახევარზე მეტი, ხოლო რუსეთის იმპერიაში მოპოვებული ნავთობის 90 პროცენტზე მეტი ბაქოს წილად მოდიოდა. ნავთობის წარმოების მომატებამ ბიძგი მისცა მრავალრიცხოვანი ახალი ნავთობგადამამუშავებელი დაწესებულებების გახსნას. ბაქოში შეიქმნა მრავალრიცხოვანი ნავთობის გამწმენდი ქარხნების მყოფი რაიონი.

ბაქოში დიდი ნავთობკომპანიების მხრიდან თავიანთი ეკონომიკური ინტერესების ერთობლივი დაცვისა და დიდი მოგების მიღების მიზნით, **ნავთობ მრეწველთა ყრილობის** სახელწოდების სპეციალური ორგანიზაცია იქნა დაარსებული. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელ საბჭოში ყველაზე დიდი ნავთობკომპანიების წარმომადგენლები აირჩეოდა.

1893 წელს ნავთობ მრეწველობის პეტერბურგის შეხვედრაზე, მთავრობის მფარველობის ქვეშ შექმნილი იქნა „**ბაქოს თეთრი ნავთობის ქარხნების მესაკუთრეთა კავშირი**“ სახელწოდების მონოპოლიური კავშირი. ბაქოში მყოფ თეთრი ნავთობის ქარხნების მეპატრონეებიდან თითქმის ყველა შედიოდა ამ კავშირში და გადამუშავებული ნავთობპროდუქტების დიდი ნაწილი ამ მონოპოლიური[1] კავშირის წილად მოდიოდა. მონოპოლიურ კავშირში ძირითადი ადგილის მქონე „ძმები ნობელების „ კომპანიამ, აშშ-ს ნავთობ მაგნატის[2] როკფელერის ნავთობკომპანია „სტანდარტ ოილ“-თან დადო შეთანხმება, მსოფლიოში თეთრი ნავთობის გაყიდვის ბაზრების გაყოფის შესახებ.

XIX საუკუნის 70-90-იან წლებში ნავთობმრეწველობასთან დაკავშირებული მექანიკური წარმოების, გემის შეკეთებისა და ნავიგაციის, აგრეთვე გოგირდმჟავას წარმოების სფეროებმაც მნიშვნელოვნად იმატა. ბაქოში მყოფი მექანიკური ქარხნები ნავთობის მრეწველობას ორთქლის ქვაბით, გამაციებლითა და საბურღი დანადგარებით უზრუნველყოფდა. გოგირდმჟავას ქარხნები კი, გედებეის სპილენძის საბადოებიდან მოპოვებული გოგირდის პირიტის ხარჯზე ნავთობის

[1] **მონოპოლია**– (ინგლისურად monopoly) რაიმე საქონლის წარმოების ან გაყიდვის, ან და მისით სარგებლობის ერთი პირის, დაწესებულების ან სახელმწიფოს განკარგულებაში ყოფნა.

[2] **მაგნატი**– მსხვილი მრეწველობისა და ფინანსების მფლობელს ნიშნავს.

გადამამუშავებელი მრეწველობისათვის ძალიან მნიშვნელოვან გოგირდმჟავას აწარმოებდა. ნავთობის მრეწველობის განვითარების კვალობაზე მოპოვებული დიდი მოგების ერთი ნაწილი, ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სხვა სამრეწველო სფეროებში იქნა დაბანდებული.

მსოფლიო მედიაში ნავთობმაგნატების ორგანიზაციის შესახებ ვრცელი მასალები ქვეყნდებოდა. ჰ.ზ. თაღიევიც გავლენიან მრეწველთა შორისაა.

ბაქოს თეთრი ნავთობ ქარხნების მესაკუთრენი კავშირის მოქმედებისას ბაქოში წარმოებული ნავთობპროდუქტების 98% -ს აწარმოებდნენ. 1897 წელს შინაგანი კონფლიქტების გამო, ეს მონოპოლიური გაერთიანება დაიშალა. ჰ.ზ.თაღიევმა 1897 წელს სხვა სამრეწველო სფეროებში კაპიტალდაბანდების მიზნით თავისი საბადოები გადამამუშავებელი საწარმოებიანად 5 მილიონ რუბლად ინგლისელ კაპიტალისტებს მიყიდა. ამავდროულად ამ საწარმოებს შორის წარმოქმნილ კომპანია "ოლეუმის" 1 მილიონ რუბლად ღირებული აქცია[1] თავისთვის დაიტოვა.

?

კითხვები და დავალებები:

1. *რატომ უშლიდა ხელს საგალდებულო სისტემა ნავთობმრეწველობის განვითარებას? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.*
2. *რა იყო XIX საუკუნის 70-90-იან წლებში ნავთობმრეწველობის სწრაფი განვითარების ძირითადი მიზეზი?*
3. *ჩაიწერეთ და განმარტეთ ტექსტში მოცემული, ნავთობმრეწველობასთან დაკავშირებული სფეროების სახელები.*
4. *შეაგროვეთ ცნობები ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენელთა შესახებ.*
5. *მოამზადეთ წარდგინება თემაზე: "ჩვენი ნავთობი გუშინ და დღეს".*
6. *შეადგინეთ დროის ისარი, თემაში მოცემული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.*

[1] **აქცია** - ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს კომპანიის კაპიტალის გარკვეული წილის, მისი მფლობელის საკუთრებაში ყოფნას.

8. მრეწველობის სხვა დარგები. ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ვაჭრობა

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში გატარებულმა რეფორმებმა ჩრდილოეთ აზერბაიჯანში კაპიტალიზმის განვითარებას ფართო გასაქანი მისცა. რუსეთის მთავრობა იძულებული იყო მხედველობაში მიეღო შექმნილი კაპიტალისტური ურთიერთობები. იმიტომ რომ, მრეწველობა ვითარდებოდა, ასევე მატულობდა სიახლეები სოფლის მეურნეობაში. რა სიახლეებს ჰქონდა ადგილი სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის სფეროებში?

კაპიტალისტურ განვითარებას ადგილი ჰქონდა როგორც ნავთობმრეწველობაში ასევე მრეწ-ველობის სხვა სფეროებში. ჩრდილოეთ აზერბაიჯანში განვითარდა სამთო-მადნეულის მრეწველობა, მსუბუქი და კვების მრეწველობის სფეროები, ასევე სატრანსპორტო, კავშირგაბმულობისა და საბანკო სისტემები. ასე რომ XIX საუკუნის დასასრულს ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიის კოლონიურ-ეკონომიკური პოლიტიკის გავლენის ქვეშ იყო.

სამთო-მადნეულის მრეწველობა. XIX საუკუნის შუა წლებში კაპიტალისტური ურთიერ-თობები თავს იჩენს ასევე მეტალურგიის სფეროში. ადგილობრივ მეწარმეებს გედებეიში ერთი პატარა სპილენძსადნობი ქარხანა ჰქონდათ აშენებული. ეს ქარხანა გერმანული კაპიტალის წარმომადგენელმა „**ძმები სიმენსის**“ კომპანიამ შეისყიდა. კომპანიამ **1865 წელს** გედებეის სპილენძსადნობი ქარხანა გერმანიიდან ჩამოღებული ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვა, რომელიც რუსეთის ყველაზე დიდ სპილენძსადნობ ქარხანად გადააქცია. იმავე წელს, დაშქესანის კობალტის ნედლეულის შემსყიდველმა „ძმები სიმენსმა“, აქვე კობალტის ქარხანა ააშენა.

1883 წელს „ძმები სიმენსის“ მიერ აშენებული **გალაქენდის სპილენძსადნობი-სპილენძსად-ნობი ქარხანა** უფრო დიდ კაპიტალისტურ საწარმოდ ითვლებოდა. „ძმები სიმენსის“ მიერ გაყვანილი ვიწრო ხაზიანი რკინიგზა, ამ ორ ქარხანას ერთმანეთთან და მადანს აკავშირებდა. დალლარის სადგურიდან აღნიშნულ საწარმოებამდე ნავთობის მილსადენიც გაყვანილი იყო. ამ პერიოდში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში თეთრი მეტალურგიის მრეწველობის განვითარება გერმანულ და რუსულ კაპიტალს ეფუძნებოდა.

მსუბუქი და კვების მრეწველობის სფეროები. ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მსუბუქი და საკვები სამრეწველო საწარმოები ადგილობრივი ნედლეულის საფუძველზე ვითარდებოდა. მსუბუ-ქი მრეწველობის ძირითად სფეროებს შორის ერთ-ერთი, აბრეშუმის გადამუშავება იყო. მთელ სამხრეთ კავკასიაში აბრეშუმის გადამამუშავებელი მრეწველობის საწყისი ცენტრი შექი იყო. რუსეთის ქსოვის მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად, ეს სფერო სწრაფად ვითარ-დებოდა. **1861 წელს** მოსკოველმა კაპიტალისტებმა **შექიში აბრეშუმის დიდი ფაბრიკა** გახსნეს. ეს ორთქლის ძრავებით აღჭურვილი ფაბრიკა, ევრო-პაში აბრეშუმის დახვევის ყველაზე დიდი საწარმო იყო. ფაბრიკის მუშათა დიდი ნაწილი ქალთაგან შესდგებოდა. აბრეშუმის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაში აზერბაიჯანელი მეწარმეებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. აზერბაიჯანელი მეწარმის გ. ბაბაევის კუთვნილი ფაბრიკის მიერ წარმოებულ საუკეთესო ხარისხის აბრეშუმს, საერთაშორისო გამოფენებზე არაერთგზის ოქროს მედალი ჰქონდა მოპოვებული.

შექის აბრეშუმის ფაბრიკა

მეგამბეობის განვითარებამ ბიძგი მისცა ბამბის გადამამუშავებელი ქარხნების შექმნას. პირველი ბამბის გადამუშავების ქარხანათაგან ერთ-ერთმა, ნახჩივანში დაიწყო მოქმედება. XIX საუკუნის დასასრულს ბამბის გადამამუშავებელ საწარმოთა უმრავლესობა ბაქოსა და იელიზავეტპოლის გუბერნიაში იყო თავმოყრილი.



ჰ.ზ. თაღიევის საქსოვი ფაბრიკა

აზერბაიჯანის მსხვილ მეწარმეთა-განის ჰ.ზ. თაღიევის მიერ ნავთობ-მრეწველობიდან მიღებული კაპიტალის ერთი ნაწილი მეთევზეობის, ნავი-გაციისა და ქსოვის სფეროებისაკენ იქ-ნა მიმართული. რომელმაც 1897 წელს დააფუძნა „ბოჭკოვანი ნივთიერების გა-დამუშავების კავკასიის სააქციო საზო-გადოება“. რუსეთის მთავრობას არ სურდა აზერბაიჯანში ნედლეულის მზა პროდუქტად გადამქცევი საწარმოს გახსნისათვის გასაქანის მიცემა. ყოვე-ლივე ამით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის კოლონიური ხასიათის დაცვასა და შენარჩუნებას ცდილობდა. ეროვნული მეწარმე ჰ.ზ. თაღიევი კი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მომავალზე ფიქრობდა. მთავრობის წარმომადგენელნი მისი საქსოვი ფაბრიკის გახსნის წინააღმდეგნი იყვნენ. მიუხედავად ამისა, **ჰ.ზ. თაღიევმა 1900 წელს** შეძლო პირველი საქსოვი ფაბრიკა გაეხსნა. ეს ფაბრიკა ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მზა პროდუქციის მწარმოებელი პირველი დიდი საწარმო იყო. ფაბრიკის ამუშავებით ჰ.ზ. თაღიევმა აზერბაიჯანის ეკონომიკის ერთ- ერთ სფეროში რუსეთის მონოპოლიურ პოზიციას ძირი გამოუთხარა.

ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევის საქსოვი ფაბრიკის მშენებლობა აზერბაიჯანში, არამარტო ფასიანი ექსპორტუ-ლი პროდუქტებისა და დიდად მოგებიანი ახალი სამრეწველო სფეროს შექმნას, არამედ ათასობითი უმუშევა-რის სამუშაოთი და უფასო სახლით უზრუნველყოფასაც ნიშნავდა. ფაბრიკა ამუშავებული იყო ბაქოს სოფელ აჰმადლიში. მის შემადგენლობაში მუშებისა და მოსამსახურეთათვის უფასო სახლები, ელექტროსადგურები და ამბულატორიები იყო აშენებული, ხოლო ასაკოვანი მუშებისათვის გახსნილი იყო სკოლა და კურსები. ჰ.ზ. თა-ღიევის ეს ფაბრიკა თავდაპირველად აშენებული იყო ცნობილი არქიტექტორის ი. გოსლავსკის მიერ, როგორც ერთიანი სამეწარმეო-საცხოვრებელი კომპლექსი. ეს იყო ბაქოში სპეციალური გეგმით აშენებული პირველი მუშათა დასახლება.

შეავროვეთ დამატებითი ცნობები ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევის სამეწარმეო მოღვაწეობის შესახებ.

XIX საუკუნის დასასრულს, ბაქოში კვების მრეწველობის დაფქვისა და ბრინჯის გაწმენდის სფეროებში გაჩნდა პირველი კაპიტალისტური საწარმოები. ბაქოსა და იელიზავეტპოლის გუბერნიებში მოქმედებდა თამბაქოს ფაბრიკები. სამხრეთ კავკასიის ყველა თამბაქოს ფაბრიკა თითქმის ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მდებარეობდა.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ეკონომიკის სწრაფი განვითარება ახალი სატრანსპორტო საშუალებების შექმნას მოითხოვდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მთავრობამ დიდი ფინანსური საშუალების ხარჯზე **1883 წელს ააშენა ბაქო–თბილისის რკინიგზა**. ეს გზა ბაქოს, თბილისი-ბათუმის რკინიგზასთან ერთად შავი ზღვის სანაპიროსთან აკავშირებდა. **1900 წელს ამოქმედდა ბილავჯარი–დარუბანდი–პეტროვსკის (მახაჩკალა) რკინიგზა,** ხოლო სამხრეთ კავკასიის რკინიგზა საერთო რუსეთის რკინიგზასთან იქნა შეერთებული. ამ გზებმა ძლიერი ბიძგი მისცა საშინაო და საგარეო ვაჭრობის გაფართოებას.

1883 წელს აშენებული იქნა სადგურის ბინა და დაიწყო მუშაობა მატარებელმა, ბაქოდან თბილისის მიმართულებით. მარშრუტის მიხედვით, საშუალოდ მატარებელი თავდაპირველად ვადიოდა სამ-ოთხ დღეში ერთხელ. ამავე მატარებლით ხდებოდა ბანდეროლის, წერილების, გაზეთებისა და ჟურნალების გადაზიდვა.

XIX საუკუნის ბოლოს, უკვე ყოველდღე ვადიოდა მატარებელი თბილისისა და ბათუმის მიმართულებით. მაშინდელი ბაქოს მოსახლეობა, არც თუ ისე ბევრი იყო, როგორც ახლა, მაგრამ ქალაქი ამ მაჩვენებლით ლიდერობდა კავკასიაში.

იმ დროს ადამიანთა დასვენების დღეებში, მეზობელ ქალაქებში წასვლა ერთ-ერთ ტრადიციად იქცა. საამისოდ ბილეთის ფასიც საკმაოდ იაფი იყო.

M *განიხილეთ რკინიგზის გაყვანის გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე.*

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, აზერბაიჯანული ნავთობის მნიშვნელოვანი ნაწილი კასპიის ზღვაზე ტანკერების საშუალებით იზიდებოდა. ზღვაზე ნავთობის გადამზიდავი გემების უმრავლესობა ორთქლით მუშაობდა. რუსეთის მთლიანი საზღვაო ფლოტის მიერ გადაზიდული ტვირთის თითქმის ნახევარი კასპიის ზღვის ფლოტის წილად მოდიოდა.

ტრანსპორტთან ერთად ვითარდებოდა კავშირგაბმულობაც. XIX საუკუნის საუკუნის 60-იან წლებში გაიხსნა თბილისის ერევანთან, ნახჩივანთან, განჯასა და ბაქოსთან დაკავშირებული სატელეგრაფო ხაზი. შემდეგ კასპიის ზღვით დამთავრდა ბაქო-კრასნოვოდსკის სატელეგრაფო ხაზის გაყვანა. 1886 წელს ქალაქ ბაქოში ამოქმედდა პირველი ცენტრალიზებული სატელეფონო სადგური.

ვაჭრობა და ქალაქები. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ აზერბაიჯანის საშინაო ვაჭრობის ორგანიზების ახალი ფორმები შეიქმნა, რომელთა შორის ერთ-ერთი გამოფენა-გაყიდვა იყო. პირველი გამოფენა-გაყიდვა ბაქოში 1887 წელს იქნა ორგანიზებული. კაპიტალისტური ვაჭრობის ორგანიზების უფრო მაღალ ფორმად ბირჟა[1] ითვლებოდა. სამხრეთ კავკასიაში პირველი ბირჟა XIX საუკუნის ბოლოს ბაქოში იქნა ამოქმედებული. სავაჭრო კაპიტალის კონცენტრაციით ბაქოში თავი იჩინეს, ამ სფეროს პირველმა მონოპოლიებმა.

1897 წლის ცნობით, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მოსახლეობის რიცხვის მიხედვით ყველაზე დიდი ქალაქი ბაქო იყო. რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში ქალაქ ბაქოში მოსახლეობის რიცხვი თითქმის ათჯერ გაიზარდა. მოსახლეობის რიცხვის მიხედვით მეორე დიდი ქალაქი განჯა იყო.

კითხვები და დავალებები:

1. *რა ვზით მიაყენა დარტყმა ჰ.ზ. თაღიევმა კოლონიურ-ეკონომიკურ პოლიტიკას?*
2. *რა ძირითად სიახლეებს ჰქონდა ადგილი ქალაქის ცხოვრებაში?*
3. *განმარტეთ XIX საუკუნეში კავშირგაბმულობის განვითარების მნიშვნელობა.*
4. *შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი ტექსტის მიხედვით.*

[1] **ბირჟა** – საქონლის ნედლეულისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით დაკავებული, დროდადრო მოქმედი სავაჭრო და საბითუმო გაყიდვის ბაზარი.

9. ერის ფორმირება

უკვე XI საუკუნეში კატეგორიულად დამთავრდა აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბების პროცესი. ჩვენი ისტორიული საზღვრები ჩრდილოეთის დიდი კავკასიის მთებიდან სამხრეთით გიზილუზანის მდინარემდე, აღმოსავლეთით კავკასიის ზღვიდან, დასავლეთით გოიჩაის ტბის ჩათვლით, ანადოლუს აღმოსავლეთამდე ტერიტორიებს მოიცავდა. აზერბაიჯანელი ერის ფორმირების პროცესს კი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჰქონდა ადგილი.

ჩვენი ერის ფორმირების თავისებურებანი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა კაპიტალისტურმა ურთიერთობამ. ამ ცვლილებებმა პირობები შეუქმნა აზერბაიჯანელი ერის ჩამოყალიბებას. ერი ზოგადი ისტორიული ადათ-წესების მატარებელი, ენის, ტერიტორიის, კულტურისა და ეკონომიკური ცხოვრების ერთიანობის მქონე ადამიანთა გაერთიანებაა. სუვერენული სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებების პატივისმცემელი საზოგადოების არსებობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერის ჩამოყალიბებაში.

კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ გააფართოვა ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სხვადასხვა მხრეებს შორის ურთიერთობა. შეიქმნა ეკონომიკური ცხოვრების ერთიანობისათვის აუცილებელი პირობები, რომელმაც თავის მხვრივ ბიძგი მისცა დახურული ცხოვრების წესის აღმოფხვრასა და აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნებად გადაქცევას. აზერბაიჯანელი ერის ჩამოყალიბების პროცესი გარკვეულ თავისებურებებს ატარებდა. პირველი, დარღვეული იყო ორად გაყოფილი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. მეორე, დაყოფილი ჩრდილოეთ აზერბაიჯანის მიწებიც შესული იყო გარკვეულ გუბერნიებში. მესამე, ჩრდილოეთ აზერბაიჯანი რუსეთის კოლონია იყო.

ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ერის ფორმირების პროცესი განვითარდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. შეიქმნა ახალი საზოგადოებრივი ჯგუფები - ბურჟუაზიული და მუშათა ფენები. აზერბაიჯანის ეროვნულ ბურჟუაზიას **ჰ.ზ. თაღიევი, შ. ასადულლაევი, მ. ნაღიევი, მ. მუხთა–როვი** და სხვები წარმოადგენდნენ.

მუსა ნაღიევი

მუსა ნაღიევს „მუსლიმანური საქველმოქმედო საზოგადოებისათვის“ ბაქოს ცენტრში უზარმაზარი „ისმაილიას“ შენობა ჰქონდა აღმართული. ამ ბინის მშენებლობა, მისი ახალგაზრდა ასაკში გარდაცვლილი შვილის ხსოვნას ეძღვნებოდა. აქ საჯარო ღონისძიებები და საქველმოქმედო აქციები ტარდებოდა. მას ქალაქში აშენებული ჰქონდა 100-მდე უდიდესი შენობა, მათ შორის დიდი საავადმყოფო (ამჟამინდელი ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფო), აგრეთვე ბაქოში გაყვანილი წყლის მილსადენისათვის შესაბამისი ოდენობის ფული ჰქონდა გადახდილი.

შამსი ასადულლაევი

შამსი ასადულლაევს დაფინანსებული ჰქონდა ბაქოს რეალური სკოლის (ამჟამინდელი სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი) მშენებლობა. მას მფარველობაში მიეღო თბილისის მასწავლებელთა ინსტიტუტი. აქ მას აზერბაიჯანელი სტუდენტებისათვის სტიპენდია ჰქონდა დაწესებული. შ. ასადულლაევის ფინანსების ხარჯზე ქალაქ მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, ბაღჩასარაიში, ასევე ვოლგისპირა ქალაქებში აშენებული იყო რიგი შესანიშნავი შენობებისა.

განიხილეთ ეროვნული ბურჟუაზიის როლი ჩვენი ხალხის განათლებასა და კულტურაში.

გაანალიზეთ ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გავლენა აზერბაიჯანულ-თურქული ერის ჩამოყალიბების პროცესებზე. როგორი გავლენა მოახდინა ამ პროცესზე აზერბაიჯანის დაპყრობამ?

მუშათა საზოგადოებრივი ჯგუფის დიდ ნაწილს აზერბაიჯანელი მუშები შეადგენდნენ. სამხრეთ აზერბაიჯანიდან სამუშაოდ წამოსული ჩვენი თანამემამულეებიც საზოგადოებრივი ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ.

რუსეთი ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ეროვნული და რელიგიური დისკრიმინაციის პოლიტიკას ატარებდა. იმის გამო, რომ ჩვენი მიწები დანაწევრებული იყო, „აზერბაიჯანი" სახელწოდების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცნება რაიმე ოფიციალურ საბუთში არ გამოიყენებოდა. უმაღლესი მუსლიმანური ფენის წარმომადგენლებიც პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულნი იყვნენ. მათ არ უშვებდნენ უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე. სახელმწიფო აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს არ ანდობდა იარაღს და მათ ჯარში არ იწვევდა. სახელმწიფო ორგანოებში ყველა საქმე რუსულ ენაზე წარმოებდა. ტარდებოდა გადასახლებისა და გარუსების პოლიტიკა. ისტორიულად აზერბაიჯანში, არც ერთ რუსს არ უცხოვრია. XIX საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ აზერბაიჯანის მოსახლეობის 10%-ს, ხოლო ქალაქ ბაქოს მოსახლეობის მესამედს რუსები წარმოადგენდნენ. სახანოების დროს ქალაქ ბაქოში სულ 3-5 ჩამოსული სომეხი ოჯახი ცხოვრობდა. XIX საუკუნის ბოლოს ბაქოში სომხებს რიცხვის მიხედვით, აზერბაიჯანელებისა და რუსების შემდეგ მესამე ადგილი ეკავათ. ჩვენი რელიგია და რელიგიური მოღვაწეები პოლიციის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ აყვანილნი. შირვანშაჰების სასახლისა და შექის ხანის სასახლესავით ჩვენს იშვიათ ძეგლებს ცხენის შესანახად და საწყობად იყენებდნენ.

გაიხსენეთ: რა როლს ასრულებს ერთიანი რელიგია ხალხის ჩამოყალიბებაში? რომელ საუკუნეში და რა პროცესით დამთავრდა აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბება?

ოფიციალურ საბუთთაგან ერთ-ერთში ეწერა: "აქ განათლება ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ რუსულად ცოდნის მიმღები თათარი (აზერბაიჯანელი) სრულ არარაობად გადაიქცეს. რუსულ ენაზე წერისას უამრავი შეცდომა დაუშვას, არა მხოლოდ გუბერნატორისაგან, რიგითი კანცელარიის მუშაკისაგანაც კი ეშინოდეს".

წყაროს საფუძველზე განმარტეთ კოლონიური საგანმანათლებლო პოლიტიკის არსი.

მთელი ჩვენი სიმდიდრე უცხო ერების ხელში იყო. აზერბაიჯანის ეროვნული ბურჟუაზია არამარტო რუსული, არამედ უცხოელ მეწარმეებთან მიმართებაშიც დაბალი დონის ითვლებოდა. ჩვენი ისეთი დიდი მრეწველები, როგორებიც იყვნენ ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევი და შამსი ასადულლაევი, ასეთი ეროვნული დისკრიმინაციული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ. რუსეთის აზერბაიჯანში გამოყენებული საგანმანათლებლო სისტემა, ჩვენი ხალხის გარუსებასა და ცარიზმის მიმართ მათი სულიერი ერთგულების განმტკიცებას ემსახურებოდა. იმ პერიოდში მეფის ხელისუფლების წარმომადგენლებს, აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისათვის რუსულ ენაზეც კი ხარისხიანი განათლების მიცემა აღარ სურდათ. მეფის მთავრობა აზერბაიჯანელ თურქებს ოფიციალურ საბუთებში „მუსლიმანი" და „თათარი" სახელებით აღნიშნავდა. ამ გზით მთავრობა ცდილობდა ჩვენთვის ჩვენი ისტორიული სახელი დაევიწყებინა. ჩვენი ხალხის ეროვნულ თვითგამორკვევას ყოველმხვრივ ხელს უშლიდნენ. ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო, რომ შეკითხვაზე „რა არის შენი ეროვნება"? აზერბაიჯანელის პასუხი ხშირად "მუსლიმანი ვარ" იყო.

შეაგროვეთ ცნობები სახელი "აზერბაიჯანის "წარმოშობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ და განიხილეთ ეგი.

ეროვნული გრძნობის გაშოღვიძება. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში რუსი კოლონიური პყრობის წინააღმდეგ დაიწყო ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ეროვნული მოძრაობის პირველი საფეხური **(1875–1904 წლები) ეროვნული გაშოღვიძების პერიოდად** ითვლება. ამ პერიოდში აზერბაიჯანის პატრიოტი განმანათლებელი სწავლულების მოღვაწეობაში, სამ მნიშვნელოვან მიმართულებას წამყვანი ადგილი ეკავა: ხალხის განათლება, ეროვნული გრძნობის გამოღვიძება, ეროვნული ენის განვითარება.

ალი ბეგ ჰუსეინზადე

მირზა ფათალი ახუნდზადეს, ჰასან ბეგ ზერდაბის, ალი ბეგ ჰუსეინზადეს, აჰმად ბეგ აღაევის, ალიმერდან ბეგ თოფჩუბაშოვისა და მაჰამმად აღა შაჰთახთინსკისავით ჩვენმა პატრიოტმა სწავლულებმა ამ პერიოდში დაიწყეს აზერბაიჯანისა და აზერბაიჯანელი ერის იდეის ფართოდ მოწოდება. მ. ფ. ახუნდზადემ პირველად წამოაყენა "ერის" ცნება. მედიასა და საზოგადოებრივ წარმოდგენაში დაიწყო "აზერბაიჯანელი ერის" ცნების გამოყენება.

მაჰამმადაღა შაჰთახთინსკი

1891 წლის 16 ნოემბერს გაზეთ "ქაშქულში" "აზერბაიჯანელი" ხელმოწერით დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში "თქვენ რომელი ეროვნებიდან ხართ"? დაყენებულ შეკითხვაზე პასუხად "თქვენი ერი აზერბაიჯანია" იყო, ამით კი აზერბაიჯანელი ერის ცნება დღის წესრიგში იქნა მოყვანილი. ამის კვალდაკვალ, გამოჩენილმა პუბლიცისტმა მაჰამმადაღა შაჰთახთინსკიმ გაზეთ "კასპიში" გამოქვეყნებულ მის ერთ-ერთ სტატიაში საძრეთ კავკასიის მუსლიმან-თურქ მოსახლეობას აზერბაიჯანელი, ხოლო მის ენას აზერბაიჯანული უწოდა და ამით საკითხს ნათელი მოჰფინა.

M *განმარტეთ განათლებული ადამიანების, ინტელიგენციის როლი ერის თვითგაშორკვევის პროცესში.*

მ.ფ. ახუნდზადე და ჰ. ზერდაბი თავიანთ მოღვაწეობაში ჩვენი ერის ჯერ თურქული, შემდეგ კი მუსლიმანური ვინაობის გაცნობიერებას ცდლობდნენ. მ.ფ. ახუნდზადე დასავლეთ ევროპის ყველაზე პროგრესული იდეების ჩვენს სამშობლოში გავრცელებას ცდილობდა. მან დიდი სამსახური გაუწია ჩვენი ენისა და ეროვნული ლიტერატურის გავრცელებას.

ჰ. ზარდაბიმ რუსეთის იმპერიაში გამოაქვეყნა პირველი თურქულენოვანი გაზეთი "ექინჩი", ამავდროულად დადგმული ჰქონდა სასცენო სანახაობა. ჰ. ზარდაბი ამბობდა: "თუ არ მივიღებთ ევროპის კულტურასა და განათლების სისტემას, დავრჩებით მეზობლების ტყვედ და გავნადგურდებით". მან წამოაყენა საკითხი ევროპული კულტურისა და განათლების სისტემის დედა ენაზე ათვისების შესახებ. ტყვეობის რეჟიმის წინააღმდეგ გამოსულმა ამ დიდმა მოაზროვნემ XIX საუკუნის აზერბაიჯანის საზოგადოებრივ აზრს თავისუფლების იდეა მოუტანა. ჰ. ზარდაბიმ ასევე უჩვენა გზები, თუ როგორც ხალხი, კოლონიურ პირობებში როგორ შევძლებდით დაგვეცვა ჩვენი ეროვნული არსებობა. ჰასან ბეგი წერდა, რომ ეროვნული პროგრესის მსურველმა ყველა ხალხმა ორი რამ მტკიცედ უნდა შეინახოს. ამათგან ერთი არის ენა, რომელიც ერის საყრდენს წარმოადგენს,

ხოლო მეორე კი რელიგიაა. ასე თუ ამათგან ერთი დაიკარგა, ხალხს „წელი გაუწყდება“. ხოლო მეორეც თუ დაიკარგება, ხალხი არახალხებს შეერევა და სწრაფად გაქრება.

ჩვენი ერი კოლონიურ პირობებში, ასე ყველა საშუალებით ცდილობდა თავისი თურქული ვინაობის, ენისა და სარწმუნოების შენარჩუნებას.

განმარტეთ თავისუფლების იდეის გავლენა XIX საუკუნის აზერბაიჯანის საზოგადოებრივ აზრებზე.

ჯალილ მამმადგულუზადე

აზერბაიჯანელობის იდეის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის განათლებულ შემოქმედთაგანს ჯალილ მამმადგულუზადეს. მის მიერ გამოქვეყნებული ჟურნალი "მოლლა ნასრედდინის" აზერბაიჯანელობის იდეის ელვარე მქადაგებელი იყო.

ჯალილ მამმადგულუზადემ, "აზერბაიჯანი" სახელწოდების სტატიაში "ჩემი ენა რომელი ენაა?" და "სად არის აზერბაიჯანი?" კითხვებზე პასუხის გაცემით, აზერბაიჯანის ცნება ადგილის განმარტებიდან ეროვნული იდეის დონეზე აიყვანა.

M *განიხილეთ აზერბაიჯანელობის იდეის როლი ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში.*

ჰასან ბეგ ზერდაბი თავის ოჯახთან

აზერბაიჯანში პირველი ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება დაარსებული იქნა 1908 წელს. ამ ქალთა საზოგადოების დაარსების ინიციატორი, გამოჩენილი აზერბაიჯანელი საზოგადოებრივი მოღვაწე ჰასან ბეგ ზერდაბის მეუღლე ჰანიფა მალიქოვა იყო. კეთილშობილ ოჯახში გაზრდილი ქალბატონი ჰანიფა, რომელსაც ცხოვრებაში არავითარი სირთულეები არ გადახდომია, ხალხის განათლების პროცესში დიდი მოთმინებით, თავის ბინაში ბავშვებს გაკვეთილებს უტარებდა, რუსულიდან ზღაპრებს თარგმნიდა და მათ უყვებოდა. ის სახლებზე მისვლით ქალებს ქსოვას და წერა-კითხვას ასწავლიდა, აგრეთვე იბრძოდა მათი უფლებების დაცვის გზაზე. ის ბავშვებს აცრას უკეთებდა, ზერდაბის მხარეში კი თურმე ათობით ადამიანი სიბრმავეს გადაარჩინა.

M *წაიკითხეთ მიხედვით იმსჯელეთ ჩრდილოეთ აზერბაიჯანის მოსახლეობის პრობლემებსა და ქალბატონი ჰანიფა მალიქოვას საქველმოქმედო მოღვაწეობაზე.*

კითხვები და დავალებები:

1. რა მიზეზებს უკავშირდებოდა აზერბაიჯანელი ერის ჩამოყალიბება XIX საუკუნის მეორე ნახევარში?
2. რომელი მოქმედებებია აუცილებელი ერის წარმატების მოსაპოვებლად?
3. გაანალიზეთ მეფის რუსეთის ანტიაზერბაიჯანული პოლიტიკა.
4. რა არის ეროვნული გრძნობა? განმარტეთ მის ჩამოყალიბებაში ეროვნული ბურჟუაზიისა და განათლებულთა როლი.
5. დაწერეთ ესე ჩვენი ეროვნების შესახებ.

10. სახალხო მოძრაობა

საგლეხო რეფორმას ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მიწისა და ზოგადად საგლეხო პრობლემები არ მოუგვარებია. ზოგიერთ მხარეებში რეფორმის გატარებაც კი გვიანდებოდა, რაც მოსახლეობაში უკმაყოფილებას იწვევდა. ჭარ-ბელაქანში გატარებული ძალადობრივი პოლიტიკა, მოსახლეობის შეიარაღებული ავანყების მიზეზი გახდა. რა ფორმებით გამოისახებოდა სახალხო გამოსვლები კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ?

ზაქათალა-ბელაქნის მხარეში უძველესი დროიდან დღემდე აზერბაიჯანელები, ავარები, ინგილოები, წახურები, ქართველები და სხვა ხალხთა წარმომადგენლები ერთად ცხოვრობდნენ. ისტორიის მწარე ფურცლებმა ბიძგი მისცა ამ ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების საშშობლოსათვის ერთობლივ ბრძოლას. ისინი ჭარ-ბელაქანსა და ზაქათალაში მომხდარ ყოველ ავანყებაში იბრძოდნენ, როგორც ერთობლივი ძალა.

M შეაგროვეთ ცნობები წყაროში ხსენებული ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების შესახებ.

ქრისტიანობის იძულებითი გავრცელება. ჩრდილოეთ აზერბაიჯანში რუსეთის მიერ გატარებული კოლონიური პოლიტიკა მრავალფეროვანი იყო. ცენტრალური მთავრობა პოლიტიკურ-ეკონომიკურ დისკრიმინაციასთან ერთად, ხელს უშლიდა ჩვენი ხალხის რელიგიური რიტუალების შესრულებას და ატარებდა გაქრისტიანების პოლიტიკას. ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, ქრისტიანული რელიგიის მართლმადიდებლური მიმართულების კოლონიებში გავრცელება სამსახურს გაუწევდა იმპერიის ინტერესებს.

ალბანი მბრძანებლის მომან ვაჩაგანი III-ის დაგალებით აშენებული გუმ ძეგლის ნარჩენები (კახის რაიონი)

1851 წელს კავკასიაში მეფის ნაცვალმა კნიაზ მ.ვორონცოვმა გასცა სპეციალური ბრძანება გაქრისტიანებული ინგილოების[1] სახელმწიფო ხაზინაში გადასახდელი ზოგიერთი გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ. კოლონიური ჩაგვრის შედეგად მძიმე განსაცდელში ჩავარდნილი მოსახლეობის ეკონომიკურ მოთხოვნებზე გათვლილმა ამ პოლიტიკამ, თუმცა არა მაშინვე, თანდათან მაინც დაიწყო თავისი შედეგის გამოღება. უკვე 50-იანი წლების ბოლოს მთლიანი ჭარ-ბელაქანის ოლქის მასშტაბით შესაძლებელი გახდა ათასზე მეტი ინგილოს გაქრისტიანება. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად მართლმადიდებლობა მიღებული თავდაპირველი ინგილოური სოფლები, ადრეულ პერიოდში ილისუს სასულთნოს ტერიტორიაში შემავალ კახში მდებარეობდა.

ქურმუხის სამლოცველო

აღნიშნულ პერიოდში ამჟამინდელი კახის რაიონის ტერიტორიაზე ქურმუქისა და მეშაბაშის სამლოცველოები იქნა აშენებული.

მართლმადიდებლობის მისაღებად ინგილოების წაქეზების მიზნით, რუსეთის ხელისუფლებას ამოქმედებული ჰქონდა ყველა მეთოდი და საშუალება. მაგალითად, კავკასიის ნაცვალს მ. ვორონცოვს თავის მეუღლესთან ერთად „გამოენახა დრო“ და ინგილოების ჯვრის წყალში ამოვლების ზეიმებზე მონაწილეობის მიზნით კახში იყო ჩამოსული. მას პირადად თვითონ ინგილოები ჯვრის წყალში ჰყავდა ამოვლებული, მართლმადიდებლობის მიმღებნი ოქროთი დაესაჩუქრებინა, ამასობაში მათ უპირატესობებსა და შეღავათებს ჰპირდებოდა.

შეაგროვეთ ცნობები ქრისტიანობის გავრცელებისა და თანამედროვე ქრისტიანული ეკლესიების ფუნქციონირების შესახებ.

ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა მიცემულ უპირატესობებსა და განხორციელებულ ცდუნებებზე არ ტყუვდებოდა, ასე რომ იცავდნენ და ინარჩუნებდნენ თავიანთი ისლამის რელიგიას. მოსახლეობა სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა უცხოელ მისიონერებს[2] თავიანთი სარწმუნეობის - რელიგიის შესანარჩუნებლად. ამიტომაც იყო, რომ მეფის კოლონიზატორები ჭარ-ბელაქნის ტერიტორიაზე მცხოვრები ინგილოებისათვის მართლმადიდებლობის ძალით მიღებინებას შეუდგნენ. მართლმადიდებლობის მიღებინება განსაკუთრებული სისასტიკით სრულდებოდა. მაგალითად, მუსლიმანურ სოფლებში არსებულ მეჩეთებს მოსახლეობის თვალწინ ანგრევდნენ. მოსახლეობის ერთმა

[1] **ინგილოები** - ძველი ალბანების გამუსლიმანებული შთამომავლობა.

[2] **მისიონერი** - ეკლესიის მხრიდან არაქრისტიანულ მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელების მიზნით მიგზავნილი პიროვნება.

ნაწილმა, რომელიც გაურბოდა ქრისტიანობის მიღებას, დატოვა თავისი სამშობლო-მამული, ხოლო მეორე ნაწილმა შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო.

ჰაჯი მურთუზი

ზაქათლის აჯანყება. 1863 წელს საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებისათვის სამზადისის შესახებ ცნობა, ზაქათლის ოლქის[1] მოსახლეობის მწვავე უკმაყოფილების მიზეზი გახდა. ეს ოლქი, ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან წინააღმდეგობრივი მხარე იყო. ცარიზმის მძიმე კოლონიურმა პოლიტიკამ, მოხელეთა თვითნებობამ და მექრთამეობამ, ასევე ძალადობრივი გაქრისტიანების პოლიტიკამ მხარეში მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. იმ დროს ბელაქნის სოფელში ეკლესიის მშენებლობამ მოსახლეობის უთანხმოება კიდევ უფრო გაამძაფრა.

ზაქათალაში ჩამოსული სამთავრობო კომისიის მიერ შემოთავაზებული რეფორმის შედეგად ინგილოები და მუღალები[2] ქაშქალის[3] მფლობელების დაქვემდებარებიდან უნდა განთავისუფლებულიყვნენ. საამისოდ ისინი ვალდებულნი იყვნენ მიღებული შემოსავლის ათჯერ მეტის მოცულობითი საშუალება ერთჯერადად გადაეხადათ. კატეხის, ჭარის, თალასა და სხვა სოფლებში მიწების მფლობელებს არ სურდათ აქ რეფორმის გატარება, რადგან იცოდნენ, რომ ისინი ძირითადი შემოსავლის წყაროს დაკარგავდნენ.

აჯანყება ზაქათალაში **1863 წლის ივნისში**, რუსი ჯარის ყოფილი ოფიცრის **ჰაჯი მურთუზის** ხელმძღვანელობით დაიწყო. ჰაჯი მურთუზის უახლოესი შემწეები ბელაქნელი ბურჯალი და ჭარელი მოლლა ზანგი იყვნენ. აჯანყებამ, რომელიც საერთო ეროვნულ ხასიათს ატარებდა, ფართო სოციალური ფენები მოიცვა. მის მამოძრავებელ ძალას უბრალო ხალხი, ქაშქალის მფლობელები და მუსლიმანური სასულიერო პირები წარმოადგენდნენ. 5 ივნისს მოსახლეობის რელიგიურ გრძნობებზე გავლენის მოხდენისა და უფრო მეტი მომხრეების მოკრების მიზნით ჰაჯი მურთუზი იმამად გამოცხადდა. 5 ივნისის 6 ივნისით შემცვლელ ღამეს აჯანყებულებმა ზაქათლის ყალას შეუტიეს, მაგრამ ისინი ზარბაზნების ცეცხლის ქვეშ მოხვედრილნი იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. რუსეთის ბრძანებელთა წრეებმა აჯანყება ჩაახშეს. აჯანყების ჩახშობას სამსახური გაუწია ილისუს პუნქტის უფროსის ცხენოსანთა რაზმმა. დაღესტანიდან აქ 3 ათასიანი რუსი ცხენოსანთა ჯარი იქნა შემოყვანილი.

აჯანყების ყველაზე აქტიური წევრები სიკვდილით იქნენ დასჯილნი. ათასზე მეტი აჯანყებული, მათ შორის ჰაჯი მურთუზიც ციმბირში გადაასახლეს. მიყენებული ზიანი გადახდილი იქნა აჯანყებულთა ხარჯზე.

აჯანყების დამარცხების მიზეზები, თითქმის იგივე იყო, რაც XIX საუკუნის 30-იან წლებში მომხდარი აჯანყების მარცხის მიზეზები.

ზაქათლის ოლქის ახალი უფროსი მიხვდა, რომ აჯანყების ჩახშობის შემდეგ ძალადობის განგრძობის შემთხვევაში ადგილობრივ მოსახლეობას შორის ახალი უთანხმოების ტალღა წამოიწყებოდა. ამის გათვალისწინებით, ძალადობის ქვეშ მართლმადიდებლობის მიმღებ ინგილოებს ხელახლად ისლამის სარწმუნოების დაბრუნების ნება დართო, რომლის შედეგადაც ინგილოებმა მასობრივად უარყვეს მართლმადიდებლობა.

[1] **ზაქათლის ოლქი** - იმის გამო, რომ 1860 წელს ჭარ-ბელაქნის ოლქის ცენტრი გადატანილი იქნა ზაქათალაში, ოლქი ასე იქნა წოდებული.

[2] **მუღალები** - ზაქათლის ოლქის ყველაზე ძველი თურქული მოდგმის მოსახლეობა იყო. ძირითადად მდინარე ალაზნის ნაპირებზე ვაკეზე ცხოვობდნენ, რომლებიც თავდაპირველად მიწათმოქმედებით იყვნენ დაკავებულნი.

[3] **ქაშქალი** - აქ მსხვილი მიწათმფლობელის მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

გლეხთა მოძრაობა. XIX საუკუნის 70-90-იან წლებში აზერბაიჯანულ სოფლებში კაპიტალისტური ურთიერთობები ჩამოყალიბდა, ასევე მოხდა საზოგადოების კლასებად დაყოფა. გრძელდებოდა რუსი გლეხების ჩვენს ქვეყანაში გადმოსახლება, რომლის შედეგად ადგილობრივ გლეხთა ერთი ნაწილი უმიწოდ რჩებოდა და მცირემიწიან გლეხთა რიცხვი მატულობდა. მძიმე გადასახადები გლეხთა მდგომარეობას უფრო აუტანელს ხდიდა. XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში გაძლიერებული იქნა ბრძოლა ცარიზმის ეროვნულ კოლონიური ზეწოლის წინააღმდეგ. გლეხები გაურბოდნენ გადასახადების გადახდასა და ვალდებულების ქონას, ხელთ იგდებდნენ მფლობელების კუთვნილ მიწებს, უტევდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ მთავრობის მოხელეებისა და ბეგების სახლებს, ასევე მეწარმეებსაც კი კლავდნენ. ამ პერიოდში გაზახის, ჯავანშირის, იელიზავეტპოლის, შუშასა და კუბის მაზრებში ადგილი ჰქონდა გლეხთა აქტიურ გამოსვლას.

ყაჩაღი ქერემი

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში აზერბაიჯანში გლეხთა მოძრაობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ყაჩაღური მოქმედება იყო. აზერბაიჯანში ეროვნულ კოლონიური ზეწოლის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყაჩაღურ მოძრაობას. ზენგაზურის მაზრაში **ყაჩაღი ნების,** ხოლო გაზახის მაზრაში **ყაჩაღი ქერემის** მსგავსი სახალხო შურისმაძიებლები იბრძოდნენ.

ყაჩაღი ნები

ყაჩაღი ნებისთან აშკარად ბრძოლაში უძლური მეფის მთავრობის მოხელეებმა, მისი ძალის შესუსტების მეთოდი გამოიყენეს. ეს მეთოდი ნების თანამებრძოლთა მკვლელობა იყო. პეტერბურგიდან თბილისში კატეგორიული დავალებით ჩამოსული არზუმანიანის მეთაურობით, გაერთიანებული იქნა ყველა ძალა. დალატმა თავი იჩინა, ნების ჯერ, ყველაზე ახლო და ერთგული თანამებრძოლები სათითაოდ მოაცილეს. ბოლოს, 15 წელზე დიდ ხანს მებრძოლი სახალხო გმირი ყაჩაღი ნები, მეფის მთავრობის დაქირავებული მკვლელის მიერ 1896 წელს იქნა მოკლული.

იმსჯელეთ ყაჩაღი ნების ხალხში არსებული სიყვარულის მიზეზებზე.

გლეხთა გაფიცვები. ბაქოში ნავთობ-მრეწველობის განვითარების დასაწყისში, აქ მომუშავე მუშათა უმეტესობას აბშერონელი გლეხები წარმოადგენდნენ, ოღონდ შემდგომ პერიოდში ნავთობ-მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით, ჩრდილოეთ აზერბაიჯანის მაზრებიდან, რუსეთის იმპერიის შიგა გუბერნიებიდან, კავკასიის სხვადასხვა მხარეებიდან და სამხრეთ აზერბაიჯანიდან სამუშაოდ ჩამოსულთა ანგარიშზე მათი რიცხვი მატულობდა. მუშები ძალიან მცირე ხელფასის სანაცვლოდ იძულებულნი იყვნენ 12-14 საათის განმავლობაში ემუშავათ. აუცილებელი საყოფაცხოვრებო საქონლის სიძვირე და მაღალი სახლის მაღალი ქირა მუშათა მდგომარეობას კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიდა.

ტექნიკური უსაფრთხოების დაბალი დონის გამო დაწესებულებებში ხშირად უბედურ შემთხვე-

ვებს ჰქონდა ადგილი. ფართოდ გამოიყენებოდა ქალისა და ბავშვის შრომა. XIX საუკუნის 70-იან წლებში გედებეიში, აგრეთვე ბაქოსა და შექიში თავდაპირველ გაფიცვებს[1] ჰქონდა ადგილი. მუშები ხელფასის მომატებას, ოჯახიანი მუშებისათვის ბინის მიცემასა და სხვა ამდაგვარ მოთხოვნებს აყენებდნენ. XIX საუკუნის ბოლოს ბაქოში, მრეწველობის მუშები შეუდგნენ თავიანთი თავის ორგანიზებულ ძალად წარმოდგენას.

კითხვები და დავალებები:

1. *რა იყო ზაქათლის ოკუპაციის ძირითადი მიზეზები?*
2. *შეადარეთ ერთმანეთს XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მომხდარი აჯანყებები და ზაქათლის აჯანყება.*
3. *რა იყო გლეხების უმიწოდ დარჩენის მიზეზები?*
4. *მოამზადეთ წარდგინება ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ყაჩაღური მოქმედების შესახებ.*
5. *შეავროვეთ ცნობები XIX საუკუნის მუშათა მძიმე შრომის პირობების შესახებ.*

11. საძრეთ აზერბაიჯანი ყაჯართა სახელმწიფოს შემადგენლობაში

თურქმანჩაის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, აზერბაიჯანის მდინარე არაქსის საძრეთით მიწები ყაჯართა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში დარჩა. ამ პერიოდში საძრეთ აზერბაიჯანი სახელმწიფოს ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად ითვლებოდა და უშუალოდ ტახტის მემკვიდრის მიერ იმართებოდა. საძრეთ აზერბაიჯანში ყაჯართა ხელისუფლების დროს, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში რა ცვლილებებს ჰქონდა ადგილი? რა იყო ყაჯართა სახელმწიფოში აზერბაიჯანელი მოსახლეობის პირობების დაძაბულობის ძირითადი მიზეზები?

თებრიზი. მხატვარი ეჟენ ფლანდენი, 1840 წელი

თებრიზი ყაჯართა სახელმწიფოში მეორე დედაქალაქის როლს ასრულებდა, უცხოელ დიპლომატიურ წარმომადგენელთა რეზიდენციაა აქ მდებარეობდა. პროვინციის მართვა ოფიციალურად ტახტის მემკვიდრის განკარგულებაში შედიოდა. ჩვეულებრივ, შაჰის შვილთა წრიდან დანიშნული ვალის განკარგულებაში მყოფ დიდ სამმართველო აპარატში, ქალაქ თებრიზის ბეგლარბეგი, პროვინციაში მდებარე რეგულარული სამხედრო ნაწილების მეთაური-ამირა, პროვინციის საფინანსო საქმეთა მთავარი ზედამხედველი და სხვა სახელმწიფო მოხელეები შედიოდნენ. შაჰის ტახტის მემკვიდრე და მის გარშემო მყოფი მოხელეები ბოროტად სარგებლობდნენ თავიანთი თანამდებობით და ძარცვავდნენ ხალხს. სამხედრო-პოლიტიკური და ადმინისტრაციულ-საფინანსო საქმეების თავიანთ ხელთ მყოფი, ნახევრად მომთაბარე მეთაურები, მსხვილი შეიარაღებული ჯგუფებით მუდმივად აშინებდნენ და ძარცვავდნენ ხალხს.

M *შეადარეთ ერთმანეთს საძრეთ აზერბაიჯანში მყოფ მოხელეთა თვითნებობა, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მყოფ საკომენდანტო მართვის მეთოდთან.*

[1] **გაფიცვა** - მუშათა მიერ სამუშაოს მასობრივი და ორგანიზებული შეწყვეტა და მოთხოვნების დაყენება.

სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა. XIX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ აზერბაიჯანი ყაჯართა სახელმწიფოს ოთხი პროვინციიდან ერთ-ერთი იყო. აქ მყოფი სახანოები თანდათან გაუქმდა და მათ ადგილას გუბერნიები წარმოიქმნა.

ირანის ხელისუფლებაში მყოფი თურქული მოდგმის, ყაჯართა დინასტიის წარმომადგენლები საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, სამხრეთ აზერბაიჯანს განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებდნენ. ფათალი შაჰინის დროს სამხრეთ აზერბაიჯანი „ვალიაჰდნეშინად“ (შაჰის შვილის ადგილ-სამყოფელი) ითვლებოდა, თებრიზი კი „დარუსსალთანა“- შაჰის შვილის ოფიციალური რეზი-დენცია, სახელმწიფოს მეორე დედაქალაქი იყო.

XIX საუკუნის 30-50-იან წლებში სამხრეთ აზერბაიჯანში მეურნეობის საფუძველს მიწათ-მოქმედება და მესაქონლეობა წარმოადგენდა. მშრალი მეურნეობის მიწებზე, ნაწილობრივ კი ხელოვნურად მორწყულ მიწებზე, ძირითადად მარცვლეული და ტექნიკური კულტურები მოჰყავდათ. ისევ ძალაში იყო ფეოდალური ურთიერთობები. ქვეყნის მოსახლეობის ძირითად ნაწილს გლეხები წარმოადგენდნენ. სოფლის მოსახლეობა იარდარებისა და ხირდამალიქებისაგან შესდგებოდა.

იარდარი - უმიწო გლეხებს, ხირდამალიქი კი მცირე მიწის მესაკუთრე გლეხებს ეწოდებოდა. მიწის მფლობელობის ხალისას, მთიულის, ქონების, ილათის (ელათის) და ვაყფის სახის ფორმები არსებობდა. მიწების ძირითად ნაწილს ხალისად წოდებული სახელმწიფო მიწები წარმოადგენდა. 1886 წელს შაჰმა გასცა განკარგულება სახელმწიფო მიწების გაყიდვის შესახებ. ილათი შაჰის მხრიდან სახელმწიფოს წინაშე სამხედრო სამსახურის გამო ნახევრად მომთაბარე ტომებისათვის მიცემული საკუთრების ფორმა იყო. გლეხები მოყვანილი მოსავლის ნახევარზე მეტს, როგორც გადასახადს, მესაკუთრესა და სახელმწიფოს უხდიდნენ. გლეხები სახელმწიფოს მიწის გადასახადს „მთავარ ფულს“ (ნახევრად მომთაბარე მესაქონლეებისაგან ცხოველთა რიცხვის მიხედვით) და „კარის ფულს“ (საძოვრებით სარგებლობის გამო) უხდიდნენ.

ქალაქების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ხელოსნობა და ვაჭრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპიდან მზა საქონლის ჩამოტანა მძიმე დარტყმას აყენებდა, მაინც ვითარდებოდა მქსოველობის, მეხალიჩეობისა და მექეჩეობის სახის წარმოების სფეროები. დიდ ქალაქებში შეიქმნა მანუფაქტურის ტიპის დაწესებულებები. აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალაქები: თებრიზი, მარაღა, ურმია და ერდებილი. ევროპულ საწარმოებს თებრიზში თავიანთი წარმომადგენლობები ჰქონდათ გახსნილი. XIX საუკუნის პირველ ნახევარში თებრიზიდან გარეთ გაგზავნილი ხელოსნობის პროდუქციის თითქმის ნახევარი რუსეთში იყო გატანილი.

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში მატულობდა ვაჭართა რიცხვი და ფართოვდებოდა მათი მოღვაწეობის წრე. ვაჭრები ამავდროულად მევახშეობასაც მისდევდნენ. უცხოური საქონლის ქვეყანაში შემოტანა პირობებს უქმნიდა კომპრადორი ბურჟუაზიის[1] განვითარებას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ აზერბაიჯანის ეკონომიკაში მთავარი ადგილი უც-ხოურ კაპიტალს, განსაკუთრებით კი რუსულსა და ინგლისურ კაპიტალს ეჭირა. სამხრეთ აზერ-ბაიჯანი თანდათან რუსეთისათვის იაფი ნედლეულის წყაროდ და გასაღების ბაზრად გადაიქცა. 1891 წელს შაჰის მთავრობამ თუთუნისა და თამბაქოს წარმოება ინგლისელი კაპიტალისტის ტალბოტის მონოპოლიის ქვეშ მოაქცია. მსხვილი ფეოდალები და სასულიერო პირები მარც-ვლეულის სპეკულაციით[2] იყვნენ დაკავებულნი.

სამხრეთ აზერბაიჯანში მასობრივი სახე მიიღო გლეხთა საზღვარგარეთ გამგზავრებამ მუშაო-ბის მიზნით. მშრომელთა უმეტესობა ოსმალეთის იმპერიაში, სამხრეთ კავკასიაში (თავდაპირვე-ლად ჩრდილოეთ აზერბაიჯანში), ვოლგისპირეთში, ცენტრალურ აზიასა და სხვა მხარეებში მიემ-გზავრებოდნენ. ისინი იქ მტვირთავ მუშებად მუშაობდნენ და ადგილობრივ მუშებზე გაცილებით უფრო ნაკლებ ხელფასს იღებდნენ.

---

[1] **კომპრადორი ბურჟუაზია** - საშინაო ბაზარზე უცხოურ საწარმოებს შორის შუამდგომელ მეწარმე ფენას ეწოდება.

[2] **სპეკულაცია** - აუცილებელი პროდუქტების სიმწირის ხელოვნური შექმნა, ხოლო შემდეგ მათი ძვირად გაყიდვა.

სახალხო გამოსვლები. XIX საუკუნის შუა წლებში ფეოდალური ზეწოლის გაძლიერებამ და დასავლეთ ევროპიდან ქსოვის პროდუქციის ფართო მასშტაბითი შემოტანის შედეგად ხელოსნებისა და ვაჭრების გაკოტრებამ უთანხმოება გაზარდა. **1848 წელს** სამხრეთ აზერბაიჯანის უმეტეს ქალაქებში აჯანყება დაიწყო. ისტორიაში ქალთა მოძრაობის სახელით ცნობილ ამ საპროტესტო გამოსვლებს შორის ყველაზე ძლიერი ზანჯანში მომხდარი გამოსვლა იყო. ამ გამოსვლებში პირველად იქნა დაყენებული მოთხოვნა ქალთა და მამაკაცთა უფლებრივი გათანასწორების შესახებ. არსებული რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტულ გამოსვლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენები, მათ შორის ქალებიც. **გაზვინლი ზერრინთაჯი** თავისი ჭკვიანური ღონისძიებებითა და ორატორული უნარებით აჯანყებულთა საყვარელ პიროვნებად გადაიქცა, ასევე დიდი პატივისცემა მოიპოვა ხალხის წინაშე. 1852 წელს ქალთა მოძრაობა უმოწყალოდ იქნა ჩახშობილი.

XIX საუკუნის დასასრულს, სამხრეთ აზერბაიჯანში სოციალური წინააღმდეგობის გამწვავება ახალი სახალხო გამოსვლების მიზეზი გახდა. ფართო ადგილი ჰქონდა გლეხთა მიერ გადასახადის გადაუხდელობასა და შეუიარაღებელი წინააღმდეგობის გაწევას. **1872 წელს** დაიწყო სახალხო გამოსვლები **თებრიზის** ვალის წინააღმდეგ, რომელიც 1881 წელს მისი სამხრეთი აზერბაიჯანიდან გაძევებით დამთავრდა.

ზეინაბ ფაშა

1891 წელს ირანის მრავალ ადგილას, მათ შორის თებრიზში „**თამ-ბაქოს აჯანყება**“ სახელწოდების გამოსვლები დაიწყო. პროტესტული გამოსვლების ძირითადი მიზეზი, შაჰის განკარგულებით მთელ ირანში თუთუნისა და თამბაქოს წარმოების, ასევე მითი ვაჭრობის ინგლისელი კაპიტალისტის ტალბოტის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ კომპანიაში გადაცემა იყო. “თამბაქოს აჯანყების” ერთ-ერთ ძირითად ცენტრად ქალაქ თებრიზი ითვლებოდა. სახალხო მოძრაობის ფართო მასშტაბმა შაჰი იძულებული გახადა უკან დაეხია. ერთი წლის შემდეგ შაჰმა გააუქმა ხელშეკრულება თუთუნისა და თამბაქოს მონოპოლიის ტალბოტისათვის გადაცემის შესახებ. ინგლისური კომპანია იძულებული გახდა შეეწყვიტა მოქმედება სამხრეთ აზერბაიჯანში.

1898 წელს თებრიზში ადგილი ჰქონდა აჯანყებას ზეინაბ ფაშად წოდებული ქალის მეთაურობით. აჯანყება მიმართული იყო მარცვლეულის სპეკულაციის წინააღმდეგ. ზეინაბ ფაშამ გარს შემოიკრიბა თებრიზის ღატაკი ქალები და სპეკულანტების საწყობებს შეუტია. გაახსნევინა მარცვლეულის საწყობები და მშიერი ოჯახები მარცვლეულით უფასოდ უზრუნველყო.

კითხვები და დავალებები:

1. *რა იყო სამხრეთი აზერბაიჯანის შაჰის შვილთან დაკავშირების მიზეზი?*
2. *აჩვენეთ სამხრეთი აზერბაიჯანის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა, სქემის ფორმით.*
3. *რა სხვაობებს ჰქონდა ადგილი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ და სამხრეთ აზერბაიჯანის ეკონომიკურ მდგომარეობებს შორის?*
4. *შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი, სამხრეთ აზერბაიჯანში სახალხო გამოსვლების შესახებ.*
5. *რომელი მსგავსი მხარეები გააჩნდათ “თამბაქოს აჯანყებასა” და ზეინაბ ფაშას მეთაურობით მომხდარ აჯანყებას?*

12. განათლება და მეცნიერება XIX საუკუნეში

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას არ სურდა თავის კოლონიურ პყრობაში ჩამწყვდეული ხალხების განათლება, შემეცნების უნარი და დამოუკიდებელი აზროვნება, აზერბაიჯანში მაღალი ინტელექტის მატარებელი, ერისა და სწავლის მოყვარული მოაზროვნენი თავს იჩენდნენ. იხსნებოდა ახალი სკოლები, კულტურისა და განათლების სახლები. რა ძირითად სიახლეებს ჰქონდა ადგილი განათლების სფეროში? რა იყო ამ სიახლეთა ძირითადი მიზეზები?

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთის კოლონიურ პირობებში ჩრდილოეთ აზერბაიჯანის კულტურული ცხოვრების უმეტეს სფეროებში გარკვეულ სიახლეებს ჰქონდა ადგილი, საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენი კულტურის ყველა სფეროებში გაძლიერებული იქნა განვითარების ტენდენციები და მოპოვებული იქნა გარკვეული მიღწევები. გაიხსნა ახალი ტიპის სკოლები, ასევე კულტურისა და განათლების დაწესებულებები. საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ პრესასა და თეატრს. დემოკრატიული სულის სწავლულებმა ჩვენი სამშობლოს ბედთან დაკავშირებული საკითხების წამოყენებისა და ხალხის ეროვნული გრძნობის გაღვიძების სფეროში მიზანდასახული მოღვაწეობა დაიწყეს.

"შუშაში თათრების (აზერბაჯანელი) სკოლა". მხატვარი კლერჟენინი

1842 წლის ცნობის მიხედვით ჩრდილოეთ აზერ-ბაიჯანში მეჩეთებზე დაქვემდებარებულ 502 დაწყებით სკოლაში 5 ათასზე მეტი მოსწავლე სწავლობდა. ბაქოში, იჩერიშეჰერში ორი ქალთა დაწყებითი სკოლაც მოქმედებდა. ამ სკოლებში 25 მოსწავლე იღებდა განათლებას.

განათლება. რუსეთის მხრიდან ჩრდილოეთ აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ, მეფის ხელისუფლების კულტურისა და განათლების სფეროში გატარებული პოლიტიკის საწყისი მიზანი, ჩვენს ქვეყანაში იმპერიის ინტერესების შესაბამისი განათლების სისტემის ჩამოყალიბება იყო. მოსახლეობის გარუსება და იმპერიის ერთგული მოხელეების მომზადება სახელმწიფოს ძირითად სურვილს წარმოადგენდა. მეფის მოხელეები მხარეში რუსული პოლიტიკის გატარებით მიზნად ისახავდნენ არა მხოლოდ მოსახლეობის რუსულ ენაზე მეტყველების, არამედ მათი რუსულად აზროვნების უზრუნ-ველყოფასაც. მეფის მთავრობის მიერ აზერ-ბაიჯანში შემოღებული განათლების სისტემა კლასობრივ ხასიათს ატარებდა. ამასთან ერთად, აზერბაიჯანში სახანოების დროიდან დარჩენილი დაწყებითი სკოლები (მოლლახანაები) და მედ-რესები ჯერ კიდევ ვაყფის ქონებიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე მოქმედებდნენ.

მეფის ხელისუფლება, რომელიც ძარცვავდა ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სიმდიდრეს, არ სურდა ამ სიმდიდრის ხარჯზე ჩვენი ეროვნული სკოლების არსებობის შენარჩუნება. მას აინტერესებდა უფრო მეტ მხარეებში რუსული სკოლების გახსნა. 1829 წელს მიღებული დადგენილებით გადაწყვეტილი იქნა ჩრდილოეთ აზერბაიჯანში დაწყებითი სახელმწიფო სკოლების გახსნა. ამ სკოლებში უნდა მიეღოთ დაწყებითი განათლება მხარეში მდებარე, რუსულ ჯარში მომსახურე ოფიცერთა და მმართველ ორგანოებში მომუშავე მოხელეთა შვილებს, აგრეთვე ამ მხარის მართვისათვის შესაბამისი კადრები უნდა ყოფილიყო მომზადებული, იმიტომ რომ ცენტრალური გუბერნიებიდან კადრების მოწვევა დიდ

სირთულეებს წარმოადგენდა. ამ დადგენილებით, პირველი სამაზრო სკოლა 1830 წელს შუშაში გაიხსნა. შუშას სამაზრო სკოლის გახსნით საფუძველი ჩაეყარა აზერბაიჯანში ევროპული ტიპის საერო განათლებას. შემდეგ ქალაქ ბაქოში, შექიში, განჯაში, ერევანში, ნახჩივანსა და შამახიშიც ასევე გახსნილი იქნა სამაზრო სკოლები. ამ სკოლებში სწავლა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, ხოლო აზერბაიჯანული ენა ისწავლებოდა, როგორც ერთ-ერთი საგანი. აზერბაიჯანულ ენაზე რამოდენიმე სახელმძღვანელოც კი იყო მომზადებული. 50-იან წლებში სამაზრო სკოლებში უკვე საკმაო აზერბაიჯანელი მოსწავლე სწავლობდა, 1857 წელს კი მათი რიცხვი 148-ს აღწევდა.

1872 წლის დადგენილებით ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ყველა სამაზრო სკოლები, ექვსწლიანი განათლების სისტემის ფულიან საქალაქო სკოლებად გადაიქცა. 1874 წელს მიღებული იქნა ახალი დადგენილება, სოფლის დაწყებითი სკოლების შექმნის შესახებ.

რუსეთის მთავრობის მხრიდან, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში პირველი რუსულენოვანი საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულება-**გიმნაზია 1865 წელს,** ბაქოში გაიხსნა. შემდეგ განჯაშიც ამგვარმა გიმნაზიამ დაიწყო მოქმედება. **1874 წელს ბაქოში გაიხსნა პირველი გიმნაზია გოგონებისათვის**. საშუალო სკოლებში სწავლება ფასიანი იყო.

ალექსეი ჩერნიაევსკი

ახლად გახსნილ სკოლებში გაკვეთილების ჩასატარებლად, მასწავლებელთა კადრების მომზადებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა **1876 წელს, გორში გახსნილი სამხრეთ კავკასიის მასწავლებელთა სემინარია**. მ.ფ. ახუნდზადესა და ალექსეი ჩერნიაევსკის ძალისხმევით **1879 წლიდან ამოქმედებული იქნა სემინარიის აზერბაიჯანული განყოფილება**.

განათლების სფეროში არსებულ მნიშვნელოვან სიახლეებს შორის, ასევე აზერბაიჯანელი სწავლულების ინიციატივითა და ძალისხმევით გახსნილი რუსულ-აზერბაიჯანული სკოლებიც იყო. ამ სკოლების ძირითადი მიზანი იყო აზერბაიჯანელი მოსწავლეების მომზადება საშუალო სკოლებისათვის. პირველი ასეთი სკოლა ბაქოში, **1887 წელს** ახალგაზრდა პედაგოგების **ჰაბიბ ბეგ მაჰმუდბაიოვისა და სულთან მეჯიდ განიზადეს** მიერ იქნა დაარსებული. სხვა რუსული სკოლებისაგან განსხვავებით, ამ სკოლებში პირველ სასწავლო წელს აზერბაიჯანული ენა ისწავლებოდა, როგორც სავალდებულო საგანი.

“... აზერბაიჯანელთაგან გამოჩენილი საგანმანათლებლო და კულტურული მოღვაწეები კიდევ უფრო მეტი გამოვა. ისინი დედა ენაზე სახელმძღვანელოებს დაწერენ, ასევე ამ ხალხის მდიდარი ლიტერატურისა და ისტორიის მრავალტომეული ნაწარმოებებს მოამზადებენ. რასაც მე დღეს ვაკეთებ, იმ დღეს ძალიან მცირედ გამოჩნდება. მე ამას სემინარიის თითოეულ აზერბაიჯანელ მოსწავლეთა სახეზე ვხედავ. ვამაყობ, რომ წიგნი მშობლიური ენა მუსლიმანი (აზერბაიჯანელი) ბავშვებისათვის ჩემს მიერ არის შედგენილი.” .

ა. ჩერნიაევსკი

გორის მასწავლებელთა სემინარია

შეავროვეთ ცნობები გორის მასწავლებელთა სემინარიასა და მისი აზერბაიჯანელ კურსდამთავრებულთა შესახებ.

XIX საუკუნის 60-90-იან წლებში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში დაიწყო „უსული-ჯადიდ“[1] სკოლების დაფუძნება. პირველი ასეთი სკოლა გახსნილი იქნა შამახიში, სეიდ აზიმ შირვანის მიერ. შემდგომ წლებში კი ასეთი სკოლა გახსნილი იქნა შუშაში მირ მოჰსუნ ნავვაბის, ნახჩივანში მამმად თაღი სიდგის, ხოლო ირევანსა და თებრიზში მირზა ჰასან რუშდიას მიერ. ამ სკოლებში ადგილი ჰქონდა სწავლებას ახალი მეთოდებით. ზეპირობის ნაცვლად გამოიყენებოდა გააზრებითი ათვისება, აღარ ისჯებოდნენ სხეულის სასჯელით, სარგებლობდნენ საწერი მაგიდით, დაფითა და სხვა თანამედროვე მოწყობილობებით.

კულტურისა და განათლების სახლები. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბიბლიოთეკებისა და სამკითხველო ოთახების შექმნამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხალხის განათლებაში. ბაქოსა და განჯაში გაიხსნა საერთო მოხმარების ბიბლიოთეკები. **1894 წელს კი, ნარიმან ნარიმანოვმა უზრუნველყო ბაქოში პირველი სამკითხველო ოთახის მოწყობა**. აქ ადგილობრივმა მოსახლეობამ ყოველდღიური გაზეთებისა და ჟურნლების გაცნობის, აგრეთვე უახლესი ამბების გაგების შესაძლებლობა მოიპოვა.

მეცნიერება. XIX საუკუნის დიდი მოაზროვნე **აბბასგულუ აღა ბაქიხანოვი** (1794-1846) აღმოსავლური ენისა და ლიტერატურის დიდი მცოდნე იყო. მან პირველმა, მთლიანად გამოიკვლია აზერბაიჯანის ისტორია პირველადი წყაროების საფუძველზე. მის „გულუსტანი ირამ“ ნაწარმოებში აღწერილია უძველესი დროიდან 1813 წლამდე, გულუსტანის ზავამდე ჩვენი სამშობლოს ისტორია.

XIX საუკუნის სხვადასხვა ხალხების ისტორიას მიძღვნილ ნაწარმოებებს შორის მირზა ადიგოზალ ბეგის “ყარაბაღნამა”, მირზა ჯამალ ჯავანშირის “ყარაბაღის ისტორია”, ქარიმ აღა ფათეჰის “შექის სახანოების მოკლე ისტორია”, და ისგანდარ ბეგ ჰაჯინსკის “კუბელი ფათალი ხანის ცხოვრება” დიდ მნიშვნელობას ატარებდა.

ამ პერიოდის აზერბაიჯანში გეოგრაფიის მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვოდა ცნობილ გეოგრაფიის მცოდნე მოგზაურებს, **ჰაჯი ზეინალაბდინ შირვანისა და ა. ბაქიხანოვს**. ასევე დიდი წვლილი მიუძღვით აზერბაიჯანელ მეცნიერებს, **მირზა ჯეფერ თოფჩუბაშოვსა (1790–1869) და მირზა ქაზიმ ბეგს (1802–1870)**, რუსეთში აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერების შექმნასა და მის განვითარებაში.

[1] “**უსული–ჯადიდ**” - ახალი მეთოდი, სწავლებაში სიახლეების გამოყენება.

მ.ჯ. თოფჩუბაშოვი დიდი ხნის მანძილზე პეტერბურგის უნივერსიტეტში სპარსული ენის ლექციებს ატარებდა, იყო კათედრის გამგე, ხელმძღვანელობდა რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლური ნუმიზმატიკის განყოფილებას, არჩეული იქნა დიდი ბრიტანეთის სამეფოს აზიის საზოგადოების ნამდვილ წევრად.

მირზა ქაზიმ ბეგი

მსოფლიო პოპულარობის მქონე აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერი მირზა ქაზიმ ბეგი, ადრე კაზანის უნივერსიტეტში კათედრის გამგისა და დეკანის თანამდებობაზე მუშაობდა, ხოლო შემდეგ განაგრძო პედაგოგიურ-სამეცნიერო მუშაობა პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1853 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში შეძლო აღმოსავლური ენების ფაკულტეტის გახსნა, რომლის პირველი დეკანიც თვითონვე იქნა არჩეული. მირზა ქაზიმ ბეგს, აღმოსავლეთის ხალხთა შესახებ ათობითი ნაწარმოები ჰქონდა დაწერილი, ხოლო „თურქულ-თათრული ენის გრამატიკა“ და „დარბანდნამე“ ნაწარმოებების გამო დემიდოვის ჯილდო ჰქონდა მიღებული. ეს ნაწარმოებები თარგმნილი იყო გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომლებიც მრავალჯერ იქნა დაბეჭდილი.

ის აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერებაში შეტანილი დიდი წვლილის გამო რუსეთის მეცნიერების აკადემიის ასოცირებულ წევრად და დიდი ბრიტანეთის სამეფოს აზიის საზოგადოების ნამდვილ წევრად იქნა არჩეული. თანამედროვეები მირზა ქაზიმ ბეგს “რუსეთის აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერების მამას” უწოდებდნენ. მისი ნაწარმოებები გერმანიის, საფრანგეთისა და ინგლისის სახელოვან ჟურნალებში ქვეყნდებოდა.

მირზა ჯაფარ თოფჩუბაშოვი

ა.ს. პუშკინთან ნაცნობობის მქონე მირზა ჯაფარს, პეტერბურგის არისტოკრატიის სიმპათია ჰქონდა მოპოვებული. ის ა.ს. გრიბოედოვისა და პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის ახლო მეგობარი იყო. მათ მირზა ჯაფარისაგან აღმოსავლური ენები ჰქონდათ ნასწავლი. პრესა დედაქალაქში 1869 წელს მის სიკვდილთან დაკავშირებით წერდა: ”სანამ მოქმედებს პეტერბურგის უნივერსიტეტი, მირზა ჯაფარის სახელი სულ დიდი პატივისცემით იქნება მოხსენიებული”. მამამისი ალიმარდან ბეგ ალაქბარ ბეგ ოღლუ თოფჩუბაში განჯას ბოლო მბრძანებლის ჯავად ხანის პირადი მწიგნობარი იყო. ის კარგად ფლობდა არაბულ, სპარსულ და რუსულ ენებს. ეს რუსეთის მეერი ოკუპაციამდელი პერიოდისათვის იშვიათი მოვლენა იყო. ჯავად ხანის გენერალ სისიანოვისათვის მიწერილი დაუმარცხებლობითა და გამბედაობით სავსე წერილებიც ა. თოფჩუბაშის მიერ იყო შედგენილი.

M დაამტკიცეთ აზრი, რომ აზერბაიჯანელი მეცნიერების რუსეთის მეცნიერებაში შეტანილი წვლილი შეუცვლელია. მოიყვანეთ მაგალითები.

ქიმიკოსი მეცნიერი **მოჰსუნ ბეგ ხანლაროვი** (1857-1921) გერმანიის სტრასბურგის უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, იქვე შეუდგა სამეცნიერო გამოკვლევებს და მიიღო ქიმიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მან ჩვენს ქვეყანაში შექმნა ნავთობის ქიმიის პირველი სამეცნიერო ლაბორატორია და ჩაატარა გამოკვლევები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აზერბაიჯანში ბიოლოგიის, სოფლის მეურნეობისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჰასან ბეგ ზარდაბის (1842-1907). მას დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჰ. ზერდაბი პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად ატარებდა სამეცნიერო გამოკვლევებს.

კითხვები და დავალებები:

1. *რა ძირითადი მიზნები ჰქონდა დასახული მეფის რუსეთს ჩრდილოეთ აზერბაიჯანში განათლებასთან დაკავშირებული პოლიტიკით?*
2. *შეადგინეთ ცხრილი განათლებასთან დაკავშირებული დადგენილებების შესახებ.*
3. *განმარტეთ XIX საუკუნის 80-იან წლებში გახსნილი სკოლების რუსულ-აზერბაიჯანულ სკოლებად წოდების მიზეზები.*
4. *მოამზადეთ წარდგინება გორის მასწავლებელთა სემინარიის აზერბაიჯანელ კურსდამთავრებულთა შესახებ.*
5. *მოამზადეთ წარდგინება XIX საუკუნის აზერბაიჯანელი სამეცნიერო მოღვაწეების შესახებ.*

13. ეროვნული პრესის, თეატრის შექმნა. ლიტერატურა და ხელოვნება

XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიცვალა აზერბაიჯანელი მოსახლეობის ცხოვრება. რომელიც, ასევე კულტურის ახალი სფეროების გაცნობასთან იყო დაკავშირებული. უმაღლესი განათლების მქონე აზერბაიჯანელები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, გაზეთის გამოქვეყნებით, ასევე თეატრალური თამაშების ჩვენებით უბრალო ხალხის გონების გახსნასა და ეროვნული გრძნობის გაღვიძებას ცდილობდნენ. რა სამუშაოები სრულდებოდა ხალხის განათლებისათვის?

გაზეთი "ექინჩი"

ეროვნული პრესა. XIX საუკუნის 30-40-იან წლებში თბილისში რუსულ ენაზე გამოსულ გაზეთებში აზერბაიჯანულ, თურქულ ენაზე „თათრული ამბები“ და „კავკასიის ამ მხარეს, ახბარი[1] “სახელწოდების დამატებები იბეჭდებოდა. მაგრამ ამ გაზეთებში მხოლოდ ოფიციალური საბუთები და მთავრობის გადაწყვეტილებების აზერბაიჯანული თარგმანი იყო მოცემული, ხოლო ხალხის ცხოვრებისა და კულტურის შესახებ არაფერი იბეჭდებოდა. ამიტომაც ეს გაზეთები პრესის ნიმუშებად არ ითვლებოდა. ჰასან ბეგ ზერდაბიმ ეროვნული პრესის შესაქმნელად სამი წლის განმავლობაში მიზანდასახული მოქმედების შედეგად, სტამბოლში არაბული საბეჭდი ასოების (შრიფტების), ხოლო თბილისში და სხვა ქალაქებში საბეჭდი მოწყობილობები შეისყიდა, რომლებიც აქ ჩამოიტანა. ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ **1875 წლის 22 ივლისს ბაქოში დაიბეჭდა** “**ექინჩი**“ გაზეთის პირველი ნომერი. 1875-1877 წლების განმავლობაში გაზეთ „ექინჩის“ 56 ნომერი იქნა დაბეჭდილი. დედა ენაზე დაბეჭდილი გაზეთი „ექინჩი“ დასავლურ ქვეყნებშიც კი ცნობილი იყო.

ჰასან ბეგ ზერდაბის, გაზეთის გარშემო შემოკრებილი ჰყავდა იმ დროინდელი გამოჩენილი სწავლულები. მირზა ფათალი ახუნდზადე გულშემატკივრობდა გაზეთის გამოსვლას და თავისი სტატიებიც ჰქონდა გაგზავნილი. სეიდ აზიმ შირვანი, ნაჯაფ ბეგ ვაზიროვი და ასგარ აღა გორანი აქტიურად თანამშრომლობდნენ გაზეთთან. გაზეთ „ექინჩის“ ოსმალეთის სახელმწიფოსადმი სიმპათიით შეწუხებულმა რუსეთის მთავრობამ, გაზეთის გვერდებზე პოლიტიკური საკითხების დართვა აკრძალა. **1877 წლის** სექტემბერს კი გაიცა მითითება გაზეთის დახურვის შესახებ. ეს

[1] **ახბარი** - ამბებს ნიშნავს.

ეროვნული დრამატურგიის დამფუძნებელი მირზა ფათალი ახუნდზადე "ექინჩის" გამოქვეყნების პირველი გულშემატკივარი, დამლოცველი და ერთ-ერთი მრჩეველი იყო. ამ გაზეთის ბეჭდვას, გამოქვეყნებასა და გავრცელებასთან დაკავშირებით მ.ფ. ახუნდზადესა და ჰ. ზერდაბის შორის მიმოწერებს ჰქონდა ადგილი. "ექინჩის" სწორი მიმართულების უზრუნველყოფის მიზნით მ.ფ. ახუნდზადე თავისი წერილით, გამომცემლობის წინაშე მნიშვნელოვანი პროფესიული წესების დაცვის აუცილებლობის საკითხს აყენებდა. მისი აზრით, სტამბის შრიფტები მშვენიერი, ასევე ენა გამართული, სტილი და ორთოგრაფია კი სწორი უნდა ყოფილიყო.

მირზა ფათალი ახუნდზადე

M განმარტეთ ჰ. ზერდაბისა და მ.ფ. ახუნდზადეს რწმენისა და აზრების საერთო მხარეები.

დაკავშირებული იყო რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომის დაწყებასთან. ეროვნული პრესა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა გაზეთმა "ექინჩიმ", შემდგომში ჩვენი სხვა სწავლულების მხრიდან განაგრძობდა მოქმედებას.

1879 წლის თბილისში, საიდ აფანდი უსნიზადეს რედაქტორობით დაიწყო **"ზია"** სახელწოდების ყოველკვირეული გაზეთის გამოცემა. საიდ უსნიზადეს ძმის ჯალალ უსნიზადეს მიერ, **1883 წლიდან ქალაქ თბილისში გაზეთ "ქაშქულის**[1]" გამოცემა დაიწყო. „ქაშქული" "ექინჩის" გაგრძელება იყო. გაზეთი არამარტო დემოკრატიულ და საგანმანათლებლო იდეებს განავრცობდა, არამედ მიუთითებდა ეროვნული და კულტურული განვითარების გზებზეც. იშვიათი არ იყო, რომ განმარტება „აზერბაიჯანელი ერი", ძალიან დიდ მნიშვნელობას ატარებდა. იმიტომ რომ, რუსები ყველა აზერბაიჯანელს "მუსლიმანად" ან "თათრად" მოიხსენიებდნენ. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ სიძნელეებს უქმნიდა მოსახლეობაში საკუთარი ეროვნული კუთვნილების გამორკვევას.

ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევს თეატრალური ბინა (ამჟამად ეს ბინა მუსიკალურ თეატრს ეკუთვნის) 1883 წელს თავისი მარცვლეულის საწყობის საფუძველზე ჰქონდა აშენებული. თაღიევის თეატრი გარკვეულ პერიოდში გაზეთის ცნობებსა და ბანერებზე "ქალაქის თეატრადაც" მოიხსენიებოდა. მოსახლეობაში კი "თაღიევის თეატრად" იყო ცნობილი.

ეროვნული თეატრი. 1873 წლის 10 მარტს ბაქოს რეალის სკოლის მასწავლებლების ჰასან ბეგ ზარდაბისა და ნაჯიფ ბეგ ვაზიროვის მიერ მირზა ფათალი ახუნდზადეს "სარგუზაშთი-ვაზირი-ხანი-ლანქარან" სახელწოდების კომედია სცენაზე იქნა დადგმული. ეს დადგმა აზერბაიჯანის მორალურ ცხოვრებაში ძალიან დიდ მოვლენას წარმოადგენდა.

[1] "**ქაშქული**" - არაბულად „ჩანთას" ნიშნავს. ცხოვრების ყველა სფეროდან ცნობების ერთ ადგილას შემგროვებელს გულისხმობს.

აღნიშნულ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ჩვენს ეროვნულ თეატრს. შემდგომ წლებში ბაქოს თეატრი მოხალისეთა ჯგუფის პროფესიონალ მსახიობთა დასად გადაიქცა. ამისათვის გამოჩენილმა ქველმოქმედმა მეწარმემ, ჩვენი ხალხის წარმატების გზაზე დიდი სამსახურის გამო „ერის მამად“ წოდებულმა ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევმა, **1883 წელს ორგანიზება გაუკეთა ბაქოში პირველი თეატრალური სახლის** აშენებას.

XIX საუკუნის 80-90-იან წლებში თეატრალურ დადგმებს ადგილი ჰქონდა არა მარტო ბაქოში, არამედ სხვა ქალაქებშიც, როგორიც იყო შუშა, კუბა, შექი, განჯა, ნახჩევანი და ირევანი. 1895 წელს ორგანიზებული იქნა ბაქოს მსახიობთა საზოგადოება.



მოლა ჯუმა

მუსიკა, მხატვრობა და არქიტექტურა. XIX საუკუნის აზერბაიჯანში ვითარდებოდა აშუღური მუსიკა და მუღამის ხელოვნება. აშუღებს შორის ***მოლლა ჯუმაძ და აშიკ ელესგარმა*** ბიძგი მისცა აშუღური მუსიკის განვითარებას. აზერბაიჯანის მუღამის ხელოვნების ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ **ხარრათ გულუ, ჰაჯი ჰუსუ, მეშედი ისი, ჯაბბარ გარიაღდიოღლუ და სედიგ-ჯანი,** კარგად იყვნენ ცნობილნი არამარტო კავკასიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

XIX საუკუნეში აზერბაიჯანის მხატვრობაში განვითარებული იყო საპორტრეტო ჟანრი. მხატვარ მირზა გადიმ ირევანის ირევანის ხანთა სასახლეში, სარკის სალონის კედლებზე „ახალგაზრდა ბაჯის“, „მჯდომარე ქალისა“ და „აბბას მირზას“ პორტრეტები ჰქონდა დახატული. იმ პერიოდის სხვა მხატვარს, მირ მოჰსუნ ნავვაბისაც უამრავ მინიატურასა და ილუსტრაციასთან ერთად, ამირ თეიმურის პორტრეტიც ჰქონდა დამზადებული. ოსტატ ხელოვანს, კარაბაღლი კენბერს თავის მოწაფეებთან ერთად XIX საუკუნის შუა წლებში, შექის ხანთა სასახლის კედლების პორტრეტები ჰქონდა აღდგენილი.

XIX საუკუნეში ქალაქის მშენებლობაში არქიტექტორს, გასიმ ბეგ ჰაჯიბაბაბაიოვს დიდი წვლილი მიუძღვოდა. ამ ცნობილ არქიტექტორს ქალაქ ბაქოს ცენტრალური მოედანი (ახლანდელი მოედანი) ჰქონდა აშენებული. მის მიერ დამზადებულ ერთ-ერთ უდიდეს არქიტექტურულ ძეგლად დიდი ქარვანსარაი ითვლება. იმ პერიოდის ასევე გამოჩენილი არქიტექტორის ი. გოსლავსკის პროექტის საფუძველზე XIX საუკუნის ბოლოს აშენებული იქნა ჰ.ზ. თაღიევის სკოლა გოგონებისთვის.

ასწლეულის ბოლოს, ბაქოს მილიონერთა შორის ადგილი ჰქონდა მშვენიერი შენობის აშენების „ჯიბრს“. ისინი ერთმანეთის მიხედვით მშვენიერ და მდიდრულ შენობას აშენებდნენ. არქიტექტურულ ნიმუშად აღიარებულ თითოეულ ახალ შენობაში, ეროვნული და ევროპული მეთოდები ოსტატურად იყო კოორდინირებული.

ლიტერატურა. XIX საუკუნეში აზერბაიჯანული ლიტერატურა თავისი განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა. ჩვენმა ლიტერატურამ თავის აღმოსავლური ფესვებისა და ეროვნული ადათ-წესების შენარჩუნებასთან ერთად დაიწყო ევროპული სიახლეების ათვისება. დრამატურგიული, ლიტერატურული კრიტიკის, პუბლიცისტიკური და საჯარო შინაარსის სატირის ეროვნულ ლიტერატურაში შემოსვლა, ამ დროის ლიტერატურულ განვითარებაში მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა. ლიტერატურაში დაიწყო ხალხის, სამშობლოსა და ერის ცნებების წინა რიგზე წამოწევა.

ამ დროის აზერბაიჯანული პოეზიის გამოჩენილ წარმომადგენელთა შორის ერთ-ერთი **გასიმ ბეგ ზაქირი** იყო. რუსეთის მბრძანებელთა წრის მხრიდან ჩვენი ხალხის ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფა, ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალზე, განსაკუთრებით კი ყარაბაღში სომხების დასახლება

ვასიმ ბეგ ზაქირი

მირზა შაფი ვაზეჰი



სეიდ აზიმ შირვანი

ნაჯაფ ბეგ ვაზიროვი

გაანალიზეთ სურათზე ნაჩვენები აზერბაიჯანელი სწავლულების იდეებისა და მოღვაწეობის საერთო მხარეები.

და რუსეთის სამმართველოებში მექრთამეობის გაბატონება გ.ზაქირის ლექსის ძირითად კრიტიკულ სამიზნეს წარმოადგენდა.

იმ პერიოდის აზერბაიჯანული პოეზიის კიდევ ერთი გამოჩენილი წარმომადგენილი **მირზა შეფი ვაზეჰი** იყო. XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს გერმანელმა პოეტმა, ფრიდრიხ ბოდენშტედმა, რომელმაც მისგან აღმოსავლური ენები და პოეზიის ხელოვნება შეისწავლა, მასწავლებლის ლექსები გერმანულ ენაზე თარგმნა, ასევე გამოსცა წიგნი „მირზა შაფის სიმღერების“ სახელწოდებით. გერმანიაში არაერთხელ დაბეჭდილი ეს წიგნი, მოკლე დროში თითქმის ყველა ევროპულ ენაზე გამოიცა. ამ ლექსების დიდი პოპულარობის მოპოვების მნახველმა გერმანელმა პოეტმა შემდგომ წლებში განაცხადა, რომ ამ ლექსების ნამდვილი ავტორი თვითონ იყო.

XIX საუკუნის აზერბაიჯანული ლიტერატურის მეტად თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო **მირზა ფათალი ახუნდზადე.** ის არამარტო აზერბაიჯანში, არამედ მთლიან მუსლიმან-თურქულ სამყაროში დრამატურგიის დამფუძნებელი და ექვსი კომედიის ავტორი იყო. სწორედაც ამ მოვლენებმა ბიძგი მისცა აზერბაიჯანში ევროპული ტიპის თეატრის შექმნას, რომელიც კულტურული ცხოვრების სიახლეს წარმოადგენდა. ჩვენი დიდი მწერლის „სახელოვანი ქავაქიბი“ სახელწოდების მოთხრობა აზერბაიჯანის ლიტერატურაში რეალისტური პროზის მშვენიერი ნიმუშია. მ.ფ. ახუნდზადემ თავის ნაწარმოებებში წინსვლისა და განვითარების დამაბრკოლებელი მხარეების გაკრიტიკებით შეუცვლელი სამსახური გაუწია ეროვნული გრძნობის გაღვიძებას.

XIX საუკუნის აზერბაიჯანული პოეზიის ასეთივე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო **სეიდ აზიმ შირვანი.** მის ლექსებში კატეგორიულად იყო გაკრიტიკებული რუსული კოლონიური რეჟიმის აზერბაიჯანული საზოგადოებისათვის მოტანილი ნაკლოვანება, ასევე უპირატესობა ენიჭებოდა განათლებას, როგორც არსებული მდგომარეობიდან ხალხის გამოყვანის ძირითად გზას.

XIX საუკუნის დასასრულს, ეროვნული დრამატურგიის განვითარებაში დიდ მნიშვნელობას ატარებდა **ნეჯაფ ბეგ ვეზიროვის, აბდურრეჰიმ ბეგ ჰაკვერდიევისა და ნერიმან ნერიმანოვის** ნაწარმოებები. ამ პერიოდის ჩვენმა გამოჩენილმა მწერალმა, **ჯელილ მემმედკულუზადემ** დაწერა მოთხრობა „სოფელ დანაბაშის ამბები“, რომელიც მხატვრული პროზის მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენდა.

აზერბაიჯანული ლიტერატურის ეს გამოჩენილი წარმომადგენლები დიდ ყურადღებას აქცევდნენ დედაენასა და მის გამდიდრებას. მათი ნაწარმოებების ენა ახლოს იყო ცოცხალ ხალხურ ლაპარაკთან და ადვილად იკვლევდა გზას ადამიანების გულების მისამართით. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ ხელს უწყობდა ეროვნული ლიტერატურული ენის განვითარებას მტკიცე საფუძველზე დაყრდნობით.

გამოჩენილი რუსი პოეტი მ. ლერმონტოვი აზერბაიჯანულ თურქულს აზიის ფრანგულს უწოდებდა. თქვენი აზრით რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

კითხვები და დავალებები:

1. *რა მნიშვნელობას ატარებდა XIX საუკუნეში ეროვნული პრესის შექმნა?*
2. *განსაზღვრეთ მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გავლენა კულტურის ახალ სფეროებზე.*
3. *მოამზადეთ წარდგინება XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ბაქოში აშენებული არქიტექტურული ძეგლების შესახებ.*
4. *მოამზადეთ წარდგინება XIX საუკუნის გამოჩენილი სწავლულების შესახებ.*
5. *რა შეიძლებოდა ყოფილიყო აზერბაიჯანული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლების ევროპულ ლიტერატურული მოძრაობებისადმი მიმართვის მიზეზი? დაასაბუთეთ თქვენი აზრები.*

თავი III. აზერბაიჯანი XX საუკუნის დასაწყისში

14. მრეწველობის მდგომარეობა

თქვენ უკვე ფლობთ გარკვეულ ცოდნას აზერბაიჯანული ნავთობის მრეწველობის ისტორიის შესახებ. ბაქოს ნავთობის „წყაროები“ ამდიდრებდა კაპიტალისტებს, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკის კრიზისმა[1] შეამცირა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გაყიდვა. სწორედაც ამ მიზეზით შემცირებული იქნა აღნიშნული პროდუქციის წარმოება. როგორ იმოქმედა კრიზისმა მრეწველობის სხვა სფეროებზე? როგორი იყო მრეწველობის მდგომარეობა ჩრდილოეთ აზერბაიჯანში კრიზისის შემდეგ?

ნავთობის მრეწველობა. XX საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობამ განვითარების მწვერვალს მიაღწია. მსოფლიოში წარმოებული ნავთობის ნახევარზე მეტი ბაქოს წილად მოდიოდა. ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობა სრულიად აკმაყოფილებდა რუსეთის ეკონომიკის მოთხოვნას თხევად საწვავზე.

1900-1903 წლებში მომხდარმა **მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა** აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობასა და ნავთობთან დაკავშირებულ წარმოების სხვა სფეროებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. გაკოტრებული იქნა მრავალრიცხოვანი წვრილი და საშუალო დაწესებულებები. ამის შედეგად ნავთობის მრეწველობაში გაძლიერებული იქნა კონცენტრაციის პროცესი. გაიზარდა მსხვილი ნავთობკომპანიების - მონოპოლისტების წილი ნავთობმოპოვებასა და გადამუშავებაში. პირველი მსოფლიო ომის მიჯნაზე, ბაქოში მოპოვებული ნავთობის ნახევარზე მეტი 3 გიგანტური ნავთობ-კომპანიის წილად მოდიოდა.

კრიზისის მიუხედავად, ჩრდილოეთ აზერბაიჯანი რუსეთისა და ევროპის ქვეყნებში ნავთობის ძირითად ექსპორტიორ ქვეყანად რჩებოდა. “ძმები ნობელები” და 1912 წელს შექმნილი **კომპანია „ოილი“** ნავთობის ექსპორტიდან დიდ მოგებას იღებდა. 1912 წელს ინგლისურ-ჰოლანდიური კაპიტალის წარმომადგენელმა **კომპანია** “**შელლმაც**” აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობაში შეაღწია.

XX საუკუნის დასაწყისში, როგორც აბშერონის, ასევე კუბას, შამახისა და ჯავადის მაზრებში დაიწყო ნავთობის მოპოვება. ნავთობის გაყიდვით დიდი მოგების მნახველი ნავთობ კომპანიები, გეოლოგიურ-საძიებო საქმეებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებას ნაკლებ ყურადღებას

[1] **ეკონომიკური კრიზისი** - სასაქონლო წარმოებასთან დაკავშირებულ გადაჭარბებულ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობის შექმნა და წარმოების შემცირება.

კომპანია "ძმები ნობელების" ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა კარაშეჰერში

აქცევდნენ. მსხვილი ნავთობკომპანიები სარგებლობდნენ თავიანთი მონოპოლისტური მდგომარეობით, რომლითაც ხელოვნურ დეფიციტს ქმნიდნენ. ამის შედეგად XX საუკუნის ათწლეულში ნავთობის ფასი რვაჯერ გაიზარდა. ამ პერიოდში სხვა ქვეყნების ნავთობმრეწველობაში ფართოდ გამოიყენებოდა ახალი, უფრო ძლიერი ტუმბოები, ასევე ელექტრო მოტორები და თანამედროვე ტექნიკა. ბაქოში კი პირველი მსოფლიო ომის მიჯნაზე ნავთობის ხუთიდან ოთხი წილი ძველი ძრავებით მოიპოვებოდა. ამის შედეგი იყო, რომ აზერბაიჯანი ნავთობის წარმოებაში მეორე ადგილს დასჯერდა, ხოლო პირველობა აშშ-ს ერგო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობაში უცხოელი და რუსი კაპიტალისტები ბატონობდნენ, ეროვნული მეწარმეებიდან მუსა ნაღიევისა და შამსი ასადულლაევის კომპანიებს 20 ყველაზე მსხვილ კომპანიებს შორის ადგილი ეკავათ.

მრეწველობის სხვა სფეროები. ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ფერადი მეტალურგიის მრეწველობა XX საუკუნის დასაწყისში განვითარების უმაღლეს საფეხურზე იყო, მაგრამ კრიზისმა ამ სფეროზეც განსაზღვრული გავლენა იქონია. „ძმები სიმენსის" კომპანიის კუთვნილი გედებეის სპილენძსადნობი და გალაქანდ სპილენძგამწმენდი ქარხნები, რუსეთსა და გერმანიას მაღალხარისხიანი სპილენძით ამარაგებდნენ. გედებეის სპილენძის საბადოებში ალმასით გათხრის მეთოდი გამოიყენებოდა. სპილენძის მოპოვებაში მძიმე ხელითი შრომა ჩანაცვლებული იყო დენით ამოქმედებული მოწყობილობებით. ამ მიზნით გალაქანდში აშენებული იყო წყლის ელექტროსადგური. **1907 წელს**, რუსეთში 7 ყველაზე დიდი ქარხნის მფლობელებმა **სინდიკატი "სპილენძი"** შექმნეს. გედებეის სპილენძსადნობი ქარხანაც ამ მონოპოლიის შემადგენლობაში შედიოდა. ეს კი თავის მხრივ, ფერად მეტალურგიაში მონოპოლიზაციის პროცესის დაწყებაზე მიუთითებდა.

XX საუკუნის დასაწყისში მსუბუქი და კვების მრეწველობა სწრაფად ვითარდებოდა. სამხრეთ კავკასიაში აბრეშუმის მრეწველობის ცენტრად ისევ ქალაქი შექი ითვლებოდა. ჩვენი ქვეყანა რუსეთის, საფრანგეთისა და იტალიის აბრეშუმის ქსოვილის ფაბრიკებს უმაღლესი ხარისხის აბრეშუმის ნედლეულით უზრუნველყოფდა.

კავკასიის თავდაპირველი ბამბის გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოებიც ჩვენს ქვეყანაში მდებარეობდა. 1914 წლის ცნობით, სამხრეთ კავკასიაში წარმოებული ბამბის სამ მეოთხედზე მეტი ნაწილი ჩრდილოეთ აზერბაიჯანს ხვდებოდა წილად. ბამბის გადამუშავების მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალის დიდი ნაწილი ჰ.ზ. თაღიევის, ძმები მაჰმუდოვებისა და სხვების საკუთრება იყო. ამ სფეროში საყურადღებო მხარე იყო ასევე ჩვენს ქვეყანაში გადამუშავებული ბამბის ერთი ნაწილის გამოყენება ქსოვილის დამზადების მიზნით. სამხრეთ კავკასიაში ბამბის ქსოვილის დამამზადებელი ხუთი ფაბრიკიდან ოთხი, ეროვნული კაპიტალის წარმომადგენლებს - აზერბაიჯანელ მეწარმეებს ეკუთვნოდა.

ჩრდილოეთ აზერბაიჯანის **თევზის მრეწველობის** 70% აზერბაიჯანელი მეწარმეების ხელში იყო თავმოყრილი. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჰ.ზ. თაღიევი, მ. მუხთაროვი და მ. ნაღიევი. აზერბაიჯანის ძალიან ძვირადღირებული თევზისა და ხიზილალას პროდუქტები,

რუსეთის გარდა აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში ექსპორტირდებოდა. თევზის მრეწველობა წარმოების მოცულობისა და მუშათა რიცხვის მიხედვით, ნავთობის მრეწველობის შემდეგ მეორე ადგილს იკავებდა.

რუსეთის მთავრობა მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმანებისაგან შემდგარ ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ყველა საშუალებით ღვინოს, კონიაკისა და სპირტის წარმოების მომატებას ცდილობდა. 1914 წლის ცნობით, სამხრეთ კავკასიაში წარმოებული ამ სასმელების დიდი ნაწილი ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მდებარე ქარხნებში მუშავდებოდა.

1913 წელს ჩრდილოეთ აზერბაიჯანში 2,5 მილიონი კაცი, ბაქოში კი 300 ათასზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობდა. ძალიან გართულდა ქალაქ ბაქოში სწრაფად მზარდი მოსახლეობის საკვებ პროდუქტებსა და განსაკუთრებით, სასმელ წყალზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. ქალაქის მოსახლეობა, გარშემო სოფლების ჭაბურღილებისა და ჭაშთარხანიდან გემებით მოტანილი წყლის იმედზე რჩებოდა.



მურთუზა მუხთაროვი

მურთუზა მუხთაროვი ბაქოს გიმნაზიის სახანო-საბჭოს ქალაქ თემირში მდებარე გოგონათა სკოლაში მეურვედ მუშაობდა. გულუხვი და კეთილი ადამიანის, მ. მუხთაროვისაგან სამახსოვროდ დიდი შენობები იყო დარჩენილი. მათ შორის აღსანიშნავია მეჩეთი ქალაქ ვლადიკავკაზში, ავრეთვე მშვენიერი შენობები კისლოდოვსკში. მ. მუხთაროვის მერდექანში მდებარე ბაღის სახლი საბჭოთა პერიოდში დენდროპარკად[1] იყო გადაქცეული.

M *იმსჯელეთ ეროვნული ბურჟუაზიის როლზე ჩვენი ხალხის განათლებასა და კულტურაში.*

ჰ.ზ. თაღიევის სერიოზული მცდელობით წყლის მილსადენის გაყვანა 1917 წელს იქნა დამთავრებული. წყლის მილსადენის გახსნამ ქალაქში დიდი ზეიმი გამოიწვია.

შოლლარის წყალსადენის გაყვანა

დუმას ერთ-ერთ სხდომაზე დაყენებული იქნა მოთხოვნა წყლის მტკვრიდან ან სამურიდან გამოყვანის შესახებ. შოლლარის წყაროს შესახებ გაგონებაც კი არ უნდოდათ. ქალაქის მეთაურმა დუმას წევრებს მიმართა და აცნობა, რომ შოლლარის წყალი გერმანიაში იყო შეშოწმებული და კარგ ხარისხს ატარებდა. ამ გეგმის მიხედვით, წყლის თავისი დინებით ბაქოში შემოსვლის გამო, მისი გამოყვანა იაფად უნდა მომხდარიყო. ძირითადად ალეიჰდარებს – ამ პერიოდში მდინარე მტკვრითა და ვოლგით გემის საშუალებით წყლის ჩამომტან სომეხ საქმოსნებს, ამის შესახებ არაფრის გაგონება არ უნდოდათ და უკმაყოფილებას გამოხატავდნენ. დუმაში სერიოზული დაძაბულობა შეიქმნა. მხოლოდ ჰ.ზ. თაღიევის მცდელობის შედეგად დუმამ მიიღო გადაწყვეტილება შოლლარის წყლის მილსადენის გაყვანის შესახებ.

M *კიდევ რა ღონისძიებები ჰქონდა გატარებული ჰ.ზ თაღიევს, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუჯობესების მიმართულებით?*

XX საუკუნის დასაწყისში ბაქოს სატვირთო პორტმა თავისი ბრუნვის მიხედვით, პირველი ადგილი მოიპოვა რუსეთის იმპერიაში. 1912 წელს გაყვანილი იქნა პირდაპირი სატელეფონო ხაზი ბაქოსა და თბილისს შორის.

[1] **დენდროპარკი** – სხვადასხვა გეოგრაფიული ზონების კუთვნილი ხეებისა და ბუჩქების მოყვანის ადგილი.

კითხვები და დავალებები:

1. *ტექსტის მიხედვით, განსაზღვრეთ ის სფეროები, რომლებზედაც არ იმოქმედა ეკონომიკურმა კრიზისმა.*
2. *რა იყო XX საუკუნის დასაწყისში მონოპოლიზაციის მიზეზები?*
3. *დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე გაანალიზეთ ჩვენი ქვეყნის წარმატებები თანამედროვე დროის ნავთობის მრეწველობაში.*
4. *რა იყო იმის მიზეზი, რომ მსუბუქმა და კვების მრეწველობამ კრიზისისაგან ნაკლები ზიანი განიცადა?*
5. *შეაფასეთ ჰ.ზ. თაღიევის მიერ ბაქოში სასმელი წყლის გამოყვანა.*

15. სოფლის მეურნეობა. ახალი აგრარული კანონები

XX საუკუნის დასაწყისში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობები ჯერ კიდევ არ იყო რეგულირებული. სოფლებში ფენებად დაყოფა უფრო მძაფრდებოდა. მაგარამ მიწასთან დაკავშირებული პრობლემების მთლიანად მოუგვარებლობა აბრკოლებდა კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებას აზერბაიჯანის სოფლებში. მაშ იყო თუ არა დაინტერესებული მეფის მთავრობა აგრარული საკითხების გადაწყვეტით?

სოფლის მეურნეობა. XX საუკუნის დასაწყისში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მემინდვრეობა და მესაქონლეობა სოფლის მეურნეობის ძირითად სფეროებად რჩებოდა. ჩვენს ქვეყანაში, სათესად ვარგისი მიწების ნახევარზე მეტი მარცვლეულის დასათესად გამოიყენებოდა, მაგრამ დიდი მოგების მომტანი ტექნიკური კულტურების მოყვანა უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა. მთლიან სამხრეთ კავკასიაში წარმოებული ბრინჯის მოსავლის დიდ ნაწილი აზერბაიჯანში მოჰყავდათ. ბრინჯის წარმოების ძირითადი ცენტრი ისევ ლენქორანის მაზრა იყო.

მესაქონლეობას ყველა მხარეში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. XX საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით ვითარდებოდა მეცხვარეობა. საფეიქრო მრეწველობის პროდუქციაზე არსებული მომატებული მოთხოვნის შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა წმინდამატყლიან ცხვართა ჯიშის გამრავლებას.

რუსეთისა და ადგილობრივი მეწარმეების ბამბის ქსოვილის ფაბრიკების მხრიდან წარმოების ყოველწლიურად გაფართოებასთან დაკავშირებით, სწრაფად მატულობდა ბამბის პლანტაციები. 1900-1913 წლების განმავლობაში 5-ჯერ გაიზარდა ბამბის წარმოება. მებამბეობაში მანქანები და

ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევი

ჰ.ზ. თაღიევს, ბამბის ქსოვილის ფაბრიკების ნედლეულით უწრუნველყოფის მიზნით, იევლახის ახლო-მახლოს შესყიდული ჰქონდა დიდი მიწის ნაკვეთი და ჯავადის მაზრაში აშენებული ჰქონდა ძალიან დიდი ბამბის გადამამუშავებელი ქარხანა. მას აშენებული ჰქონდა წისქვილი, კუბას მაზრაში გაშენებული ჰქონდა ვენახები. დიდი კაპიტალი ჰქონდა დაბანდებული თევზსამეურნეო საქმიანობაში, ყველაზე დიდი თევზსაჭერთაფან ერთ-ერთის, თევზსაჭერი "ბანქას" მესაკუთრე იყო. თევზის პროდუქტების შესანახად ქალაქ ჰეტროვსკში (მახაჩკალა) საწყობი მაცივარის, ყინულისა და რეზერვუარის მწარმოებელი ქარხნები ჰქონდა აშენებული.

M *შესაძლებელია თუ არა ჰ.ზ. თაღიევის ნაბიჯები კოლონიურ ეკონომიკურ პოლიტიკაზე დარტყმად ჩაითვალოს? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.*

ტრაქტორები, ასევე დარგვის მწკვრივითი მეთოდი გამოიყენებოდა.

XX საუკუნის დასაწყისში **ვენახებისა და თუთის ბაღების გაშენება**, ასევე თამბაქოს დარგვაც სწრაფად ვითარდებოდა. ამ პერიოდში ყურძნის, აბრეშუმის ნედლეულისა და თამბაქოს წარმოება, თითქმის ორჯერ გაიზარდა. პირველი მსოფლიო ომის მიჯნაზე, მთელ სამხრეთ კავკასიაში წარმოებული აბრეშუმის ნედლეულის ორ მესამედ ნაწილს ჩვენი ქვეყანა იძლეოდა. აბრეშუმის ნედლეულის მცირე ნაწილი ადგილობრივ ფაბრიკებში მუშავდებოდა, ხოლო დიდი ნაწილი რუსეთსა და სხვა უცხო ქვეყნებში ექსპორტირდებოდა. აზერბაიჯანის სოფლებში, თანდათან ხშირდებოდა ახალი სოფლის მეურნეობის ტექნიკისა და ტრაქტორების გამოყენება. სოფლის მეურნეობის ტექნიკა ძირითადად მემამულისა და კულაკის მეურნეობაში გამოიყენებოდა.

გადასახლების პოლიტიკა. აზერბაიჯანელი გლეხების ვარგისი მიწების სიმცირით გაწვალებულ პირობებში, მეფის რუსეთი ფართო მასშტაბით განაგრძობდა გადასახლების პოლიტიკას. XX საუკუნის დასაწყისში, მხოლოდ ჯავადის მაზრაში-მუღანში გადასახლებული რუსი გლეხებისათვის 44 ათასი დესიატინი ვარგისი მიწის ნაკვეთი იყო გამოყოფილი. ამასთან დაკავშირებით, მუღანიდან 2 ათასზე მეტი აზერბაიჯანელი ოჯახი გაძევებული იქნა თავის მამა-პაპური მამულიდან, დაცარიელებული მიწები კი ახლად გადმოსახლებულ რუს გლეხებს გადაეცა. ძალიან მოკლე დროში მუღანში დასახლებული იქნა **49 რუსული სოფელი.** რუსეთის მთავრობის გადასახლების პოლიტიკა ეთნიკური კონფლიქტისათვის ნიადაგის მომზადებასთან ერთად, წარმოშობდა ამ მიწების ნამდვილი მესაკუთრის აზერბაიჯანელი ხალხის ღრმა სიძულვილის გრძნობას ხელისუფლების წინააღმდეგ. ამიტომაც იყო, რომ სახელმწიფოს რუსი გლეხებისათვის დარიგებული ჰქონდა იარაღი, ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაცვის მიზნით.

მუღანში გადასახლებული რუსი ოჯახი

დაასაბუთეთ, რომ რუსეთის იმპერიის გადასახლების პოლიტიკა არის ეთნიკური დაპირისპირების დათესვის "დაყავი და იბატონე" პოლიტიკის ერთი ნაწილი.

ახალი აგრარული კანონები. XX საუკუნის დასაწყისში, ჩვენს ქვეყანაში მთლიანი მიწების თითქმის 70% სახელმწიფო საკუთრებაში შედიოდა. ამ მიწებზე მთლიან გლეხთა ორი მესამედი ნაწილი ცხოვრობდა. სახელმწიფოსა და გლეხთა შორის მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობები, XIX საუკუნის ბოლომდე მოუწესრიგებელი რჩებოდა. ეს კი თავის მხვრივ უარყოფით გავლენას ახდენდა სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ განვითარებაზე.

მეფის მთავრობამ, „**სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფო გლეხთა მიწების მოწყობის შესახებ**“ **1900 წლის 1 მაისს** მიღებული კანონით, ამ სფეროში პირველი ნაბიჯი გადადგა. სახელმწიფო გლეხებს საზოგადო მიწებით სარგებლობის უფლების მემკვიდრეობითი გადაცემის შესაძლებლობა მიეცათ. ამ კანონის თანახმად, 1903 წელს მიღებული იქნა ახალი დადგენილება. დადგენილებით ნათელი მოეფინა გლეხთა იმ მიწების საზღვრების განსაზღვრის წესებს, რომლებიც შთამომავლობით გადაეცემოდა. გლეხებისათვის დამატებითი წილობრივი მიწების გადაცემის, აგრეთვე მინდვრიდან, საძოვრებიდან და ტყეებიდან მათთვის წილის გამოყოფის წესიც იქნა განსაზღვრული. ამავდროულად ყოველივე ამით ისარგებლეს კულაკებმა, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ვარგისი მიწების დიდი ნაწილი, ეს კი სახელმწიფოს სოფლებში ფენებად დაყოფის გაღრმავების მიზეზი გახდა.

ჩრდილოეთ აზერბაიჯანის მესაკუთრეთა სოფლებში 1870 წლის რეფორმა სანახევროდ იყო შესრულებული. გლეხთა უმრავლესობას ვერ შეესყიდათ თავიანთი წილობრივი მიწები. ამიტომაც ამიტომ აქ გლეხები განაგრძობდნენ მესაკუთრეებისათვის გადასახადის გადახდასა და მოვალეობის

განსაზღვრეთ, სახელმწიფოს სოფლებში მემკვიდრეობით სარგებლობის მიზნით წილობრივი მიწების გადაცემის შედეგები.

შესრულებას მათ წინაშე. ეს გლეხები „დროებით მოვალეებად“ ითვლებოდნენ. მთავრობამ XX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მესაკუთრეთა სოფელში მიწის პრობლემის მთლიანად გადაჭრის მიზნით. **1912 წლის 20 დეკემბერს, მეფის მხრიდან ხელმოწერილი იქნა კანონი სამხრეთ კავკასიის გუბერნიებში მიწების სავალდებულო შესყიდვის შესახებ**“. 1913 წელს მიღებული სხვა კანონით, **ზაქათლის ოლქისა და დაღესტანის**, მათ შორის დარუბანდის მხარის მფლობელი გლეხები გათავისუფლებულნი იქნენ ფეოდალური დამოკიდებულებისაგან. გლეხები ვალდებულნი იყვნენ შეესყიდათ წილობრივი მიწა, სახელმწიფოს მიერ ბეგებისა და ქაშქალის (მიწების) მესაკუთრეთათვის ერთბაშად გადახდილი ფული, გლეხებს 20 წლის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში უნდა დაებრუნებინათ. 1912-1913 წლების აგრაგულმა კანონებმა ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სოფელში კულაკისა და ფერმერის მეურნეობის განვითარებისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები შექმნეს, რომლის შედეგად აჩქარდა სოფელში ფენებად დაყოფის გაღრმავება და კაპიტალიზმის განვითარება.



კითხვები და დავალებები:

1. *რა მიზნებს ისახავდა მეფის მთავრობა XIX საუკუნის დასაწყისში გადასახლების პოლიტიკის გაგრძელებით?*
2. *რა განსხვავებულ მხარეებს მოიცავდა 1870 წლისა და 1912 წლის აგრარული კანონები?*
3. *სქემის მიხედვით განმარტეთ კანონი “სამხრეთ კავკასიის გუბერნიებში მიწების სავალდებულო შესყიდვის შესახებ”.*
4. *განსაზღვრეთ “სამხრეთ კავკასიის გუბერნიებში მიწების სავალდებულო შესყიდვის შესახებ” კანონის კოლონიური ხასიათი.*
5. *შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი ტექსტის მიხედვით.*

16. განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი

კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ და ეროვნული გრძნობის გაღვიძებამ ბიძგი მისცა ბრძოლას თავისუფლებისათვის, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. მთლიანი მოსახლეობა უკმაყოფილო იყო რუსეთის მთავრობისაგან. რომელი ბრძოლის ფორმები იყო გავრცელებული XX საუკუნის დასაწყისში? განსაზღვრეთ ჩრდილოეთ და სამხრეთ აზერბაიჯანის მოსახლეობის ბრძოლის მსგავსი და განსხვავებული მხარეები.

ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლა ჩრდილოეთ აზერბაიჯანში. XX საუკუნის დასაწყისში მეფის ხელისუფლების ეროვნული ზეწოლისა და დისკრიმინაციული პოლიტიკის გამო მთლიანი ჩვენი ხალხი: სწავლულები, ეროვნული ბურჟუზაია, მუშები და გლეხები უკმაყოფილო იყვნენ. სამხრეთ კავკასიის ქრისტიანი ხალხი თავისუფლად ხსნიდა ეკლესიასა და სკოლას, აგრეთვე ისინი გაზეთსა და ჟურნალს გამოსცემდნენ. აზერბაიჯანელებს კი არ ეძლეოდათ მშობლიურ ენაზე სკოლის გახსნისა და გაზეთის გამოცემის საშუალება. ჩვენი სწავლულთაგან ერთ-ერთის მიერ, მშობლიურ ენაზე გაზეთის გამოსაცემად ნებართვის თაობაზე გაგზავნილი მოთხოვნის პასუხად ასეთი წერილი მოუვიდა: „კარგი იქნება, რომ სწავლულებმა გაზეთი რუსულ ენაზე წაიკითხონ, ხოლო დანარჩენებმა ცხვრები მოაძოვონ“.

დაასაბუთეთ, რომ რუსეთის იმპერიის ქრისტიანულ და მუსლიმანურ ხალხებთან მიმართება-ში გატარებული დისკრიმინაციული პოლიტიკა, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის საფუძველს წარმოადგენდა.

რუსეთისა და დასავლეთ ევროპის კომპანიებმა გაზიდეს ჩვენი ეროვნული სიმდიდრე, რითაც დიდი მოგება ნახეს. ამ სიმდიდრეებით სარგებლობის არამნახველი მხოლოდ მისი ნამდვილი მესაკუთრე, აზერბაიჯანელი ხალხი იყო. ერთ ნაწერში ხატოვანი სახითა და გულის ტკივილით აღნიშნული იყო: „ნავთობით მთელი სამყაროს გამშუქებელო, თვითონ კი სიბნელეში დარჩენილო, ჩემო ბაქო ქალაქო“.

ჩრდილოეთ აზერბაიჯანისა და მის ძირითად სამრეწველო ცენტრ ბაქოს ფაბრიკებსა და ქარხნებში, ასევე ნავთობ საბადოებში მუშები მძიმე პირობებში მუშაობდნენ, ისინი დღის 12-14 საათის განმავლობაში მუშაობის სანაცვლოდ ძალიან მცირე ხელფასს იღებდნენ. გაუსაძლისი იყო მათი შრომისა და საბინაო პირობები. იმის გამო, რომ საბადოებში არ სრულდებოდა ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნები, ყოველი ახალი ნავთობჭაბურღილის ამოთხრა რამდენიმე მუშის სიკვდილით ან დასახიჩრებით მთავრდებოდა. სამედიცინო და სოციალურ დაზღვევაზე კი საუბარიც არ ღირდა.

მუშავ! მითხარი ერთი, პატივისცემა რისთვის გქონდეს?
რა მიზეზით, სიტყვის სათქმელად ძალა გქონდეს?
მოეშვი, შვილო, სახელმწიფოს მქონეთათვის სამსახური გქონდეს,
მეტ-ნაკლების შენთვის მომცემთათვის პატივისცემა გქონდეს!...
ეს ბედის-ჩარხი უკუ ტრიალებს ახლა,
მუშავ, თქვი, თვითონ შინავანი-ადამიანი იზამს ახლა.

(მ.ა. საბირი)

M დაასაბუთეთ მუშის ცხოვრების მძიმე ყოფა, მ.ა. საბირის მიერ დაწერილი ლექსის საფუძველზე.

XX საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში, განსაკუთრებით კი ბაქოში მუშები გამო-სავალს მთავრობისა და მეწარმეების წინააღმდეგ გამოსვლებსა და გაფიცვებში ხედავდნენ. 1902 წელს

ბაქოში შემდგარ **პირველ პოლიტიკურ გამოსვლაში** "დაიკარგოს აუცილებლობა!", "გაუმარჯოს თავისუფლებას!" ლოზუნგები გაისმოდა. **1903 წლის ზაფხულში**, ქალაქ ბაქოში **პირველ დიდ საერთო გაფიცვაში**, დაყენებული იქნა მოთხოვნები 8 საათიანი სამუშაო დღისა და ხელფასის გაზრდის შესახებ. მეწარმეებთან მოლაპარაკების საწარმოებლად შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი. მაგრამ მთავრობამ ეს გაფიცვა ჯარის ძალით შეუბრალებლად ჩაახშო.

1905–1906 წლებში აზერბაიჯანელების წინააღმდეგ გენოციდის ჩამდენ სოფლებზე გადამტერებული დალი ალი

1904 წლის დეკემბერს ბაქოში მუშათა ახალი, უფრო დიდი საერთო გაფიცვა შედგა. ამ გაფიცვაში 50 ათასზე მეტი მუშა მონაწილეობდა. გაფიცვის კომიტეტის მცდელობით **1904 წლის 30 დეკემბერს** ნავთობის მრეწველებისა და მუშათა წარმომადგენლებს შორის დაიდო საერთო ხელშეკრულება. „**მაზუთის კონსტიტუციად**" წოდებული ამ საბუთის მიხედვით, სამუშაო დღე 9 საათამდე შემცირდა, ხოლო ხელფასი 20-25%-ით გაიზარდა. მუშებმა მოიპოვეს კვირაში ერთი დღე დასვენების, ხოლო წელიწადში ერთხელ შვებულების აღების უფლება. გაუქმებული იქნა სამხრეთი აზერბაიჯანიდან სამუშაოდ წამოსულ მუშაკებსა და ადგილობრივ მუშებს შორის არსებული არათანაბარი ანაზღაურება. მექანიკური წარმოების სფეროებში მშრომელმა მუშებმაც განაგრძეს გაფიცვები და 1905 წლის იანვრის თვეში აიძულეს მეწარმეები, დაედოთ საერთო ხელშეკრულება. 1904 წლის დეკემბრის საერთო გაფიცვა, მეფის მთავრობასა და მეწარმეებზე მუშათა პირველი დიდი გამარჯვება იყო. ეს გაფიცვა 1905-1907 წლების რევოლუციის მაუწყებლად ითვლებოდა.

ამ რევოლუციის დაწყებამ ძლიერი ბიძგი მისცა ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ცარიზმის კოლონიური და ეროვნული ზეწოლის წინააღმდეგ, ჩვენი ხალხის ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას. ბაქოსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში მუშათა გაფიცვებმა და გამოსვლებმა მასობრივი ხასიათი მიიღო, მაზრების უმრავლესობა გლეხთა გამოსვლებმა და ყაჩაღურმა მოქმედებამ მოიცვა. ყაჩაღური მოქმედების ყველაზე ფართოდ გავრცელებული მხარე ელიზავეტპოლის გუბერნია იყო. ამ მოძრაობის გამოჩენილ წარმომადგენელთაგან **ყაჩაღი იუსიფი, ყაჩაღი სულეიმანი, განდალ ნაღი, დალი ალი** და სხვები ხალხში საყვარელ და ძალიან ცნობილ გმირებად იყვნენ გადაქცეული.

ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლით შეშინებული მეფის მთავრობა სასწრაფო ღონისძიებების გატარებას შეუდგა. 1905 წლის 15 თებერვალს შეიქმნა ბაქოს გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა, რომელსაც ფართო უფლებამოსილებები მიენიჭა. ბაქოს გუბერნიაში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა.

ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ სხვა დათმობებზეც წასულიყვნენ. გაიცა ნებართვა აზერბაიჯანულ ენაზე გაზეთებისა და ჟურნლების გამოცემის, საქველმოქმედო საზოგადოების, აგრეთვე სკოლისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო სახლების შექმნის შესახებ.

განმათავისუფლებელი მოძრაობა სამხრეთ აზერბაიჯანში. სათთარხანი. XX საუკუნის დასაწყისში ყაჯართა შაჰების გულგრილი პოლიტიკის შედეგად სამხრეთ აზერბაიჯანის უმეტესი ნაწილი ღარიბ მდგომარეობაში ცხოვრობდა. ქვეყნის მთელი სიმდიდრე პირთა ერთი ჯგუფის ხელში იყო თავმოყრილი. ყოველწლიურად ასი ათასობით თანამემამულე სარჩოს მოპოვების მიზნით, სამუშაოდ მეზობელ ქვეყნებში მიდიოდა. მათი დიდი ნაწილი ჩვენი სამშობლოს ამ ნაწილში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ეძებდა თავშესაფარს.

შეადარეთ ერთმანეთს ჩდილოეთ და სამხრეთ აზერბაიჯანის მოსახლეობის ღარიბი ფენის სოციალური მდგომარეობა.

რუსეთსა და ინგლისს ირანი ნახევარკოლონიად ჰქონდა გადაქცეული. შექმნილი მდგომარეობით უკმაყოფილო ხალხი აღსდგა საბრძოლველად არსებული რეჟიმისა და უცხო ხელის ბატონობის წინააღმდეგ. **1905 წლის ბოლოს დაწყებულ სახალხო რევოლუციაში**, მოსახლეობის ყველა ფენა იღებდა მონაწილეობას. ხალხს ქვემოთ მოცემული ძირითადი მოთხოვნები ჰქონდა:

ამ მოთხოვნათა წინაშე მუზაფფარადდინ შაჰი ყაჯარი დათმობებზე წავიდა. მან **1906 წლის 5 აგვისტოს** ხელი მოაწერა განკარგულებას კონსტიტუციის მიღების შესახებ, რომელსაც მოჰყვა მეჯლისში არჩევნების ჩატარების შესახებ განკარგულების ხელმოწერა. განკარგულების გაცემის შემდეგ სამხრეთ აზერბაიჯანის უმეტეს ქალაქში წარმომადგენლობითი არჩევითი ორგანოები-ანჯუმანები (საბჭოები) შეიქმნა. თებრიზში მოღვაწე აზერბაიჯანის პროვინციის წარმომადგენელმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რევოლუციურ მოძრაობაში. 1907 წლის იანვარში ტახტზე ასული, მაჰამმადალი შაჰი ყაჯარის მიერ კონსტიტუციის მოქმედების შეჩერებამ ფეხზე წამოაყენა თებრიზის მოსახლეობა. **1907 წლის 8 თებერვალს**, ქალაქ თებრიზიდან გაძევებული იქნა შაჰის წარმომადგენლები. ხელისუფლება გადავიდა პროვინციის ანჯუმანის ხელში.



სათთარხანი

1907 წელს, აზერბაიჯანის წარმომადგენელთა თეირანში გახსნილ მეჯლისში მონაწილეობა, რევოლუციის გაზრდის მიზეზი გახდა. ამის შედეგად შაჰი დათმობებზე წავიდა და იძულებული გახდა ხელი მოეწერა გარკვეული დამატებების მქონე დემოკრატიული შინაარსის კონსტიტუციაზე. ამავდროულად დაიწყო მკვეთრი მოქმედება რევოლუციის ჩასახშობად. 1908 წელს, რუსი ოფიცერის, ლიახოვის მეთაურობით მოქმედმა კაზაკთა ბრიგადამ, შაჰის დავალებით თეირანში მდებარე მეჯლისი დაანგრია. კონტრრევოლუციური გადატრიალების ცხოვრებაში გატარებით დაიწყო დემოკრატიულ ძალებზე შურისძიება. ქალაქ თებრიზი და მთელი სამხრეთი აზერბაიჯანი რევოლუციის დასაცავად წამოდგა. თებრიზი რევოლუციის ცენტრად გადაიქცა. ქალაქის დაცვას ნიჭიერი სახალხო ლიდერი **სათთარხანი** მეთაურობდა. მან ორგანიზება გაუკეთა დაახლოებით 20 ათასი **ფადაით**[1] **შემდგარ ჯგუფებს** და შექმნა სამხედრო საბჭო. სათთარხანის ფადაის ჯგუფებმა შაჰის მიერ მოგზავნილ ძალებზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, ქალაქი თებრიზი და სამხრეთი აზერბაიჯანის უმეტესი ნაწილი გაათავისუფლეს კონტრრევოლუციონერებისაგან.

სამხრეთ აზერბაიჯანში მყოფ რევოლუციურ მოქმედებას ჩრდილოეთ აზერბაიჯანიდან დიდი მოცულობის დახმარება, მათ შორის ფულადი საშუალება, იარაღი და საბრძოლო მასალა ეგზავნებოდა. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდა დიდი ქველმოქმედი ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევი.

1909 წელს შაჰის მთავრობამ დაიწყო საერთო მოქმედება რუსეთსა და ინგლისთან ერთად. ამ სახელმწიფოების ჩვენი ხალხის განადგურების მიზნით მომზადების დაწყებამ სათთარხანი აიძულა, 1910 წელს დაეწყო მოლაპარაკება თეირანის მთავრობასთან. იმ დროს პრესა, სათთარხანის თეირანში

[1] **ფადაი** – თავისუფლების გზაზე საკუთარი თავის მსხვერპლად მიცემისათვის, გასაწირად მზად მყოფი პირი.

მოსვლის შესახებ ასე წერდა: „ამ დრომდე არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს, არც ერთ უცხოელ სტუმარს, შაჰსაც კი თეირანში ასეთი ცერემონიით არ დახვედრიან“.

შაჰის მთავრობის მხრიდან სათთარხანის წინააღმდეგ ორგანიზებული იქნა დაშნაკი იეფრემ დავიდიანსის ყაჩაღთა ჯგუფი. სათთარხანი დაიჭრა და თეირანში საშინაო პატიმრობაში მოხვდა. შაჰის მთავრობამ რუსეთის ჯარის მეშვეობით **1911 წლის დეკემბრის თვეში** სამხრეთი აზერბაიჯანის განმათავისუფლებელი მოძრაობა სისხლში ჩაახრჩო. ყველა ქალაქში დანგრეული იქნა ანჯუმანები და რევოლუციის მეთაურებს გადაემტერნენ.

ფადაითა ჯგუფი სათთარხანის მეთაურობით

აი სათთარხანი, ნახეთ, ირანი გააცოცხლა,
თურქობის, ირანელობის შემოთავაზება გამოხატა,
ერთი სიმამაცე, ერთი უნარი გამოიჩინა, განკურნა,
სახელმწიფოს სამოსი, მსოფლიოს სამარცხვინოდ აჩვენა,
არ გაქცევია ერთ ფარვანის სახელს, ნუ იტყვი ფარვანია,
მსწრაფველი ყოჩაღი – ვალაი სათთარხანია.

მ. ა. საბირი

M *დაასაბუთეთ მოცემული ლექსის ნაწილზე დაყრდნობით, სხვადასხვა იმპერიების მიერ დანაწევრებული ჩვენი ხალხის მორალური ერთიანობა და ერთადერთი რწმენის ქონა.*

კითხვები და დავალებები:

1. *შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ჩრდილოეთ აზერბაიჯანში გლეხთა მოძრაობა განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.*
2. *განმარტეთ "მაზუთის კონსტიტუციის" ასეთი სახელწოდების მიზეზი.*
3. *რაში გამოიხატებოდა გლეხთა დისკრიმინაცია? რა იყო ამის მიზეზები?*
4. *რა იყო სამხრეთი აზერბაიჯანის ირანის რევოლუციის ცენტრად გადაქცევის მიზეზი?*
5. *რატომ იყვნენ სომხები სამხრეთი აზერბაიჯანის განმათავისუფლებელი მოძრაობის აღკვეთით დაინტერესებულნი? დაასაბუთეთ თქვენი აზრი ადრინდელი თემებით მიღებული ცოდნის საფუძ-ველზე.*
6. *შეადგინეთ დროის ისარი თემაში მოცემული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.*

17. სომხების მიერ აზერბაიჯანელი მოსახლეობის მასობრივი განადგურება. ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა

რუსეთის მთავრობას, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მომხდარი გაფიცვები და გამოსვლები აწუხებდა. იძებნებოდა ხერხები სახალხო მოძრაობის აღსაკვეთად. რა სახის პოლიტიკა გაატარა რუსეთის იმპერიამ ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სახის დიდი სიმდიდრის მქონე კოლონიის შესანარჩუნებლად? რა გეგმები შედგა აზერბაიჯანისათვის? ვინ უწევდნენ ამ საქმეში მეგობრულ სამსახურს რუსეთის მთავრობას?

თქვენ უკვე იცით რუსეთის იმპერიის „დაყავი და იბატონე“ პრინციპის საფუძველზე ხალხების კოლონიურ პყრობაში შენახვის შესახებ. ჩვენს სამშობლოში გადმოსახლებული და ყველაზე ხელსაყრელ მიწებზე დასახლებულ სომხებს, ადრე თუ გვიან რუსეთის მთავრობის წინაშე თავისი „მადლიერება“ უნდა გამოეხატა.

ეროვნული გაწყვეტის მომზადება. ბაქოში ჩადენილი მკვლელობები და ძარცვები. XX საუკუნის დასაწყისში ჩვენი ხალხის ეროვნულმა გამოღვიძებამ ძალიან შეაშინა რუსეთის მთავრობა. 1905 წელს აზერბაიჯანელი ხალხის რევოლუციურ მოძრაობაში მასობრივმა ჩართვამ მთავრობა აიძულა გამოსავალი მოეძებნა. ხელისუფლებამ სომხების ხელით თურქულ-მუსლიმანური მოსახლეობის გაწყვეტა გადაწყვიტა. მეფის მთავრობამ თავისი წყევლილი პოლიტიკის გასატარებლად სომხები იარაღად გამოიყენა. სომხები ყოველთვის ერთგულ სამსახურს უწევდნენ რუსეთს, თურქულ-მუსლიმანური მოსახლეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. დაშნაკსუთიანის პარტიამ, რომლის ძირითადი მიზანი თურქებისა და მუსლიმანების განადგურება იყო, სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა მხარეებიდან და ოსმალეთის სახელმწიფოდან ჩამოიყვანა ნებაყოფილობითი ჯგუფები, რომლებიც აზერბაიჯანელების წინააღმდეგ აამხედრა.

მეფის მთავრობამ სომხური დაჯგუფებების ხელით, პირველი ეროვნული მასობრივი მკვლელობა ქალაქ ბაქოში ჩაიდინა. ეროვნული მასობრივი მკვლელობის დროს, რომელიც 1905 წლის თებერვლის 6-დან 9-მდე გაგრძელდა, ორივე მხრიდან ათასზე მეტი ადამიანი იქნა მოკლული. სომხებმა მრავალი სახლი დაანგრიეს, ასევე გაძარცვეს და მიითვისეს მოსახლეობის ქონება. მიუხედავად იმისა, რომ ბაქოს გუბერნატორის უფლებამოსილებაში საკმარისი სამხედრო და საპოლიციო ძალებიც შედიოდა, ის მასობრივ მკვლელობაში არ ჩართულა. სომხების მხრიდან მკვლელობისა და ძარცვის წინააღმდეგ მხოლოდ უბრალო ადამიანები, სწავლულები და რელიგიური მოსამსახურენი იბრძოდნენ. დიდი დანაკარგის მქონე სომხები იძულებულნი გახდნენ მკვლელობები შეეწყვიტათ.

ეროვნული გაწყვეტის მასშტაბის გაფართოება. ბაქოში წარუმატებელმა სომხებმა, ჩრდილო აზერბაიჯანის სხვადასხვა მაზრებში აზერბაიჯანელი მოსახლეობის გაწყვეტა დაიწყეს. სომხებმა ქალაქ ნახჩივანში, აგრეთვე ჯაჰრიში ჩაიდინეს მკვლელობები და ძარცვები რუსი სამხედროების დახმარებით, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის გამო, იძულებულნი გახდნენ შეეჩერებინათ გაწყვეტა.

სომხებმა 1905 წლის მაისის თვეში ქალაქ ერევანში აზერბაიჯანელი მოსახლეობის გაწყვეტა დაიწყეს. მხეცურად მოკლული იქნა ათობითი აზერბაიჯანელი. თავიანთი სისხლით ძმების დასაცავად მეზობელი მაზრებიდან, სამხრეთი აზერბაიჯანიდან და ოსმალეთის სახელმწიფოდან უამრავი მოხალისე ერევანში ჩამოვიდა. ისინი გმირულად იბრძოდნენ, რომლის შედეგად დიდი დარტყმა მიაყენეს მტერს. 1905 წელს დაშნაკი ოფიცრის მეთაურობით სომხების ყაჩაღთა დიდმა

ჯგუფმა, ჯაბრაილის მაზრის სოფელ გაჯარს შეუტია. გაჯარელებმა დასახმარებლად მისულ მოსახლეობასთან ერთად სომხების წინააღმდეგ არათანასწორ ბრძოლაში ჩართვას არ მოერიდნენ. განადგურებული იქნა 400 სომეხი ყაჩაღი. მტერი დამარცხდა და სამარცხვინოდ გაიქცა.

სომხებმა ქალაქ შუშაში, მუსლიმან-თურქული მოსახლეობის მასობრივი განადგურების მიზნით დიდი სამხედრო ძალა შეკრიბეს. 1905 წლის აგვისტოში სომხების მიერ შუშაში ორგანიზებული გაწყვეტის მოსაგერიებლად, აზერბაიჯანული მოსახლეობა გმირულად შეუდგა ბრძოლას. შუშაელებს ჩვენი ქვეყნის ყველა მხრიდან დახმარება მისდიოდა. მირზა ჯალილის მეუღლემ, ქალბატონმა ჰამიდა ჯავანშირმა, ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევმა, მურთუზა მუხთაროვმა და სხვებმა საბრძოლო ზონაში პროდუქტი და ფული გაგზავნეს.

1905 წლის აგვისტოს მარცხის მიუხედავად, სომხებმა 1906 წლის ივლისში შუშასა და მის გარშემო ისევ შეკრიბეს დიდი ყაჩაღთა ჯგუფი. მათ მოქრთამეს შუშაში მყოფი რუსული ჯარის მეთაური გენერალი ვ. კოლოშაპოვი, რათა რუსულ ჯარს აზერბაიჯანელი ხალხით დასახლებულ ადგილებზე თავდასხმებში მონაწილეობა მიეღო. მუსლიმანების წინააღმდეგ ხუთდღიანი გაწყვეტის მანძილზე, ვ. კოლოშაპოვის ბრძანების საფუძველზე, უამრავი აზერბაიჯანული სახლი ზარბაზნის ცეცხლით იქნა დანგრეული და გადამწვარი. გაერთიანებული სომხურ-რუსული სამხედრო ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად თავგამოდებულმა, მათზე გაცილებით ნაკლები შემადგენლობისა და ცუდი შეიარაღების მქონე აზერბაიჯანელმა მოხალისეებმა აიძულეს მტერი სამარცხვინოდ გაქცეულიყო. მაგრამ ყველგან სომეხთა ველურობის მოგერიება შეუძლებელი იყო.

სომხები თავიანთი თავისებურებების შესაბამისად, აზერბაიჯანელების ნდობით, მწყალობლობ-ითა და სიტყვის დამჯერებლობით ოსტატურად სარგებლობდნენ. ისინი მოლაპარაკების საფუძველზე ერთ სოფელთან მშვიდობას ამყარებდნენ, ხოლო მეორე სოფელს კი ანადგურებდნენ. ყარაბაღის სოფელ ხანქენდსა და მალიბაილიში დაცვის უზრუნველყოფით ვალდებული მეფის მთავრობის

სულთან ბეგი სულთანოვი

სულთან ბეგის სახალხო გმირად ვადაქცევა 1905 წლის სომხებსა და მუსლიმანებს შორის ბრძოლას უკავშირდება. ერთ-ერთ მუსლიმანურ ჯგუფს ალიფაშა ბეგი მეთაურობდა, რომლის უახლოესი დამხმარე კი მისი უფროსი შვილი, სულთან ბეგი იყო. ზანგეზურის ოლქში სახალხოდ გავრცელებული ასეთი გამოთქმა არსებობს: ''ფაშა ბეგის სამართლიანობა, სულთან ბეგის სიმამაცე''.

შეაგროვეთ ცნობები სულთან ბეგ სულთანოვის შესახებ და დაწერეთ ესე.

ჯარის თვალწინ მთლიანი აზერბაიჯანელი ქალები და ბავშვები დახოცილნი იყვნენ. იმ პერიოდში, აშშ-ში სომხური საზოგადოების გამოცემებით, ერევანში ეროვნული გაწყვეტით აზერბაიჯანის ძირითად დაზარალებულ მხარედ ყოფნა იყო აღიარებული. სომხების აზერბაიჯანელი მოსახლეობის წინააღმდეგ მკვლელობებსა და ძარცვებს ძალიან ფართო ტერიტორიები მოეცვა, ამ გაწყვეტებით ორივე მხარე სერიოზულად დაზარალებული იყო. 1905-1906 წლებში ეროვნული გაწყვეტის დროს სომხების მიერ გადამწვარი და განადგურებული იქნა **158 აზერბაიჯანული სოფელი**. ჩვენი ხალხის კეთილსინდისიერმა ახალგაზრდებმა ღირსეულად უპასუხეს სომხების მიერ მკვლელობებსა და ძარცვებს. გაწყვეტის დამწყები სომხები იძულებულნი ხდებოდნენ ყოველ ჯერზე უფრო მეტი დანაკლისი განეცადათ.

ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა. აზერბაიჯანის ეროვნულ-დემოკრატიული ძალები აშკარად ხვდებოდნენ ცარიზმის ეროვნული გაწყვეტის პოლიტიკის ძირითად მიზანს, ამასთან ამ პოლიტიკის მიერ მოტანილი უბედურებებისაგან ხალხის დახსნის მიზნით მთლიანი ძალისა და შესაძლებლობების მობილიზებას ცდილობდნენ. ჩვენი გამოჩენილი სწავლულები: **აჰმად ბეგ აღაევი, ალიმერდან ბეგ თოფჩუბაშოვი, უზეირ ჰაჯიბეილი, ჯალილ მამმადგულუზადე, მირზა ელექბერ საბირი** და სხვები, ორივე ხალხს მოუწოდებდნენ ბოლო მოეღოთ ამ შეუწყნარებელი კონფლიქტისათვის. გარდა ამისა მეფის მთავრობის მხრიდან ამ კონფლიქტის განზრახ შექმნის ფაქტი სააშკარაოზე გამოჰქონდათ.

ალიმერდან ბეგ თოფჩუბაშოვი

მეფის მთავრობის ეროვნული გაწყვეტის პოლიტიკამ ვერ შეძლო ჩვენი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის აღკვეთა. ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერები ბრძოლას ძალიან რთულ პირობებში განაგრძობდნენ. ისინი რუსეთში მცხოვრები მთლიანი მუსლიმანი და თურქი ხალხის ეროვნული და პოლიტიკური უფლებების მოპოვებას ცდილობდნენ.

აზერბაიჯანის ეროვნული ბურჟუაზია და დემოკრატი სწავლულები იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთი ისტორიული ვალის კეთილსინდისიერ შესრულებას ცდილობდნენ. **ეროვნული ბურჟუაზიის ლიდერი ჰ.ზ. თაღიევი, ხოლო ეროვნული სწავლულების მეთაური კი ა. თოფჩუბაშოვი იყო.** გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ა. თოფჩუბაშოვი, რუსეთის წინაშე მუსლიმანურ-თურქული ხალხებისათვის ფართო დემოკრატიული თავისუფლებების მიცემის მოთხოვნით გამოდიოდა, ამით რუსეთის კონსტიტუციურ მონარქიად გადაქცევას ნატრობდა. მისი აქტიური მოქმედებით სამხრეთ კავკასიის მუსლიმანური მოსახლეობის სასარგებლოდ რეფორმების გატარების შესახებ, 1905 წლის ზაფხულში შედგენილი იქნა არზ-ჰალი-მოთხოვნა, რომელიც ცენტრალურ მთავრობაში იქნა გაგზავნილი. საბუთში, იმპერიაში შესაქმნელი ყველა საკანონმდებლო და არჩევით ორგანოებში მუსლიმანების წარმომადგენლობის, მათთვის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე სახელმწიფო თანამდებობების დაკავების საშუალების მიცემის, მუსლიმანების საკუთრების შეუვალობის, ამასთან სიტყვის, ბეჭდვისა და სინდისის თავისუფლების

უზრუნველყოფის, აგრეთვე დედა ენაზე ზოგადი, პირობითი და უფასო დაწყებითი განათლების უფლების მიცემის შესახებ და სხვა სახის მოთხოვნები იქნა დაყენებული.

თქვენი აზრით კიდევ რა მოთხოვნები შეიძლებოდა დართულიყო არზ-ჰალებზე? დაასაბუთეთ თქვენი შემოთავაზებები.



რუსეთის მუსლიმანების მეორე ყრილობის წარმომადგენლები

ეს არზ-ჰალი აზერბაიჯანელი ხალხის სახელით მეფისათვის გაგზავნილი პირველი პროგრამული საბუთი იყო. ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენლების დემოკრატი სწავლულებისა და საზოგადო მოღვაწეების საერთო ძალისხმევის შედეგად ხალხის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები უმაღლესი ხელისუფლებისათვის იქნა შეტყობინებული.

აზერბაიჯანის ეროვნული დემოკრატები რუსეთის ყველა მუსლიმანის, მთავრობის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში ჩართვას ცდილობდნენ. **აზერბაიჯანის, ყირიმისა და კაზანის თურქების სწავლულთა ინიციატივით, 1905 წლის აგვისტოში** ჩატარებული იქნა რუსეთის მუსლიმანთა პირველი ყრილობა. ყრილობაზე გაკეთდა ოფიციალური განცხადება რუსეთის მუსლიმანთა კავშირის შესახებ. 1906 წლის იანვარში ჩატარებულ მეორე ყრილობაზე მიღებული იქნა ორგანიზაციის წესდება და პროგრამა. რუსეთის მუსლიმანთა კავშირის პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნები:

1. ჩამოყალიბდეს კონსტიტუციური სახელმწიფოებრივი წყობა;
2. მიეცეს მუსლიმანურ ხალხებს ეროვნულ-კულტურული ავტონომია;
3. გაიხსნას ახალი ტიპის სკოლები და დაწესდეს სავალდებულო დაწყებით განათლება;

1906 წლის აგვისტოს ჩატარებულ **მესამე ყრილობაზე** კი გადაწყდა **ცენტრალური კომიტეტის** სახით, რუსეთის მუსლიმანური კავშირის ხელმძღვანელი ორგანოს შექმნა. ამ ორგანოს მუდმივ ადგილსამყოფლად გათვალისწინებული იქნა ქალაქი ბაქო. ასე რომ, ჩრდილოეთ აზერბაიჯანი რუსეთის მუსლიმანი ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრად, ხოლო ა. თობჩუბაშოვი კი მის ლიდერად გადაიქცა. მესამე ყრილობაზე ასევე დაყენებული იქნა ბაქოში, კაზანსა და ბაღჩასარაიში მასწავლებელთა ინსტიტუტის შექმნის მოთხოვნა.

კითხვები და დავალებები:

1. *რას ისახავდა მიზნად რუსეთის მთავრობა, სომეხ-აზერბაიჯანული გაწყვეტის ჩადენით?*
2. *რუკასა და ტექსტის საფუძველზე განსაზღვრეთ მასობრივი გაწყვეტის ადგილები.*
3. *რატომ მოითხოვდა აზერბაიჯანის ეროვნული ბურჟუაზია მთავრობისავან რეფორმების გატარებას? განმარტეთ თქვენი აზრი.*
4. *მოამზადეთ წარდგინება ეროვნული მოძრაობის ლიდერების შესახებ.*
5. *შეაგროვეთ დამატებითი ცნობები აზერბაიჯანელი სწავლულების რუსეთის საერთო მუსლიმანთა ყრილობის მოწვევისა და რუსეთის მუსლიმანური კავშირის პროგრამის მომზადების საქმეში როლის შესახებ.*

18. ეროვნული პარტიებისა და ორგანიზაციების შექმნა

როგორც იცით, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში გაძლიერებული იყო ეროვნული გრძნობის გაღვიძების პროცესი. პროგრესულად მოაზროვნე ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენლები და დემოკრატი სწავლულები აზერბაიჯანის მომავალ კეთილდღეობაზე ფიქრობდნენ. არსებობდა თუ არა განსხვავება ამ მოსაზრებებს შორის? რომელი ორგანიზაციები შეიქმნა ჩრდილოეთ აზერბაიჯანში? რა იყო თითოეული მათგანის მიზანი? ჩვენი ხალხის რომელი ფენა იყო პოლიტიკურად უფრო აქტიური?



მემმედ ემინ რასულზადე

XX საუკუნის დასაწყისში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ჩადენილმა ძარცვა-დარბევამ ჩვენი ხალხის მოწინავე წარმომადგენლები იძულებული გახადა მიმართულება მიეცა ეროვნული მოძრაობისთვის და გადაედგა მტკიცე ნაბიჯები ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად. უცხოეთში განათლება მიღებული და სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდები მძიმე სოციალური ყოფის, რუსეთის კოლონიური პოლიტიკისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ჩვენი ხალხის გამოყვანის გზების ძიებას შეუდგნენ. ამიტომაც იყო, რომ აზერბაიჯანის განათლებული ახალგაზრდები, სწავლულები და პროგრესულად მოაზროვნენი გარკვეული ორგანიზებით, სხვადასხვა პარტიებსა და საზოგადოებებში ერთიანდებოდნენ.

პირველი პოლიტიკური ორგანიზაციები. XX საუკუნის დასაწყისში ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის პოლიტიკური ორგანიზება დიდ აუცილებლობას წარმოადგენდა. პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია, **1902 წელს მემმედ ემინ რასულზადეს** მიერ დაფუძნებული **მუსლიმანი ახალგაზრდობის საზოგადოება** იყო. მისი ძირითადი მიზანი იყო კოლონიური დაპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა.

1904 წელს გამოვლინდა ჰუმმათ სახელწოდების ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია შეიქმნა აზერბაიჯანელ სწავლულთა გარკვეული ჯგუფის მიერ, მემმედ ემინ რასულზადეს მეთაურობით. მანამდე ბაქოში მოქმედ სოციალ-დემოკრატიული-ბოლშევიკური ორგანიზაციის ძირითად სოციალურ ბაზას არა აზერბაიჯანელი მუშები წარმოადგენდნენ. მაგრამ ბაქოს მუშების ნახევარი აზერბაიჯანელებისაგან შედგებოდა. ამიტომაც ჰუმმათის ორგანიზაცია მიზნად ისახავდა პოლიტიკურ საქმიანობას აზერბაიჯანელ მუშებს შორის.

რა შეიძლებოდა ყოფილიყო აზერბაიჯანელ მუშებს შორის პოლიტიკური საქმიანობის მიზანი? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

შემდგომ პერიოდში ორგანიზაცია ჰუმმათი ბოლშევიკების სრული გავლენის ქვეშ მოხვდა. ბოლშევიკები ფიქრობდნენ იმპერიის არსებული სახით შენარჩუნებას და მთლიანი მუშების სოციალ-ეკონომიკური უფლებებისათვის ბრძოლა ძირითად მიზნად ჰქონდა გამოცხადებული. ამის გამო მ.ა. რასულზადე და მისი იდეის მოზიარე მეგობრები ორგანიზაციას ჩამოცილებულნი იქნენ. იმიტომ, რომ ისინი პირველ რიგში აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლასა და დამოუკიდებლობის მოპოვებაზე ფიქრობდნენ.

განსაზღვრეთ მ. ე. რასულზადესა და მისი იდეის მოზიარე მეგობრების ბოლშევიკებთან წინააღმდეგობის წარმოშობი აზრები.

ეროვნული პარტიების შექმნა. ჩრდილოეთ აზერბაიჯანში პირველი ეროვნული პარტია განჯაში შეიქმნა. **1905 წლის ზაფხულში ალაქბარ ბეგ რაფიბეიოვმა თავის კოლეგებთან ერთად, აქ დაარსა გეირათის პარტია.** ეს პარტია რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოს სახით ჩამოყალიბებისა და აზერბაიჯანისათვის ავტონომიის მინიჭების მოთხოვნის დამყენებელი, პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო. შუშასა და ბაქოში მოქმედებდა პარტიის ადგილობრივი წარმომადგენლობები.

ეჰმედ ბეგ აღაევი

1905-1906 წლებში, აზერბაიჯანის დემოკრატიული ძალების დამაფიქრებელი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენი ხალხის, სომხების ხელით ჩადენილი გაწყვეტებისაგან დაცვა იყო. ჩვენი პატრიოტი სწავლულის **აჰმად ბეგ აღაევის მიერ 1906 წელს დაარსებული იქნა პარტია დიფაი**[1]**.**

პარტიის ცენტრალური კომიტეტი ბაქოში მდებარეობდა, ხოლო ყველა მაზრის ცენტრში მოქმედებდა მისი განყოფილება. პარტიის ძირითადი მიზანი ჩვენი ხალხის სომეხთა ტერორისაგან დაცვა იყო. მის ბეჭედზე ორი მახვილი ხმალი, ნახევარმთვარე და ვარსკვლავი იყო აღწერილი. პარტია, სომეხ ტერორისტებსა და მათ მფარველებზე შეუბრალებლად შურს იძიებდა. დიფაის დამფუძნებელმა დაშნაკსუთიანის ხელმძღვანელობას აშკარად აუწყა: „თუ დაშნაკები ძველებურად იმოქმედებენ და მუსლიმანებს მუხანათურად შეუტევენ, ისინი სასტიკ საპასუხო დარტყმას მიიღებენ.... იმიტომ, რომ პარტია დიფაი ჩვენი ერის აოხრებულ, გადამწვარ და მოსპობილ მამულში სომხების დასახლებასა და გაშენებას კატეგორიულად არ დაუშვებს“. **დიფაის პარტიებს, ადგილებზე შექმნილი ჰქონდა სპეციალური შეიარაღებული ჯგუფები.** პარტიის ყარაბაღის განყოფილებას 400 კაციანი სამხედრო რაზმი ჰყავდა. შუშაში სომეხი ყაჩაღების დამხმარე გენერალი კოლოშაპოვი და ნახჩივანში სომხების მიერ ჩადენილი გაწყვეტების აქტიური მონაწილე, მაზრის უფროსი ენკელი, დიფაის ხელმძღვანელობის დავალებით მოკლულნი იქნენ. გენერალ კოლოშაპოვის მკვლელობის შესახებ დიფაის პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამი იყო: „ეს არის კავკასიის მუსლიმანების ნამუსისა და სინდისის დაცვის მიზნით, პარტიის მიერ შესრულებული პირველი შურისძიების აქტი. ახლა ჩვენი ათასობითი ნაღვლიანი დედისა და დების ცრემლი გაშრება. ახლა ზანგაზურის, შუშას, ჯაბრაილისა და ჯავანშირის მაზრების გაკოტრებული, სახლ-კარ დაქცეული და სანგრებში დარჩენილი ათასობითი მაცხოვრებელი, თუნდაც მცირედ, მაინც შეძლებს ამოისუნთქოს“.

დიფაის პარტიის ემბლემა

პარტია დიფაის ჩვენი ხალხის მტრების წინააღმდეგ გაცხარებული ბრძოლა, ძალიან აწუხებდა რუსეთის მთავრობას. მთავრობა ამ ორგანიზაციას „მუსლიმანების მებრძოლ პარტიად“ თვლიდა. მკაცრი დამსჯელი ღონისძიებებისა და მასობრივი დაპატიმრების შედეგად პარტია იძულებული გახდა დროებით შეეწყვიტა მოქმედება.

1907 წელს განჯაში თავდაცვის ორგანიზაცია შეიქმნა. ამ ორგანიზაციის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსული ჯარის ოფიცერმა იბრაჰიმ აღა ვაქილოვმა. ორგანიზაციის საპატიო თავმჯდომარე ისმაილ ხან ზიადხანლი იყო. თავდაცვის ორგანიზაციის ძირითად პოლიტიკურ ძალას პროგრესულად მოაზროვნე ბეგები და სწავლულები წარმოადგენდნენ. ორგანიზაციის გავლენა ელიზავეტპოლის გუბერნიის დასავლეთ ნაწილსა და ბორჩალოს მოიცავდა. ეს

[1] **დიფაი** - თავდაცვა

პარტია განაგრძობდა პარტია დიფაის გზას. ორგანიზაცია დაკავებული იყო ფართო საგანმანათ-ლებლო საქმიანობით და ადამიანების უფლებებს იცავდა. 1907 წელს ბაქოში შექმნილი „კავშირი“ სახელწოდების ორგანიზაციაც, ასევე ცდილობდა დაეცვა აზერბაიჯანელი მოსახლეობა რუსეთისა და სომხების მიერ ჩადენილი მკვლელობებისაგან. კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელმა ბრძოლამ, შემდგომ წლებში საფუძველი ჩაუყარა ახალ საფეხურს. **1911 წლის ოქტომბერში, მემედ ემინ რასულზადეს, აბბასგულუ ქაზიმზადესა და თაღი ნაღიევის მიერ დაარსებული იქნა პარტია მუსავათი(თანასწორობა). მემედ ამინ რასულზადე** 1913 წელს, იმიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ, პარტია მუსავათის ლიდერი გახდა. ის წერდა: „ეროვნული დამოუკიდებლობის არ მქონე ხალხი, თავის არსებობას ვერ შეინარჩუნებს“. პარტია მუსავათის ხელმძღვანელობის ქვეშ, ეროვნულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უფრო მიზანდასახული და თანმიმდევრული სახე მიიღო. პარტიის ბეჭდვითი ორგანო **1915 წლიდან** გამოცემული გაზეთი „ღია თვალი“ იყო. ამ მ.ა. რასულზადეს მთავარი რედაქტორობით მოქმედმა გაზეთმა, ჩვენს ხალხთა შორის ეროვნებისა და თურქობის აზრის ჩამოყალიბებაში სამაგალითო როლი შეასრულა.

დიდი მოაზროვნეს, ალი ბეგ ჰუსეინზადეს მიერ წამოყენებული თეზისი “**თურქული სისხლით, ისლამის რწმენითა და ევროპული გიაფით**[1]” ეროვნული მოძრაობის ძირითად დევიზად გა-დაიქცა. მ.ა. რასულზადე წერდა: “თუ ჩვენ გვაქვს სურვილი დავრჩეთ თურქად და მუსლიმანად, ასევე ვიცხოვროთ დამოუკიდებლად, აუცილებელია განვიცადოთ მოდერნიზაცია და გავხდეთ თანამედროვე დროის ადამიანი”. მოდერნიზაციაში აქ მხედველობაში მიიღებოდა ევროპაში სასწაულმოქმედი სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევები.

როგორ გესმით მოდერნიზაცია? კიდევ როგორ შეიძლება განიმარტოს მოდერნიზაცია? იმსჯელეთ.

აზერბაიჯანელი დეპუტატების მოღვაწეობა რუსეთის სახელმწიფო დუმებში. აშშ-სა და დასავლეთი ევროპის მოწინავე ქვეყნებში, რესპუბლიკური წყობა ან საპარლამენტო კონსტიტუციური მონარქია იყო. რუსეთში კი აბსოლუტური მონარქია ინარჩუნებდა თავის ძალას. რევოლუციური ზრდის გავლენით, 1905 წლის შემოდგომაზე რუსეთშიც მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკა-ნონმდებლო უფლებამოსილების ორგანოს, „**სახელმწიფო დუმის**“ შექმნის შესახებ. სახელმწიფო დუმა დასავლეთ ევროპის პარლამენტებისაგან უფლებების უკიდურესი შეზღუდულობით გამოირჩეოდა.

ჩრდილოეთ აზერბაიჯანში პირველი დუმის არჩევნები **1906 წლის მაისის თვეში** ჩატარდა. ეროვნული მოძრაობის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ **ალიმარდან ბეგ თობჩუ-ბაშოვი და ისმაილ ხან ზიადხანლი**, დეპუტატებად იქნენ არჩეულნი. აზერბაიჯანელი დეპუტატები გამოსვლებს რუსეთის სხვა მუსლიმან დეპუტატებთან ერთად აკეთებდნენ. დუმის მუსლიმანურ ფრაქციას ა. თოფჩუბაშოვი ხელმძღვანელობდა. აზერბაიჯანელი დეპუტატები დუმაში, ჩვენი ხალხის მძიმე ცხოვრებასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს აყენებდნენ. რუსეთის მეფემ უმალ დახურა დუმა, რომელიც მას არ ემორჩილებოდა. მეორე დუმაში არჩევნები ჩატარდა **1907 წელს**, აზერბაიჯანს დუმაში 6 დეპუტატი წარმოადგენდა. დეპუტატთაგან ფათალი ხან ხოისკი და ხალილ ბეგ ხასმემმედოვი დუმაში აკეთებდნენ კატეგორიულ გამოსვლებს მუსლიმან-თურქი ხალხების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. მეორე დუმაც განსახილველი საკითხების გადაწყვეტის გარეშე დახურული იქნა მეფის მიერ. **1907 წლის შემოდგომაზე** ახალი არჩევნების შესახებ უფრო რეაქციული კანონის საფუძველზე, ჩატარდა ახალი არჩევნები მესამე დუმაში. ბაქოს, განჯასა და ერევნის მუსლიმანი მოსახლეობიდან არჩეული იქნა მხოლოდ ერთი დეპუტატი- **ხალილ ბეგ ხასმემმედოვი**. მან, როგორც ცნობილმა სამართალმცოდნემ, დუმაში დააყენა ისეთი მნიშვნელოვანი მოთხოვნები, როგორიც იყო მუსლიმან-თურქი ხალხების თავისუფლებისა და პოლიტიკური უფლებებით უზრუნველყოფა, ასევე განათლებისა და სასამართლო საქმეთა წარმოება დედა ენაზე.

[1] **გიაფა** - სამოსი, შესახედაობა.

1912 წელს ამოქმედებულ მეოთხე დუმაში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანიდან სამართალმცოდნე **მემმედ იუსიფ ჯაფაროვი** იქნა არჩეული. მ.ი. ჯაფაროვი დუმაში თავისი გამოსვლებით, რუსეთის მთავრობის მიერ მუსლიმანი და თურქი ხალხების წინააღმდეგ გამოყენებული ეროვნული, რელიგიური და იურიდიული შეზღუდვების მთლიანად გაუქმებას მოითხოვდა.



ისმაილ ხან ზიადხანლი

ისმაილ ხან ზიადხანლის დუმაში გამოსვლით, რუსეთის კოლონიური რეჟიმი და სომეხთა ვანდალიზმი გამომზეურდა: "ზაკავკასია(სამხრეთ კავკასია) ერთი საუკუნის წინ რუსეთის მხრიდან იქნა დაპყრობილი. ამ საუკუნის განმავლობაში ჩვენ ვანვლეთ პატიმრობის სახის ცხოვრება, ვანვიცადეთ დევნა, არ მოგვეცა არავითარი უფლებები, მომხდარვართ მონობის მდგომარეობაში..... ჩვენ....დახანჯლული ბავშვები გვინახავს. დაე... დედების, ბავშვების კივილითა და კვნესით ნასიამოვნებნი დაიკარგონ."

M *მოამზადეთ წარდგინება აზერბაიჯანელი დეპუტატების რუსეთის სახელმწიფო დუმაში მოღვაწეობის შესახებ.*

კითხვები და დავალებები:

1. *განსაზღვრეთ ჩრდილოეთ აზერბაიჯანში პოლიტიკური აქტივობის გაზრდის მიზეზები.*
2. *შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი ტექსტის მიხედვით.*
3. *განსაზღვრეთ შექმნილი პარტიებისა და ორგანიზაციების საერთო მხარეები.*
4. *მოამზადეთ წარდგინება ტექსტში დასახელებული პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ.*
5. *განმარტეთ აბსოლუტური, საპარლამენტო და კონტიტუციური მონარქიის ტიპის სახელმწიფოთა წყობა.*
6. *გაანალიზეთ რუსეთის დუმებში ეროვნული უფლებებისათვის მებრძოლი აზერბაიჯანელი დეპუტატების მოღვაწეობა.*

19. აზერბაიჯანი პირველი მსოფლიო ომის წლებში

დაწყებული იყო დიდი ომი, მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის. რუსეთის იმპერიაც ომის ერთ-ერთი მხარის, ანტანტას ბლოკის შემადგენლობაში იყო. მაშ, ამ ომში რომელ სახელმწიფოთა დაპყრობით გეგმებში შედიოდა აზერბაიჯანი? რა იყო მსოფლიო ომის დროს აზერბაიჯანელების, რუსული ჯარის შემადგენლობაში მონაწილეობის მიზეზი?

აზერბაიჯანი დიდ სახელმწიფოთა გეგმებში. 1914 წლის 1 აგვისტოს, ანტანტისა და სამთა კავშირის სახელწოდების ორ სამხედრო დაჯგუფებას შორის პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. ომის მონაწილეთა ძირითადი მიზანი მსოფლიოს ძირითადი სტრატეგიული მხარეებისა და მდიდარი კოლონიების ხელში ჩაგდება იყო. ორივე ბლოკში შემავალ სახელმწიფოთა გეგმებში ჩრდილოეთ და

სამხრეთ აზერბაიჯანი განსაკუთრებულ ადგილს იჭერდა. დიდი სახელმწიფოები ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პოზიციით, სიმდიდრეებითა და პირველ ყოვლისა, ბაქოს ნავთობით. ოსმალეთის სახელმწიფო პირველი მსოფლიო ომის დროს, გერმანიის მოკავშირე იყო. გერმანია კავკასიაში, ასევე აზერბაიჯანში განმტკიცების გეგმის განხორციელებას ოსმალეთის სახელმწიფოს მეშვეობით ცდილობდა. რუსეთის კოლონიური ჩაგვრის ქვეშ მყოფი მუსლიმანი და თურქი ხალხები მთლიან იმედს ოსმალეთის სახელმწიფოზე ამყარებდნენ.

მსოფლიო ომის დაწყებისას გაირკვა, რომ რუსეთს აზერბაიჯანელ ხალხში არავითარი საყრდენი არ გააჩნდა. მოსახლეობაში ანტირუსული განწყობა კიდევ უფრო ძლიერდებოდა. პარტია დიფაის წევრებმა 1915 წლის თებერვლის თვეში, **ასლან ხან ხოისკი** ოსმალეთის სახელმწიფოში გააგზავნეს. ის შეხვდა ოსმალეთის სახელმწიფოს სამხედრო მინისტრ ანვარ ფაშას, რომელსაც წარუდგინა „დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოწყობის“ პროექტი. ანვარ ფაშას მოეწონა ეს პროექტი.

ანვარ ფაშა

ამერიკელი ისტორიკოსი ტ. სვეტოხოვსკი მიუთითებს, რომ ფათალი ხან ხოისკის ძმისწულს, დიფაის უფლებამოსილ წარმომადგენელს, ასლან ხან ხოისკის, კავკასიის ფრონტზე საბრძოლო მოქმედებების დროს, საზღვარი გადაულახავს და 1915 წლის თებერვლის თვეში ერზურუმში-ანვარ ფაშას შტაბში ყოფილა მისული. მისი მოგზაურობის მიზანი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნისათვის ოსმალეთის სახელმწიფოსა და გერმანიისაგან დახმარების მიღება იყო. ამ რესპუბლიკაში ბაქოს, ელიზავეტპოლისა და ერევნის გუბერნიები, ავრეთვე დაღესტნისა და ტერეკის პროვინციებიც უნდა შესულიყვნენ.

ვანმარტეთ აზერბაიჯანელების, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ოსმალეთის სახელმწიფოსაგან დახმარების მოთხოვნის მიზეზები. თამაშობდა თუ არა რაიმე როლს ვვარისა და მოდგმის ფაქტორი?

კავკასიის ფრონტზე, ოსმალეთის სახელმწიფოსთან დაპირისპირებული რუსეთის ძირითადი მიზანი სტამბოლისა და სრუტეების, ასევე ანადოლუს ხელში ჩაგდება იყო. რუსეთსა და მის მოკავშირეებს ოსმალეთის სახელმწიფოს დანაწევრება სურდათ. ოსმალეთის სახელმწიფოში მცხოვრები სომხებისათვის კი დაგეგმილი იყო „ტერიტორიული ავტონომიის“ მინიჭება.

აზერბაიჯანელების მონაწილეობა ომში. რუსეთის მთავრობა დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში აზერბაიჯანელებს სამხედრო სამსახურში არ იწვევდა, სამაგიეროდ კი მაცხოვრებელ მამაკაცთაგან სამხედრო გადასახდს იღებდა. მთავრობა ამ გზით, აზერბაიჯანელების სამხედრო ხელოვნებისაგან მოშორებასა და მათი საბრძოლო ხელოვნების გარეშე დატოვებას ცდილობდა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა კარგად იცოდნენ, რომ აზერბაიჯანელი მოსახლეობა ოსმალეთის სახელმწიფოს დიდი თანაგრძნობით, ხოლო რუსეთის მთავრობას დიდი სიძულვილით ეკიდებოდა. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის მიერ კავკასიის ფრონტზე თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი სამხედრო რაზმები, მხოლოდ სომხებისა და ქართველებისაგან შესდგებოდა. დაშნაკებიც, ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად მოხალისე სამხედრო რაზმების გამოგზავნით, განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ.

1914 წლის დეკემბრისა და 1915 წლის იანვარში. რუსეთისა და ოსმალეთის ჯარებს შორის შემდგარ, **სარიგამიშის ბრძოლაში** რუსებმა გაიმარჯვეს. დამარცხების ძირითადი მიზეზი, რუსეთის ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის თვალსაზრისით დიდი უპირატესობა იყო. მნიშვნელოვან მიზეზთაგანი იყო ასევე სუსხიანი ამინდი. გაიყინა და დაიღუპა მრავალრიცხოვანი

თურქი ჯარისკაცი და ოფიცერი. სარიგამიშის ბრძოლის შემდეგ, კავკასიის ფრონტზე უპირატესობა რუსეთმა მოიპოვა.

რუსეთის მთავრობა, აზერბაიჯანელი მოსახლეობიდან სამხედრო სამსახურში მხოლოდ უმაღლესი კლასის წარმომადგენლებს იწვევდა. ისინი სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ არმიის რიგებში ოფიცრად იწყებდნენ სამსახურს, ომის პერიოდში რუსეთის არმიაში ბეგისა და აღას გვარიდან **200 კაცზე** მეტი აზერბაიჯანელი ოფიცერი მსახურობდა. რუსეთის არმიაში გენერალ-ლეიტინანტის წოდებამდე ასულ **ალიაღა შიხლინსკის,** „რუსეთის არტილერიის ღმერთს“ უწოდებდნენ. პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის მეფემ სახელმწიფოს დედაქალაქის, პეტროგრადის ზარბაზნებით დაცვა პირადად მას დაავალა. ბრძოლის დასასრულს ა. შიხლინსკი არმიის მეთაურის უმაღლეს თანამდებობაზე იყო დანიშნული.



სომხების მხრიდან მოკლული შაჰიდი თურქების სამახსოვროდ აღმართული ძეგლი და მუზეუმი. თურქეთი, ოღდირი

1915 წლის გაზაფხულზე, აღმოსავლეთ ანადოლუში რუსების წინააღმდეგ მძიმე ბრძოლების მსვლელობის დროს, სომხებმა უღალატეს ოსმალეთის არმიას და აჯანყდნენ მის წინააღმდეგ, რომელსაც ზურგიდან დარტყმა მიაყენეს. რაც უფრო წინ მიიწევდა რუსეთის არმია, სომხების მუსლიმანი, თურქი და ქურთი მოსახლეობის წინააღმდეგ მკვლელობები და ძარცვები მასობრივ სახეს იღებდა. 15 აპრილს ვანდას სომხებმა ჩაიდინეს ახალი მკვლელობები თურქების წინააღმდეგ. მკვლელობებს ოღდირში, ერზურუმში, ყარსსა და სხვა მრავალ ადგილებში სჩადიოდნენ.

ომის პროცესში მათი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მკვლელობებზე თვალის დახუჭვა შეუძლებელი იქნებოდა. 24 აპრილს სტამბოლში დაპატიმრებულნი იქნენ სომხების წარმომადგენლები, რომლებიც მოსახლეობას ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლისაკენ აქეზებდნენ. 27 მაისს მიღებული კანონის თანახმად, სომხების ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთ მხარეებიდან უფრო შორით – ერაყის, სირიისა და ლიბანის მხარეებში გადასახლება იქნა გადაწყვეტილი.

იმჯერადი, აღმოსავლეთ ანადოლუში სომხების მხრიდან თურქ–მუსლიმანი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული გაწყვეტის შესახებ.

ჰუსეინ ხან ნახჩივანსკი

კიდევ ერთი აზერბაიჯანელი გენერალი - **სამად ბეგ მეჰმანდაროვი** ომის დასაწყისში დივიზიის მეთაური იყო. ამ დივიზიამ 1914 წელს „ლოძის ოპერაციის“ დროს გერმანიის ჯარს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, რომლის შედეგად რუსეთის ორი არმია ალყაში მოხვედრის სირცხვილს გადაურჩა. ამ გმირობისათვის ს. მეჰმანდაროვს არტილერიის სრული გენერალის წოდება მიენიჭა, დაინიშნა არმიის კორპუსის მეთაურად.

გენერალ-ლეიტენანტი **ჰუსეინ ხან ნახჩივანსკი**, სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე ცხენოსანთა დივიზიას მეთაურობდა. კიდევ ერთი აზერბაიჯანელ გენერალს, **იბრაჰიმ აღა ვექილოვს**, არმიის შტაბში საბრძოლო რუკების დამზადების სახის ძალიან მნიშვნელოვანი მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული.

კიდევ რომელი გენერლები მსახურობდნენ რუსეთის იმპერიის ჯარებში? შეაგროვეთ ცნობები.

ფერრუხ აღა გაიბოვი

პირველი აზერბაიჯანელი სამხედრო პილოტი ფერრუხ აღა გაიბოვი, რომელიც ვილნუსის ცაზე ბრძოლისას სამი გერმანული თვითმფრინავის მოსპობის შემდეგ თვითონაც დაიღუპა, ამ გმირობისათვის სიკვდილის შემდეგ უმაღლესი „წმინდა გიორგის“ ორდენით იქნა დაჯილდოვებული.

ომის დაწყების შემდეგ მეფის მითითებით, კავკასიის მუსლიმანთა უმაღლესი კლასიდან ცხენოსანთა დივიზია იქნა ორგანიზებული. ამ დივიზიაში აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისაგან შემდგარმა „**თათრების ცხენოსანთა პოლკმა**“, მეფის გენერლები გააოცა. მეფის 1915 წლის განკარგულებით, 18-23 წლის ასაკს შორის **50 ათასამდე აზერბაიჯანელი ახალგაზრდა** ზურგის ფრონტზე დამხმარე სამუშაოებისათვის იქნა მობილიზებული.

ომის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ომმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. შავი ზღვის სრუტეების დაკეტვამ და რკინიგზით სამხედრო ტვირთის გადაზიდვამ საზღვარგარეთ, ასევე რუსეთში პროდუქციის გადამგზავნი დაწესებულებები ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ნავთობის მრეწველობაში სტაგნაცია კრიზისით შეიცვალა. შემცირებული იქნა გათხრითი სამუშაოები, ნავთობის მოპოვება და გადამუშავება. ნავთობის გადასამუშავებლად არ ჰყოფნიდა გოგირდმჟავა, იმიტომ რომ ქიმიური ქარხნების პროდუქცია მთლიანად სამხედრო საჭიროებებისათვის იხარჯებოდა. ყოველივე ამის მიუხედავად, ომის დროს რუსეთში გატანილი ნავთობის 80 პროცენტზე მეტი ჩრდილოეთი აზერბაიჯანის წილად მოდიოდა.

ომის დროს, გედებეის სპილენძის სადნობი ქარხანა სამხედრო დაკვეთების შემსრულებელი დაწესებულებების სიაში მოხვდა, რომლის გამოც ქარხნის არამუსლიმანი მუშაკები დაშვებულნი იქნენ.

სახელმწიფოს აზერბაიჯანის მსუბუქი და კვების მრეწველობა სრული კონტროლის ქვეშ ჰყავდა აყვანილი. ჰ.ზ. თაღიევის საქსოვის ფაბრიკა სახელმწიფო დაკვეთების საფუძველზე მუშაობდა. აზერბაიჯანის მთლიანი აბრეშუმის ნედლეული რუსეთის ფაბრიკებში იგზავნებოდა. თუთუნისა და მარილის მწარმოებელი ყველა დაწესებულება სახელმწიფო მონოპოლიის ქვეშ მოექცა და დაიწყო პროდუქციის ფრონტის საჭიროებისათვის გაგზავნა. მრავალრიცხოვანი ახალგაზრდის ზურგის ფრონტის სამუშაოებზე გაწვევა და სამუშაო ცხოველების, განსაკუთრებით ცხენების კონფისკაცია უარყოფითად მოქმედებდა სოფლის მეურნეობაზე.

განსაზღვრეთ, ომის ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებზე განსხვავებული გავლენის მიზეზები.

ომმა ძალიან მძიმედ იმოქმედა მოსახლეობის ცხოვრებაზე. აუცილებელი საკვები პროდუქტები სამ-ხუთ ჯერზე მეტად გაძვირდა. ქალაქ ბაქოში რკინიგზით მარცვლეულის შემოტანა სანახევროდ შემცირდა, ამასთან ქალაქში მსხვილი ჯარის ნაწილების განლაგებასა და საბრძოლო ზონებიდან ბაქოში ბევრი დევნილის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მოსახლეობის რიცხვმა მოიმატა. რომლის შედეგად ქალაქში სასურსათო კრიზისი უფრო გაღრმავდა.

სამხრეთ აზერბაიჯანის საოშარი მოქმედებების მოედნად გადაქცევა. ომმა ყაჯართა სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფ სამხრეთ აზერბაიჯანსაც დიდი კატასტროფა მოუტანა. სარიგამიშის ბრძოლაში გამარჯვებულმა რუსეთმა, **1915 წლის 15 იანვარს ხელში ჩაიგდო ქალაქი თებრიზი**. 1917 წლის ბოლოს, როგორც კი რუსებმა მხარე დატოვეს, შეტევაზე გადავიდა ინგლისური ჯარი, რომელმაც მოკლე დროში დაიპყრო სამხრეთი აზერბაიჯანი. გამოაშკარავდა ყაჯართა მთავრობის სრული სისუსტე.

შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს სომხებმა და ასურელებმა, რომლებმაც ჩამოაყალიბეს შეიარაღებული რაზმები და აზერბაიჯანის წინააღმდეგ გენოციდი განახორციელეს. **1918 წლის ზაფხულის თვეებში, მათ ურმიას, ხოის, სალმასისა და თებრიზის** ქალაქებში მრავალრიცხოვანი მშვიდობიანი მოსახლეობა გაწყვიტეს. 1918 წლის 21 მარტს ურმიაში განხორციელებული გენოციდის მასშტაბი უფრო დიდი იყო. განადგურებული იქნა ათი ათასამდე უდანაშაულო აზერბაიჯანელი თურქი. ეს სისხლიანი მოვლენა ისტორიაში „**ურმუს უბედურებად**“ ჩაიწერა. სამხრეთ აზერბაიჯანში დემოკრატიული ძალების მეთაურმა **შეიხ მეჰემმედ ხიაბანიმ** დაუყოვნებლივ შექმნა მოხალისე პატრიოტული რაზმები, რომლებიც სომხურ-ასურული ძალების საწინააღმდეგოდ გაგზავნა. მომმე ოსმალეთის სახელმწიფომაც მხარეში ჯარი შემოიყვანა. შედეგად თავიდან აცილებული იქნა მასობრივი გაწყვეტა.

კითხვები და დავალებები:

1. *რატომ იყო აზერბაიჯანი შეყვანილი დიდი სახელმწიფოების გეგმებში? რა როლს ასრულებდა ბაქოს ნავთობი ომში?*
2. *გაანალიზეთ აზერბაიჯანელების ომში მასობრივი გაწვევის შედეგები.*
3. *გაანალიზეთ ომის პერიოდში აზერბაიჯანის წარმომადგენლების ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან ურთიერთობა.*
4. *მოამზადეთ წარდგინება აზერბაიჯანელი გენერლების პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობის შესახებ.*
5. *შეაგროვეთ ცნობები, პირველ მსოფლიო ომში მუსლიმანი–თურქი მოსახლეობის წინააღმდეგ სომეხთა ჟელურობის შესახებ და შეადარეთ ეს ცნობები თანამედროვე დროს.*

20. აზერბაიჯანი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში

თქვენ უკვე იცით, თუ რა არის რევოლუცია. ევროპის ქვეყნებში ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა მძიმე დარტყმა მიაყენა ფეოდალურ წესებს. ასეთი რევოლუცია მოხდა რუსეთშიც. როგორი გავლენა იქონია ამ რევოლუციამ ჩრდილოეთ აზერბაიჯანზე? როგორი იყო აზერბაიჯანის საზოგადოების, სწავლულების, ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენლების, მუშებისა და გლეხების დამოკიდებულება ამ მოვლენებზე.

ახალი ხელისუფლების ორგანოების შექმნა. 1917 წლის თებერვალში, რევოლუციამ ბოლო მოუღო რუსეთში აბსოლუტურ მონარქიას, რომანოვების საგვარეულო ხელისუფლებას. მეფე ნიკოლოზ II ტახტიდან ჩამოაგდეს. ამ ამბავს რუსეთის ყველა კოლონიაში, მათ შორის ჩრდილოეთ აზერბაიჯანშიც დიდი სიხარულით შეხვდნენ. ჟურნალი „მოლლა ნასრედდინი“ აბსოლუტურობის დამხობას ჩვენი ხალხის ბედნიერებად თვლიდა.

რევოლუციის შედეგად რუსეთში, ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელთა წარმომადგენლები მოვიდნენ. ამ ძალებმა რუსეთის მართვის მიზნით დროებითი მთავრობა შექმნეს. დროებითმა მთავრობამ გაუქმა კავკასიის მეფის ნაცვლის თანამდებობა, რომლის ადგილას **სამხრეთ კავკასიის საგანგებო კომიტეტი** შეიქმნა. კომიტეტის შემადგენლობაში IV სახელმწიფო დუმაში სამხრეთ კავკასიიდან არჩეული ხუთი ადგილობრივი წარმომადგენელი შედიოდა, რომელთაგან ერთ-ერთი, მემმედ იუსიფ ჯაფაროვი იყო.

1917 წლის მარტში, დროებითი მთავრობის ბაქოში ახალი **ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო–საჯარო ორგანიზაციების აღმასრულებელი კომიტეტი** შეიქმნა. ჩრდილოეთ აზერბაიჯანის მაზრებსა და ქალაქებშიც, ასევე დაარსდა აღმასრულებელი კომიტეტები.

მემმედ იუსიფ ჯაფაროვი

ნასიბ ბეგ იუსიფბეილი

ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის გაზრდა. რევოლუციის შემდეგ ეროვნული ძალები გააქტიურდნენ. ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ მტკიცე საფეხურზე ავიდა. დემოკრატი სწავლულების ხელმძღვანელობის ქვეშ მოქმედ მოძრაობას, მოსახლეობის უფრო ფართო ფენები შეუერთდნენ. ფარულად მოქმედ ეროვნულმა ძალებმა, მათ შორის მუსავათის პარტიამაც აშკარად მოღვაწეობა დაიწყო. განჯაში ახალი ეროვნული ორგანიზაცია-**თურქი ფედერალისტების პარტია** შეიქმნა. პარტიის ხელმძღვანელი **ნასიბ ბეგ იუსიფბეილი** იყო. ფედერალისტების პარტიამ მიზნად დაისახა რუსეთში მცხოვრები მთლიანი თურქი ხალხების ერთიან ძალად გაერთიანება და თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლა. იმის გამო, რომ ფედერალისტებისა და მუსავათის პარტიის წარმომადგენლებს ძირითად პრინციპულ საკითხებთან მიმართებაში საერთო პოზიციები ეკავათ, 1917 წლის ივნისის თვეში ეს ორი პარტია ერთიან პარტიად გაერთიანდა. ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ყოველ ადგილას ეროვნულ-**მუსლიმანურმა საბჭოებმა მოღვაწეობა დაიწყეს**. ეს ორგანიზაციები გაერთიანდნენ და ამ გაერთიანებით ეროვნულ-მუსლიმანური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შექმნეს. ეროვნული ძალები რუსეთში დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას მოითხოვდნენ. **1917 წლის მაისში, მოსკოვში ჩატარებულ საერთო რუსეთის მუსლიმანთა ყრილობაზე**, მათ დააყენეს რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკად ჩამოყალიბებისა და მის შემადგენლობაში თურქი მუსლიმანი ხალხე-ბისათვის ეროვნულ-ტერი-ტორიული ავტონომიის მინიჭების მოთხოვნა.

ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ამოცანები თებერვლის რევოლუციის შემდეგ

- დროებითი მთავრობის მიერ აზერბაიჯანელ ხალხთან მიმართებაში გატარებული ეროვნული დისკრიმინაციული პოლიტიკის აღკვეთა.
- ხელმძღვანელი შემადგენლობის, რუსებითა და სომხებით დაკომპლექტებული ბაქოს საბჭოს, ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო მოღვაწეობის წინააღმდეგ ბრძოლა.
- აზერბაიჯანელი მოსახლეობის წინააღმდეგ სომხების მიერ ჩადენილი გენოციდების აღკვეთა.

თებერვლის რევოლუციის შედეგად შექმნილი მდგომარეობით, ბაქოში სხვა პოლიტიკურმა ძალებმაც სარგებლობა დაიწყეს. ერთ-ერთ ასეთ ძალას რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის შემადგენელი ბოლშევიკები წარმოადგენდნენ. ბოლშევიკები აზერბაიჯანელების წინააღმდეგ „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ იდეის მქადაგებელ ესერებსა და მენშევიკებთან, აგრეთვე დაშნაკებთან ერთად, ერთსა და იმავე ფრონტზე გამოსვლებს აწყობდნენ. ეს ანტიეროვნული ძალები, ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის ყველა საშუალებით ხელის შეშლას ცდილობდნენ. მათ **1917 წლის 6 მარტს ბაქოში მუშა დეპუტატთა საბჭო დაარსეს. ბაქოს საბჭოს** ხელმძღვანელობაში არც ერთი აზერბაიჯანელი არ იყო.

ჩვენი ხალხის მოწინავე წარმომადგენლობა 1917 წელს, ამ რთული მოვალეობის შესასრულებლად მთლიან ძალებს საერთო მოქმედებისაკენ მოუწოდებდა. ბაქოს საბჭოს ჩვენი ხალხის ბოროტი მტერი სტეფან შაუმიანი ხელმძღვანელობდა. პარტია მუსავათის აზერბაიჯანის მოსახლეობას შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობა კი, მას დიდად აწუხებდა. იმიტომ რომ, ამ პარტიას 1917 წლის შემოდგომაზე ბაქოს საბჭოს არჩევნებში ბოლშევიკებზე გაცილებით მეტი ხმა ჰქონდა მოპოვებული. მაგრამ პარტია მუსავათის ხელმძღვანელობამ, ბაქოს საბჭოში ჩვენი ხალხის მტრებთან ერთად მუშაობაზე უარი თქვა და ბაქოს საბჭო ბოლშევიკ-დაშნაკი ძალების ზედამხედველობის ქვეშ დარჩა. **1917 წლის ოქტომბერში, პარტია მუსავათის პირველ ყრილობაზე ცნობილი** იქნა, რომ პირველი მიზანი იყო რუსეთის შემადგენლობაში ტერიტორიული ავტონომიის მოპოვება, ხოლო საბოლოო მიზანი კი დამოუკიდებელი აზერბაიჯანის სახელმწიფოს შექმნა.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა. დაეცა დროებითი მთავრობა. ვ. ლენინის მეთაურობით საბჭოთა მთავრობა - რუსეთის სახალხო კომისარიატების საბჭო შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკები აღიარებდნენ რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ხალხების თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის უფლებას, ისინი მაინც მათი საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში დატოვების ახალ გზებს ეძებდნენ. საბჭოთა რუსეთი თავისი მიზნების მისაღწევად ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მოქმედი ყველა ანტიეროვნული ძალებით, პირველ რიგში დაშნაკებისა და სომხების ეროვნული საბჭოთი სარგებლობას ცდილობდა. რუსეთში ბოლშევიკური საბჭოთა მთავრობის შექმნით გახალისებულმა ბაქოს საბჭოს ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ, 31 ოქტომბერს ბაქოში გააკეთა განცხადება საბჭოთა ხელისუფლების შექმნის შესახებ. მაგრამ ქალაქის აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ, ახალი ხელისუფლება არ აღიარა. განაგრძო მოქმედება ქალაქ ბაქოს დუმამ ფ. ხოისკის მეთაურობით.

აზერბაიჯანელი წარმომადგენლების მოღვაწეობა სამხრეთ კავკასიის კომისარიატში. ოქტომბრის რევოლუციის შედეგად სამხრეთ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მოქმედება შეწყვიტა. სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა **სამხრეთ კავკასიის კომისარიატად** წოდებული ახალი მთავრობა შექმნეს. ამ მთავრობაში ადგილი ჰქონდა აზერბაიჯანელ, ქართველ და სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეებს. სამხრეთ კავკასიის კომისარიატის საგარეო პოლიტიკის სფეროში პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი **1917 წლის 5 დეკემბერს**, ოსმალეთის სახელმწიფოსთან **არზინჯანის შეთანხმების** ხელმოწერა იყო. შეთანხმების მიხედვით, შეწყვეტილი იქნა საომარი მოქმედებები კავკასიის ფრონტზე. აღმოსავლეთ ანადოლუს დამპყრობი რუსული ჯარი ამ მხარიდან მთლიანად გავიდა. ამ ჯარის შემადგენლობაში შედიოდა ასევე მრავალრიცხოვანი სომეხთა და ქართველთა სამხედრო რაზმები. რუსულმა ჯარმა, რომელმაც ფრონტი დატოვა, თავისი იარაღ-აღჭურვილობის დიდი ნაწილი მათ დაუტოვა. რუსეთის ჯარის მხრიდან იარაღის მიმღებ რაზმთაგან ერთ-ერთს, თურქულ-მუსლიმანური მოსახლეობის წინააღმდეგ ველურობის ჩადენით სახელგანთქმული ანდრანიკი მეთაურობდა. თბილისი-ბაქოს რკინიგზით, ფრონტიდან დაბრუნებულმა რუსულმა სამხედრო ნაწილებმა გზადაგზა აზერბაიჯანულ სოფლებს სერიოზული ზიანი მიაყენეს. სრულიად დაანგრიეს 200 თურქულ-მუსლიმანური სოფელი, რომლის მოსახლეობაც გაძარცვეს. ფრონტიდან დაბრუნებული რუსული სამხედრო რაზმები მხოლოდ ქრისტიანულ საცხოვრებელ პუნქტებს არ ეხებოდნენ. ბევრი რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი არ დაბრუნებულა ცენტრალურ რუსეთში, არამედ ბაქოს საბჭოში იქნენ დასაქმებულნი. სამხრეთ კავკასიაში უიარაღოდ დარჩენილი მხოლოდ აზერბაიჯანელი მოსახლეობა იყო.

აზერბაიჯანელი პოლიტიკური მოღვაწეების მოთხოვნით, სამხრეთ კავკასიის კომისარიატმა მიიღო გადაწყვეტილება ფრონტიდან დაბრუნებული რუსულ სამხედრო რაზმთაგან ერთ-ერთის, შამქორის სადგურზე განიარაღებისა და მთლიანი იარაღის აზერბაიჯანელებისათვის გადაბარების შესახებ. 1918 წლის იანვრის თვეში მოხდა შეიარაღებული შეჯახება აზერბაიჯანელებსა და რუს სამხედროებს შორის, რომლებსაც არ სურდათ იარაღის გადაბარება. რუსი ჯარისკაცები იძულებულნი გახდნენ იარაღი დაეთმოთ.

ეროვნული სამხედრო ძალების შექმნა. აზერბაიჯანელ ხალხთან მტრულ დამოკიდებულებაში მყოფმა ყველა ძალამ, განსაკუთრებით ბოლშევიკებმა და დაშნაკებმა უამრავი სამხედრო რაზმი შექმნეს. ბაქოს საბჭოზე მიმაგრაგებული რაზმები სწრაფად შეიარაღდნენ კავკასიის ფრონტისა და ირანის დამტოვებელი რუსი ნაწილების ხარჯზე. ბაქოს საბჭო ს.შაუმიანის მეთაურობით, აზერბაიჯანელების წინააღმდეგ ეროვნულ გაწყვეტის ჩადენას აპირებდა. ჩვენი ხალხის თავს მოხვეული ამ საფრთხის აღსაკვეთად აუცილებელი იყო ეროვნული სამხედრო ძალების შექმნა. ამის გამო აზერბაიჯანის პატრიოტული ძალების გამაერთიანებელი მუსლიმანურ-ეროვნული საბჭოები შეუდგნენ ეროვნული სამხედრო ძალების შექმნას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული „თათრული ცხენოსანთა პოლკი“ მუსლიმანური ეროვნული კორპუსის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა.

თათრული ცხენოსანთა პოლკის მებრძოლები

თათრული ცხენოსანთა პოლკი, ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმანური მოსახლეობიდან შეკრებილ პოლკებთან ერთად 1914 წლის შემოდგომაზე, კავკასიის მუსლიმანური დივიზიის სახელობით სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე იქნა გაგზავნილი. ამ ფრონტზე რუსეთი ავსტრია-უნგრეთს ეომებოდა. ჟურნალისტი ილია ტოლსტოი (ლევ ტოლსტოის შვილი) კავკასიის დივიზიისადმი მიძღვნილ ნარკვევში წერდა: ''კავკასიაში ადგილობრივ დივიზიასთან გაცნობისას ლვოვში, მეთაურის მიერ შემოწმების ჩატარების დღე იყო. ყოველმა ერთმანეთზე დიდმა ცხენოსანთა პოლკებმა რეგულირებული წესით ჩაიარეს. მთელი ქალაქის მოსახლეობა ერთი საათის განმავლობაში აქამდე უნახავ, ამ მშვენიერ პეიზაჟს დიდი აღტაცებით უყურებდნენ... ეროვნული საბრძოლო სიმღერების შესრულებით, ზურნის ხმების ქვეშ, წითელი ქუდებით, ვერცხლითა და ოქროთი მოქარგული იარაღით შეიარაღებული, მუქ სახეებზე ეროვნული სიამაყისა და სიმამაცის ნიშნებით მოქნილი მებრძოლები მშვენიერი ცხენების ზურგზე ჩვენს წინაშე იქნენ ჩაყლიანნი. კავკასიის მუსლიმანურ ცხენოსანთა დივიზიას, რომლის შემადგენლობაში ისინიც შედიოდნენ, მეტსახელად ველური დივიზიას უწოდებდნენ. ეს იუწყებოდა კავკასიელი მებრძოლების უშიშრობის, გმირობისა და გამბედაობის შესახებ''.

შეაგროვეთ ცნობები ამ დივიზიის საბრძოლო გზის შესახებ. ჩვენი ხალხის რომელ თავისებურებებს ჰქონდა ასახვა ი. ტოლსტოის აღწერაში?

ამავდროულად ბაქოში, განჯასა და ლენქარანში დაიწყო მუსლიმანური სამხედრო ნაწილების ორგანიზება. ბაქოში მწყობრში ჩადგა აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისაგან ოფიცერთა კადრების მომზადების საქმე. სამხედრო ძალების შექმნაში ძირითად სიძნელეს იარაღის უკმარისობა წარმოადგენდა. განჯას ეროვნულმა საბჭომ განაიარაღა 29-ე რუსული პოლკი და კავკასიის ფრონტიდან დაბრუნებული რამდენიმე სამხედრო მატარებელი, რომლის შედეგად ათასობითი თოფი, 70-მდე ტყვიამფრქვევი და 20 ზარბაზანი ხელში ჩაიგდო.

განმარტეთ მუსლიმანური სამხედრო ნაწილების ორგანიზების მნიშვნელობა.

აზერბაიჯანელი წარმომადგენლების მოღვაწეობა სამხრეთ კავკასიის სეიმში. 1918 წლის 10 თებერვალს მოქმედება დაიწყო სამხრეთ კავკასიის სეიმმა, რომლის შედეგად კავკასიის კომისარიატმა მუშაობა შეწყვიტა. სეიმი სამხრეთ კავკასიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო. აზერბაიჯანის პოლიტიკური ძალები სეიმში **44 დეპუტატით** იყო წარმოდგენილი. აზერბაიჯანელ დეპუტატებს სეიმში ცალკე ფრაქცია ჰქონდათ შექმნილი. 1918 წლის 8 მარტს საბჭოთა რუსეთის, გერმანიისა და მოკავშირეებს შორის **ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულების** დადებამ, სამხრეთ კავკასიაში არსებულ მდგომარეობაზე დიდი გავლენა მოახდინა. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, რუსეთმა 40 წლის უკან ოსმალეთის სახელმწიფოსაგან მოწყვეტილი ყარსის, არდაჰანისა და ბათუმის პროვინციები უკან დააბრუნა. ამ პირობამ სეიმზე მყოფი ქართველი და სომეხი წარმომადგენლები ძალიან აღაშფოთა. ისინი ნატრობდნენ ამ ძველი თურქული მიწების იმ სახელმწიფოთა შემადგენლობაში ყოფნას, რომელთა შექმნასაც აპირებდნენ. მალე სეიმის აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი წარმომადგენლების შემადგენლობამ დაიწყო

ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა. მარტი, 1918 წელი

მშვიდობიანი მოლაპარაკება ტრაბზონში ოსმალეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებთან. ოსმალეთის სახელმწიფომ სეიმის წინაშე ორი ძირითადი მოთხოვნა დააყენა:

1. სეიმმა გამოაცხადოს სამხრეთი კავკასიის დამოუკიდებლობა;
2. დაუყოვნებლივ დატოვოს ყარსის, არდაჰანისა და ბათუმის პროვინციები.

იძლევა თუ არა სამხრეთ კავკასიის სეიმში დაპირისპირებული პოზიციების არსებობა, ამ ორგანოს ბედის შესახებ აზრის გამოთქმის საშუალებას? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

სეიმის ქართულ-სომხურმა უმრავლესობამ ეს მოთხოვნები არ მიიღო. სამხრეთ კავკასიის წარმომადგენელთა შემადგენლობამ ტრაბზონის სამშვიდობო კონფერენცია ნახევარზე დატოვა. სომხური და ქართული ფრაქციების მოთხოვნით, სეიმმა ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი წამოიწყო. მხედველობაში არ იქნა მიღებული ამ გადაწყვეტილების კატეგორიული მოწინააღმდეგე აზერბაიჯანული ფრაქციების პოზიცია.

ოსმალეთის სამხედრო ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში სომეხ-ქართველთა სამხედრო ძალებმა რამდენიმე დღის განმავლობაში მძიმე მარცხი განიცადეს. რომლის შედეგად სეიმმა, ოსმალეთის სახელმწიფოს ორივე მოთხოვნა მიიღო. **1918 წლის 22 აპრილს** სეიმის კრებაზე გაკეთდა განცხადება დამოუკიდებელი **სამხრეთ კავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის** შექმნის შესახებ. ოსმალეთის სახელმწიფოსთან ხელახლად სამშვიდობო მოლაპარაკების საწარმოებლად ბათუმში მიღებული იქნა შეთავაზება სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

კითხვები და დავალებები:

1. *განსაზღვრეთ თებერვლის რევოლუციით გამოწვეული შედეგები, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში.*
2. *რა იყო ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების მიზანი?*
3. *შეადარეთ ერთმანეთს საერთო რუსეთის მუსლიმანების მოსკოვის ყრილობასა და პარტია მუსავატის პირველ ყრილობაზე განხილული საკითხები.*
4. *განმარტეთ ცხრილის მიხედვით, სამხრეთ კავკასიის კომისარიატისა და სეიმის მოღვაწეობა.*
5. *დაასაბუთეთ ბაქოს საბჭოს ანტიაზერბაიჯანული პოლიტიკის გატარება.*

21. კულტურა

XX საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში საჯარო-პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან მძიმედ რჩებოდა. ამასობაში სერიოზულად განვითარდა როგორც განათლებისა და მეცნიერების, ასევე ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროები. რა სახის სიახლეებს ჰქონდა ადგილი განათლებაში? რომელი სამეცნიერო სფეროები ვითარდებოდა? რომელი საკითხები იქნა გაშუქებული პრესაში? რა დონეზე იყო ასული ქალთა საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა?

განათლება და მეცნიერება. XX საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში განათლების განვითარებაში ჯერ კიდევ რჩებოდა სერიოზული დაბრკოლებები. სახელმწიფო განათლებისათვის ძალიან მცირე საშუალებას გამოყოფდა. სახელმწიფოს მიერ გახსნილ სკოლებში სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, რაც გარუსების პოლიტიკას ემსახურებოდა. ჩვენი პატრიოტი განმანათლებლები ასეთ მძიმე პირობებში ეროვნულ-მორალური ფასეულობების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით ყველა შესაძლო საშუალებით სარგებლობდნენ. ისინი ხსნიდნენ დედა ენაზე სწავლების სკოლებს, ასევე წერდნენ სახელმძღვანელოებსა და პროგრამებს ეროვნული სულის-

კვეთებით. ახალი სახელმძღვანელოების მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღოდა **აბდულლა შაიგსა და ჰაბიბ ბეგ მაჰმუდბაიოვს**. აზერბაიჯანელი მასწავლებლების პირველ ყრილობაზე დაყენებული იქნა მოთხოვნები სავალდებულო დაწყებით სწავლებაზე გადაყვანისა და დედა ენაზე სწავლების შესახებ.

მეფის მთავრობის მიერ მიღებული 1912 წლის დადგენილების მიხედვით ქალაქის სკოლები მაღალი და დაწყებითი კლასების სკოლებად დაიყო. XX საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში სრული საშუალო განათლების სკოლების რიცხვმა მოიმატა.

ამ პერიოდში რელიგიური ფანატიზმის გამო, საკმაოდ ძნელი იყო გოგონების საერო სკოლებში მიწვევა. საინტერესო იყო, რომ დროის უმაღლესი სასულიერო მეთაურები, შეიხულისლამ ა.ა ახ-უნდზადე და მ.მ. პიშნამაზზადე ყოველი მუსლიმანის, მათ შორის გოგონების ისლამური დოგმების საფუძველზე განათლების მიღების უფლებას იცავდნენ. პატრიოტი ქველმოქმედი ჰ.ზ. თაღიევის მხრიდან **1901 წელს, აზერბაიჯანელი გოგონებისათვის პირველი სკოლის გახსნა** დიდი მოვლენა იყო. ასეთი სკოლა ერთი წლის შემდეგ განჯაშიც გაიხსნა.

ფირუდდინ ბეგ ქოჩარლი

XX საუკუნის დასაწყისში გორის მასწავლებელთა სემინარიის აზერბაიჯანის განყოფილებასა და ერევნის მასწავლებელთა სემი-ნარიას არ შესწევდათ აზერბაიჯანელ მასწავლებლებზე არსებული მოთხოვნის უზრუნველყოფის ძალა. **ფირუდდინ ბეგ ქოჩარლისა** და სხვა ჩვენი სწავლულების ძალისხმევის შედეგად განჯასა და ბაქოში მოქმედება დაიწყეს მასწავლებელთა სემინარიებმა.

XX საუკუნის დასაწყისში, სამხრეთ აზერბაიჯანში განათლება მიიღებოდა სკოლებსა და მედრასებში. დედა ენაზე სკოლების უმეტესობა ქალაქ თებრიზში მდებარეობდა. დედა ენის საგანი, დიდი განმანათლებლის **მირზა ჰასან რუშდიას** „მშობლიური ენის“ სახელმძღვანელოს საფუძველზე ისწავლებოდა.

ამ პერიოდში ჩრდილოეთ აზერბაიჯანში სხვადასხვა სამეცნიერო სფეროები ვითარდებოდა. სამეცნიერო საზოგადოებაში ჰასან ბეგ ზარდაბი, აჰმად ბეგ აღაევი და ალი ბეგ ჰუსეინზადა დიდად წარმატებულნი იყვნენ. აჰმად ბეგ აღაევი, რომელსაც სორბონას უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, ევროპის ქვეყნებში ცნობილი იყო, როგორც იურისტი მეცნიერი. ა. ჰუსეინზადას ნაწარმოებები ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ და დასავლეთ

ჰ.ზ. თაღიევის გოგონების სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები.

დიდი ქველმოქმედის, ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევის ინ-ვესტიციით გოგონებისათვის სკოლის შენობის აშენებით შე-საძლებლობა მიეცა, ჰასან ბეგ ზარდაბის, წლების განმავ-ლობაში გულში შენახული ნატვრის ახდომისა, მაგრამ ამ სკოლაში დირექტორის თანამდებობაზე დასანიშნად შეუძ-ლებელი იყო ვინმე მუსლიმანი და განათლებული ქალი მასწავლებლის მოძებნა. იჩარიშაჰარში ახუნდ აბუთურაბ აღას თავისი ორი ქალიშვილი, ამ სკოლაში ჰქონდა ჩაწე-რილი, ის ნამაზის გამო იქნა მოკლული. ასეთ პირობებში ქალბატონმა ჰანიფა ზარდაბიმ, ყოველგვარი მორიდების გარეშე განაცხადა თანხმობა გოგონების სკოლაში დირექ-ტორის თანამდებობაზე მუშაობის შესახებ. ის აქ, მოსწავლე გოგონების მორალურ დედად გადაიქცა. ჰ.ზ. თაღიევის გოგონების სკოლა უმალ, სრული სიტყვის მნიშვნელობით, ნიჭიერ ქალთა კერად გადაიქცა.

ქვეყნებში. მაჰამმად აღა შაჰთახთინსკის ნაწარმოებები, ფრანგი მეცნიერების მხრიდან დიდ შეფასებას იმსახურებდა.

იბრაჰიმ აღა ვაქილოვსა და გაფურ რაშად მირზაზადეს დიდი წვლილი მიუძღვით გეოგრაფიის მეცნიერების განვითარებაში. გამოჩენილმა მეცნიერმა, ფირუდინ ბეგ ქოჩარლიმ სათავე დაუდო აზერბაიჯანის ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული წყაროებით შესწავლას. **რაშიდ ბეგ ისმაილოვმა** და შეიხ ჰასან მოლლაზადამ შექმნეს ნაწარმოებები, კავკასიისა და აზერბაიჯანის ისტორიის შესახებ.

პრესა. 1903 წელს, თბილისში აზერბაიჯანულ ენაზე „აღმოსავლურ-რუსული“ გაზეთის ბეჭდვა დაიწყო. გაზეთის რედაქტორი მ. შაჰთახთინსკი იყო.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, აზერბაიჯანის ეროვნული ბურჟუაზიისა (ჰ. ზ. თაღიევი, მ. მუხთაროვი) და დიდი სწავლულების (ა. აღაევი, ა. ჰუსეინზადე და სხვ.) ძალისხმევით დაიწყო „**ჰაიათ**“, „**ირშად**“, „**ფუიუზათ**“, „**იშიგ**“ და სხვ. ჟურნალ-გაზეთების გამოცემა. ამ პრესის ნიმუშებმა ჩვენი ხალხის ეროვნული გრძნობის გაღვიძებასა და ეროვნული სახელმწიფოებრივი იდეების გავრცელებაში დიდი როლი შეასრულა. გაზეთი „ღია თვალი“, რომლის რედაქტორი მ. ე. რასულზადა იყო, სულ ყურადღების ცენტრში აქცევდა იმ დროის მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემებს. ჩვენი დიდი მოაზროვნეს, ჯალილ მამმადგულუზადას მხრიდან 1906 წლიდან თბილისში გამოქვეყნებული ჟურნალი „**მოლლა ნასრადდინი**“, ჩვენი ეროვნული პრესის განვითარების განსაკუთრებულ საფეხურს წარმოადგენდა. ამ ჟურნალის გამოქვეყნებით, ახლო აღმოსავლეთში საფუძველი დაედო სატირულ პრესას. აზერბაიჯანთან ერთად, რუსეთსა და აღმოსავლურ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებულ ჟურნალ „მოლლა ნასრადდინს“ ევროპასა და ამერიკაშიც კი აბონენტები ჰყავდა. „მოლლა ნასრადდინის“ ლიტერატურულმა სკოლამ ერთგული სამსახური გაუწია ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად მიზნებს აზერბაიჯანში.

ქალბატონი ჰამიდა ჯავანშირ–მამმადგულუზადა (მირზა ჯალილის მეუღლე) შუშას მაზრის სოფელ ქაჰრიზლიში, იმ დროის ვამოჩენილი განმანათლებელი სწავლულის, ისტორიკოსის, აჰმად ბეგ ჯავანშირის ოჯახში იყო დაბადებული. ქალბატონი ჰამიდა დიდი ქველმოქმედი და მზრუნველი პიროვნების სახელით იყო ცნობილი. ყარაბაღის ყოველი მხრიდან მისვან დახმარების მთხოვნელი ადამიანების დამხმარე და მათი მწუხარების აღმკვეთ ამ ქალბატონს, იმ პერიოდში, ასევე გაჭირვებული სწავლულების პრობლემებიც კი ჰქონდა მოგვარებული. დიდი ფინანსური დახმარება აღმოუჩინა მოლლა ნასრადდინის ჟურნალის გამოქვეყნებას. სერიოზული ავადმყოფობი მირზა ალაქბარ საბირი, თურმე ქალბატონი ჰამიდას რჩევითა და მირზა ჯალილის მხრიდან, სამკურნალოდ თბილისში იქნა მიწვეული.

ქალბატონი ჰამიდა ჯავანშირ–მამმადგულუზადე

სამხრეთ აზერბაიჯანშიც რევოლუციის პერიოდში დაიწყო მრავალრიცხოვანი ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა დედა ენაზე. 1906-1907 წლებში, ქალაქ თებრიზში აზერბაიჯანულ-თურქულად 20 გაზეთი და ჟურნალი იყო გამოქვეყნებული. **ალიგულუ გამქუსარის** რედაქტორობით გამოცემული სატირული ჟურნალი „**აზერბაიჯანი**“, აგრეთვე **სეიდ ჰუსეინის** რედაქტორობით გამოცემული გაზეთები „**სამართლიანობა**“ და „**დედა ენა**“ ჩაუნაცვლებელ სამსახურს უწევდნენ სამხრეთ აზერბაიჯანელი თურქების ეროვნული გრძნობის გაღვიძებას.

ლიტერატურა. ჩვენი დიდი მწერლის, ჯალილ მამმადგულუზადას მიერ ამ პერიოდში დაწერილი ნაწარმოებები, რეალისტური პროზის მშვენიერი ნიმუშები იყო. ამ ნაწარმოებებით, მწერალი მწვავედ აკრიტიკებდა მეფის მთავრობის კოლონიურ პოლიტიკას, ასევე ეწინააღმდეგებოდა თვითნებობებს, აგრეთვე ჩვენი ხალხის უუფლებო მდგომარეობაში ჩაყენებას.

XX საუკუნის დასაწყისში, **მირზა ელაქბერ საბირს**, აზერბაიჯანის ლიტერატურაში სატირული ლექსის ძალიან მშვენიერი ნიმუშები ჰქონდა შექმნილი. საბირი, ნაწარმოებებში ადიდებდა ჩვენი ხალხის სურვილებსა და ნატვრებს, აგრეთვე თავისუფლების იდეებს. განმათავისუფლებელი მოძრაობის მადიდებელ პოეტს, აბსოლუტური წყობა, აგერეთვე აღმოსავლურ ქვეყნებში არსებული სულთანისა და შაჰის რეჟიმები მწვავე სატირული ბრძოლის ობიექტად ჰქონდა არჩეული. ნაჯაფ ბეგ ვაზიროვის, აბდურრაჰიმ ბეგ ჰაგვერდიევისა და სხვა მწერალთა ნაწარმოებებშიაც ასახვას ჰპოვებდა იმ პერიოდის მტკივნეული პრობლემები.

სამხრეთ აზერბაიჯანში ლიტერატურა იცავდა და ინარჩუნებდა თავისთვის დამახასიათებელ ადათ-ჩვეულებებს. თებრიზელი მირზა აბდურრაჰიმ თალიბოვი თავის ნაწარმოებებში მკაცრად აკრიტიკებდა შაჰის რეჟიმს.

ხელოვნება. XX საუკუნის დასაწყისში, აზერბაიჯანის ხელოვნება განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა. ხელოვნების ყველაზე განვითარებული სფერო ეროვნული თეატრი იყო. **ჯაჰანგირ ზეინალოვი, სიდგი რუჰულლა და ჰუსეინგულუ სარაბსკი** ჩვენი ეროვნული თეატრის ძალიან ნიჭიერი მსახიობები იყვნენ. ჰუსეინ არაბლინსკი ჩვენი ეროვნული სცენის პირველი პროფესიონალი მსახიობი იყო. მას დადგმული ჰქონდა ჯ. მამმადგულუზადას პიესა „კვდრები“, ხოლო „**ნაგთობი და მილიონებზე ბატონობა**“ სახელწოდების პირველი აზერბაიჯანული მხატვრული ფილმის გადაღებაში აქტიური მონაწილეობა ჰქონდა მიღებული.

პირველმა აზერბაიჯანელმა მსახიობმა ქალმა **შოვქათ მამმადოვამ**, იმ პერიოდში დევნისა და მუქარის მიუხედავად, თავის მიერ არჩეულ გზას არ გადაუხვია. შ. მამმადოვამდე, ჩვენს სცენაზე ქალის როლსაც კაცები თამაშობდნენ.

1909 წელს, ჩრდილოეთ აზერბაიჯანიდან წასული მსახიობების დახმარებით, სამხრეთ აზერბაიჯანში - **თაბრიზში პირველი თეატრალური** სანახაობა იქნა ნაჩვენები. **1916 წელს** კი, თაბრიზში პირველი თეატრალური შენობა იქნა აშენებული.

მუსიკის ხელოვნებაც თავისი განვითარების კუთხით ახალ საფეხურზე ავიდა. ჩვენი ეროვნული მუსიკის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის კომპოზიტორ უზეირ ბეგ ჰაჯიბაილის. მის მიერ შექმნილი პირველი ეროვნული ოპერის „**ლეილი და მეჯნუნის**“ ქალაქ ბაქოში სცენაზე გატანა, არამარტო აზერბაიჯანში, არამედ მთლიან მუსლიმან აღმოსავლეთში დიდ კულტურულ მოვლენას წარმოადგენდა. „ის არ იყოს ეს იყოს“ და „არშინ მალ ალან“ მუსიკალურმა კომედიებმა უზეირ ბეგს მსოფლიო პოპულარობა მოუპოვა. კიდევ ერთი ჩვენი კომპოზიტორის, მუსლუმ მაგომაევის ბაქოში სანახაობად წარმოდგენილი ოპერა „შაჰ ისმაილი“, ჩვენი მუსიკალური ხელოვნების ოქროს ფონდში იქნა შეტანილი. მომღერლებს **ჯაბბარ კარიაღდიოღლუს, ისლამ აბდულლაევს, სეიდ მირბაბაევსა და თარზან გურბან ფირიმოვს** დიდი წვლილი მიუძღვით მუღამის ხელოვნების განვითარებაში.



შეადარეთ ერთმანეთს ორი აზერბაიჯანელი ოჯახის ცხოვრებისეული სხვაობა, აზიმ აზიმზადას მიერ დახატული სურათების საფუძველზე.

“ისმაილიას“ შენობა

დიდ მომღერალს, ჯაბბარ კარიაღდიოღლუს “თანამედროვე მუღამის ხელოვნების პაპას” უწოდებდნენ.

სამხრეთ აზერბაიჯანში კი, აბდულჰასან ხან აზერი, მთლიან კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმულ მომღერალთაგანი იყო.

XX საუკუნის დასაწყისში, ცნობილ მხატვართაგან ერთ-ერთი ბაჰრუზ ქანგარლი იყო. ბ. ქანგარლის, რომელსაც თბილისის სამხატვრო სკოლა ჰქონდა დამთავრებული, 300-ზე მეტი ნახატი ნაწარმოები გააჩნდა. აზერბაიჯანში სატირული გრაფიკის გამოჩენილი წარმომადგენელი აზიმ აზიმზადე იყო. „მოლლა ნასრადდინის“ ჟურნალში დახატულმა კარიკატურებმა და მირზა ალაქბარ საბირის „ჰოპჰოპნამაში“ დახატულმა სურათებმა მას დიდი პოპულარობა მოუტანა.

XX საუკუნის დასაწყისში, ქალაქ ბაქოში მრავალრიცხოვანი არქიტექტორული ძეგლი იქნა აშენებული. მათ შორის, მილიონერი მუსა ნაღიევის მიერ აშენებული „ისმაილიას“ შენობა თავისი დიდებულობით გამოირჩეოდა.

მოამზადეთ წარდგინება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქალაქ ბაქოში აშენებული შენობების შესახებ.

კითხვები და დავალებები:

1. *რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან ჩრდილოეთ აზერბაიჯანის განათლება და მეცნიერება, სამხრეთ აზერბაიჯანის განათლებისა და მეცნიერებისაგან?*
2. *რა როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში პრესა XX საუკუნის დასაწყისში?*
3. *რატომ ითვლება მ. ა. საბირის ლექსები რეალისტური პოეზიის მწვერვალად?*
4. *მოამზადეთ წარდგინება XX საუკუნის დასაწყისში, აზერბაიჯანში თეატრისა და ოპერის განვითარების შესახებ.*
5. *შეაგროვეთ ცნობები “ისმაილიას”, თაღიევის თეატრის შენობისა და გოგონების სკოლის შენობის არქიტექტორების შესახებ.*

განყოფილება II. აზერბაიჯანი თანამედროვე პერიოდში
თავი IV. აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკა

22. გენოციდები თურქულ-მუსლიმანური მოსახლეობის წინააღმდეგ ჩრდილოეთ აზერბაიჯანში

გლოვით ავღნიშნავთ ყოველი წლის 31 მარტს, აზერბაიჯანის გენოციდის დღეს. 1918 წლის გენოციდის მსხვერპლთა მოხსენიება ასაკის მიუხედავად, ყოველივე ჩვენგანის მოქალაქეობრივი ვალდებულებაა. ჩვენი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი გენოციდების საშინელი სურათი ჯერ კიდევაც ცოცხლობს მეხსიერებებში. კუბის გენოციდიდან დარჩენილი მასობრივი სასაფლაო, თურქულ-მუსლიმანური ხალხების წინააღმდეგ ჩადენილი ველურობის ნათელი ნიმუშია. ვინ იდგნენ 1918 წელს მომხდარი გაწყვეტების უკან? როგორ იყო მომზადებული ეს გაწყვეტები?

დაშნაკ-ბოლშევიკური ძალების მხრიდან ჩადენილი მარტის გენოციდი. 1918 წლის პირველ თვეებში სამხრეთ კავკასიის კომისარიატსა და სეიმის ხელისუფლებას დაუმორჩილებელი ერთადერთი ქალაქი ბაქო იყო. ბაქოს მუშათა დეპუტატების საბჭოს ბოლშევიკ ხელმძღვანელობას 1917 წლის 31 ოქტომბერს, ქალაქ ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების შექმნის შესახებ განცხადება ჰქონდა გაკეთებული. სტეფან შაუმიანის ხელმძღვანელობით მოქმედ ბაქოს საბჭოს ძირითადი საყრდენი საბჭოთა რუსეთი იყო, რომელსაც ვ. ლენინი მეთაურობდა. ვ. ლენინი ყურადღებით თვალყურს ადევნებდა სამხრეთ კავკასიის ხალხების ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას. ის კარგად ხვდებოდა, რომ სამხრეთ კავკასიაში მომხდარი პროცესები ადრე თუ გვიან აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით დამთავრდებოდა. ამის თავიდან ასაცილებლად კავკასიის საგანგებო კომისარმა, მის მიერ დანიშნულ ს. შაუმიანს ნავთობით მდიდარ ბაქოში მთლიანი ხელისუფლების ხელში ჩაგდება დაავალა. შემდგომ საფეხურზე კი, მთლიანი აზერბაიჯანი უნდა დაპყრობილიყო.

ბაქოს საბჭოს ხელმძღვანელობა ამ გეგმის შესრულებას შეუდგა 1918 წლის დასაწყისში. თავდაპირველად ხელთ იგდო კონტროლი ქალაქის მოსახლეობის პროდუქტით უზრუნველყოფაზე, ასევე ფინანსებსა და ფოსტა-ტელეგრაფზე. იანვრის თვეში დაიწყო ბაქოს საბჭოს დაქვემდებარებული შეიარაღებული ძალების შექმნა. კავკასიის ფრონტიდან დაბრუნებული რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები ბაქოს საბჭოს მხრიდან სამხედრო სამსახურით იქნენ უზრუნველყოფილნი. ს. შაუმიანის განკარგულებასთან დაკავშირებით რუსეთიდან ფული, დიდი ოდენობის იარაღ-აღჭურვილობა, ზარბაზნები და სამხედრო თვითმფრინავიც კი გამოიგზავნა. კავკასიის ფრონტიდან და ირანიდან დაბრუნებული ათასობითი შეიარაღებული სამხედრო სომეხიც ბაქოში იქნა დაბრუნებული.

მარტის გენოციდის მიჯნაზე, ბაქოს საბჭოს განკარგულებაში **20 ათასამდე სამხედრო ძალა** შედიოდა. 1918 წლის 15 მარტს, ბაქოს საბჭოს ხელმძღვანელობამ დაშნაკსუთიანის პარტიის ბაქოს კომიტეტისა და სხვა სომხური ორგანიზაციების ერთობლივი მოქმედების შესახებ ფარული შეთანხმება დადო. ასე რომ, ჩვენი ხალხისადმი მტრულად განწყობილი ძალები ეროვნული გაწყვეტების ჩადენის მიზნით გაერთიანებულნი იქნენ საერთო ფრონტზე. ბოლშევიკ-დაშნაკური ძალები, ბაქოში აზერბაიჯანელების მასობრივი გაწყვეტის გეგმის შესრულებას შეუდგნენ.

ბაქოს საბჭოს ხელმძღვანელობამ ქალაქის ნამდვილი მეპატრონე თურქულ-მუსლიმანური მოსახლეობის დამცველი მთლიანი ძალების განიარაღება დაიწყო. 24 მარტს განიარაღებულნი იქნენ ლენქარანში წასასვლელად გამზადებულ, „ეველინა“ სახელწოდების გემში მყოფი აზერბაიჯანელი სამხედროები.

30 მარტს, ბაქოს საბჭოს ხელმძღვანელობით დაშნაკ–ბოლშევიკურმა სამხედრო ძალებმა, ქალაქში თურქულ–მუსლიმანური მოსახლეობის წინააღმდეგ გენოციდი წამოიწყეს. სამდღიანი გენოციდის შედეგად, თორმეტი ათასამდე მშვიდობიანი ოჯახი ყველაზე შეუბრალებელი მეთოდებით იქნა ამოწყვეტილი. მტერი მოხუცს, ქალსა და ჩვილ ბავშვსაც კი ველურად მოექცა. გადაწვეს ბაქოს იშვიათი არქიტექტორული ძეგლები, როგორიც იყო "**ისმაილიას**" **შენობა, თაღიევის თეატრი, "ღია თვალისა"** და "**კასპიის**" **გაზეთების რედაქციები, ასევე დაანგრიეს "თაზაფირის" მეჩეთი.** მარტის გენოციდის ძირითად ორგანიზატორი, ს. შაუმიანი ბაქოში მომხდარ გაწყვეტებთან დაკავშირებით ვ. ლენინს, თავის ოფიციალურ ანგარიშგებაში წერდა: "ჩვენ ამას მოფიქრებულად გზა დავუთმეთ.... ჩვენ ბრძოლებში ბრწყინვალე გამარჯვება მოგვიპოვებია. მტერი მთლიანად აოხრებულია. დაშნაკ-სუტიანის პარტიის დახმარებით ჩახშობილია მუსლიმანური "ანტირევოლუცია". მუსლიმანურ "ანტირევოლუციას" რომ გაემარჯვა, ბაქოს აზერბაიჯანის დედაქალაქად გადააქცევდა და სამხრეთ კავკასია რუსეთს მომწყდარი აღმოჩნდებოდა". ს. შაუმიანი სიტყვა "ანტირევოლუციაში", ქალაქ ბაქოში დახოცილ მშვიდობიან მოსახლეობას გულისხმობდა.



"ისმაილიას" შენობა ხანძრის შემდეგ

შეაგროვეთ ინფორმაცია "ისმაილიას" შენობის შემდგომი ბედის შესახებ .

დაშნაკ-ბოლშევიკური სამხედრო ძალები, 1918 წლის აპრილის დასაწყისში ეროვნული გაწყვეტის მასშტაბის გაფართოებას შეუდგნენ. ამ ძალების მხრიდან **შამახის მაზრაში დანგრეული იქნა 72 სოფელი. მოკლული იქნა 22 ათასზე მეტი თურქ–მუსლიმანი**. ამ სომხური ველურობის მსხვერპლის დიდ ნაწილს მოხუცები, ქალები და ბავშვები შეადგენდნენ. შაუმიანის დამხმარე გ. ლალაიანის ბრძანებით, შამახიში ცეცხლი წაუკიდეს მეჩეთებს, სადაც მოხუცები, ქალები და ბავშვები იყვნენ შეხიზნული. შაუმიანის მეორე წარმომადგენლის, ამაზასპის შეიარაღებულმა რაზმებმა კუბის მაზრაში

162-ზე მეტი სოფელი გაანადგურა. მთელ კუბაში **16 ათასზე მეტი თურქ–მუსლიმანი და ებრაელი იქნა მოკლული**. ლენქარანის მაზრაში კი სომხების მიერ 3 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები იქნა მოკლული.

ბაქოს გუბერნიაში თურქულ-მუსლიმანური მოსახლეობის წინააღმდეგ გენოციდი 1918 წლის სექტემბრის 15-მდე, ანუ ქალაქ ბაქოს მტრისგან გათავისუფლებამდე გრძელდებოდა. აზერბაიჯანელი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ ამ გაწყვეტებში, სომხურ ეკლესიასა და სომხურ სწავლულებსაც ახლო მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული. საერთოდ, 1918 წლის მარტისა და აპრილის თვეების განმავლობაში ბაქოს გუბერნიაში მოკლული იქნა **50 ათასზე მეტი თურქ–მუსლიმანი** მაცხოვრებელი.

სომეხი ყაჩაღების მხრიდან აზერბაიჯანის **ზანგაზურის მაზრაში** გაძარცვული და მოსპობილი იქნა 115 მუსლიმანი სოფელი, რომლის შედეგად მოკლული და დასახიჩრებული იქნა 10 ათასზე მეტი აზერბაიჯანელი თურქი. გოიჩაის მხარეშიც მრავალი აზერბაიჯანული სოფელი გადაწვეს, ხოლო ადამიანები მოკლეს. ამ საშინელი გენოციდის მოვლენის გამოსაკვლევად 1918 წლის 15 ივლისს, აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკის მხრიდან **სპეციალური მომკვლევი კომისია** შეიქმნა. კომისიის მიერ შეკრებილი საბუთებიდან ერთ-ერთში ეწერა: „ბაქოში მუსლიმანების სახლში შესული სომხები, მათ ხანჯლებითა და შუბებით ხოცავდნენ, ბავშვებს ანთებულ ცეცხლში ყრიდნენ, 3-4 დღიან ჩვილებსაც კი შუბებზე აგებდნენ, ყველას ასეთი სრული შეუწყალებლობით ხოცავდნენ“. მტრის ძირითად მიზანთაგანს წარმოადგენდა აზერბაიჯანელი ხალხის სიმდიდრის ხელში ჩაგდება. მარტის გენოციდის დროს, ქალაქ ბაქოს მოსახლეობის 400 მილიონი ღირებულების სამკაულები და ქონება იქნა გაძარცვული. აზერბაიჯანის მოხალისე რაზმებმა ყარაბაღში, გოიჩაისა და ნახჩივანში სრულიად გაანადგურეს სომხური სამხედრო გაერთიანებები, მიუხედავად მათი კარგი ორგანიზებულობისა და შეირაღებისა.

1918 წლის მარტის თვეში განხორციელებული ბაქოს გენოციდის მსხვერპლნი

ბაქოს ავურის ქარხნის ბლოკის მეოთხე სახლში, სომხების მიერ ჩადენილი დანაშაულის გადასაღებად მოსული ფოტოგრაფი, ვ. სოკოლოვი აღშფოთებული იყო ნანახი მდგომარეობით: "...ოთახის იატაკზე 22–23 წლის ასაკის ერთი ქალის, ორი მოხუცი ქალის, 9 წლის ასაკის გოგონას, 8 წლის ასაკის ვაჟიშვილისა და ერთი ჩვილის ცხედარი იყო დატოვებული".

მარტის მოვლენების მეორე ცოცხალი მოწმე, მაჰამადად მურადზადე გულისტკივილით წერდა, რომ მან მოიძებნა მამამისის ცხედარი და მუსლიმანური წესით დაკრძალა. ყოველივე ეს შურდა ქალაქ ბაქოს მოსახლეობას, იმიტომ რომ, მრავალი განწირულის ცხედარი, იმ დღეს არ იყო ნაპოვნი.

ბაქოს სკს–ს ანტიაზერბაიჯანული პოლიტიკა. მარტის გენოციდის შემდეგ, ს. შაუმიანის ხელმძღვანელობის ქვეშ მოქმედი "სომხური საბჭოთა მთავრობა", ბაქოში შეუდგა ღონისძიებების გატარებას სრული განმტკიცების მიზნით. ბოლშევიკური და სომხური პრესის გარდა ყველა გაზეთი და ჟურნალი დაიხურა. აკრძალული იქნა ეროვნული საბჭოების მოქმედება, გარდა სომხური ეროვნულისა. დაითხოვეს ქალაქ ბაქოს დუმა. **25 აპრილს შეიქმნა ბაქოს სახალხო კომისარიატთა საბჭო (სკს)**. ეს ორგანო ს. შაუმიანის მეთაურობით საბჭოთა რუსეთის პირდაპირი მითითებების საფუძველზე მოქმედებდა. კომისარიატში ყველა ძირითადი თანამდებობა სომხებისათვის იყო გადაბარებული. ბანკების გაეროვნულების[1] სახელის ქვეშ, ქალაქის ბანკებში შენახული მთლიანი ფული და სამკაულები კონფისკაციას დაუქვემდებარეს. ამ საქმეს ა. მიქოიანი ხელმძღვანელობდა. სახალხო კომისარიატის საბჭოს შემადგენლობაში რამოდენიმე აზერბაიჯანელი ბოლშევიკიც შედიოდა. ერთ-ერთი მათგანი

[1] **გაეროვნება** - მეწარმეებისაგან საწარმოების ჩამორთმევა და მისი გადაცემა სახელმწიფოს განკარგულებაში.

მაშადი აზიზბაიოვი, გენოციდის შედეგად დაცლილი მუსლიმანური ნაწილის კომისრად იქნა დანიშნული.

ბაქოს სკს-ს **1918 წლის 2 ივნისის დეკრეტით, გაერთიანებული იქნა აზერბაიჯანის ნავთობ მრეწველობა და კასპიის საგაჭრო ფლოტი.** 1918 წლის აპრილისა და ივლისის თვეების განმავლობაში ბაქოს სკს-ს ღონისძიების შედეგად, 1,3 მილიონ ტონამდე ნავთი და ნათობპროდუქტები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე საბჭოთა რუსეთში იქნა გადაზიდული.

ბაქოს სკს სრულიად ყალბი და აზერბაიჯანისათვის უცხო ორგანო იყო. ანტიაზერბაიჯანული პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს სოციალური ბაზა ძალიან სუსტი იყო. ბაქოს სკს-ს ერთადერთი საყრდენი ეროვნული გაწყვეტის ჩადენით პიროვნულობა დაკარგული სამხედრო რაზმები იყო. სკს-ს სამხედრო ძალებში მომსახურე ყველა ოფიცერი, ხოლო ჯარისკაცთაგან ნახევარზე მეტი (13 ათასი კაცი) სომეხი იყო. სამხედრო ძალებს საერთო ხელმძღვანელობას, აზერბაიჯანის მოსახლეობის წინააღმდეგ გენოციდში განსაკუთრებული შეუწყალებლობით გამორჩეული ზ. ავეტისოვი, ნ. ქაზარიანი და ამაზასპი უწევდნენ. მტრის მარწუხებში მოქცეული ქალაქ ბაქო და გენოციდისაგან ძლივსძლივობით თავის დამხსნელი თურქულ-მუსლიმანური მოსახლეობა მოუთმენლად ელოდა გადარჩენის დღეს.

კითხვები და დავალებები:

1. *როგორ წარმოიქმნა მარტის გენოციდის ჩადენის აზრი?*
2. *ტექსტის საფუძველზე შეადგინეთ მხარეებში გაწყვეტილი ადამიანებისა და დანგრეული საცხოვრებელი სახლების რიცხვის მაჩვენებელი ცხრილი.*
3. *განმარტეთ ბაქოს სახალხო კომისარიატის საბჭოს მოქმედებები.*
4. *რა იყო აზერბაიჯანის ნავთობ მრეწველობისა და კასპიის საგაჭრო ფლოტის გაერთიანების მიზანი? დაასაბუთეთ თქვენი აზრები.*
5. *რა იცით სკს-ს შემადგენლობაში შემავალი აზერბაიჯანელი ბოლშევიკების შესახებ?*
6. *დაწერეთ ესე მარტის გენოციდის შესახებ.*

23. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა

1918 წლის ზაფხულში, სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკურმა კრიზისმა იმატა. დაიშალა სამხრეთ კავკასიის სეიმი. ადრეულ პერიოდში ავტონომიის მოსურნე ეროვნული სწავლულები და საჯარო მოღვაწეები, ახლა დამოუკიდებლობისათვის გამოსვლებს შეუდგნენ. ჩრდილოეთ აზერბაიჯანში დაძაბულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ბაქოს სკს-ს ეროვნული გაწყვეტის პოლიტიკამ და სეიმის მხრიდან ამის აღსაკვეთათ გადამწყვეტი ღონისძიებების გაუტარებლობამ აუცილებელი გახადა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის სახით დიდ ისტორიულ მნიშვნელობას ატარებდა. გახდა თუ არა ჩრდილოეთ აზერბაიჯანი სრულიად დამოუკიდებელი? დაისაჯნენ თუ არა ჩვენი ხალხის დაწყევლილი მტრები?

"დამოუკიდებლობის დეკლარაცია". სამხრეთ კავკასიის სეიმის ხელმძღვანელობას არ სურდა კავკასიის აღმოსავლეთში თურქულ-მუსლიმანური მოსახლეობისადმი განხორციელებული გენოციდის აღსაკვეთად, რაიმე მოქმედი ღონისძიების გატარება. სეიმის სომეხ-ქართველთა უმრავლესობას,

ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა. აზერბაიჯანელი ხალხი ოსმალეთის სახელმწიფოს, მხარეში მის ერთადერთ საყრდენად და საიმედო ადგილად მიიჩნევდა. ასეთმა მდგომარეობამ სამხრეთ კავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ღრმა პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია, რომლის შედეგად გარდაუვალი გახდა სეიმში წარმოდგენილი ხალხების გაცალკევება და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. პირველად სეიმიდან გამოვიდა საქართველო, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სეიმის აზერბაიჯანულმა ფრაქციამ 27 მაისს ჩატარებულ კრებაზე, თავი აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოდ გამოაცხადა და ჩვენი ქვეყნის მართვის მოვალეობა საკუთარ თავზე აიღო. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მამმად ემინ რასულზადე იქნა აჩეული.

"**ეროვნული საბჭოს**" **მიერ 1918 წლის 28 მაისს მიღებული იქნა** "**დამოუკიდებლობის დეკლარაცია**", რომელიც ძალიან მნიშვნელოვან საბუთს წარმოადგენდა. დეკლარაციაში ნათქვამი იყო:

1. აზერბაიჯანი სრულუფლებიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფოა. სამხრეთ კავკასიის სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილებისაგან შესდგება. უმაღლესი ხელისუფლება აზერბაიჯანელ ხალხს ეკუთვნის.

2. აზერბაიჯანის პოლიტიკური მოწყობის ფორმაა რესპუბლიკა.

3. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა, საერთაშორისო ერთობის ყველა წევრთან, განსაკუთრებით მოსაზღვრე ხალხებთან და სახელმწიფოებთან მეზობლურ ურთიერთობებს დაამყარებს.

4. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი საზღვრების შიგნით ეროვნების, რელიგიის, სქესისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ყველა მოქალაქეს, სრულ მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებს ანიჭებს.

5. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა პირობებს შეუქმნის მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ხალხების თავისუფალ განვითარებას.

6. ინსტიტუტთა კრების მოწვევამდე, აზერბაიჯანში ხალხის მიერ ხმის მიცემის გზით არჩეული ეროვნული საბჭო და ეროვნული საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი დროებითი მთავრობა, ამ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებად ითვლება.

"დამოუკიდებლობის დეკლარაციის" მუხლების საფუძველზე დაასაბუთეთ, რომ აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკა წარმოადგენს დემოკრატიულ და საერო სახელმწიფოს.

ფათალი ხან ხოისკი

ამგვარად, აზერბაიჯანელმა ხალხმა თავი დაიხსნა კოლონიური დამოკიდებულობისაგან და სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამის შემდეგ, დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბება. **1918 წლის 28 მაისს**, თბილისში ეროვნული საბჭოს კრებაზე ორგანიზებული იქნა **რესპუბლიკის პირველი მთავრობა**. მთავრობის თავმჯდომარედ **ფათალი ხან ხოისკი** იქნა დანიშნული. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა მთლიან თურქულ და მუსლიმანურ სამყაროში საერო საფუძველზე ჩამოყალიბებული პირველი სახელმწიფო იყო.

ბათუმის ხელშეკრულების დადება. პირველმა მთავრობამ ჩვენი ხალხისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. **1918 წლის 4 ივნისს, ბათუმში ოსმალეთის სახელმწიფოსთან დაიდო ხელშეკრულება მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ**. ხელშეკრულების დადებით ოსმალეთის იმპერია გახდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც ცნო აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა. ხელშეკრულების მეოთხე მუხლი ჩვენი სახელმწიფოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებდა. ამ მუხლის მიხედვით, ოსმალეთის სახელმწიფო კისრულობდა აზერბაიჯანისათვის სამხედრო დახმარების გაწევას. მცირერიცხოვან ეროვნულ შეიარაღებულ ძალებს არ შესწევდათ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის უნარი. ოსმალეთის სახელმწიფომ აზერბაიჯანის სამხედრო დახმარების შესახებ მოთხოვნას, უმალ დადებითად უპასუხა. ივნისის თვეში ოსმალეთის სამხედრო ძალები **ნურუ ფაშას** მეთაურობით განჯაში შემოვიდნენ. ოსმალეთის დისციპლინარულ სამხედრო გაერთიანებებსა და აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისაგან შემდგარ შეიარაღებულ რაზმებს შორის ორგანიზებული იქნა **ისლამისტური ჯარი**.

აზერბაიჯანის ეროვნული მთავრობის მიერ ოსმალეთის სახელმწიფოსაგან სამხედრო დახმარების მიღება, საქართველოს ხელმძღვანელობის უთანხმოებას წააწყდა. საქართველოს მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე, ადრ-ს ეროვნული საბჭო და მთავრობა იძულებული გახდა **16 ივნისს განჯაში** გადასულიყო. ერთი დღის შემდეგ, აზერბაიჯანის ეროვნულმა საბჭომ შეწყვიტა თავისი მოქმედება და მთლიანი უფლებამოსილება გადასცა **მეორე მთავრობას**, რომელსაც ფ. ხოისკი ხელმძღვანელობდა. ამ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოს სახით მოქმედ მთავრობას, არაუგვიანეს ექვსი თვისა, ინსტიტუტთა კრება უნდა მოეწვია. მეორე მთავრობის ძირითადი მიზანი, ქალაქ ბაქოს აზერბაიჯანის მტერთაგან გათავისუფლება და თავისი ხელისუფლების აზერბაიჯანის მთელ ტერიტორიაზე გავრცელება იყო. ასე რომ, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაში „განჯას პერიოდი“ დაიწყო.



კავკასიის ისლამისტური ჯარის მოქმედების გეგმა აზერბაიჯანში

ბაქოს მტერთაგან გათავისუფლება. ბაქოს სკს-ს შეიარაღებულმა ძალებმა 10 ივნისს დაიწყეს სამხედრო ოპერაციები განჯის მიმართულებით. მისი მიზანი იყო ქალაქ განჯისა და მთლიანი აზერბაიჯანის ხელში ჩაგდება. **1918 წლის 27 ივნისიდან** 1 **ივლისამდე ვოიჩა-ისთან ახლო-მახლოს გადამწყვეტი ბრძოლა** შედგა. აზერბაიჯანის სამხედრო ძალებისაგან შემდგარმა კავკასიის ისლამისტურმა ჯარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. განადგურებული იქნა ბაქოს სკს-ს ჯარი. ამ მარცხმა ბაქოს საბჭო ძალიან შეაშიანა. დღის წესრიგში დაიდო ინგლისური სამხედრო ძალებისათვის მიმართვა, დახმარების მოთხოვნით. საბჭოთა რუსეთისაგან საკმარისი დახმარების გარეშე დარჩენილი, ს. შაუმიანის ხელმძღვანელობის ქვეშ მოქმედი ბაქოს სკს-ს ბოლშევიკ-დაშნაკური გუნდი, **1918 წლის 31 ივლისს** იძულებული გახდა გადამდგარიყო. ერთი დღის შემდეგ ესერ-მენშევიკ-დაშნაკური კავშირისაგან შექმნილ „**სენტროკასპი დიქტატურასაც**“[1] ქალაქ ბაქოში არავითარი საყრდენი არ გააჩნდა. ამ დიქტატურის მხრიდან გადადგმული იშვიათი სამართლიანი ნაბიჯი იყო ის, რომ ს. შაუმიანი და მისი თანამებრძოლები ჰაშთარხანიდან გაქცევისას დააპატიმრა. დამნაშავეებს თან მიჰქონდათ აზერბაიჯანელი ხალხისაგან გაძარცვული უამრავი სამკაულები და იარაღ-აღჭურვილობა.



კავკასიის ისლამისტური ჯარი ბაქოში

ბაქოს კომისრების მიერ საბჭოთა რუსეთში გადახვეწის მეორე მცდელობაც ვერ განხორციელდა. გემი, რომელზეც ისინი იყვნენ ასული, ინგლისელების მიერ თურქმენეთში იქნა მიყვანილი. იქ, ბაქოს სკს-ს ხელმძღვანელები და სხვა დამნაშავეები ესერების

[1] **დიქტატურა** - მთლიანი სახელმწიფო ხელისუფლების მომწყვდევა ადამიანთა ერთი ჯგუფის ხელში.

მხრიდან იქნენ დახვრეტილნი. წყეულმა მტერმა თავისი ღირსეული სასჯელი მიიღო. 1918 წლის 15 სექტემბერს, კავკასიის ისლამისტურმა ჯარმა მტერთაგან გაათავისუფლა ქალაქი ბაქო. 17 სექტემბერს აზერბაიჯანის მთავრობა განჯიდან ბაქოში გადავიდა. ქალაქი ბაქო, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქად გადაიქცა. ბაქოში გადასულმა ეროვნულმა მთავრობამ ქალაქში დაამყარა მშვიდობა და უზრუნველყო მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოება. მთელ მსოფლიოს აჩვენა, რომ ის რესპუბლიკის შექმნისას ჩამოყალიბებული პრინციპების ერთგული რჩებოდა. ეს მხოლოდ ჩვენი ხალხისათვის დამახასიათებელი ჰუმანიზმის თვალსაჩინო ნიმუში იყო, რომელსაც ისტორიაში მსგავსი არ გააჩნდა.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918 – 1920 წლები

აზერბაიჯანის რუკის მიხედვით შეადარეთ ერთმანეთს, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბ-ლიკის ტერიტორია და თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორია.

კითხვები და დავალებები:

1. *აღწერეთ აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ისტორიული პირობები.*
2. *განსაზღვრეთ დამოუკიდებლობის დეკლარაციის დემოკრატიული მხარეები.*
3. *შეადგინეთ ცხრილი, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თბილისისა და განჯას დროინდელი მოღვაწეობის შესახებ.*
4. *რა ამოცანები ჰქონდა დაყენებული ეროვნულ საბჭოს, ახლად შექმნილი მეორე მთავრობის წინაშე?*
5. *რატომ გადადგა ს. შაუმიანის ბოლშევიკ-დაშნაკური მთავრობა?*
6. *იმსჯელეთ განჯას დროის ეროვნული მთავრობის ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებებზე.*

24. ღონისძიებები სახელმწიფოებრივი მშენებლობის სფეროში

განცხადება სახელმწიფოს შექმნის შესახებ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველ საფეხურს წარმოადგენდა. სახელმწიფო სტრუქტურა, ეროვნული გვარდიის შექმნა, ასევე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხაზის განსაზღვრა სახელმწიფოს შექმნის ყველაზე რთულ ამოცანას წარმოადგენს. ჩრდილოეთ აზერბაიჯანი რთულ პოლიტიკურ პროცესებში იყო ჩართული. ამ პროცესებს, როგორც ხელშემწყობი, ასევე დამაბრკოლებელი მხარეები გააჩნდა. მაშ, რისგან შესდგებოდა ღონისძიებები, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ?

საპარლამენტო რესპუბლიკის შექმნა. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკამ, შექმნის დღიდან დაიწყო დაპატრონება ჩვენს ისტორიულ ტერიტორიებსა და ფასეულობებზე. რესპუბლიკის პერიოდში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ზუსტად განსაზღვრული ტერიტორია **97,3 ათასი კვადრატული კილომეტრი** იყო. ადგილი ჰქონდა პრეტენზიებს საქართველოსა და სომხეთთან სადავოდ ჩათვლილ მიწებზე. ამ მიწებთან ერთად ჩვენი საერთო ტერიტორია 114 ათას კვადრატულ კილომეტრს აღწევდა. რესპუბლიკაში დაახლოებით **3,3 მილიონი** ადამიანი ცხოვრობდა.



აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის სხდომა

ადრ საპარლამენტო რესპუბლიკას წარმოადგენდა. ხელისუფლება იყოფოდა, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებსა და აშშ-ში. შექმნილი იყო პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო ორგანო. აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდებოდა მთავრობის მიერ, რომელიც პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე. აზერბაიჯანის პარლამენტი მუშაობას შეუდგა 1918 წლის 7 დეკემბერს. ეროვნული პარლამენტი ერთპალატიანი იყო, რომელიც 120 დეპუტატისაგან შესდგებოდა. პარლამენტში წარმოდგენილი იყო აზერბაიჯანში არსებული ყველა ხალხი და პარტია. რესპუბლიკის შემქმნელმა მ. ე. რეასულზადემ პირველ სხდომაზე ყველა დეპუტატს მიმართა და აცნობა, რომ: „საჭიროა სამშობლოზე ზრუნვისა და ეროვნული გრძნობის ყველაფერზე ზემოთ პყრობა“. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე **ა. თობჩუბაშოვი პარლამენტის თავმჯდომარედ** იქნა აჩეული. პარლამენტის მიერ თავისი არსებობის პერიოდში, ქვეყნის ცხოვრების ყოველ სფეროში ასობითი კანონი იქნა მიღებული. **1918 წლის 26 დეკემბერს შექმნილი იქნა მესამე მინისტრთა კაბინეტი ფ. ხოისკის** მეთაურობით. **მეოთხე და მეხუთე მინისტრთა კაბინეტს ნასიბ ბეგ იუსიფბაილი** ხელმძღვანელობდა. მინისტრთა კაბინეტები პარლამენტის კონტროლის ქვეშ მოქმედებდნენ.

ღონისძიებები ეროვნულ სახელმწიფოებრივი მოწყობის სფეროში. ეროვნულ სახელმწიფოებრივი მოწყობის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, თურქული ენის აზერბაიჯანის ოფიციალურ სახელმწიფო ენად გამოცხადება იყო. პარლამენტსა და სამთავრობო სამმართველოებში

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი დროშა 1918 წლის 24 ივნისს იქნა მიღებული.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამფერიანი დროშა 1918 წლის 9 ნოემბერს იქნა მიღებული.

გამოიყენებოდა აზერბაიჯანულ-თურქული ენა, ამავე ენაზე იწერებოდა ყველა ოფიციალური საბუთი. სახელმწიფო ჰიმნისა და სახელმწიფო დროშის მიღება მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას წარმოადგენდა. დიდი კომპოზიტორი უზეირ ჰაჯიბეილის მიერ პატრიოტი პოეტის, აჰმად ჯავადის სიტყვებზე დაწერილი ეროვნული მარში, სახელმწიფო ჰიმნად იქნა აღიარებული. მთავრობის 1918 წლის 24 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებით, ზედ გამოხატული თეთრი ნახევარმთვარითა და რვაქიმიანი ვარსკვლავით, წითელი დროშა რესპუბლიკის სახელმწიფო დროშად იქნა დამტკიცებული, მაგარამ **1918 წლის 9 ნოემბერს ეს დროშა ლურჯი, წითელი და მწვანე ზოლებით შემდარი ახალი სახელმწიფო დროშით** იქნა ჩანაცვლებული. ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს თავზე მოფრიალე დროშის ეს სამი ფერი თურქულ ეროვნულ კულტურას, თანამედროვე ევროპულ დემოკრატიასა და ისლამისტურ ცივილიზაციას განასახიერებდა.

რესპუბლიკამ აღიარებული ძირითადი პრინციპების უზრუნველყოფის მიზნით, **1919 წლის 11 აგვისტოს მიიღო კანონი აზერბაიჯანის მოქალაქეობის შესახებ**. ამ კანონის მიხედვით, ეროვნებისა და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, ყოფილი რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფნი, რომლებიც ან რომელთა მშობლებიც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იყვნენ დაბადებულნი, აზერბაიჯანის მოქალაქედ ითვლებოდნენ. რესპუბლიკამ თურქულ-მუსლიმანურ სამყაროში პირველად უზრუნველყო კაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობა. ქალებს მიეცათ არჩევნებში აქტიური და პასიური მონაწილეობის უფლება. საინტერესოა, რომ იმ პერიოდში ევროპის ქვეყნების უმრავლესობას ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობა, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ოფიციალურად გაფორმებული. ეროვნულმა მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ისტორიული ადგილების სახელწოდებების აღსადგენად. იელიზავეტპოლს კვლავ განჯა, ხოლო კარიაგინს კი ჯაბრაილი ეწოდა.

ვაანალიზეთ ადრ-ის მიერ ცხოვრებაში გატარებული ღონისძიებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობა.

ჯარის შექმნა. ძლიერი ჯარისა და ფლოტის შექმნის გარეშე სახელმწიფო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა შეუძლებელი იყო. ამიტომაც მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ეროვნული გვარდიის შექმნას. რესპუბლიკის შექმნისას სულ 600 კაცისაგან შემდგარი მცირე სამხედრო ძალა არსებობდა. საშინაო და საგარეო მტერთა სიმრავლის პირობებში, ამ ძალით ჩვენი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიულ მთლიანობის დაცვა შეუძლებელი იყო. მთავრობამ ოსმალეთის სახელმწიფოსაგან სამხედრო დახმარების მიღებასთან ერთად, დაყოვნების გარეშე შეუდგა ეროვნული გვარდიის შექმნას. როგორც პირველი ნაბიჯი, მთავრობამ **1918 წლის 26 ივნისს** „მუსლიმანურ კორპუსს“ „**აზერბაიჯანის კორპუსი**“ უწოდა. ქვეყანაში საერთო მობილიზება გამოცხადდა. მუსლიმანური რწმენის მოქალაქეები სამხედრო სამსახურში იქნენ გაწვეულნი. **1918 წლის 1 ნოემბერს** შეიქმნა სამხედრო სამინისტრო. მომდევნო წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ერთი მეოთხედი ნაწილი ეროვნული გვარდიის შექმნისათვის გამოიყო.

ადრ–ის ჯარს ჰყავდა ისეთი ნიჭიერი გენერლები, როგორებიც იყვნენ: ჰაბიბ ბეგ სალამოვი, იბრა–ჰიმ აღა უსუბოვი, ჰამიდ ბეგ გაითაბაში, ჰამიდ ბეგ სულკევიჩი და ჯავად ბეგ შიხლინსკი.

ოფიციალური წყაროების მიხედვით 1920 წლის ბოლშევიკ–დაშნაკური ტერორისტული აქტის შედეგად, აზერბაიჯანის ეროვნულ გვარდიაში მომსახურე 12 გენერალი, 27 პოლკოვნიკი, 46 კაპიტანი, 148 პრაპორჩიკი და 266 სხვა წოდების სამხედრო მოსამსახურე იქნა მოკლული. ამ სამხედროების დაპატიმრებისას, ალიაღა შიხლინსკიმ და სამად ბეგ მეჰმანდაროვმა ნარიმან ნარიმანოვს მიმართეს, მათ მიერ გაგზავნილმა წერილმა ადრესატს მიაღწია, შედეგად კი ისინი განთავისუფლდნენ. ჯარში ჩარევილი ტერორისტი–დაშნაკებისაგან დაზღვევის მიზნით, ნარიმან ნარიმანოვმა ა. შიხლინსკი და ს. მეჰმანდაროვი მოსკოვში გააგზავნა.

იმსჯელეთ განსხვავებული პოლიტიკური ხედვის მქონე, ჩვენი გენერლების გადამრჩენი ნ. ნარიმანოვის აღნიშნულ მოქმედებაზე.

სამად ბეგ მეჰმანდაროვი

ალიაღა შიხლინსკი

სამხედრო მინისტრ **სამად ბეგ მეჰმანდაროვისა** და მისი მოადგილეს **ალიაღა შიხლინსკის** ხელმძღვანელობით წარმატებულად დამთავრდა ეროვნული არმიის ჩამოყალიბება. 1920 წელს აზერბაიჯანის რეგულარულ არმიაში 40 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი მსახურობდა. მათგან 30 ათასს ქვეითი, ხოლო 10 ათასს ცხენოსანი ჯარი შეადგენდა. გენერალმა ს. მეჰმანდაროვმა გასცა განკარგულება არმიაში ბრძანებების აზერბაიჯანულ ენაზე გაცემისა და სამხედრო წვრთნის ამ ენაზე შესრულების შესახებ. მთავრობამ იტალიასთან დადო ხელშეკრულება ეროვნული არმიის იარაღ-აღჭურვილობით უზრუნველსაყოფად, აგრეთვე სამხედრო თვითმფრინავის, ტანკის, ჯავშანმანქანისა და სამხედრო ტანსაცმლის შესყიდვის მიზნით. ეროვნული არმიის ოფიცერთა კადრებით უზრუნველყოფის მიზნით, ბაქოში სამხედრო სკოლა შეიქმნა.

ახლად შექმნილი ეროვნული არმიის ნაწილებმა მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში დიდი სიმამაცე გამოიჩინეს. სამხედრო გაერთიანებამ **1919 წელს**, ლენქარანის მხარის აზერბაიჯანისაგან მოწყვეტის მოსურნე სეპარატისტულ ძალებს, გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა. გენერალი ჰაბიბ ბეგ სალიმოვის მეთაურობით მოქმედმა ჯარმა რუსი სამხედრო დაჯგუფებები გაანადგურა და ქვეყნიდან გააძევა. ამ გამარჯვებასთან დაკავშირებით მინისტრ ს. მეჰმანდაროვის ბრძანებაში სიამოვნებით აღინიშნებოდა: „ლენქარანის მაზრა და მუღანი მშობლიურ აზერბაიჯანს დაუბრუნდა“. **1920 წლის მარტისა და აპრილის თვეებში** ეროვნული არმიის ნაწილებმა **მთიან ყარაბაღში** მტრის წინააღმდეგ წარმატებული სამხედრო ოპერაციები ჩაატარა. **ასგარანის ბრძოლაში** განადგურებული იქნა სომეხი აჯანყებულები და სომხეთის რეგულარული არმიის ნაწილები. **შუშას ყალა** მტერთაგან მთლიანად იქნა განთავისუფლებული. ყარაბაღის ომში მოპოვებულ დიდ გამარჯვებასთან დაკავშირებით, სამად ბეგ მეჰმანდაროვი ჩვენს ჯარისკაცებს ასე მიმართავდა: „მე, გერმანიის ფრონტზე უამრავ ომში ვარ ნამყოფი, მაგრამ თქვენებრ გმირ ჯარისკაცებს იშვიათ შემთხვევაში შევხვედრივარ... თქვენ აზერბაიჯანის არმიის ნამუსი სისხლით დაიცავით!“.

1919 წლის ზაფხულს, მთავრობის დიდი ძალისხმევის შედეგად კასპიის სამხედრო ფლოტი შეიქმნა. ამ ფლოტისათვის უცხოეთიდან სამხედრო ნავებისა და წყალქვეშა კატარღების შესყიდვა დაიწყო. ეს ფლოტი რესპუბლიკის საზღვაო საზღვრებს იცავდა.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარისკაცები და ოფიცრები

კითხვები და დავალებები:

1. *გაანალიზეთ ადრ-ის სახელმწიფო წყობილება.*
2. *რა ღონისძიებები ტარდებოდა ეროვნული სახელმწიფოებრივი მოწყობის სფეროებში?*
3. *შეიძლება თუ არა ჩაითვალოს წარმატებად ქალებისათვის მამაკაცების უფლებათა თანასწორი უფლებების მიცემა? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.*
4. *განმარტეთ ადრ-ის არმიის შექმნის ღონისძიებები.*
5. *მოამზადეთ "ჩვენი არმიის გუშინდელი და დღევანდელი დღე" სახელწოდების წარდგინება.*
6. *შეაგროვეთ დამატებითი ცნობები მ.ა. რასულზადას, ფ. ხოისკისა და ა. თოფჩუბაშოვის შესახებ.*

25. ბრძოლა სომეხი დამპყრობლების წინააღმდეგ

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე დაყენებულ ძალიან მნიშვნელოვან ამოცანებს შორის აღსანიშნავი იყო ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და თურქულ-მუსლიმანური მოსახლეობის წინააღმდეგ, სომხების მიერ განხორციელებული გენოციდების აღკვეთა. რა ნაბიჯების გადადგმისათვის აიძულა მთავრობა, იმ პერიოდში მიმდინარე რთულმა პოლიტიკურმა პროცესებმა? როგორ მოხდა, რომ სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფოს არ მქონე სომხებმა სახელმწიფო შექმნეს? კიდევ რომელ მიწებზე ჰქონდათ მათ პრეტენზიები?

აზერბაიჯანის მიწებზე სომხეთის რესპუბლიკის შექმნა. აზერბაიჯანი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის პირველივე დღიდან, სომეხი პოლიტიკური მოღვაწეების უსაფუძვლო ტერიტორიულ პრეტენზიებს დაუპირისპირდა. აზერბაიჯანის ახალგაზრდა სახელმწიფოს მიერ მოსაგვარებელ უამრავ პრობლემებს შორის „სომხების საკითხი" განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა.

ხელთ მყოფი მიწებით დაუკმაყოფილებელი სომხების ტერიტორიული პრეტენზიები დღითიდღე იზრდებოდა, რასაც თან ახლდა ჩვენი სოფლების ნგრევა და თურქულ-მუსლიმანური მოსახლეობის განადგურება. აზერბაიჯანის მთავრობა ყოველივე ამის აღსაკვეთად ყველა შესაძლო ნაბიჯს დგამდა.

აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვრების განსაზღვრისას წარმოშობილი პრობლემა მოკლე დროში მოგვარდა. ზაქათლის ოლქზე ქართველების პრეტენზია მშვიდობიანი გზით დარეგულირდა. მოსახლეობაში ჩატარებული დასკვნითი გამოკითხვის საფუძველზე, ზაქათლის ოლქი აზერბაიჯანის შემადგენლობაში იქნა დატოვებული.

სეიმის დაშლის შემდეგ, სომეხი წარმომადგენლები უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღ-მოჩნდნენ. აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხებისაგან განსხვავებით, სომხებს სამხრეთ კავკასიაში მიწები არ გააჩნდათ. რუსეთს, ისტორიული აზერბაიჯანის ტერიტორიებზე მათთვის „სამშობლო“ ჰქონდა შექმნილი. სომხები ახლაც სახელმწიფოს შესაქმნელად პოლიტიკურ ცენტრს ეძებდნენ. თავდაპირველად სურდათ გიუმრის თავიანთ დედაქალაქად გადაქცევა, მაგრამ ეს განზრახვა ვერ განხორციელდა, იმიტომ რომ ქალაქი ოსმალეთის ჯარის მხრიდან იყო დაკავებული. სომეხთა წარმომადგენლებმა მიმართა აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოს და ირევანის, მათთვის პოლიტიკურ ცენტრად გადაცემა მოითხოვეს. 1918 წლის 29 მაისს, სომხების მოთხოვნას დადებითი პასუხი გაეცა. უძველესი აზერბაიჯანული ქალაქი **ირევანი სომხებს გადაეცა**, რომლის სამაგიეროდ სომხებმა დათქვეს, რომ სამუდამოდ შეწყვეტდნენ პრეტენზიებს მთიან ყარაბაღსა და სხვა მხარეებზე.

გაანალიზეთ ირევანის დათმობის ისტორიული პირობები.

ბათუმის სამშვიდობო კონფერენციაზე ეს საკითხი განსახილველად კიდევ ერთხელ იქნა გამოტანილი. იმიტომ რომ, ახლად შექმნილი სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიები და საზღვრები ოსმალეთის სახელმწიფოსთან შეთანხმებით განისაზღვრებოდა. ამიტომაც ოსმალეთის სახელმწიფოს თანხმობის საფუძველზე ისტორიულ აზერბაიჯანულ მიწაზე, ირევნის დედაქალაქად გადაქცევით სომხეთის რესპუბლიკა შეიქმნა. ეს რესპუბლიკა ოსმალეთის სახელმწიფოს მხრიდან ცნობილი იქნა **1918 წლის 4 ივნისს**, ბათუმის კონფერენციაზე. სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორია **10 ათასი კვ. კმ-ით** განისაზღვრა. კავკასიაში სომხეთის რესპუბლიკის შექმნით, „ოსმალეთის სახელმწიფო სომხების საკითხის სამუდამოდ გადაწყვეტას იმედოვნებდა. ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სომხები ამის შემდეგ დაწყნარდებოდნენ, ამ გზით მხარეში მარადიული მშვიდობის დამყარებას აპირებდნენ. ბათუმში მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულების ხელმოწერით, სომხების მთავრობამ რესპუბლიკაში მცხოვრები თურქულ-მუსლიმანური მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, აგრეთვე თურქულ-მუსლიმანური მოსახლეობის დედა ენაზე განათლებისა და რელიგიური ლოცვების თავისუფლად შესრულებისათვის პირობების შექმნის ვალდებულება იკისრა.

სომხები ერთი საუკუნის განმავლობაში, რუსეთის მმართველი წრეების მხრიდან მათთვის სახელმწიფოს შექმნას იმედოვნებდნენ. მაგრამ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმო-მადგენლები განზრახ არ უშვებდნენ მათი ამ იმედების გამართლებას. ახლა კი ოსმალეთისა და აზერბაიჯანის თურქმა სახელმწიფო მოღვაწეებმა სომხებს საშუალება მისცეს შეექმნათ სახელმწიფო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რომელიც მათ არასოდეს ეკუთვნოდათ. სომხებმა კი მარადიულ მადლობელად ყოფნის ნაცვლად წამოაყენეს ახალი პრეტენზიები. თურქულ-მუსლიმანურ მოსახ-ლეობასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებებიდან არც ერთი არ შეასრულეს.

რა შედეგი მოჰყვა, ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ სომხებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს?

ჩვენი ისტორიული მიწების სომეხთა შემოსევებისაგან დაცვის ღონისძიებები. აზერბაიჯანის ტერიტორიებზე შექმნილმა სომხეთის რესპუბლიკამ, სამხრეთ კავკასიაში თურქულ-მუსლიმანური ხალხით დასახლებულ მრავალ მხარეზე ტერორისტული პრეტენზიები გამოაცხადა. ძირითადი შეტევის ობიექტად აზერბაიჯანის ზანგაზურის, გოიჩაის, ნახჩივანისა და ყარაბაღის მხარეები იქნა არჩეული. 1918 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, სომხეთის მთავრობის დავალებით ანდრანიკის ყაჩაღთა დაჯგუფებებმა სახელმწიფო საზღვრები დაარღვიეს. ზანგაზურის, ნახჩივანისა და ყარაბაღის მხარეებში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მასობრივი გაწყვეტები ჩაიდინეს, გაანადგურეს ორასამდე სოფელი. დევნილი იქნა ასი ათასზე მეტი თურქ-მუსლიმანი მცხოვრები. აზერბაიჯანის ახალგაზრდა რესპუბლიკა ლტოლვილთა ძალიან მძიმე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით, ერთმანეთს მიყოლებული გადაუდებელი ღონისძიებების გამტარებელმა ეროვნულმა მთავრობამ, სხვა აუცილებელ საკითხებს ყურადღება ვეღარ მიაქცია.

1918–1920 წლებში აზერბაიჯანში სომხების მიერ ჩადენილი გენოციდები

განსაზღვრეთ აზერბაიჯანის მთავრობის წინაშე დაყენებული მნიშვნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური ამოცანები.

ადრ-ის მთავრობამ ყარაბაღის სომხური დაპყრობებისაგან დასაცავად მტკიცე ნაბიჯები გადადგა. **1919 წლის 15 იანვარს შუშას, ჯავანშირის, ჯაბრაილისა და ზანგაზურის** მაზრებისაგან შემდგარი, **ყარაბაღის საგენერალ-გუბერნატორო შეიქმნა. ხოსროვ ბეგ სულთანოვი** გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. ხოსროვ ბეგის წარმატებული ღონისძიებების შედეგად ანდრანიკისა და სხვა სომხური ძალების, ყარაბაღში ყაჩაღურ თავდასხმებს ბოლო მოეღო. სეპარატისტული ძალების ერთი ნაწილი გაძევებული იქნა მხარიდან. მხარის მშვიდობიანი სომეხი მოსახლეობა აზერბაიჯანის მოსახლეობას დაემორჩილა. ასე რომ, ყარაბაღის მთიან ნაწილზე განმტკიცებული იქნა აზერბაიჯანის სუვერენული უფლებები.

ხოსროვ ბეგ სულთანოვი

ხოსროვ ბეგმა, ისევე როგორც მისმა ძმამ სულთან ბეგმა, დიდი როლი შეასრულა მთიანი ყარაბაღის სომხებისაგან დაცვის საქმეში. მან 1919 წლის მარტში, ასგარანის ბრძოლაში დაამარცხა და გააძევა დაშნაკი გენერლის დრონის რაზმი. ამ დროს ხოსროვ ბეგს, აქტიურ დახმარებას უწევდნენ ზანგაზურის მაზრის უფროსი ჯამალ ბეგ სულთანოვი, ლაჩინის არაფელი ბეგები და სოფელ ჰახნაზარის მოსახლეობა.

ხოსროვ ბეგი ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ჩვენი ხალხის ყოველი ერთგულის ღირსების სწორი შეფასების უნარის მქონე სახელმწიფო მოღვაწე იყო. მან უზრუნველყო აჰმად ჯავადის ლეჟთა კრებულის გამოქვეყნება, პოეტის პიროვნებისა და მისი შემოქმედების პატივსაცემად.

განმარტეთ აზერბაიჯანელი ბეგების წვლილი სამშობლოს დაცვაში.

1918 წლის შემოდგომაზე ოსმალეთის სახელმწიფო დამარცხდა პირველ მსოფლო ომში, რომლის შედეგად ის იძულებული გახდა თავისი ჯარი აზერბაიჯანიდან და მის განუყოფელ ნაწილიდან ნახჩივანიდან გაეყვანა. ნახჩივანის მოსახლეობა სომეხთა აშკარა ძალადობას დაუპირისპირდა. მხარის ეროვნული პატრიოტული ძალების მიერ, **1918 წლის ნოემბრის თვეში შექმნილი იქნა არაზ–თურქული რესპუბლიკა**. ამ წარმონაქმნმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. ადრ-ის მთავრობამ, **1919 წლის 28 თებერვალს ნახჩივანის საგენერალ–გუბერნატორო შექმნა. ბეჰრამ ხან ნახჩივანსკი** გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. ასე რომ, აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკამ ნახჩივანში თავისი სუვერენული უფლებები სრულიად აღადგინა.

ადრ და სომხეთის რესპუბლიკა ოფიციალურად ცნობდნენ ერთმანეთს. ირევანში მოქმედებდა დიპლომატიური წარმომადგენლობა, რომელიც ირევნის მხარეში მცხოვრები თურქულ-მუსლიმანური მოსახლეობის უფლებების დაცვას ცდილობდა. მაგრამ სომხეთის სახელმწიფო ნორმალური მეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბებას გულწრფელად არ ეკიდებოდა.

1919 წელს ზანგაზურის მაზრებში აზერბაიჯანისა და სომხეთის შეიარაღებულ ძალებს შორის ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობებს. აშშ-ს შუამდგომლობით თბილისში წარმოებული მოლაპარაკებები, შეთანხმებით დამთავრდა. მხარეებმა ყველა საკამათო საკითხის იარაღის გამოყენების გარეშე და მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტის ვალდებულება იკისრეს. ადრ-ის მთავრობამ გულწრფელად შეასრულა დათქმული პირობა და თავისი შეიარაღებული ძალები ზანგაზურიდან გაიყვანა. სომხეთის მთავრობამ, რომელმაც შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა, მხარეში დაუყოვნებლივ შვიდი ათასიანი რეგულარული ჯარი შეიყვანა, რომლის შედეგადაც ზანგაზურში აოხრებული იქნა კიდევ 40 აზერბაიჯანული სოფელი, ხოლო მისი მოსახლეობა კი სასტიკად იქნა გაწყვეტილი.

1920 წლის მარტში სომხეთის მთავრობამ, ადრ-ის დასამხობად საბჭოთა რუსეთთან ფარულ შეთანხმებას მიაღწია. სომხებმა ყარაბაღში აჯანყების ორგანიზება მოახდინეს. აზერბაიჯანის სასაზღვრო მხარეებში ჯარი შეიყვანეს. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობამ შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილი მტერთან საომრად, იმ მხარეებში გააგზავნა. აზერბაიჯანის ეროვნულმა არმიამ ყველგან გაანადგურა სომხური შეიარაღებული ძალები. მაგრამ ჩვენი ჩრდილოეთი საზღვრები დაუცველად დარჩა. ამით ისარგებლა საბჭოთა რუსეთმა, რომელმაც აზერბაიჯანში სამხედრო ჩარევა განახორციელა.

კითხვები და დავალებები:

1. *გაანალიზეთ სომხეთის რესპუბლიკის შექმნის პროცესი.*
2. *გამოიღო თუ არა შედეგი ოსმალეთის სახელმწიფოს მხრიდან გატარებულმა, სომხების ჩაწყნარებ-ის პოლიტიკამ?*
3. *გამოთქვით თქვენი აზრი, ბათუმის კონფერენციაზე სომხეთის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შესახებ.*
4. *რა შედეგები გამოიღო ყარაბაღის საგენერალ–გუბერნატოროს შექმნამ?*
5. *რა მნიშვნელობას ატარებდა არაზ–თურქული რესპუბლიკის შექმნა?*
6. *შეაგროვეთ დამატებითი ცნობები, ძმები ხოსროვ ბეგ სულთანოვისა და სულთან ბეგ სულთანოვის შესახებ.*

26. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ღონისძიებები

რთულ პრობლემებს დაპირისპირებული ადრ-ის მთავრობის წინაშე მდგარი მნიშვნელოვან ამოცანებს შორის ადგილი ჰქონდა, ასევე ხალხის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვისა და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის ღონისძიებების გატარებას. რისგან შესდგებოდა ეს ღონისძიებები? კიდევ რომელი სფეროების განვითარებისათვის ზრუნავდა მთავრობა?

ეროვნული მთავრობის მიერ ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში გატარებული ღონისძიებები. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა ბოლშევიკ-დაშნაკების მხრიდან ძარცვების შედეგად დაშლილი ეკონომიკის აღდგენას შეუდგა. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იყო, ჩვენი სახელმწიფოს განვითარებისა და ჩვენი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ. მოსახლეობის პროდუქტით უწყვეტი მომარაგების, აგრეთვე სიძვირის აღკვეთის მიზნით **1918 წლის 27 ივნისს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება პიტუტყვის, მარცვლეულისა და სხვა საკვები პროდუქტების საზღვარგარეთ გატანის აკრძალვის** შესახებ. ასევე სხვა გადაწყვეტილებით დაშვებული იქნა **თავისუფალი ვაჭრობა** რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ადრ-ის მთავრობის ეკონომიკური აკრძალვები სტრატეგიულ ნაბიჯად? გაანალიზეთ ამ აკრძალვების ვავლენა მოსახლეობის სხვადასხვა ფენების მდგომარეობაზე.

მთავრობა ნავთობის მრეწველობის, როგორც ეკონომიკის ძირითად სფეროს აყვავებას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. მთავრობის **1918 წლის 5 ოქტომბრის** განკარგულებით გაუქმდა ბაქოს სკს-ს დეკრეტები გაეროვნულების შესახებ. **მთელი ნავთობის საბადოები, ფაბრიკა-ქარხნები და სავაჭრო გემები ადრინდელ მესაკუთრეებს დაუბრუნდათ**. დაიდო შეთანხმება უცხო კომპანიებთან, ნავთობის გაყიდვასთან დაკავშირებით. რუსეთის ბაზარის დაკარგვის გამო, აზერბაიჯანის ნავთობის მეზობელ ქვეყნებში, ამასთან ბათუმის პორტის გავლით ევროპაში ექსპორტი დაიწყო.

გამოიკვლიეთ: რა მნიშვნელობას ატარებდა აზერბაიჯანული ნავთობის დასავლეთ ევროპაში ექსპორტი?

1918 წლის სექტემბერში ბაქოს ბონის სახელწოდების ფულადი ერთეული ბრუნვაში იქნა გაშვებული. ერთი წლის შემდეგ სახელმწიფო ბანკი შეიქმნა. ეროვნული მეწარმეები დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას დიდი სიხარულით შეხვდნენ. ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევმა ადრ-ს „**ჩვენი დამოუკიდებელი სამშობლოს ზედაპირზე მოკაშკაშე მზე**“ უწოდა, გარდა ამისა, მას თავისი მთლიანი ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობები აზერბაიჯანის რესპუბლიკის განვითარებისაკენ ჰქონდა მიმართული. ის, მთავრობას თავისუფალი მეწარმეობისა და ეკონომიკის დაცვისაკენ, აგრეთვე მისი განვითარებისაკენ მოუწოდებდა: „თავისუფალი მეწარმეები სახელმწიფოს... მეგობრები და საყრდენია“.

1918 წლის 18 ივლისს, აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარე ფ. ხოისკიმ სტამბოლში მყოფ აზერბაიჯანის წარმომადგენელ დელეგაციას, იქ აზერბაიჯანული მანათის დამზადების შეკვეთა დაავალა. ბაქოს გათავისუფლების შემდეგ, 1918 წლის 22 სექტემბერს მთავრობამ ბაქოს ბონების ბრუნვაში გაშვება გადაწყვიტა. მალე 30 მილიონი ბონი-მანათი მოიჭრა.

რადგან აზერბაიჯანის მოსახლეობის დიდ ნაწილს გლეხები შეადგენდნენ, დიდ აუცილებლობას წარმოადგენდა მიწებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. 1920 წლის მარტში, ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში კანონპროექტი განსახილველად იქნა გამოტანილი. პროექტით გათვალისწინებული იყო მიწების გლეხთათვის უფასო გადაცემა. მაგრამ მთავრობას ამ ცხოვრებისეული საკითხების გადასაწყვეტად დრო არ ეყო. აპრილის ინტერვენციამ, ეროვნული მთავრობის მიერ განხორციელებულ ყველა პროგრესულ ღონისძიებას ზემოდან შავი ხაზი გადაუსვა.

ეროვნული მთავრობა თავის სოციალურ პოლიტიკას, სპეციალური პროგრამის საფუძველზე ახორციელებდა. ძირითადი ყურადღება, დაწესებულებებში 8 საათიან სამუშაო დღის გამოყენებასა და ღამის ცვლის გაუქმებისაკენ იყო მიმართული. აიკრძალა ქალების ჯანმრთელობისათვის საზიანო სამუშაოებზე მუშაობა. იმ დაწესებებულებში, სადაც ქალები მუშაობდნენ, კატეგორიულად მოითხოვებოდა ჩვილთა სახლის გახსნა. მეწარმეებს, შრომის სამინისტროს თანხმობის გარეშე არ შეეძლო სამუშაოდან მუშაკთა მასობრივი გათავისუფლება. 1919 წლის დასაწყისიდან დაიწყო მრავალშვილიან მუშებზე ხელფასის გარდა დამატებითი სახსრების გაცემა.

ეროვნულ-კულტურული წყობა. მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდა ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის შექმნას. ეროვნული კადრების მომზადება და სახელმწიფოებრივობის ერთგული ახალი ახალგაზრდა თაობის აღზრდა საჭირო იყო როგორც ჰაერი წყალი. აზერბაიჯანის რესპუბლიკამ გადადგა პირველი ნაბიჯი და **გააერთიანა საგანმათლებლო დაწესებულებები**. მთავრობის გადაწყვეტილებით **დაწყებით სკოლებში მოსწავლეებს განათლება დედა ენაზე უნდა მიეღოთ**. რუსულ სკოლებში აზერბაიჯანული ენის საგნის სწავლება აუცილებლობას წარმოადგენდა. ახალ სასწავლო პროგრამებში „რუსეთის ისტორიის“ ნაცვლად, „თურქი ხალხების ისტორია“ იქნა შეტანილი.

შეადარეთ ადრ-ის განათლების პოლიტიკა რუსეთის აზერბაიჯანში გატარებულ განათლების პოლიტიკასთან.

სკოლებში დედა ენაზე გაკვეთილების ჩამტარებელი მასწავლებლების დიდმა უკმარისობამ თავი იჩინა. ამიტომაც იყო, რომ გორის მასწავლებელთა სემინარიის აზერბაიჯანის განყოფილება, ფირუდინ ბეგ ქოჩარლის ინიციატივით **1918 წლის შემოდგომაზე** კაზახში იქნა გადატანილი, რომლის საფუძველზე ორგანიზებული იქნა **კაზახის მასწავლებელთა სემინარია**. განჯასა და ბაქოს მასწავლებელთა სემინარიებზე დაიწყო ეროვნული პედაგოგიური კადრების მომზადება, ასევე გაიხსნა პედაგოგიური კურსები.

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი შენობა

განათლებაში ყველაზე სერიოზულ პრობლემებს შორის ერთ-ერთი უმაღლეს განათლებული ეროვნული კადრების მომზადება იყო. ამ მიზნით **1919 წლის 1 სექტემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. უნივერსიტეტში მიღებისას**, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებს უპირატესობა ენიჭებოდა. უნივერსიტეტში თავდა-პირველად ორი: ისტორიულ-ფილოლოგიური და სამედიცინო ფაკულტეტი მოქმედებდა. გარდა ამისა, **100 აზერბაიჯანელი ახალგაზრდა განათლების მისაღებად უცხო ქვეყნების პრესტიჟულ უნივერსიტეტებში იქნა გაგზავნილი**. ამ მიზნით შვიდი მილიონი მანათი გამოიყო. ჰ.ზ. თაღიევმა, იმ ახალგაზრდათაგან ოცის განათლების ხარჯები თავის თავზე აიღო. ეს ახალგაზრდები

დღესდღეობით აზერბაიჯანელი ახალგაზრდები საზღვარგარეთის ქვეყნებში, რომელი პროფესიების დაუფლებას ანიჭებენ უპირატესობას? გამოიკვლიეთ.

ევროპის პოპულარულ უნივერსიტეტებში ეკონომიკის, ინჟინერიის, ამავდროულად გემთმშენებლობისა და თვითმფრინავის დამზადების სახის იშვიათი სპეციალობების დაუფლების მიზნით იყვნენ გაგზავნილი.

ყურადღება მიექცა ასევე ახალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნას. **1919 წელს ამოქმედდა ეროვნული ბიბლიოთეკა.** ამავე წელს „თავისუფლების“ მუზეუმის გახსნაც დიდ კულტურულ მოვლენას წარმოადგენდა. ეროვნული მთავრობა ჩვენს რესპუბლიკაში დემოკრატიული გარემოს შექმნას ცდილობდა. უზრუნველყოფილი იყო სიტყვის, ბეჭდვისა და სინდისის თავისუფლება. სრულიად გაუქმებული იყო ბეჭდვის ცენზურა[1]. ოფიციალური ბეჭდვის ორგანო, გაზეთი "აზერბაიჯანი" აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ყოველდღე გამოიცემოდა. დემოკრატიული პირობებით ჩვენი ეროვნული სახელმწიფოს მტრებიც სარგებლობდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩვენი ხალხის დიდი მოაზროვნის, ალი ბეგ ჰუსეინზადას „წითელი სიბნელე“ სახელწოდების ბოლშევიკური პრესა. ბოლშევიკური პრესა ჩვენი რესპუბლიკის ყველა ღონისძიების დისკრიმინაციას ცდილობდა, რომლის გამოც მთავრობამ ჩვენი ხალხისა და მთელი მსოფლიოს ზუსტი ინფორმირების მიზნით, **1920 წელს აზერბაიჯანის ტელეგრაფის სააგენტო** (აზერ-თაჯი) შექმნა. ლიტერატურა და ხელოვნება ეროვნულ საფუძვლებზე ვითარდებოდა. ჰუსეინ ჯავიდის, ეჰმედ ჯავადის, უზეირ ჰაჯიბეილის, ჯეფერ ჯაბბარლისა და სხვათა ნაწარმოებებში დამოუკიდებლობის იდეების დიდებას ძირითადი ადგილი ეკავა. ჩვენი პოეტები და მწერლები, ახალგაზრდების ცნობიერებაში ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი სიყვარულის, ეროვნული სიამაყისა და პატრიოტული გრძნობების ჩამნერგავ თემებს უფრო მეტად მიმართავდნენ.



უზეირ ჰაჯიბაილისა და პოეტ აჰმად ჯავადის მხრიდან შედგენილი "აზერბაიჯანის მარშის" სიტყვები, პირველად 1919 წელს "სამშობლოს მარშის" სახელწოდებით, მთავრობის სტამბაში "ეროვნული სიმღერების" წიგნში დაიბეჭდა, ხოლო მისი მუსიკა შემდგომში იქნა შედგენილი. ჩვენი რესპუბლიკის წლებში უზეირ ჰაჯიბეილის ორი მარში ჰქონდა დაწერილი. ორივე მათგანი 1966 წელს ანკარაში იქნა გამოქვეყნებული, ასევე შეტანილი იქნა "თურქული მარშების" წიგნში.

კითხვები და დავალებები:

1. *გაანალიზეთ რესპუბლიკის მთავრობის პოზიცია მეწარმეებთან მიმართებაში.*
2. *შეადარეთ ერთმანეთს, ბაქოს სკს-სა და ადრ-ის მთავრობის მიერ ნავთობის მრეწველობაში გატარებული ღონისძიებები და მიზნები.*
3. *რა მნიშვნელობას ატარებდა, სახელმწიფოს თავისებური ფულადი ერთეულის არსებობა? გამოხატეთ თქვენი აზრი.*
4. *რა ღონისძიებები გაატარა რესპუბლიკის მთავრობამ გლეხთა და მუშათა სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად?*
5. *შეადგინეთ დროის ისარი, თემაში მოცემული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.*
6. *მოამზადეთ წარდგინება, ადრ-ის მთავრობის მიერ კულტურული აღმშენებლობის სფეროში გატარებული ღონისძიებების შესახებ.*

[1] **ცენზურა** - სახელმწიფო ზედამხედველობა ბეჭდვის შინარსსა და გავრცელებაზე.

27. საგარეო პოლიტიკა

ადრ-ის შექმნას არა ერთმნიშვნელოვნად შეხვდნენ. აღმოსავლეთში პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმირება და მისი თურქულ-მუსლიმანური ხალხისათვის კუთვნილება, მრავალი სახელმწიფოსათვის არასასურველ მოვლენას წარმოადგენდა. რა სახის საგარეო პოლიტიკას ატარებდა რესპუბლიკა? როგორ რეგულირდებოდა ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან? აღიარეს თუ არა ადრ დიდმა სახელმწიფოებმა?

მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობები. რესპუბლიკის მთავრობამ, შექმნის დღიდან საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის უსაფრთხო საერთაშორისო პირობების შექმნა, უაღრეს აუცილებლობას წარმოადგენდა. საჭირო იყო რესპუბლიკის მსოფლიო ერთობის მხრიდან აღიარების მოპოვება. ასევე დიდ მნიშვნელობას ატარებდა მეზობელ სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება. **ოსმალეთის სახელმწიფოსთან 1918 წლის 4 ივნისს ხელმოწერილი ბათუმის ხელშეკრულება საგარეო პოლიტიკაში პირველ წარმატებულ ნაბიჯს წარმოადგენდა**. ოსმალეთის იმპერიამ, პირველმა აღიარა ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა.

რომელ სფეროებში დაეხმარა ოსმალეთის სახელმწიფო ადრ-ს? ჩამოთვალეთ.

1918 წლის აგვისტოს, ბერლინში საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის ფარული შეთანხმებების დადება ბაქოს მომავალ ბედს დიდ საფრთხეს უქმნიდა, მაგრამ აზერბაიჯანისა და ოსმალეთის სახელმწიფოების საერთო ნაბიჯებმა გასაქანი არ მისცა ამ შეთანხმების რეალიზაციას.

პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის სახელმწიფოს მარცხმა, უარყოფითი გავლენა მოახდინა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობაზე. მუდროსის ხელშეკრულების მიხედვით, ოსმალეთის ჯარს ბაქო და აზერბაიჯანი მოკლე დროში უნდა დაეტოვებინა, სამაგიეროდ ოკუპირებული უნდა ყოფილიყო ანტანტას ჯარის მხრიდან. **1918 წლის 17 ნოემბერს**, ინგლისური ჯარი გენერალ ტომსონის მეთაურობით ბაქოში შემოვიდა. ასეთ რთულ პირობებში მთავრობა დასავლეთისაკენ მიდრეკილი პოლიტიკური ხაზის გატარება დაიწყო.

გენერალ ტომსონმა თავდაპირველად განაცხადა, რომ არ აღიარებდა რესპუბლიკას. მაგრამ პარლამენტისა და მესამე მთავრობის დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე ორგანიზების დამნახველმა თავისი პოზიცია შეიცვალა, რომლის შედეგად ინგლისელმა ხელმძღვანელობამ რესპუბლიკის მთავრობა აზერბაიჯანში ერთადერთ უფლებამოსილ ხელისუფლებად ცნო. 1919 წლის ზაფხულში, ინგლისურმა ჯარმა აზერბაიჯანის დატოვებისას კასპიის სამხედრო ფლოტის რამოდენიმე გემი ეროვნულ მთავრობას გადსცა.

როგორ აფასებთ, 1918 წლის ბოლოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის მიმართულების შეცვლას? იმსჯელეთ.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა, საქართველოს რესპუბლიკასთან ნორმალური მეზობლური ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა, გარდა ამისა, ის, აზერბაიჯანელი ხალხით დასახლებული ბორჩალის მაზრასთან დაკავშირებული ტერიტორიული დავის რეგულირებისათვის, მთელ ძალისხმევას იყენებდა. მაგრამ მეფის გენერლის, დენიკინის არმიის სამხრეთ კავკასიისაკენ დაძრამ საქართველოსთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხად აქცია. **1919 წლის 16 ივნისს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დაიდო შეთანხმება, სამხედრო დაცვის შესახებ.** მხარეებს სამხედრო ჩარევების შემთხვევაში, ერთმანეთისათვის

ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოეჩინათ. დენიკინთან ფარულ კავშირში მყოფი სომხეთის, ამ კავშირში მოწვევა შეუძლებელი აღმოჩნდა. შეიქმნა, სამხედრო საბჭო შეთანხმების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების დადების შემდეგ საქართველომ, აზერბაიჯანს უამრავი სამხედრო ტექნიკა და იარაღ-აღჭურვილობა, ხოლო აზერბაიჯანმა საქართველოს ნავთი და ნავთობპროდუქტები გაუგზავნა.

ეროვნულ მთავრობას, ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ **მთიან რესპუბლიკასთან** მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული. მასთან რამოდენიმე ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული. ამ რესპუბლიკაში გაგზავნილი იყო დიდი მოცულობის ფინანსური საშუალება, საწვავი, სამედიცინო აღჭურვილობა და სხვ.

მამადბეგ სულკევიჩი

საამხედრო საბჭოში ყოველი რესპუბლიკიდან უმაღლესი წოდების ორი წარმომადგენელი შედიოდა. საბჭოში აზერბაიჯანს ა. შიხლინსკი და მ. სულკევიჩი წარმოადგენდა. მ. სულკევიჩი წარმოშობით პოლონელ-ლიტველ თათართაგანი იყო. გენერალ-ლეიტენანტი მ. სულკევიჩი ადრ-ის არმიის გენერალური შტაბის უფროსი იყო. აპრილის შემოსევების შემდეგ ბოლშევიკების მხრიდან დახვრეტილი იქნა. მისი ბოლო სიტყვები ეს გახდა: ''ბედნიერი ვარ, რომ მუსლიმანური არმიის ოფიცრად კვდები''.

ადრ-ის არსებობის პერიოდში, **საბჭოთა რუსეთთან** ნორმალური ურთიერთობის დამყარება შეუძლებელი აღმოჩნდა. იმიტომ რომ, საბჭოთა რუსეთი სრულიად უარყოფდა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარებას. უფრო მეტიც, ყოფილი რუსეთის იმპერიის აღდგენას ცდილობდა. რუსეთმა 1920 წლის იანვრის თვეში აზერბაიჯანის რესპუბლიკას ორი ნოტა[1] გამოუგზავნა. აზერბაიჯანისაგან, დენიკინის წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთთან ერთად ბრძოლა მოითხოვებოდა. რუსეთის ძირითადი მიზანი აზერბაიჯანის დენიკინთან დაჯახებით მისი განადგურება იყო. ასრ-ის ხელმძღვანელობამ უარყო ეს მოთხოვნა, ამასთან განაცხადა საბჭოთა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისა და ეკონომიკური თანამშრომლობისათვის მზადყოფნის შესახებ. მიუხედავად ამისა, მოპირდაპირე მხარემ აზერბაიჯანის წინააღმდეგ ძალადობრივი პოლიტიკა ააძლიერა.

მიუხედავად იმისა, რომ მეზობელ **ყაჯართა სახელმწიფოსთან** ურთიერთობები თავდაპირველად დაძაბული იყო, შემდგომ პერიოდში მასთან ნორმალური ურთიერთობები დამყარდა. **1920 წლის 21 მარტს ადრ-სა** და ყაჯართა რესპუბლიკას შორის **მეგობრობის ხელშეკრულება** დაიდო. ყაჯართა მთავრობამ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა დე-იურედ[2] აღიარა. თეირანში აზერბაიჯანის საელჩომ, ხოლო თებრიზში კი გენერალურმა საკონსულომ მოქმედება დაიწყო.

ადრ-ის აღიარება დიდი სახელმწიფოების მხრიდან. რესპუბლიკის მთავრობამ, პარიზის მშვიდობის კონფერენციაზე, რომელმაც 1919 წელს მუშაობა დაიწყო, თავისი წარმომადგენელი დელეგაცია გააგზავნა. წარმომადგენელ დელეგაციას **ა. თოფჩუბაშოვი** ხელმძღვანელობდა. ძირითადი მიზანი დიდი სახელმწიფოების (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი და იტალია) მხრიდან აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღიარების მოპოვება იყო.

პარიზში სომხები, აზერბაიჯანისა და ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ფართო პროპაგანდულ კამპანიებს აწყობდნენ. აშშ-ს პრეზიდენტ ვ. ვილსონისათვის მრავალი ყალბი ცნობები მიეწვდინებინათ. სომხეთის მთავრობას, აშშ-ს საშუალებით აზერბაიჯანის წინააღმდეგ ტერიტორიული პრეტენზიების განხორციელება სურდა. 1919 წელს ნახჩივანში აშშ-ს საგენერალ-გუბერნატოროს შექმნის გეგმა, ამას ემსახურებოდა. მაგრამ ადრ-ს მთავრობის მტკიცე პოზიციამ და ნახჩივანის მოსახლეობის სეროიზულმა წინააღმდეგობამ ამ გეგმის განხორციელებას გასაქანი არ მისცა.

[1] **ნოტა**- ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოსათვის, ოფიციალური წერილობითი დიპლომატიური მიმართვა.

[2] **დე-იურე** - სამართლიანს ნიშნავს.


ქუთაისი
გორი
მთიანი რესპუბლიკა
დარუბანდი
ტფილისი
საქართველო
ახალქალაქი
ერდეპანი
სომხეთი
ყარსი
ორმეანი
ბაქო
ბაკინსკ ტბა
ბაკინსკ ტბა
ბაქო
ბუეკ ყუდი
ოღდინი
თურქეთი
ბაშ ნორაშენი
ნახჩევანი
ყაჯარების სახელმწიფო
ხოი
მარანდი
ერდებილი
ასტარა
ლენქორანი
ბაკინსკ
ბაკინსკ
ბაკინსკ

კითხვები და დავალებები:

1. *განსაზღვრეთ ადრ-ის წინაშე მდგარი ძირითადი საგარეო პოლიტიკური მოვალეობები.*
2. *განმარტეთ ინგლისის სამხედრო მეთაურობის, აზერბაიჯანის მთავრობასთან ოფიციალური ურთიერთობის დამყარების მიზეზები.*
3. *რა აუცილებლობამ გამოიწვია საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობა?*
4. *რაში გამოიხატებოდა საბჭოთა რუსეთის ადრ-თან მჭვეთრი ურთიერთობა?*
5. *რა აუცილებლობას წარმოადგენდა დიდი სახელმწიფოების მხრიდან ადრ-ის აღიარება?*
6. *განმარტეთ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დე-ფაქტოდ აღიარების ნამდვილი მიზეზი.*

28. ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლები სამხრეთ აზერბაიჯანში

თქვენ უკვე გაეცანით XX საუკუნის დასაწყისში სამხრეთ აზერბაიჯანის მოსახლეობის მძიმე სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას. როგორ დაიწყო გაჭირვებული ცხოვრების მქონე აზერბაიჯანელების განმათავისუფლებელი ბრძოლა? როგორი სახელმწიფოს შექმნა სურდათ მათ? როგორ დამთავრდა განმათავისუფლებელი ბრძოლა?

შეიხ მაჰამმად ხიაბანი

შეიხ მაჰამმად ხიაბანი ამბობდა: "თუ შიში ძირს უთხრის ერს, თავისუფლებასა და კაცობრიობას, სიშიცე კი პირიქით, ამ საძირკველს შეურყეველს ხდის, იცავს და აძლიერებს. ხალხის უფლებების მომთვისებელი ადამიანების პატიება, საზოგადო ღალატია. ჩვენ გვსურს აზერბაიჯანელი ხალხის ბედნიერება, ასევე ირანის სიღარიბისა და უბედურებისაგან გადარჩენა".

1917 წელს თებრიზში მომხდარმა სახალხო გამოსვლებმა, ბიძგი მისცა სამხრეთ აზერბაიჯანში ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას. მოძრაობა შაჰის რეჟიმისა და უცხოური დაპყრობების წინააღმდეგ იყო მიმართული. პროტესტული გამოსვლები **აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიის (ადპ)** მხრიდან იმართებოდა. პარტიას სათთარხანთან საერთო ბრძოლაში განმტკიცებული **შეიხ მაჰამმად ხიაბანი** მეთაურობდა. მოძრაობაში მუშები, გლეხები, სწავლულები და ეროვნული ბურჟუაზიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

1919 წელს ინგლისმა ყაჯართა სახელმწიფოსთან შეთანხმების დადებით, ქვეყანა ინგლისზე სრულ დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩააყენა. ყოველივე ეს, ხალხის მხრიდან დიდ უთანხმოებას წააწყდა. **1920 წლის 7 აპრილს,** თებრიზში ს.მ. ხიაბანის მეთაურობით აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებმა ყველა სახელმწიფო სამმართველო ხელში ჩაიგდეს. **თებრიზიდან გაყვანილი** იქნა დამპყრობელი ინგლისური ჯარი. წარმატებულმა თებრიზის აჯანყებამ, ადრ-სა და თურქეთში დიდი წინააღმდეგობები წარმოშვა. საბჭოთა რუსეთმა შ.მ. ხიაბანის იარაღ-აღჭურვილობა და ფინანსური დახმარება შესთავაზა. მისი მიზანი, ხიაბანის საშუალებით ინგლისელების ირანიდან გაძევება იყო. საბჭოთა რუსეთის „მეფის მთავრობის მოპირკეთებულ სახედ" მომხსენებელმა ხიაბანიმ კატეგორიულად უარყო შემოთავაზება დახმარების შესახებ. მხოლოდ თავისი ხალხის ძალაზე დაყრდნობილმა ხიაბანიმ, ანადოლუში დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის ლიდერის, მუსტაფა ქამალის დახმარებაც კი არ მიიღო.

როგორ ფიქრობთ, წარმოადგენდა თუ არა შ.მ. ხიაბანის მიერ, მისთვის შემოთავაზებულ დახმარებებზე უარის თქმა, სწორ ნაბიჯს? განიხილეთ.

მოძრაობა ხიაბანის მეთაურობით სრული ეროვნული თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის ხასიათს ატარებდა. თეირანის მთავრობა, **ირანის რესპუბლიკად გამოცხადებასა და სამხრეთ აზერბაიჯანისათვის ავტონომიის მინიჭებას მოითხოვდა.**

1920 წლის 23 ივნისს ეროვნული მთავრობა შეიქმნა. ეროვნულმა მთავრობამ ხიაბანის მეთაურობით, სრული ავტონომიური ორგანოს სახით დაიწყო მოღვაწეობა. ეროვნულმა მთავრობამ, სამხრეთ აზერბაიჯანში გარკვეული რიგის მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, სახელმწიფოს კუთვნილი მიწების გლეხებისათვის გადაცემის შესახებ. თებრიზში ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახის ბავშვებიც სკოლაში იქნა გაწვეული. რამოდენიმე სკოლაში, გაიხსნა კლასები გოგონებისათვის. სკოლებმა გაკვეთილების მშობლიურ თურქულ ენაზე ჩატარება დაიწყო. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, თებრიზში ხალიჩის ფაბრიკის აშენების შესახებ. ეროვნულმა მთავრობამ, ქალაქ თებრიზის მოსახლეობისაგან, ჟანდარმერიისა და პოლიციის ახალი რაზმების ორგანიზება მოახდინა. შეიქმნა ეროვნული გვარდია.

შეიხ მაჰამმად ხიაბანი დიდი იმედებით ცხოვრობდა. მისი უკანასკნელი მიზანი, ჩვენი ხალხის დამოუკიდებლობის მოპოვება იყო. შ.მ. ხიაბანიმ, შექმნილ ახალ სახელმწიფოს „აზადისტანი“ (თავისუფალი ქვეყანა) უწოდა. მისი „აზერბაიჯანის“ სახელსა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანთან ფრთხილი დამოკიდებულების მიზეზი, ადრ-ის მთავრობის ინგლისელებთან ახლო თანამშრომლობა იყო. აპრილის შემოჭრის შედეგად შექმნილი საბჭოთა აზერბაიჯანი კი, რუსეთთან სრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ბოლშევიკური რუსეთის მიერ, საბჭოთა აზერბაიჯანის საშუალებით ჩვენი სამხრეთი მიწების ხელში ჩაგდების განზრახვაც მისთვის ნათელი იყო.

თქვენი აზრით, რატომ გახდა შეუძლებელი შ.მ. ხიაბანის ადრ-სთან ახლო ურთიერთობის დამყარება? გამოთქვით თქვენი აზრი.

ძალიან საინტერესოა, რომ თებრიზში ხიაბანის შემხვედრი ჯალილ მამმადგულუზადე, ჟურნალ „მოლლა ნასრადდინში“ ეროვნულ მთავრობას „აზერბაიჯანის რესპუბლიკას“ უწოდებდა.

ჩრდილოეთ აზერბაიჯანში, 1920 წლის ზაფხულში საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მომხდარი აჯანყებები სისხლში იქნა ჩახშობილი. ყოველივე ამან ხიაბანის, დაპყრობილი ჩრდილოეთ აზერბაიჯანის გათავისუფლების იმედები გაუცრუა. მან ბოლშევიკური ჩაგვრის გამო, სამხრეთისაკენ გადახვეწილი აზერბაიჯანელები დაუყოვნებლივ შეიფარა. მათ შორის განჯასა და ყარაბაღის აჯანყებებში მონაწილე უამრავი ჩვენი სამხედროც იმყოფებოდა.

ყაჯართა სახელმწიფომ, ამ მოძრაობის სახით ქვეყნის დემოკრატიის მოსაპოვებლად საუკეთესო ძალა მოიპოვა. მაგრამ ინგლისთან სრულ დამოკიდებულებაში მყოფ მთავრობამ, ამ შესაძლებლობით ვერ ისარგებლა. ყაჯართა მთავრობამ, მთლიანი ანტირევოლუციური ძალების მობილიზება მოახდინა. ინგლისის წარმომადგენლებთან ერთად მომზადდა საერთო შეტევითი მოქმედებები. შაჰისა და კაზაკთა რაზმები, რუსი მეთაურობის წინამძღოლობით თებრიზისაკენ დაიძრნენ. ეროვნული მთავრობის დამცველები გმირულად იბრძოდნენ. **1920 წლის 14 სექტემბერს** ჩახშობილი იქნა განმათავისუფლებელი მოძრაობა. ერონული მთავრობა დაიშალა. შეიხ მაჰამმად ხიაბანიმ ბოლომდე გმირულად იბრძოლა და სამშობლოს თავი შესწირა. ყაჯართა მთავრობის წინადადებაზე, რომ დანებების შემთხვევაში პატიებული იქნებოდა, ამ გმირი თურქის პასუხი ასეთი იყო: „მე სიკვდილს ვანიჭებ უპირატესობას და მტრის წინაშე არ დავიჩოქები. მე კონსტიტუციური ეპოქის შვილი და არაბების წინაშე თავმოუხრელი ბაბექ ხურამანის შთამომავალი ვარ“. ასე რომ, ეროვნულმა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ მარცხი განიცადა. სამხრეთ აზერბაიჯანის თურქები პირველად იყო, რომ ავტონომიის მოპოვებისათვის იბრძოდნენ.

კითხვები და დავალებები:

1. *გაანალიზეთ მოძრაობაში ყველა ფენის მონაწილეობის მიზეზები.*
2. *რა იყო საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის მხრიდან შ.მ. ხიაბანისათვის დახმარების შეთავაზების მიზეზები?*
3. *განმარტეთ, ეროვნული მთავრობის მიერ ცხოვრებაში გატარებული სოციალური და კულტურული რეფორმები.*
4. *შეადარეთ ერთმანეთს შ.მ. ხიაბანისა და სათთარხანის რევოლუციური მოღვაწეობა.*
5. *შეადგინეთ დროის ისარი, თემაში მოცემული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.*

თავი V. აზერბაიჯანი 1920–1930–იან წლებში

29. საბჭოთა რეჟიმის დამყარება

აზერბაიჯანში დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობა საბჭოთა რუსეთის დიდ შეშფოთებას იწვევდა. რსფსრ-ის მთავრობის მხრიდან აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის აუღიარებლობა და მუქარით სავსე ნოტების გამოგზავნა, მის მტრულ განწყობაზე მეტყველებდა. რა მოხდა 1920 წლის ზაფხულში? როგორ ისარგებლა რუსეთმა აზერბაიჯანში მყოფი სომხების დახმარებით? რა ბედი ეწია ბოლოს აზერბაიჯანელ ხალხს?

საბჭოთა რუსეთის სამხედრო ჩარევა. საბჭოთა რუსეთი 1920 წლის პირველ თვეებში, რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო ჩარევის გეგმებს ამზადებდა. პირველ რიგში აზერბაიჯანის შიგნით, რუსეთის მომხრე და მოღალატე ძალები ერთ ცენტრში იქნენ გაერთიანებულნი. მოსკოვის პირდაპირი დავალებით, შეიქმნა **აზერბაიჯანის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტია (აკ(ბ)პ)**. მისი ხელით, ჩვენი ქვეყნის შიგნით მომზადებული იქნა გადატრიალება. საბჭოთა რუსეთის ძირითადი მიზანი, ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდებით არ შემოიფარგლებოდა. მას ჯერ მთლიანი აზერბაიჯანის, შემდეგ კი, საქართველოსა და სომხეთის დაპყრობა სურდა. 1920 წლის აპრილის თვეში, აზერბაიჯანის ჩრდილოეთში უამრავი **საბრძოლო ტექნიკა და 130 ათასამდე ძალა** იქნა მობილიზებული. ავიაცია, ჯავშნიანი მატარებლები და კასპიის ზღვაში მყოფი სამხედრო გემებიც საბრძოლო მზადყოფნაში იქნა მოყვანილი. იმ დროს, აზერბაიჯანის ეროვნული არმიის, ყარაბაღში სომეხ აჯანყებულებისა და ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილი სომეხი სამხედრო ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართვამ, ჩვენი საზღვრები ჩრდილოეთით დაუცველად დატოვა, რომლითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა რუსეთმა და XI წითელმა არმიამ **26 აპრილს** აზერბაიჯანის საზღვრები გადმოლახა. ერთი დღის შემდეგ რუსულმა არმიამ ბაქოს ახლო-მახლო-ბილაჯარის სადგურს მოაღწია. დამპყრობელ არმიაზე დაყრდნობილმა აკ(ბ)პ-ის ხელმძღვანელობამ, რესპუბლიკის პარლამენტს ულტიმატუმი წაუყენა. ულტიმატუმით, ხელისუფლების „აზერბაიჯანის მუშა-გლეხთა მთავრობისათვის“ დაუყოვნებლივი გადაცემა მოითხოვებოდა. რუსული არმიის ზეწოლის ქვეშ, პარლამენტმა 27 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება ხელისუფლების, გარკვეული პირობებით აზერბაიჯანის მუსლიმანი კომუნისტებისათვის გადაცემის შესახებ. ამ პირობების მიხედვით, უნდა დაცული და შენარჩუნებული ყოფილიყო აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა, აზერბაიჯანელი კომუნისტების მიერ შექმნილი მთავრობა დროებითი უნდა ყოფილიყო, ხოლო XI წითელი არმია ბაქოში არ უნდა შემოსულიყო. ამ პირობების არც ერთი არ შესრულებულა. რუსმა სამხედროებმა დაიპყრეს ქალაქი. აზერბაიჯანის

ჰაბიბ ბეგ სალიმოვი

ასგარანის ყალა

რუსეთის მხრიდან აზერბაიჯანის დაპყრობის გაიოლების მიზნით ორგანიზებული იქნა სომეხთა აჯანყება მთიან ყარაბაღში. სომხებმა ნოვრუზობის დღესასწაულის დროს, დაუყოვნებლივ შეუტიეს ხანქენდის გარნიზონს. ამას მოჰყვა მათ მიერ ასგარანის ყალას ხელში ჩაგდება. სამხედრო სამინისტროს მიერ გატარებული სასწრაფო ღონისძიებების შედეგად, სომხური სამხედრო ნაწილები ხანქენდიდან გაძევებულნი იქნენ. ყარაბაღში სომხური აჯანყების ჩასახჩობად, აზერბაიჯანის მთავრობამ, არმიის დიდი ნაწილი გენერალი ჰაბიბ ბეგ სალიმოვის მეთაურობით ყარაბაღში გაგზავნა. მოკლე დროში გათავისუფლებული იქნა ასგარანის ყალა და ჩახშობილი იქნა აჯანყება. რუსეთი, ყარაბაღის მოვლენების ორგანიზებით ჩრდილოეთ საზღვრებზე არსებული საფრთხიდან აზერბაიჯანის ყურადღების გაფანტვას ცდილობდა. ასეც მოხდა, აზერბაიჯანის მთავრობამ ბაქოსა და ჩრდილოეთ მხარეში მყოფი ჯარის ყარაბაღში გაგზავნით, ჩრდილოეთიდან აზერბაიჯანში შემომავალი გზა დაუცველი დატოვა.

M *განსაზღვრეთ საბჭოთა რუსეთისა და მეფის რუსეთის მხრიდან საშრეთ კავკასიაში გატარებული პოლიტიკის მსგავსებები.*

დემოკრატიული რესპუბლიკა დაემხო. რამოდენიმე დღის განმავლობაში დაპყრობილი იქნა მთლიანი აზერბაიჯანი.

აზერბაიჯანის სსრ-ის შექმნა. **1920 წლის 28 აპრილს გაკეთდა განცხადება აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (აზ. სსრ)** შექმნის შესახებ. შეიქმნა **აზერბაიჯანის დროებითი რევოლუციური** კომიტეტი, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. ამ კომიტეტის მიერ ჩამოყალიბებული ახალი მთავრობა, **აზერბაიჯანის სსრ-ის სახალხო**

XI წითელი არმია ბაქოში

შეავროვეთ ცნობები XI წითელი არმიის მიერ, აზერბაიჯანში ჩადენილი ძალადობრივი აქტების შესახებ.

აზერბაიჯანის მიწები, გადაცემული სომხეთისა და საქართველოსათვის
ტიფლისი
ბაქო
ბაქოს შუბერნია
ბაქოს მაზრა
ბაქოს ზღვა
ბელექანი
ზაქათალა
ზაქათალის შუბერნია
ზაქათალის მაზრა
ნუხა
ნუხის მაზრა
ალიაბადის მაზრა
ალდაში
ალიაბადის
ალტაფა
ყაზახი
ყაზახის მაზრა
ბორჩალოს
ბორჩალოს მაზრა
ბორჩალოს ტბა
ბორჩალოს
ბორჩალოს
ბორჩალოს

ხელთ იგდეს ამ არმიის იარაღი და სამოსი. ოფიცრები და გენერლები გადაყენებულნი იქნენ თანამდებობიდან. უმეტესი მათგანი დაპატიმრებულნი და დახვრეტილნი იქნენ.

მთლიანი ჩვენი მიწისქვეშა და მიწისზედა სიმდიდრე, გაეროვნულების მიზეზით ჩამორთმეული

ნარიმან ნარიმანოვი

ნ. ნარიმანოვმა, მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო XI წითელი არმიის ველურობის აღკვეთა. უამრავი კეთილსინდისიერი აზერბაიჯანელი გადაარჩინა. ჰ.ზ. თაღიევის სახელი, დახვრეტა მისჯილთა სიიდან ამოიღო. მან, უზრუნველყო პენსიის დანიშვნა ჰ.ზ. თაღიევისათვის, რომლის მთლიანი ქონება ვაეროვნულებული და კონფისკაციას დაქვემდებარებული იყო. ასევე მას დაუბრუნა მარდაქანში მყოფი მისი ავარაკი.

მათი უკანასკნელი შეხვედრა 1924 წლის მაისის თვეში შედგა. მოსკოვიდან ბაქოში სტუმრად ჩამოსული ნ. ნარიმანოვი, ერთ დღეს თურმე მარდაქანში მივიდა და ჰაჯის მიაკითხა. ჰ.ზ. თაღიევი იმავე წელს ვარდაიცვალა.

მრა იყო განსხვავებული მრწამსის ორი აზერბაიჯანელის დამაახლოებელი ფაქტორი? იმსჯელეთ.

იქნა მისი ნამდვილი მესაკუთრეებისაგან. ***კასპიის საკაჭრო ფლოტი, ბანკები, ქარხნები და ფაბრიკები სახელმწიფო საკუთრებად გადაიქცა***. აზერბაიჯანელი მეწარმეები „მუშათა კლასის მტრებად“ იქნენ გამოცხადებულნი. ბურჟუაზიის წარმომადგენლები: მილიონერები, ვაჭრები და მიწათმფლობელები დევნილნი და გაძარცვულნი იქნენ ახალი მთავრობის მიერ. მათი ქონება, ფაბრიკები, ქარხნები, გემები, მიწები, სახლის მოწყობილობები, სამკაულები და სხვა პირადი ნივთები კონფისკაციას დაექვემდებარა. მოსახლეობის „ხალხის მტრად“ გამოცხადებული მდიდარი ფენა, მთლიანად გაკოტრდა, გარკვეული მათგანი კი ფიზიკურად განადგურებული იქნა.

1920 წლის 12 მაისის დეკრეტით გაუქმებული იქნა ყველა კლასი და ეროვნული წოდება. ყველა მაცხოვრებელი აზერბაიჯანის სსრ-ის მოქალაქედ ჩაითვალა. მაგრამ „წითელი ტერორის“ პირობებში მოქალაქეობრივ უფლებებსა და ამ უფლებების დაცვაზე საუბარიც კი არ ღირდა.

საბჭოთა რუსეთის განსაკუთრებულ ინტერესში მყოფი **ნავთობის მრეწველობა, 1920 წლის 24 მაისს** გაეროვნულებული იქნა. ნავთობისა და ნავთობ პროდუქტების გაყიდვა სახელმწიფოს მონოპოლიაში მოექცა. ამ სფეროს ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიზნით **აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტი (აზნავთი)** შეიქმნა. კომიტეტი არა აზერბაიჯანის მთავრობას, არამედ პირდაპირ მოსკოვს ემორჩილებოდა. ვ.ლენინის მხრიდან კომიტეტის თავმჯდომარედ **ა. სერებროვ-სკი** იქნა დანიშნული. ერთი წლის განმავლობაში ბაქოში წარმოებული მთლიანი ნავთობის 90 პროცენტი რუსეთში იქნა გადაზიდული. აზერბაიჯანის მოთხოვნილებისათვის მცირე მოცულობითი ნავთობის გამოყოფის ნორმასაც, საბჭოთა რუსეთი განსაზღვრავდა.

აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობამ, რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საბაბით აკრძალა ყველა სარწმუნოებრივი ზეიმების შესრულება. ყოველივე ამით, უხეშად დაირღვა აზერბაიჯანის მოქალაქეთა სარწმუნოებრივი თავისუფლება. **1921 წელს მიღებული იქნა აზერბაიჯანის სსრ-ის პირველი კონსტიტუცია.** ამის შედეგად დაკანონებული იქნა აზერბაიჯანში ბოლშევიკური, სინამდვილეში, რუსეთის ხელში სათამაშოდ გადაქცეული ხელისუფლების ორგანოების მოქმედება.

კითხვები და დავალებები:

1. *განმარტეთ საბჭოთა რუსეთის საშრეთ კავკასიასთან დაკავშირებული გეგმები.*
2. *რა იყო სახალხო კომისართა საბჭოზე მაღალი უფლებამოსილების მქონე, აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტის შექმნის მიზეზი?*
3. *შეაფასეთ ნ. ნარიმანოვის მოღვაწეობა, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების შექმნის დროს.*
4. *რომელ კლასსა და ფენას ეპყრობოდა მტრულად საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც თავს მუშათა და გლეხთა მთავრობას უწოდებდა?*
5. *გამოთქვით თქვენი აზრი, აზერბაიჯანის სსრ-ში მოსახლეობის სინდისის თავისუფლების შესახებ.*
6. *დაასაბუთეთ, რომ აზერბაიჯანის სსრ-ში გაეროვნულების პოლიტიკა ძარცვითი ხასიათს ატარებდა.*
7. *როგორ განმარტებას ჰპოვებს აზერბაიჯანის მოქმედ კონსტიტუციაში, სინდისის თავისუფლება? გამოიკვლიეთ.*

30. სახალხო მოძრაობა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ

აზერბაიჯანის სსრ-ის შექმნამ მოსახლეობის ყველა ფენის ცხოვრება შეცვალა. ახალი წყობა მუშებსა და გლეხებს „ბედნიერებას“ ჰპირდებოდა. მაშინ, რა მოელოდათ სხვა ფენებს? რა ბედი ეწიათ რესპუბლიკის ლიდერებს, სწავლულებსა და ყოფილ მოხელეებს? როგორ აწარმოებდა ბრძოლას ჩვენი ხალხი, უსამართლობისა და წითელი ტერორის წინააღმდეგ?

მოძრაობის მიზეზები. აპრილის დაპყრობის შემდეგ, ბოლშევიკებმა აზერბაიჯანის სსრ-ში სრული ოკუპაციის რეჟიმი დაამყარეს. ბოლშევიკები თავიანთი პოლიტიკური მეტოქეების გარდა, სამხედროებს, სწავლულებსა და რელიგიურ მსახურებსაც უმოწყალოდ ემტერებოდნენ. **1920 წლის აპრილიდან 1921 წლის აგვისტომდე, საბჭოთა სადამსჯელო ორგანოებმა 48 ათასი პირი ამოხოცა**. მათ უმრავლესობას სწავლულები და სამხედრო კადრები წარმოადგენდა. ეროვნული მთავრობის პრემიერ მინისტრი, ნასიბ ბეგ იუსიფბაილი მოკლული იქნა ქურდამირში. ეროვნული მთავრობის პირველი პრემიერ მინისტრი, ფათალი ხან ხოისკი და რესპუბლიკის პარლამენტის ვიცე-სპიკერი ჰასან ბეგ აღაევი, სომეხი ტერორისტების მხრიდან თბილისში იქნენ მოკლულნი. XI წითელი არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები, აზერბაიჯანელი მოსახლეობის სახლებში იჭრებოდნენ, სადაც სურვილისამებრ მოქმედებდნენ, აპატიმრებდნენ და ხვრეტდნენ ადამიანებს. სამკაულებით, ხალიჩებით, ძვირფასი ჭურჭლებითა და ავეჯით დატვირთული მატარებლები და გემები, საბჭოთა რუსეთში მიიგზავნებოდა. ბოლშევიკების მიერ, ბაქოსა და მთლიანად აზერბაიჯანში ჩადენილი გაწყვეტები და ძარცვები, 1918 წლის მარტის მოვლენების გამეორებას ჰგავდა. ბაქოში ჩადენილი ტერორისტული და ძარცვითი მოქმედებები, მაზრაში კიდევ უფრო მძიმე ფორმით ჰპოვებდა ადგილს. 1920 წლის 29 მაისს, შუშას მაზრაში ბოლშევიკებთან შეთანხმებულმა

შუშა სომეხთა ძარცვის შემდეგ. 1920 წელი

სომხებმა 30 აზერბაიჯანული სოფელი გადაწვეს. ამ დროს უამრავი ქალი და ბავშვი იქნა მოკლული. აზერბაიჯანის მოსახლეობის შიგნით საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტის დაცემის მაუწყებელი, ნ. ნარიმანოვის მიერ მოსკოვში გაგზავნილი განგაშით სავსე წერილები ყურადღების გარეშე რჩებოდა. იმიტომ რომ, ცენტრმა კარგად იცოდა, რაც აზერბაიჯანში ხდებოდა. ყოველივე ეს, უმოკლეს დროში საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყების მიზეზი გახდა.

სანამ ფ. ხოისკი და მისი თანამებრძოლები ცოცხალი იყვნენ, სანამ რესპუბლიკის სახედ რიცხული ფათალი ხანი ცოცხლობდა, აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის დაცემულობის აზრის მქონეთა რიცხვი ძალიან ცოტა იყო...

დაშნაკსუთიანის პარტიის IX ყრილობაზე წამოწყებულმა ნემეზის სახელწოდების თურქი და აზერბაიჯანელი დიპლომატებისა და პოლიტიკური მოღვაწეების მოსპობის ოპერაციამ, 1920 წლის 19 ივნისს პირველი ცეცხლი გახსნა. ფ. ხოისკის, თავისი მრწამსის მოზიარე ხალილ ბეგ ხასმამადოვთან ერთად თბილისში, ერევნის მოედანზე გავლისას სომეხმა ტერორისტებმა მკვლელობის გეგმა განახორციელეს.

შეავროვეთ ცნობები მ.ა. რასულზადასა და რესპუბლიკის სხვა ლიდერთა შემდგომი ბედის შესახებ.

კიდევ რა იცით ბოლშევიკ-დაშნაკური ძალების მხრიდან აზერბაიჯანელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეების წინააღმდეგ ჩადენილი ტერორისტული აქტების შესახებ?

აჯანყებები საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. საბჭოთა დაპყრობითი რეჟიმის წინააღმდეგ პირველი და ყველაზე დიდი აჯანყება **განჯაში** მოხდა. ბოლშევიკებს განჯაში მყოფი ეროვნული არმიის ნაწილების გაუქმება სურდათ. ჩვენი ჯარის განიარაღების შესახებ გადაწყვეტილებას, განჯაში დიდი უთანხმოებით შეხვდნენ. **1920 წლის 25 მაისს** აჯანყება დაიწყო. აჯანყებაში ეროვნული არმიის ნაწილებთან ერთად, ქალაქ განჯას ათი ათასზე მეტი მაცხოვრებელიც მონაწილეობდა. აჯანყების მართვის მიზნით სამხედრო საბჭო შეიქმნა. საბჭოში ეროვნული არმიის გენერლები, **ჯავად ბეგ შიხლინსკი, მაჰამმად მირზა ყაჯარი** და სხვები შედიოდნენ. აჯანყებულებმა პირველი შეტევით ხელში ჩაიგდეს რკინიგზის სადგური. ქალაქ განჯას დიდი ნაწილი ერთი კვირის განმავლობაში აჯანყებულთა კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. XI წითელი არმიის ხელმძღვანელობამ აჯანყების ჩახშობის მიზნით, სხვა მხარეებიდან დიდი საჯარისო გაერთიანებები განჯას გარშემო მოკრიბა. მტერმა 31 მაისს, მძიმე ზარბაზნებისა და დაჯავშნული მატარებლების გამოყენებით განჯაზე შეტევა დაიწყო. ქალაქის გმირმა დამცველებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსულ არმიას. მტერმა ასობითი ცოცხალი ძალა დაკარგა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ეროვნული არმიის მრავალი უმაღლესი კლასის ოფიცერი, მათ შორის 12 გენერალიც იქნა დაპატიმრებული. ისინი მიყვანილნი და დახვრეტილნი იქნენ ნარგინის კუნძულზე. ქალაქ განჯა სამი დღის განმავლობაში გაძარცვული იქნა რუსი ჯარისკაცებისა და მათი მოკავშირე სომხების მიერ. მოკლული იქნა ცამეტი ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები.

განჯას აჯანყებამ ძლიერ შიშში ჩააგდო საბჭოთა რუსეთი. აზერბაიჯანში უამრავი დამატებითი ძალები იქნა გამოგზავნილი.

საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მეორე დიდი აჯანყება, **1920 წლის 29 მაისს ყარაბაღში** დაიწყო. XI წითელი არმიის მიერ ინტერვენციის დროს, ეროვნული არმიის ქვეითი და ცხენოსანთა პოლკები განაგრძობდნენ ამ მხარის თავისი კონტროლის ქვეშ შენარჩუნებას. საბჭოთა მთავრობამ ეროვნული არმიის ნაწილების განიარაღების მიზნით, ყარაბაღში ორი დივიზია გააგზავნა. აზერბაიჯანის ჯარისკაცებმა 5 ივნისს, თერთერში, აღდამსა და შუშაში შეტევებით დიდი დარტყმა მიაყენეს მტერს, აჯანყებას ნურუ ფაშა მეთაურობდა.

ყარაბაღში საბჭოთა ხელისუფლება დაეცა, ნურუ ფაშა ყარაბაღის ბრძანებლად გამოცხადდა, მაგრამ დამატებითი ძალების ხარჯზე XI წითელმა არმიამ 13 ივნისს შეძლო აჯანყების ჩახშობა. სომხების აქტიური მონაწილეობით დაიწყო რეპრესიები აზერბაიჯანელი მოსახლეობის წინააღმდეგ. ეროვნული არმიის ცოცხლად დარჩენილი ნაწილები სამხრეთ აზერბაიჯანსა და თურქეთში გადავიდნენ.

განჯას აჯანყების გეგმა

წითელმა არმიამ განჯის ბრძოლებში 900-ზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა. 6 ათასზე მეტი წითელი არმიის ჯარისკაცი კი დაიჭრა.

1920 წლის 6 ივნისს ზაქათალაში აჯანყება დაიწყო. აჯანყებულთა ძირითად ნაწილს გლეხები წარმოადგენდნენ. ეროვნული არმიის ცხენოსანთა პოლკიც შეუერთდა ბრძოლას წითელი არმიის წინააღმდეგ. აჯანყებას პროფესიონალი სამხედრო პირი აჰმადიევი და მხარის ავტორიტეტთაგანი ჰაფიზ აფენდი მეთაურობდნენ. აჯანყებულებმა ზაქათალა და კახი მტერთაგან გაათავისუფლეს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ დამატებითი ჯარის შემოყვანით შეძლო აჯანყების ჩახშობა. ცოცხლად დარჩენილმა აჯანყებულებმა თავშესაფარი საქართველოში ჰპოვეს. ამ ჩვენს მხარეშიც დაიწყო სისხლიანი რეპრესიები მოსახლეობის წინააღმდეგ.

შეადარეთ ერთმანეთს 1863 წელსა და 1920 წელს მომხდარი ზაქათლის აჯანყებები.

1920 წლის მაისსა და ივნისის თვეებში ნუხას მაზრის სოფელი გოინუქის შეუდგა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ. შეიარაღებული აჯანყების ცენტრი სოფელი მთავარი გოინუქი იყო. აჯანყება, რომელიც თვენახევარის განმავლობაში გრძელდებოდა, 15 ივნისს დილიდან საღამომდე დროის მომცველი გაცხარებული ბრძოლის შემდეგ სოფელ მთავარი გოინუქის ბოლშევიკური სამხედრო ძალების მიერ ხელში ჩაგდებით დამთავრდა. ბოლშევიკებმა სოფლის მამაკაცთა უმრავლესობა გაწყვიტეს. ამ დროს სომხების გადაწყვეტილებით მოკლული იქნა გამოჩენილი ხელოვანი, აშუღი მოლლა ჯუმა.

1920 წლის ზაფხულში, შამქორის მაზრაში მოხდა აჯანყება საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. მამაკაცებთან ერთად ქალები და ბავშვებიც რუსების წინააღმდეგ გმირულად იბრძოდნენ. ადრეულ პერიოდში მთავრობის ძალები უძლური აღმოჩნდნენ აჯანყებულთა წინაშე. ბოლშევიკური მთავრობა იძულებული გახდა XI წითელი არმიის ოთხი დივიზია მხარეში შემოეყვანა. მტერმა შამქორის აჯანყება დიდი სირთულით ჩაახშო.

1920 წლის შემოდგომაზე ლენქარანში დაიწყო აჯანყება დაპყრობითი რეჟიმის წინააღმდეგ. რუსულმა არმიამ აჯანყება დიდი სირთულით 1921 წლის დასაწყისში სისხლში ჩაახშო.

აზერბაიჯანის უმეტეს მხარეებში წინააღმდეგობრივი მოძრაობის გაფართოებამ ძლიერ დააფრთხო დამპყრობი რეჟიმი. XI წითელი არმიის მბრძანებლები იძულებულნი გახდნენ ეფიქრათ აბშერონისა და ნავთობის ბაქოს ზედამხედველობის ქვეშ შენახვაზე. ბაქოში და მის გარშემო თავდაცვისა და გამაგრების ზოლის შექმნა დაიწყო. საბჭოთა რუსეთმა „დამოუკიდებელ“ საბჭოთა აზერბაიჯანში, სასწრაფოდ დამატებითი შვიდი დივიზია შემოიყვანა.

კითხვები და დავალებები:

1. *განსაზღვრეთ ავანყეების მიზეზები საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.*
2. *რა იყო ბოლშევიკებისა და დაშნაკების შეთანხმებულობის მიზეზები?*
3. *შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი აზერბაიჯანში ანტისაბჭოური ავანყეების შესახებ.*
4. *გაანალიზეთ საბჭოთა ერთობის წინააღმდეგ მომხდარი ავანყეების მარცხის მიზეზები.*
5. *შეადგინეთ დროის ისარი თემაში მოცემული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.*

31. ფორმალური დამოუკიდებლობის გაუქმება

საბჭოთა წყაროებში აზერბაიჯანის სსრ-ის შექმნა შეფასებული იყო, როგორც აქ მომხდარი სოციალისტური რევოლუციის შედეგები. შესაძლებელი იყო თუ არა გარეშე ძალების მიერ შექმნილი რომელიმე სახელმწიფო დამოუკიდებელი ყოფილიყო? რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს დამოუკიდებლობა?

აზერბაიჯანის სსრ-ის ფორმალური დამოუკიდებელი მოღვაწეობა. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შექმნის დღიდანვე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოიხსენიებოდა, ფაქტიურად საბჭოთა რუსეთის ხელში სათამაშო ორგანოს წარმოადგენდა. იმიტომ რომ, აზერბაიჯანის სსრ-ის შემქმნელი აზერბაიჯანელი ხალხი არ იყო. ეს წარმონაქმნი ჩვენი ტერიტორიების დამპყრობელი საბჭოთა რუსეთის მიერ იყო ჩამოყალიბებული.

აზერბაიჯანის სსრ-ის პოლიტიკური ხელმძღვანელობა რუსი და ქართველი ბოლშევიკების, ბოლშევიკურად შენიღბული დაშნაკებისა და მათთან შეთანხმებული გარკვეული ჯგუფის აზერბაიჯანელი კომუნისტების ხელში იყო. ჩვენი ქვეყანა რუსეთის მიერ მოვლენილი განსაკუთრებული და საგანგებო უფლებამოსილების მქონე **ს. ორჯონიკიძის, ა. მიკოიანის, ს. კიროვის, სარკისის, ლ. მირზოიანისა და ვ. ბოლონსკის** მხრიდან იმართებოდა. მოსკოვი აზერბაიჯანს არა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, არამედ პროვინციად, ხოლო ბაქოს კი მისი საწვავის ბაზად თვლიდა. ყოველივე ამას სულაც არ მალავდა, პირიქით აშკარად იტყობინებოდა. ნ. ნარიმანოვის ხელმძღვანელობით მოქმედი ეროვნული მრწამსის კომუნისტური ჯგუფის, აზერბაიჯანის აღმოსავლეთის კარზე სანიმუშო და დამოუკიდებელ რესპუბლიკად გადაქცევის განზრახვა ფუჭი აღმოჩნდა.

შეადარეთ ერთმანეთს მეფისა და საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანში ვატარებული ეროვნული პოლიტიკა.

ბოლშევიკურ ქადაგებას კუთვნილი პლაკატი

საბჭოთა რუსეთი აზერბაიჯანში მასობრივი გარუსების პოლიტიკას ატარებდა. შეიძლება ითქვას, რომ ოფიციალური საქმის წარმოება დედა ენაზე არ მიმდინარეობდა. რუსული ენა სახელმწიფო ენის დონეზე იყო აყვანილი. ეროვნული კადრების სიმწირის მომიზეზებით, ხელმძღვანელ თანამდებობებზე არა აზერბაიჯანელები ინიშნებოდნენ. ბაქო „საერთაშორისო“ ქალაქად იყო გამოცხადებული. სპეციალობების მქონე მუშების ნაკლებობის მომიზეზებით რუსეთიდან და სხვა მხარეებიდან ბაქოში მრავალი სამუშაო ძალა მოჰყავდათ.

თქვენი აზრით, იყო თუ არა მსგავსება საბჭოთა რუსეთისა და მეფის რუსეთის მიერ აზერბაიჯანში გატარებულ პოლიტიკას შორის? შეადარეთ ისინი.

პირველი დარტყმა ფორმალურ დამოუკიდებლობაზე. მოსკოვის ხელშეკრულება. 1920 წლის 30 სექტემბერს, რსფსრ-სა და აზერბაიჯანის სსრ-ს შორის დაიდო "სამხედრო ეკონომიკური კავშირის" ხელშეკრულება. ხელშეკრულებისა და მისი დანართის სახით ხელმოწერილი შეთანხმებები არათანასწორი იყო, არამედ უფრო მორჩილების აქტს წაგავდა. ამ დოკუმენტაციის მიხედვით, აზერბაიჯანის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ძალები, ასევე საფინანსო, საფოსტო და სატელეგრაფო სამმართველოები, აგერთვე რკინიგზის ტრანსპორტი რუსეთის ზედამხედველობაში გადავიდა. ხელმოწერილ საბუთებს შორის ყველაზე მძიმე იყო შეთანხმება, საგარეო ვაჭრობის შესახებ. შეთანხმების მიხედვით, აზერბაიჯანმა მთლიანი საგარეო ვაჭრობა რუსეთის უფლებამოსილებაში გადასცა. ამ დროს აზერბაიჯანის ნავთობის გაყიდვის უფლებაც რუსეთს გადაეცა. აზერბაიჯანს საშინაო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ნავთობითა და ნავთობ პროდუქტებით, მხოლოდ რუსეთის ნებართვით შეეძლო ესარგებლა. ხელმოწერილი საბუთებიდან არც ერთში აზერბაიჯანის სსრ-ის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ცნობის შესახებ არავითარი სიტყვაც კი არ ეწერა. რომლის ნაცვლად დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობისათვის მნიშვნელოვანი ყველა ძირითადი უფლებამოსილებანი საბჭოთა რუსეთისათვის იყო დათმობილი. საბჭოთა აზერბაიჯანის ეკონომიკური დამოუკიდებლობა სრულიად ჩამორთმეული იყო. მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა კი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მოსკოვის ხელშეკრულებამ აზერბაიჯანის სსრ-ის ფორმალურ დამოუკიდებლობას მძიმე დარტყმა მიაყენა.

აზერბაიჯანის სსრ-ის პირველი დროშა (1920–1921 წლები)

საბჭოების პირველ ყრილობაზე ნ. ნარიმანოვს, ჩვენი ძირითადი სიმდიდრის, ნავთობის რუსეთის ხელში გადასვლა ასე ჰქონდა განმარტებული: "რა თქმა უნდა ჩვენმა ნავთობმა აიძულა ინგლისელები ეღიარებინა საბჭოთა რუსეთი და მასთან ხელშეკრულება დაედო. ჩვენს მიერ განცხადებისას, რომ ჩვენი ნავთობი რუსეთს ეკუთვნის, ეს, ინგლისელებთან მოლაპარაკებისას, საბჭოთა მთავრობის ხელთ ძირითად საშუალებად გადაიქცა. ჩვენთვის, კომუნისტებისათვის საბჭოთა რუსეთი ნავთობზე უფრო ძვირფასია."

M *განსაზღვრეთ აზერბაიჯანის ნავთობის გავლენა, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებზე.*

სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა. საბჭოთა რუსეთმა, 1920 წლის ბოლოს სომხეთის, ხოლო 1921 წლის დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებლობას ბოლო მოუღო, რომლის შემდეგ ახალი მისთვის ხელსაყრელი გეგმების შესრულებას შეუდგა. ამ გეგმის მიზანი ჯერ სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ერთ კავშირში გაერთიანება იყო. გეგმის მიხედვით შემდგომ საფეხურზე, ეს კავშირი ისეთ ახალ სახელმწფოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო შეყვანილი, სადაც ჰეგემონია საბჭოთა რუსეთს მიეკუთვნებოდა. გეგმის შესრულებას 1921 წლის შემოდგომაზე შეუდგა. თავდაპირველად სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის გაუქმდა საბაჟო და სასაზღვრო პუნქტები. მიღებული იქნა გადაწყვეტლება მათი საგარეო სავაჭრო სამმართველოებისა და რკინიგზების გაერთიანების შესახებ.

1922 წლის 12 მარტს, აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს შორის დაიდო **კავშირის ხელშეკრულება**. ამავე წლის დეკემბრის თვეში, ბაქოში პირველი ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობა ჩატარდა. ყრილობაზე ორგანიზებული იქნა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. აგრეთვე მიღებული იქნა კავშირის კონსტიტუცია. რომლითაც დამთავრებული იქნა **ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური**

რესპუბლიკის (აკსფსრ) შექმნის პროცესი. ამით აზერბაიჯანის ფორმალურ დამოუკიდებლობასაც ბოლო მოეღო. სამი საბჭოთა რესპუბლიკა ფედერაციის სახით იქნა გაერთიანებული. ახალ ფედერაციულ რესპუბლიკას საერთო ეკონომიკური ცენტრი და საერთო ბიუჯეტი გააჩნდა. ასეთი გაერთიანება სიმდიდრეებისა და ძლიერი ეკონომიკური პოტენციალის მქონე აზერბაიჯანისათვის სრულიადაც არ იყო ხელსაყრელი. ეკონომიკური თვალსაზრისით სუსტმა საქართველომ და სომხეთმა კი აზერბაიჯანის ნავთობითა და სხვა სიმდიდრეებით მუქთად სარგებლობის შესაძლებლობა მოიპოვეს. ამ ორმა საბჭოთა რესპუბლიკამ აზერბაიჯანის ხარზე თავიანთი ეკონომიკის განვითარება დაიწყო. ამავდროულად გრძელდებოდა აზერბაიჯანის ნავთობისა და სხვა სიმდიდრის ძარცვა და რუსეთში გადაზიდვა.

აზერბაიჯანის რომელი სიმდიდრეებია აღწერილი გერბზე?

საბჭოთა რუსეთმა ასფსრ-ის შექმნით, კიდევ უფრო დააჩქარა პროცესები. **1922 წლის 30 დეკემბერს**, მოსკოვში პირველი საერთო საკავშირო საბჭოების ყრილობა იქნა მოწვეული. ყრილობაზე მიღებული იქნა დადგენილება, **საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის (სსრკ)** შექმნის შესახებ. დაიდო კავშირის ხელშეკრულება. ახალი კავშირის სახელმწიფოს შემადგენლობაში **რსფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და აკსფსრ** იქნა შეყვანილი.

აკსფსრ-ის გერბი

როგორია ამჟამად რუსეთს, უკრაინას, ბელორუსიასა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა შორის ურთიერთობები?

1924 წელს, სსრკ-ის პირველი კონსტიტუცია იქნა მიღებული. კონსტიტუციაში თუმცა ფორმალურად, მაგრამ მაინც ასახვას ჰპოვებდა სსრკ-ის შემადგენლობაში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებრივი თანასწორობა. სინამდვილეში კი სსრკ-ის შემადგენლობაში შემავალ არა რუს ხალხებს ჩამორთმეული ჰქონდათ დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება. ახალ კავშირში გათვალისწინებული იყო, მხოლოდ რუსეთის ინტერესები და უზრუნველყოფილი იყო მისი ჰეგემონია. მოკავშირე რესპუბლიკები იძულებულნი იყვნენ, მოსკოვის ყველა ინსტრუქცია უსიტყვოდ შეესრულებინათ. ასე რომ, აზერბაიჯანი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში უფლებაშეზღუდულ პროვინციად გადაიქცა.

კითხვები და დავალებები:

1. *იყო თუ არა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის ბოლშევიკ-დაშნაკური ჯგუფისაგან დაკომპლექტება, რესპუბლიკის მოსახლეობის მრავალეროვნულობასთან დაკავშირებული? გამოთქვით თქვენი აზრები.*
2. *შეადგინეთ სქემა ან დიგერსიფიკაცია მოსკოვის ხელშეკრულების შესახებ.*
3. *რომელი რესპუბლიკებისათვის უფრო მეტად სასარგებლო აღმოჩნდა ასშსრ-ის შექმნა? გამოთქვით თქვენი აზრები.*
4. *განმარტეთ ნავთობის როლი აზერბაიჯანის ფორმალური დამოუკიდებლობის გაუქმებაში.*
5. *შეიძლება თუ არა სსრკ-ს იმპერია ეწოდოს? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.*

32. ახალი თავდასხმები აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობაზე

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება იყო, აზერბაიჯანში განხორციელებული კატასტროფების დასაწყისი. საბჭოთა რუსეთის მფარველობით, სომხეთმა აზერბაიჯანის საზიანოდ წამოაყენა ახალ-ახალი ტერიტორიული პრეტენზიები. რომელი ტერიტორიების დაკარგვის საფრთხის პირისპირ აღმოჩნდა ჩვენი ხალხი? როგორ დადგინდა აზერბაიჯან-სომხეთს შორის საზღვრები? აზერბაიჯანის რომელი ტერიტორიები გადანაწილდა და როგორ?

საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის გადანაწილება. 1920 წლის აპრილის ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკური ხელმძღვანელობა არ იცავდა აზერბაიჯანის სსრ-ის ტერიტორიულ მთლიანობას. საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები სომხეთისა და საქართველოს ბოლშევიკებთან საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. ამ რესპუბლიკების გასაბჭოებისათვის გამოიყენეს აზერბაიჯანის ტერიტორიები, როგორც მაცდუნებელი საშუალება. აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკის მიერ ძლივს-ძლივობით დაარსებული ეროვნული ჯარის ნაწილების გაუქმების შედეგად ხალხი და ტერიტორიები დაუცველი დარჩა. XI წითელი არმიის ნაწილები, განგებ არ უშლიდა ხელს სომხეთის სამხედრო შენაერთებს ყარაბაღზე, ნახიჩევანზე და ზენგაზურის ტერიტორიებზე თავდასხმებში. საბჭოთა რუსეთსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის **1920 წლის 10 აგვისტოს** გაფორმდა შეთანხმება. შეთანხმების მიხედვით აზერბაიჯანის **შერურ–დერელეეზის ზონის სომხეთისათვის გადაცემა იყო გათვალისწინებული.** ეს ეცოტავათ და ჩვენი ისტორიული მიწა-წყალი **ზენგეზური, ნახიჩევანი, ყარაბაღი ითვლებოდა სადაო ტერიტორიად**".

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოსკოვის აზერბაიჯანთან დაკავშირებული პოლიტიკა კიდევ უფრო გამძაფრდა. საბჭოთა რუსეთის ზეწოლის ქვეშ აზერბაიჯანის რევოლუციურმა კომიტეტმა სომხეთის გასაბჭოებასთან დაკავშირებით **1920 წლის 1 დეკემბერს** ასეთი განაცხადი გააკეთა: „საბჭოთა აზერბაიჯანსა და საბჭოთა სომხეთს შორის არავითარი საზღვარი არ არსებობს. ზენგეზური და ნახიჩევანი საბჭოთა სომხეთის განუყოფელი ტერიტორიაა. მთიანი ყარაბაღის მშრომელ გლეხებს თავიანთი ბედის გადაწყვეტის უფლება მიეცათ." ამ განაცხადს თურქეთში ძლიერი პროტესტით შეხვდნენ, ხოლო ნახიჩევანში მოსახლეობამ მწვავე საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. აზერბაიჯანის იუსტიციის სახალხო კომისარი მეჰმუდ ბეი შაჰტახტინსკი დაძაბულობის შემცირებისათვის ამ მხარეში გაიგზავნა, ნახიჩევანელი ხალხის წინაშე დიდი პატრიოტული სულისკვეთებით გამოვიდა. ყოველგვარი რიდის გარეშე მოსახლეობას ღიად მიმართა: "აზერბაიჯანის ხელისუფლებას თქვენც და თქვენი მიწებიც სომხებისათვის მიუყიდია. აქ ერთადერთი ძალა, ვისაც უნდა დაეყრდნოთ თურქეთის ჯარებია. მძიმე კატასტროფისაგან მხოლოდ მათ შეუძლიათ გიხსნათ".

1920 წლის ბოლოს თურქეთის ჯარები ვეისალ ბეის მეთაურობით ნახიჩევანში მიიწვიეს. ამ ჯარებმა სომეხ დაშნაკურ-ბოლშევიკურ შეტევებისგან დაცვაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს.

საბჭოთა რუსეთი, აზერბაიჯანის საქართველოსთან ტერიტორია-საზღვრების საკითხებშიც აზერბაიჯანის საწინააღმდეგო პოზიციით გამოდიოდა. 1921 წელს მოსკოვის გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს აზერბაიჯანელები შეადგენდნენ, არ იქნა **გათვალისწინებული ეს და ბორჩალოს რეგიონის ცენტრალური ნაწილი საქართველოს გადაეცა. 1922 წელს** საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ინტერესები გაითვალისწინა და აზერბაიჯანის **მიწები ორ ნაწილად გაყო.** ზემო კარაიაზი საქართველოს შემადგენლობაში გადავიდა.

სომხეთისათვის გადაცემული აზერბაიჯანის ტერიტორიები

მოსკოვის ხელმძღვანელობით განხორციელებული ტერიტორია-საზღვრების ცვლილებების შედეგი აზერბაიჯანისათვის კატასტროფა გახდა. ჩრდილო აზერბაიჯანის ტერიტორია 97,3 ათასი კვადრატული კილომეტრიდან 86,6 ათასი კვ. კილომეტრამდე შემცირდა. აზერბაიჯანის ტერიტორიების ხარჯზე სომხეთის ტერიტორია 10 ათასი კვ.კმ-დან 29,8 ათას კვ.კმ-მდე, ხოლო საქართველოს ტერიტორია 69,7 ათას კვ.კმ-მდე გაიზარდა.

შეადარეთ აზერბაიჯანის ტერიტორიასა და საზღვრებზე ცვლილებები მეფის რუსეთის დროინდელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ რეფორმებთან.

აზერბაიჯანის შემადგენლობაში მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის (მყაო) დაარსება. სომხეთის სსრ აზერბაიჯანის კუთვნილ ყარაბაღის მთიანი ნაწილის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. საბჭოთა ხელმძღვანელობამ-მოსკოვმა სომხეთის ყარაბაღთან დაკავშირებული პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად გადაწყვეტილება მიიღო. **რუსეთის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის კავკასიის** ბიურომ ეს საკითხი განსახილველად გამოიტანა. ბიურომ **1921 წლის 4 ივლისის** კრებაზე მთიანი ყარაბაღის სომხეთისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ნ. ნარიმანოვის სასტიკი პროტესტის შემდეგ **5 ივლისს** კავკასიის ბიურომ ახალი გადაწყვეტილება მიიღო: **მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენლობაში დარჩეს და ადმინისტრაციული ცენტრი ქ. შუშა გახდეს. მას ავტონომიური ოლქის სტატუსი მიეცეს.**

1921 წლის 19 ივლისს ნარიმანოვმა თბილისში აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრის საკითხების გარკვევისათვის მიძღვნილი კრების გადაწყვეტილება ასე განმარტა; "საბჭოთა კონსტიტუციის ჩარჩოებში, საოლქო კომიტეტის მეთაურობით, შიდა თვითმმართველობის უფლებით მთიანი ყარაბაღი დარჩება, როგორც საბჭოთა აზერბაიჯანის განუყოფელი ნაწილი".

ნ. ნარიმანოვი მთიანი ყარაბაღისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებას რუსეთის მხრიდან აზერბაიჯანის კატასტროფების დასაწყისად თვლიდა.

აზერბაიჯანის მთავრობაში ეროვნული კომუნისტების ერთმა ჯგუფმა ამ გადაწყვეტილების აღსრულებას ორი წლის განმავლობაში წინააღმდეგობა გაუწია. მოსკოვის ზეწოლით აზერბაიჯანის სსრ-ის ცენტრალურმა აღმსრულებელმა კომიტეტმა მხოლოდ **1923 წლის 7 ივლისს** მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის შემადგენლობაში **მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის (მყაო)** დაარსების შესახებ. ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად ხანქენდი აირჩიეს. ორი თვის შემდეგ სომხებმა აზერბაიჯანის მთავრობის თანხმობის გარეშე, ხანქენდის სახელწოდება შეცვალეს და ჩვენი ხალხის დაუნდობელი მტრის სტეფან შაუმიანის საპატივსაცემოდ სტეფანაკერტი დაარქვეს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბევრ რაიონსა და ქალაქს სახელწოდება შეეცვალათ, მათ ჩვენი ხალხის მტრების-რევოლუციონერების სახელები დაერქვათ. ამის შესახებ შეავროვეთ ინფორმაცია.

ნახიჩევანის ასსრ-ის შექმნა. ნახიჩევანის მხარის აზერბაიჯანის შემადგენლობაში დარჩენაში, ადგილობრივი მოსახლეობის სერიოზული წინააღმდეგობის პარალელურად, მომძე თურქეთმა შეუდარებელი როლი ითამაშა. ნახიჩევანში თურქეთის ჯარების ყოფნა საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა სომხეთის ხელმძღვანელობას უნდა გაეთვალისწინებინა. **1921 წლის 16 მარტს** მოსკოვში საბჭოთა



ყარსის ხელშეკრულების მონაწილეები

რუსეთს და თურქეთს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების მიხედვით, **ნახიჩევანის მხარე აზერბაიჯანის გავლენის ქვეშ, ავტონომიური ტერიტორიული ერთეულის სახით უნდა ყოფილიყო.** აზერბაიჯანი ნახიჩევანთან დაკავშირებით, ნებისმიერ მესამე ქვეყანასთან დათმობაზე არ უნდა წასულიყო. ხელშეკრულებაში მესამე ქვეყნის ხსენებაში, სომხეთი იგულისხმებოდა. ნახიჩევანის საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა აზერბაიჯანის რეპუტაციისა და თურქეთის უსაფრთხოების თვალსაზრისით დიდი გამარჯვება იყო.

1921 წლის ოქტომბერში ყარსში სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის მოლაპარაკებები დაიწყო. მოლაპარაკებების დროს საბჭოთა რუსეთის მითითებით აზერბაიჯანი მოძმე თურქეთის მხარეზე კი არა, საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა სომხეთის მხარეზე დადგა. **13 ოქტომბერს** რუსეთის მონაწილეობით, თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის **ყარსის ხელშეკრულებას** მოეწერა ხელი. ამ ხელშეკრულებით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ნახიჩევანი აზერბაიჯანს მიეკუთვნება. ნახიჩევანის, როგორც ავტონომიური ტერიტორიის ზუსტი საზღვრებიც დადგინდა.

შეაფასეთ თურქეთის ისტორიული როლი ნახიჩევანის მხარის აზერბაიჯანის შემადგენლობაში დარჩენის საკითხში.

1924 წლის 9 თებერვალს აზერბაიჯანის ცენტრალურმა აღმსრულებელმა კომიტეტმა ხელი მოაწერა დეკრეტს **ნახიჩევანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (ასსრ)** დაარსების შესახებ. ავტონომიური რესპუბლიკის ტერირორია იყო, დაახლოებით 6 ათასი კვ.კმ-ი. თუმცა მოსკოვის ანტიაზერბაიჯანული პოლიტიკის შედეგად ნახიჩევანის ტერიტორიების დიდი ნაწილი სომხეთს მიუერთეს. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია 5,5 ათას კვ.კმ-მდე შემცირდა. ეს ეცოტავათ, 1929-1930 წლებში ორდუბადისა და ზენგილანის რაიონების ზოგიერთი სოფლების ხარჯზე შექმნილი მეჰრის რაიონი სომხეთს გადაეცა. შედეგად ნახიჩევანის ასსრ აზერბაიჯანის ძირითადი ნაწილებისაგან ცალკე ჩამოყალიბდა. დღეს-დღეობით აზერბაიჯანის რესპუბლიკას თავის განუყოფელ ნაწილთან, ნახიჩევანთან პირდაპირი სახმელეთო ურთიერთობა არ გააჩნია.

კითხვები და დავალებები:

1. *განმარტეთ საბჭოთა რუსეთის სამხრეთ კავკასიის პოლიტიკაში აზერბაიჯანის სსრ-თან ურთიერთობები.*
2. *დაასაბუთეთ, სომხეთის გასაბჭოებასთან დაკავშირებით 1920 წლის 1 დეკემბერს გაცემული ბრძანებულების ანტიაზერბაიჯანული ხასიათი.*
3. *რა სახის კატასტროფებს გაუხსნა გზა, მთიანი ყარაბადის ავტონომიური ოლქის დაარსებამ?*
4. *გაანალიზეთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნახიჩევანთან პირდაპირი სახმელეთო კავშირის არარსებობის მიზეზები.*
5. *მოამზადეთ პრეზენტაცია, XX საუკუნის პირველ მეოთხედში აზერბაიჯანის დაკარგული მიწების შესახებ.*

33. აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობის ეკონომიკური ღონისძიებები

გასაბჭოების შემდეგ აზერბაიჯანელი ხალხი ახალი ცხოვრების მოლოდინში იყო. მუშები და გლეხები ახალ მთავრობაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. მიაღწია თუ არა მოსახლეობამ შეპირებულ ფუფუნებით ცხოვრებას? ეკონომიკური თვალსაზრისით ყველა თანაბარი გახდა? რა სახის ახალი წესები შემოვიდა?

"სამხედრო კომუნიზმის" პოლიტიკა. სასურსათო გადასახადი. საბჭოთა ხელისუფლებამ **1920 წლის ზაფხულიდან აზერბაიჯანში სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკის პროგრამის გამოყენება დაიწყო.** მარცვლეულის მოსავალი სახელმწიფოს კონტროლზე აიყვანეს. გლეხებს მარცვლეულის მოსავლის გაყიდვა აეკრძალათ. გამოგონილი სასურსათო გადასახადების აღება დაიწყო. **სასურსათო გადასახადის** მიხედვით შემოსავლის ძალიან მცირე ნაწილი გლეხს რჩებოდა. ეს, უკეთეს შემთხვევაში გლეხს ჰყოფნიდა, იმისათვის, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო. მოსავლის დიდი ნაწილი სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინათ. სასურსათო გადასახადის განხორციელებისათვის სოფლებში სპეციალური სასურსათო ექსპედიციები გაიგზავნა. ექსპედიციების შემადგენლობაში, ძირითადად, სომხები და რუსები იყვნენ. სპეციალური სამხედრო ჯგუფებისაგან შემდგარი ექსპედიციები აზერბაიჯანელ გლეხებს სიტყვის სრული მნიშვნელობით, ძარცვავდა. გლეხს მეფის რუსეთის მთავრობის პერიოდშიც კი ასეთი თვითნებობა არ ენახა. აზერბაიჯანის ყველა კუთხიდან ნარიმანოვზე უამრავი საჩივრის წერილი გაიგზავნა. გლეხები უფრო მეტად ბოლო ლუკმის წართმევას, სახორცე და სხვა მუშა ცხოველების კონფისკაციას უჩიოდნენ. 1920 წლის შემოდგომაზე გატარებულმა მძარცველურმა საქონლის მოგროვების ღონისძიებებმა ჩვენს ხალხს უფლებები ჩამოართვა. აზერბაიჯანის დიდი ნაწილი შიმშილმა მოიცვა. წითელი არმიისა და მუშების პურით მომარაგების სახელით განხორციელებული ნატურით გადასახადი გლეხების მასობრივი უკმაყოფილების მიზეზი გახდა.

ვ.ი. ლენინი გლეხების მიერ დადგენილზე ნაკლები მარცვლეულის მიტანის შემთხვევაში ბრაზდებოდა. მოძალადეებისათვის წინააღმდეგობის გამწევ რაიონებში გლეხებს 1920 წელს საშიში სასჯელი მიესაჯათ: ამ გლეხებისაგან არა მხოლოდ ნამატი მარცვლეული, ამაგე დროს, შენახული სათესლე მარცვლეულიც მიჰქონდათ. სათესლე მარცვლეულის მოგროვება იმას ნიშნავდა, რომ გლეხი სამომავლოდ ახალ მოსავალს ვერარ მიიღებდა და ეს სიკვდილის ტოლფასი იყო. ეს ასეც მოხდა. 1921–1922 წლებში რუსეთის საზღვრებში 29 მილიონი კაცი შიმშილობდა. მათ შორის 5 მილიონი შიმშილის შედეგად დაიღუპა.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება. სოფელში შექმნილმა კატასტროფულმა მდგომარეობამ და მოსახლეობის უკმაყოფილებამ საბჭოთა მთავრობა იძულებული გახადა, შეეცვალა ეკონომიკური პოლიტიკა. **1921 წლის გაზაფხულზე** რუსეთში, შემდეგ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში **ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე (აეპ)** გადავიდნენ. ამ პოლიტიკის მიხედვით, სასაქონლო გადასახადი ორჯერ ნაკლები სასურსათო გადასახადი დაწესდა, ნაციონალიზებული

საწარმოო დაწესებულებების ერთი ნაწილი ყოფილ პატრონებზე ან უცხო ფირმებზე იჯარით გაიცა, ვაჭრობის თავისუფლება გამოცხადდა. აზერბაიჯანში სასაქონლო გადასახადი გაუქმდა და გამოცხადდა თავისუფალი ვაჭრობა. საბჭოთა რუსეთისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანში სასაქონლო გადასახადი მაშინვე არ დაწესდა. ნ. ნარიმანოვის ინიციატივით ყოველი გლეხის მეურნეობაზე ნებაყოფლობით **ჩანახი გადასახადი** (8 კგ მარცვლეული) დაევალათ. **1922 წლის მაისიდან სასურსათო გადასახადი დაწესდა.** შედეგად აზერბაიჯანელი გლეხების მდგომარეობა საგრძნობლად შემსუბუქდა, ვინაიდან გლეხს გადასახადის გადახდის შემდეგ დანარჩენი მოსავლის თავისუფლად გამოყენება შეეძლო, უფრო მეტიც, ბაზარში გაყიდვა შეეძლო.

აეპ-ის პროგრამა წინ აღუდგა აზერბაიჯანში სახნავ-სათესი მიწების სწრაფი ტემპით შემცირებას. მარცვლეულის წარმოებამ დაიწყო ხელახლა მატება. გაფართოვდა ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთობა და გამოცოცხლდა ვაჭრობა.

წარმოების სფეროში აეპ-ის განხორციელებისას მსხვილი და სტრატეგიული საწარმოები აყვანილი იყო სახელმწიფოს კონტროლზე. დიდი რაოდენობით მსუბუქი და კვების მრეწველობის დაწესებულებები კერძო მესაკუთრეებს იჯარით ეძლეოდათ. მოსკოვმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა საკუთარ კონტროლზე მყოფი, ნავთობის მრეწველობის განვითარებისათვის. აზერბაიჯანის ნავთობის კომიტეტს უცხო ფირმებთან ურთიერთობის დამყარების უფლება მისცა. ამით ისარგებლა კომიტეტმა, უცხოეთიდან ნავთობდანადგარები შეისყიდა და აზერბაიჯანში შემოიტანა. ნავთობი და ნავთობ-პროდუქტები თავისუფლად იქნა გატანილი საზღვარგარეთის ქვეყნებში გასაყიდად.

შეადარეთ აზერბაიჯანის სსრ-ს და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ნავთობის პოლიტიკა.

აეპ-ის პროგრამის შედეგად სრულიად აზერბაიჯანის ეკონომიკაში გამოცოცხლება მოხდა. აზერბაიჯანის სოფლებში საშუალო და შეძლებული გლეხების (კულაკები) მეურნეობების წონამ საგრძნობლად იმატა. უკვე 1925 წელს საშუალო გლეხები მთელი გლეხობის ნახევარზე მეტს წარმოადგენდნენ. ამ ცვლილებებმა მუშა-გლეხის მთავრობად წოდებულ ბოლშევიკური პოლიტიკური წრეები შეაშფოთა. საბჭოთა მთავრობამ კერძო ბიზნესი და "ექსპლუატატორი" კლასების გაძლიერება მოიმიზეზა, **1920-იანი წლების მეორე ნახევარში აეპ-ზე უარი თქვა.**

მთავრობის ინდუსტრიალიზაციის ღონისძიებები. სსრკ-ს ხელმძღვანელობამ 1925 წლის დეკემბერში მთელს ქვეყანაში სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია გამოაცხადა. აზერბაიჯანში ამ მიმართულების განხორციელება რუსეთის ინტერესებს ექვემდებარებოდა. ნავთობის მრეწველობის განვითარება მოსკოვის მხრიდან განიხილებოდა როგორც ინდუსტრიალიზაციის ძირითადი ამოცანა. ამისათვის ნავთობის მრეწველობის ტექნიკური მხარის გარდაქმნა იყო საჭირო. მოსკოვი პირველ რიგში ნავთობის მრეწველობას აფინანსებდა. აზერბაიჯანის რეალობაში მრეწველობის განვითარება მეორეხარისხოვან საკითხად ითვლებოდა. ამ პერიოდში აბშერონში საექსპლუტაციოდ გადაეცა ახალი ნავთობის საბადოები. ნავთობის ამოღებისას აუცილებელი ტექნიკით მომარაგებისათვის ნავთობის მანქანათმშენებლობა ხელახლა მოეწყო. ნავთობის მანქანათმშენებლობის ქარხნებში ახალი სიღრმის ნასოსების წარმოება დაიწყო. 1930 წელს ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის აღდგენა დამთავრდა. მილსადენი ნავთობის კიდევ უფრო სწრაფად და იაფად გადაზიდვას უზრუნველყოფდა.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში აზერბაიჯანის სსრ-ში ნავთობის ამოღებამ რვაჯერ იმატა, თუმცა სსრკ-ს ხელმძღვანელობა აზერბაიჯანში „შავი ოქროს" ამ მატებით უკმაყოფილო იყო. ამიტომაც ხშირ-ხშირად ამ სფეროში სამუშაოების დაჩქარების შესახებ დადგენილებებს იღებდა.

ინდუსტრიალიზაციის პერიოდში ელექტროენერგიის წარმოება აზერბაიჯანში ნავთობის წარმოების შემდეგ ყურადღების ცენტრში არსებული მეორე სფერო იყო. ამ პერიოდში ათობით ჰიდრო და თბო

ელექტროსადგური ამუშავდა. ხალხის ძირითადი მოთხოვნები საქონელზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების საჭიროებას მოითხოვდა. ამ მიზნით აზერბაიჯანის რეგიონებში ახალი მსუბუქი და კვების მრეწველობის დაწესებულებები აშენდა. შედეგად **განჯა აზერბაიჯანის მეორე სამრეწველო ცენტრად გადაიქცა.**

ინდუსტრიალიზაციის პერიოდში ტრანსპორტის სფეროშიც გარკვეული სამუშაოები ჩატარდა. 1926 წელს ბაქო-საბუნჩუ ელექტრო რკინიგზის ხაზმა დაიწყო მუშაობა. ეს სსრკ-ში ელექტროენერგიით მომუშავე პირველი ხაზი იყო. დიდი ხნით ადრე დაწყებული სამუშაო, ბაქო-ჯულფას რკინიგზის ნახიჩევანის სადგურამდე გაყვანა 1940 წელს დასრულდა. **1937 წელს ბაქოსა და მოსკოვს შორის რეგულარული, საჰაერო ფრენები დაიწყო.**

ინდუსტრიალიზაციის ხაზის განხორციელებამ აზერბაიჯანის განვითარებას მისცა ბიძგი. ეკონომიკის სფეროში წარმატება აზერბაიჯანის მუშების ძალიან მძიმე შრომისა და თავგანწირვის ხარჯზე იქნა მოპოვებული.

კითხვები და დავალებები:

1. *გაარკვიეთ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის მიზეზები.*
2. *შეადგინეთ აეპ–ის მიერ გახსნილი ახალი საშუალებების შესახებ განტოტვა.*
3. *რატომ აწუხებდა მთავრობას ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკურად გაძლიერებით?*
4. *გაარკვიეთ აზერბაიჯანის სსრ–ს მრეწველობის უფრო მეტად განმავითარებელი სფეროები.*
5. *ტექსტის საფუძველზე შეადგიენთ ქრონოლოგიური ცხრილი.*

34. იძულებითი კოლექტივიზაცია

„მუშებისა და გლეხების“ მთავრობა მშრომელ მოსახლეობას აყვავებულ, ექსპლუატაციის გარეშე ცხოვრებას დაპირდა. როგორ შეიცვალა გლეხების ცხოვრება, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მიწის პრობლემას განიცდიდნენ? მათი კოლექტივიზაციის პერიოდში არსებული ცხოვრება, სჯობდა თუ არა წინანდელ ცხოვრებას? როგორი გახდა შეძლებული გლეხების - აზნაურების საბოლოო მდგომარეობა? იყო თუ არა მოსახლეობა ახალი წეს-კანონების კმაყოფილი?

კოლექტივიზაციის განხორციელება. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოახდინეს ზედა ფენის წარმომადგენლების და სასულიერო სამმართველოების კუთვნილი მიწების კონფისკაცია. ეს მიწები გლეხებს დაურიგდათ. შედეგად გლეხების ერთი ნაწილი მიწით უზრუნველყოფილი იქნა, მოკლე დროის განმავლობაში სიღარიბის დონემ იკლო, საშუალო და შეძლებული გლეხების რიცხვმა იმატა. მაგრამ საბჭოთა მთავრობა გლეხების გამდიდრებაში საშიშროებას ხედავდა.

სსრკ-ს ხელმძღვანელობამ 1920-იანი წლების ბოლოს გლეხებისა და მუშების საკითხის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა დაიწყო. გამოცხადდა გლეხთა მეურნეობის კოლექტივიზაცია. კოლექტივიზაციის პოლიტიკის მიხედვით, კერძო გლეხების მეურნეობები სრულიად უნდა გაუქმებულიყო და

მთელი მიწების გასაზოგადოების სახელით სახელმწიფოს კონტროლქვეშ უნდა გადასულიყო. მოსკოვმა კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის აზერბაიჯანს ოთხი წელი გამოუყო. აზერბაიჯანის ხელისუფლება ცდილობდა, რომ კოლექტივიზაცია ძალიან მოკლე დროში დაესრულებინა. კოლექტიური მეურნეობის მოწყობა, როგორც წესი, წარმოებდა ყოველგვარი ნებაყოფლობის პრინციპის გარეშე ადმინისტრაციული და ძალდატანებითი ხერხების გამოყენებით. იგნორირებული იქნა აზერბაიჯანელი გლეხების დამახასიათებელი თვისებები და ეროვნული წეს-ჩვეულებები. რუსეთის გამოცდილება ბრმად გადმოიტანებოდა, კოლექტიურად ცხოვრებას და ერთად მუშაობას მიჩვეული რუსი გლეხებისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანელი გლეხი ცალკე მუშაობას უპირატესობას ანიჭებდა, ამიტომ კოლმეურნეობას ზიზღით შემყურე აზერბაიჯანელი გლეხის კოლექტიურ მეურნეობაში ჩართვისათვის ძალისმიერ მეთოდებს მიმართეს.

რა დააკარგვინა გლეხს კოლმეურნეობის დაარსებამ? გვითხარით თქვენი აზრი.

1930 წელს აზერბაიჯანის სსრ-ში **სრული კოლექტივიზაცია** კიდევ უფრო დაჩქარდა. მთავრობამ კოლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელების დროს შეძლებული გლეხების - კულაკების, როგორც, კლასის განადგურების ვალდებულება აიღო. კარგი მეურნეობის მქონე კულაკებს მთავრობა ძალიან დაუნდობლად მოექცა. მათ ხმის მიცემის უფლება ჩამოერთვათ, მუშის დაქირავება, ტექნიკის იჯარით აღება აეკრძალათ და თანმიმდევრობით მიწებისა და ქონების კონფისკაცია მოახდინეს. საბჭოთა დამსჯელმა ორგანოებმა კულაკების ერთი ნაწილი დახვრიტეს, ხოლო დანარჩენები თავიანთ ოჯახებთან ერთად ციმბირსა და ყაზახეთში გადაასახლეს. „განკულაკებისას“ აზერბაიჯანში 200 ათასზე მეტი გლეხის ქონებას კონფისკაცია გაუკეთდა, თვითონ დახვრიტეს ან გადაასახლეს. სახელმწიფოს მიერ გამოაშკარავებული „კულაკების“ როგორც კლასის გაუქმების გეგმის შეუსრულებლობის დროს, შეძლებულ გლეხებს კულაკების სიაში წერდნენ და ანადგურებდნენ. საბჭოთა კავშირის იმდროინდელი აღიარების მიხედვით, კოლექტივიზაციის დროს დაშვებული შეცდომების, დამახინჯებისა და თვითნებობის მიხედვით, აზერბაიჯანი საბჭოთა კავშირში პირველ ადგილს იკავებდა. 1937 წელს აზერბაიჯანის სოფლებში საკოლმეურნეო წყობის შექმნის სრული გამარჯვება ოფიციალურად გამოცხადდა.

შეიძლება ძალის გამოყენებით ახალი წესების დანერგვა რეფორმად ჩაითვალოს? გვაცნობეთ თქვენი აზრი.

ძალისმიერი კოლექტივიზაციის ღონისძიებების შედეგად საბჭოთა მთავრობამ გლეხების ერთობლივი ექსპლუატაციის საშუალება მოიპოვა. კოლმეურნეობაში გაერთიანებული გლეხები სრულ უუფლებო მდგომარეობაში ჩავარდნენ. საბჭოთა მთავრობა 1950-იანი წლების ბოლომდე გლეხს ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქედ არ თვლიდან, მათ პასპორტებს არ აძლევდნენ. ამიტომაც კოლმეურნე გლეხი საცხოვრებელ ადგილს ვერ ტოვებდა და ქალაქში სამუშაოდ წასვლის საშუალება არ ჰქონდა. საცხოვრებელი ადგილის ვერ დამტოვებელი გლეხი, სინამდვილეში, ყმის მდგომარეობაში ვარდებოდა.

აჯანყებები და გამოსვლები კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. 1930 წელს აზერბაიჯანის უმეტეს რეგიონებში მასიური აჯანყებები დაიწყო. აჯანყებების ძირითადი მიზეზი ძალდატანებით განხორციელებული კოლექტივიზაციის ღონისძიებები იყო. აჯანყებებში გლეხებთან ერთად, საბჭოთა მთავრობისათვის საეჭვო ხალხი, მათ წინააღმდეგ გამოსვლების მცდელი ინტელიგენცია და სასულიერო პირებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. ერთ-ერთი პირველი აჯანყება **შამქორში** მოხდა. მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები, ასევე მთავრობის საყრდენად წოდებული კომუნისტები და მილიციის მუშაკებიც მათ შეუერთდნენ. საბჭოთა რეჟიმმა უმოწყალოდ დამსჯელი ღონისძიებების გამოყენებით აჯანყება ჩაახშო. 1930 წელს აჯანყებულების გადამალვის სახელით გედაბეის სოფელ ჩაიობაში მთავრო-

ბის მიერ განხორციელებული დამსჯელი ოპერაცია განსაკუთრებით დაუნდობელი იყო. "ჩაიობას ტრაგედიის" დროს სოფლის საცხოვრებელი სახლები გადაწვეს და 14 ბავშვი და 36 მშვიდობიანი მცხოვრები დახვრიტეს.

კერძო გლეხურ მეურნეობებს მძიმე გადასახადები დაეკისრა. მთავრობის მიერ დაკანონებულზე მეტი გადასახადი იკრიბებოდა. სურსათის დეფიციტის გამო ქ. შექში ფასები 3-ჯერ და უფრო მეტჯერ გაიზარდა. სასულიერო პირებზე მოხდა ანგარიშწორება და მეჩეთები დაიხურა. ეს ყველაფერი 1930 წ. **შექი–ზაქათალის** ზონაში დიდი აჯანყების მიზეზი გახდა. აჯანყებულებმა ნათლად აღიქვეს, რომ წვალება და უბედურება სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგი იყო. ხსნას ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ხედავდნენ. 1930 წელს აპრილში შექის რაიონის სოფ. გეინუგში მომხდარ აჯანყებას **მოლა მუსტაფა შეიხზადე** მეთაურობდა. აჯანყებულებმა საბჭოთა ჯარები დაამარცხეს და შექი აიღეს, საპყრობილეში მყოფი ინტელიგენცია, სასულიერო პირები და სხვა რეპუტაციის მქონე ხალხი გაანთავისუფლეს. შექის კვალდაკვალ ზაქათალისა და ბელექნის აჯანყებების გავრცელებამ მთავრობაში შიში გამოიწვია. მთავრობამ აჯანყებულების წინააღმდეგ დიდი სამხედრო ძალა გაგზავნა. მძიმე ბრძოლების შემდეგ აჯანყება დაუნდობლად ჩაახშვეს. შექი-ზაქათალის აჯანყების დროს 180 კაცი გმირული ბრძოლის შემდეგ დაიღუპა. სამთავრობო ჯარებმა 1300 კაცი დახვრიტეს, ასობით ბაშგოინუქელი აჯანყებული საკუთარი ხელებით გათხრილ ორმოსთან დახვრიტეს და შიგ ორმოში ჩაყარეს. დაპატიმრებული და ციმბირში და ყაზახეთში გადასახლებულები უფრო მეტი იყო.

შეადარეთ 1930 წელს აზერბაიჯანის სსრ–ში მომხდარი აჯანყებები XIX საუკუნის 30–იან წლებში სამხრეთ აზერბაიჯანის აჯანყებებთან.

1930 წელს **ნახიჩევანსა და ორდუბადში** საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დიდი აჯანყება მოხდა. აჯანყებულებმა ძალიან მოკლე დროის მანძილზე ნახიჩევანში საბჭოთა ხელისუფლება ჩამოაგდეს და თავიანთი ხელისუფლება დააარსეს.

საბჭოთა მთავრობა ხალხის გამოსვლებს დაუნდობლადნ ახშობდა და საკოლმეურნეო წყობის განმტკიცებას მიაღწია, მაგრამ კოლმეურნეობებში თანასწორობის პრინციპი, გლეხის შრომის შედეგების მიხედვით უინტერესობის გამო, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

კითხვები და დავალებები:

1. *ვისი მიწების კონფისკაცია მოხდა კოლექტივიზაციის დროს? ვაანალიზეთ.*
2. *განსაზღვრეთ აზერბაიჯანში კოლექტივიზაციის ძალდატანებების განხორციელების მიზეზები.*
3. *განსაზღვრეთ აზერბაიჯანის სსრ–ში აჯანყებების მიზეზები.*
4. *ვინ იყვნენ აჯანყებების მთავარი მონაწილეები?*
5. *შეადარეთ 1838 და 1930 წლების შექის აჯანყებები.*

35. ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება. მასობრივი რეპრესიები

იცით, რომ სსრკ–ს "ხალხთა საპყრობილეს" უწოდებდნენ? ერთი დიდი იმპერიის შემადგენლობაში ყოფნა, ცენტრის მითითებებით ცხოვრება, აზერბაიჯანელებს ძვირად დაუჯდათ. XX საუკუნის 30–იან წლებში ჩვენი ხალხი ახალ–ახალ ტრაგედიებს, რეპრესიებს დაუპირისპირდა. რა იყო რეპრესიების მიზეზი? რატომ იყო, რომ ჩვენი ხალხი ხელახლა საპატიმროებში, ტყუილი ბრალდებებით გადასახლებებში გაგზავნეს?

სალმან მუმთაზი

ბექირ ჩობანზადე

ბოლშევიკური დიქტატურის დაარსება. აზერბაიჯანში დამყარებული საბჭოთა ხელისუფლება სრული მნიშვნელობით, დიქტატურა იყო. პოლიტიკური მმართველობა მკაცრ ცენტრალიზებას ეყრდნობოდა. ყველა სახელმწიფო და მთავრობის ორგანოები ერთადერთ პოლიტიკური ძალის – აკპ (ბ) ხელმძღვანელობის მითითებით მოქმედებდნენ. დიდი ხნის განმავლობაში არაზერბაიჯანელებით დაკომპლექტებული ხელისუფლება აკპ (ბ) დამოუკიდებელი ორგანო არ ყოფილა. საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ი. სტალინის მკაცრი მითითებების საფუძველზე მუშაობდა. **1933 წელს მირჯაფარ ბაღიროვი** მოსკოვის მიერ აკ (ბ) პ ცკ–ის პირველი მდივნის თანამდებობაზე მოყვანილ იქნა. მ.ჯ. ბაღიროვმა დაუნდობელი ხასიათის და სერიოზული შრომისმოყვარეობის მეშვეობით აზერბაიჯანში ძლიერი ავტორიტარული[1] ხელისუფლების დამყარება შეძლო. ამ საქმეში მისი მთავარი დამხმარეები შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელები ი. სუმბათოვი – თოფურიძე, ხ. გრიგორიანი, რ. მარქარიანი. ტ. ბორშევი იყვნენ. იმ პერიოდში აზერბაიჯანის შინაგან საქმეებში და პროკურატურის სისტემაში დასაქმებულების უმრავლესობა არაზერბაიჯანელი კადრები იყვნენ.

მასობრივი რეპრესიები. ავტორიტარული საბჭოთა რეჟიმის მიერ მხოლოდ „ექსპლუატატორი" კლასების წინააღმდეგ კი არა, ხალხის ყველა ფენის წინააღმდეგ 1930–იან წლებში მასობრივი რეპრესიები განხორციელდა. ამ პოლიტიკის მთავარი მიზანი მასიური შიშის დანერგვა, ადამიანების სრულ ბრბოდ გადაქცევა იყო. ბოლშევიკებს, ამ გზით პარტიის მარტოდ–მარტო ხელისუფლების გამყარება უნდოდათ.

ჩვენი ხალხის გამოჩენილ ინტელიგენციას, სახელმწიფო მოხელეებს, უბრალო მუშებს და გლეხებს "კონტრრევოლუციური" "საბჭოთა სახელმწიფოს მტერი", "მუსავატი"–ს სახელით სამაგიეროს უხდიდა.

საბჭოთა რეჟიმისათვის ერთგულად მომსახურე პარტიისა და სახელმწიფოს მოხელეებიც რეპრესიებს ვერ აცდნენ. მასობრივი რეპრესიების პიკად 1937 წელი ითვლება. თავისი ხალხის საკუთარ თავზე მეტად მოსიყვარულე ათიათასობით ინტელიგენცია დახვრიტეს ან გადაასახლეს, როგორც „ხალხის მტრები". ჩვენი ხალხის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის მიხედვით კვლევების მწარმოებელი მეცნიერები **ბექირ ჩობანზადე, სალმან მუმთაზი,** გამოჩენილი პოეტები **ჰუსეინ ჯავიდი, მიქაილ მუშფიკი, ეჰმედ ჯავადი** რეპრესირებულთა შორის იყვნენ.

[1] **ავტორიტარული რეჟიმი** – პოლიტიკური ხელისუფლების ერთი პირის ან ადამიანთა ერთი ჯგუფის ხელში ჩაგდებული მართვის ხერხი.

ჰუსეინ ჯავიდი

ეჰმედ ჯავადი

მიქაილ მუშფიკი

ამ საშინელ წლებში 29 ათასი უცოდველი ადამიანი განადგურდა. აზერბაიჯანის სსრ–ში მასიური რეპრესიები სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისაგან უფრო შეუბრალებელი, უფრო სისხლიანი იყო. ამისი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ აზერბაიჯანის 51 რაიონიდან 31-ში შინაგან საქმეთა კომისარიატების ადგილობრივ განყოფილებებში სომხების წარმომადგენლები მეთაურობდნენ.

შეავროვეთ და განიხილეთ ინფორმაცია რეპრესიების მსხვერპლის შესახებ.

დასჯითი ღონისძიებები სამხრეთი აზერბაიჯანიდან ოდესღაც, ჩრდილოეთში სამუშაოს საძებრად წამოსულ თანამემამულეებსაც არ აცდა. 1938–1940 წლებში საბჭოთა მთავრობამ მათ ირანში დეპორტაცია[1] გაუკეთა.

ტოტალიტარული სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბება. XX საუკუნის 20–30–იან წლებში საბჭოთა რეჟიმმა აზერბაიჯანში მთელი ეროვნული ძალები "ხალხის მტრად" შერაცხა და გაანადგურა. მეცნიერებისა და კულტურის ყველა სფერო კომუნისტური პარტიის მიერ მონოპოლიზირებულ იქნა. კერძო მესაკუთრეებსა და მიწის მეპატრონეებს უმოწყალოდ უსწორდებოდნენ. საზოგადოება მუშების, გლეხებისა და ახალი საბჭოთა ინტელიგენციისაგან შედგებოდა. როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, აზერბაიჯანშიც ანტი- დემოკრატიული, ტოტალიტარული[2] მმართველობის მეთოდი დამყარდა. ყველა ეს ცვლილება მოსკოვის მიერ ახალი სოციალისტური საზოგადოების გამარჯვებად გამოცხადდა. 1936 წელს მიღებული სსრკ–ს მეორე კონსტიტუციის მიხედვით აკსფსრ გაუქმდა. აზერბაიჯანის სსრ პირდაპირ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკად გამოცხადდა. 1937 წელს კი აზერბაიჯანი სსრ–ს **მეორე კონსტიტუცია** იქნა მიღებული. ჩვენს ხალხსა და ენას "**თურქი**" სახელწოდება შეეცვალა „**აზერბაიჯანი**" დაერქვა. კონსტიტუციაში აზერბაიჯანის მოქალაქეებს, ფორმალურად, მაგრამ ფართო დემოკრატიული თავისუფლება და უფლებები მიეცა. გამოცხადდა საერთო და პირდაპირი არჩევანის უფლება. მაგრამ ამ უფლებებს არავითარი რეალური

აზერბაიჯანის სსრ–ს 1937 წლის კონსტიტუციის 151–ე მუხლში სახელმწიფო გერბის გამოსახულება ასეა მოცემული: "აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბზე აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე: "აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა" და "პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!" სიტყვები აწერია და ამომავალი მზის ფონზე ბამბისა და თაფთაფის შეკრებით გამოსახული სვეტია აღმართული. გერბის ზედა ნაწილზე ხუთქიმიანი ვარსკვლავია".

შეადარეთ შინაარსისა და წყაროს მიხედვით აზერბაიჯანის სსრ–ს 1937 წლის გერბი აზერბაიჯანის რესპუბლიკის გერბთან.

[1] **დეპორტაცია** – მოსახლეობის თავისი საცხოვრებელი ადგილიდან მასიურად გადასახლება.

[2] **ტოტალიტარული** – საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მკაცარად სახელმწიფოს კონტროლზე დამორჩილება.

უზრუნველყოფა არ ჰქონია. აზერბაიჯანში ადგილობრივი და უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების არჩევნები სახელმწიფოს და პარტიის მკაცრი კონტროლის ქვეშ ტარდებოდა. არჩევნებში, როგორც წესი, კომუნისტური პარტიის მიერ ერთი კანდიდატი სახელდებოდა და ის ძალიან მაღალი პროცენტით "იმარჯვებდა". მასიური გაყალბების პირობებში ჩატარებული არჩევნების შედეგები არც სსრკ–ის და არც აზერბაიჯანის პოლიტიკურ ცხოვრებაში არც ერთ ცვლილებას არ იწვევდა. სსრკ–ის და აზერბაიჯანის ხელმძღვანელები დიდი ხნის მანძილზე უცვლელად რჩებოდნენ.

გაიხსენეთ: პირველად როდის და სად მიეცა ხალხს, საერთო და პირდაპირი არჩევანის უფლება?

სამხრეთ აზერბაიჯანში ჩვენი თანამემამულეების ეროვნული უფლებების გათელვა. ყაჯარ–თურქული დინასტიის წარმომადგენელი ეჰმედ შაჰის დროს ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. შაჰის რეჟიმს გატარებული პოლიტიკის შედეგად ეროვნული და სოციალური საყრდენები გამოეცალა. სპარსული მოდგმის სამხედრო მინისტრმა რზა ხანმა „რესპუბლიკისათვის მოძრაობა" სახელწოდებით ირანში ბრძოლა დაიწყო და სამხრეთი აზერბაიჯანის დემოკრატიული ძალების დახმარებით ყაჯარების დინასტია ტახტიდან ჩამოაგდო. **1925 წელს რზა ხანმა** საკუთარი თავი შაჰად გამოაცხადა. ირანში ათასწლეულის შემდეგ სპარსული მოდგმის **ფეჰლევის დინასტია** მოვიდა ხელისუფლებაში. მან ყველა პოლიტიკური პარტია აკრძალა. მკაცრი ცენტრალიზებული დიქტატურული რეჟიმი დაამყარა.

დაასაბუთეთ რომ სამხრეთი აზერბაიჯანი არის მთავარი ძალა ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რზა შაჰმა მის ტახტზე ასვლაში გადამწყვეტი როლის მქონე სამხრეთ აზერბაიჯანში ეროვნული დისკრიმინაციის პოლიტიკა დაიწყო. ის სპარსების ქვეყანაში მმართველ ერად გადაქცევით აზერბაიჯანელი თურქების განადგურებას ცდილობდა. აზერბაიჯანელ თურქებს დედაენაზე განათლების მიღების, წიგნების და გაზეთების ბეჭდვის უფლება ჩამოერთვათ. სკოლებში და სახელმწიფოს სამმართველოებში თურქულად ლაპარაკი სასტიკად აიკრძალა. თურქულ ენაზე არსებული წიგნები და ხელნაწერები დაწვეს. გეოგრაფიული და ისტორიული ადგილების სახელწოდებები, ასევე გვარები გაასპარსულეს, ჩრდილოეთიდან საბჭოთა აზერბაიჯანიდან სამხრეთ აზერბაიჯანში თეატრები და საკონცერტო გასტროლები შეჩერებულ იქნა. ჩრდილო აზერბაიჯანში საზღვრები შეიძლება ითქვას დაიკეტა. სამხრეთი აზერბაიჯანის მიწები ორ ნაწილად (დასავლეთ და აღმოსავლეთ) გაყოფით ტერიტორია შემცირდა.

კითხვები და დავალებები:

1. *განმარტეთ ხელისუფლების არაზერბაიჯანელების მიერ მართვის შედეგები.*
2. *გაარკვიეთ საბჭოთა მთავრობის მიერ ხალხში შიშის დანერგვის მიზნები.*
3. *ვის შეიძლება სინამდვილეში ვუწოდოთ "ხალხის მტერი"?*
4. *გაანალიზეთ ირანში რზა შაჰის რეჟიმის თავისებურებები.*

36. ღონისძიებები კულტურის სფეროში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალი საგანმანათლებლო სისტემა, ახალი კულტურული ფასეულობების გამოყენება დაიწყო. 30–იან წლებში კულტურული რევოლუციის ღონისძიებებმა მძიმედ ჩაიარა. თუმცა საბჭოთა მთავრობა თავის იდეოლოგიას ხალხის ტვინში ნერგავდა, აგიტაციას აწარმოებდა. როგორ ტარდებოდა ეს პოლიტიკა? რომელი სფეროების განვითარება გაგრძელდა მთავრობის პოლიტიკის მითითებით?

ახალი საბჭოთა განათლების დაარსება. საბჭოთა მთავრობის კულტურის სფეროში მთავარი მიზანი სოციალისტური მსოფმხედველობის მქონე, ახალი წყობის ერთგული ახალგაზრდა თაობის მომზადება იყო. აზერბაიჯანის მოსკოვზე დაქვემდებარებული ეკონომიკის განვითარებისათვის ახალი განათლებული კადრების მომზადება იყო საჭირო. ბოლშევიკების რეჟიმმა აზერბაიჯანს "თავიდან ბოლომდე გაუნათლებელთა ქვეყანა" უწოდა. სასულიერო სკოლებში მიღებულ განათლებას არ ითვალისწინებდა. აზერბაიჯანის მოსახლეობის ერთ ნაწილს მეფის მთავრობის დროს გახსნილ სკოლებში ჰქონდა განათლება მიღებული.

მთავრობა წინა პერიოდში არათუ ევროპასა და თურქეთში, არამედ რუსეთში უმაღლეს განათლება მიღებულ ეროვნულ კადრებს არ ენდობოდა. ეროვნული ინტელიგენცია, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოს ემსახურებოდა სპეციალური კონტროლის ქვეშ იყო. საბჭოთა მთავრობამ 20–იან წლებში „**უცოდინრობის წინააღმდეგ ბრძოლა**" კამპანია დაიწყო, კვირის და საღამოს კურსები გაიხსნა. ამ კურსებზე მუშებს ანბანს, წერას და კითხვას ასწავლიდნენ.

1920–1930 წლებში სკოლების ქსელი გაფართოვდა. პროგრამები და სახელმძღვანელოები განახლდა, საზოგადოებრივ საგნებში ინტერნაციონალურობამ წინა პლანზე წამოიწია. 1920–1930 წლებში მთავრობამ აზერბაიჯანში უმაღლესი განათლების განვითარებისათვის ბევრი საქმე გააკეთა. **გაიხსნა პედაგოგიური, პოლიტექნიკური, სამედიცინო და სასოფლ სამეურნეო ინსტიტუტები.** ბაქოში მოქმედება დაიწყო აღმოსავლეთის პირველმა კონსერვატორიამ.

შეადარეთ მეფის რუსეთის და სსრკ–ს განათლების სისტემა.

1929 წელს არაბული ანბანი ლათინურმა შეცვალა. ანბანის რეფორმას გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე **სემედაღა აღამალიევი** მეთაურობდა. 10 წლის შემდეგ **კირილურზე, რუსულ ანბანზე გადასვლის** შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

შეიძლება აზერბაიჯანის ანბანის ცვლილებები მ.ვ. ახუნდზადეს ანბანთან დაკავშირებულ მოქმედების შედეგად ჩათვალოს? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

მეცნიერების განვითარება. საბჭოთა აზერბაიჯანში სხვადასხვა მეცნიერების სფეროების მიხედვით ლაბორატორიები, კვლევითი ინსტიტუტები დაარსდა.

1935 წელს სსრკ–ს მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალი გაიხსნა. ნავთობ–ქიმიის სფეროში აზერბაიჯანის მეცნიერებების ძიება დიდი მეცნიერული აღმოჩენით დამთავრდა. ქიმიის მეცნიერებმა **ნავთობის ნარჩენებით ბენზოლის მიღების** მეთოდი აღმოაჩინეს. მანამდე სსრკ ამ ძვირფას საქონელს აშშ–ში ძვირად ყიდულობდა. ჩვენმა მეცნიერებმა **მინერალური წყლებით იოდის მიღების** მეთოდიც აღმოაჩინეს. ბაქოში იოდის ქარხანა აშენდა. ფიზიკის დარგში ხ. ემირხანოვის ნახევარგამტართან დაკავშირებით გამოკვლევების შედეგები შეფასდა, როგორც დიდი აღმოჩენა.

ლოზანასა და სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტებში განათლება მიღებულმა სონა ველიხანიმ თვალის სნეულებათა მკურნალობის სფეროში დიდ მეცნიერულ შედეგებს მიაღწია. ამ მეცნიერული შედეგების მიხედვით, მეცნიერი ნობელის პრემიაზე იყო წარდგენილი. თუმცა მეორე მსოფლიო ომის დაწყებმ და ნობელის კომიტეტის მიერ პრემიების გაცემის შეწყვეტის გამო ეს საქმე ღიად დარჩა.

სონა ხანუმ იბრაჰიმ კიზი ველიხანი (1883–1982)

უზეირ ჰაჯიბეილი (1885–1948)

დიდი კომპოზიტორი უზეირ ჰაჯიბეილი, როგორც აღმოსავლეთის პირველი ოპერის და პირველი კონსერვატორიის დამაარსებელმა აზერბაიჯანის ისტორიაში ღრმა კვალი დატოვა. 1921 წელს პირველი კონსერვატორია, ხოლო შემდეგ 1922 წელს პირველი მუსიკალური სკოლა დააარსა. მუსიკალურ სკოლაში ძირითადად აზერბაიჯანელებს ღებულობდნენ. პირველ სასწავლო წელს 383 მოსწავლიდან 350 აზერბაიჯანელი იყო.

ხელოვნება და არქიტექტურა. 1920–30–იან წლებში აზერბაიჯანის ***დრამატული, ოპერისა და ბალეტის, თოჯინების და მუსიკალური კომედიე–ბის თეატრები მოქმედებდა.*** საბჭოთა მუსიკის განვითარებაში ჩვენი უკვდავი კომპოზიტორი უზეირ ჰაჯიბეილი შეუდარებელ სამსახურს აგრძელებდა. მის მიერ დადგმული "***ქოროღლი***" ***ოპერის*** 1937 წელს სცენზე წარმოდგენა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო. ჯაბარ კარიაღდიოღლი, სეიდ შუშინსკი, ხან შუშინსკი მუღამის ხელოვნების დიდი კორიფეები იყვნენ.

1926 წელს *აზერბაიჯანის კინომ და რადიომ საქმიანობა დაიწყო.* ამ ორგანოებმა კულტურისა და ხელოვნების მიღწევების ხალხის ფართო მასებში გავრცელებაში დიდი როლი შეასრულეს.

ამ პერიოდში მხატვრობის განვითარებაში **ეზიმ ეზიმზადემ და რუსტამ მუსტაფაევმა** დიდი წვლილი შეიტანეს.

ამავე პერიოდში აზერბაიჯანის მოქანდაკეობის ხელობა დაარსდა. ბაქოში ჩვენს დიდ პოეტს მ.ე. საბირს ძეგლი აღუმართეს. თუმცა რესპუბლიკაში უფრო მეტი ლენინის, სტალინის, კიროვის, შაუმიანის და სხვების ძეგლები იდგმებოდა. ბაქოს ქუჩებსა და მოედნებს ძირითადად მათი სახელები ერქმეოდა.

ლიტერატურა. საბჭოთა მთავრობას აზერბაიჯანის ლიტერატურა სრულ კონტროლზე ჰყავდა, პოლიტიკური და იდეოლოგიური ზეწოლის ქვეშ შენახვას ცდილობდა. აზერბაიჯანის მწერლების და პოეტების ერთი ნაწილი ახალი პროლეტარული ლიტერატურის დაარსების პროცესში იყვნენ ჩართული. ახალგაზრდა პოეტები: სულეიმან რუსტამი, სემედ ვურღუნი, რასულ რზა, მემმედ რაჰიმი და სხვები სოციალისტურ საზოგადოებრივ წყობას უმღეროდნენ. ეჰმედ ჯავადს, ჰუსეინ ჯავიდს, მიქაილ მუშვიკს და სხვა კალმის ოსტატებს კომუნისტური იდეოლოგიის სამსახური არ სურდათ, დროის რეალური ცხოვრების ასახვას ცდილობდნენ. ამიტომაც რეპრესიას ემსხვერპლნენ.

ეროვნულ–სულიერ ღირებულებებზე შეტევა. ურჯულობის აგიტაცია. საბჭოთა საზოგადოების მმართველი კომუნისტური იდეოლოგია რელიგიური ღირებულებების განადგურებასა და ღმერთის უარყოფაზე იყო აგებული. საბჭოთა მთავრობამ ბაქოში ათეიზმის აგიტატორთა "**უღმერთოების საზოგადოება**" შექმნა. რესპუბლიკაში ყველა სახის სამლოცველოები, მეჩეთები, ეკლესიები მასიურად იხურებოდა. აღმოსავლეთის მარგალიტად წოდებული **ბიბიჰეიბათის მეჩეთი ააფეთქეს**. რელიგიური დღესასწაულები აიკრძალა. აღმოსავლეთში ახალი წლის მაცნე ნოვრუზ ბაირამი რელიგიურ დღესასწაულად ჩათვალეს და 30–იან წლებში აკრძალეს. ეროვნული ტანსაცმლის ტარება აიკრძალა, დასავლური ჩაცმულობის სტილი გავრცელდა.

თარის, საზის და ქამანჩას მსგავსი ეროვნული მუსიკალური საკრავების წინააღმდეგ "კულტურული დევნა" განხორციელდა. მხოლოდ უ. ჰაჯიბეილი, გ. მუშვიკი, კ. ფირიმოვისნაირი ინტელიგენციის დიდი მცდელობის შედეგად თარის შენახვა შესაძლებელი გახდა. კომუნისტების მიერ ხალხის რელიგიის ეროვნულ–სულიერი ღირებულებებისაგან დაშორების მცდელობამ კრახი განიცადა, მძიმე რეპრესიების პირობებში ჩვენმა ხალხმა შეძლო თავისი ეროვნული ღირებულებებისა და დღესასწაულების შენარჩუნება და დაცვა.

კითხვები და დავალებები:

1. *განსაზღვრეთ აზერბაიჯანის სსრ ში განათლების სისტემის თავისებურებები.*
2. *"თავიდან ბოლომდე გაუნათლებელთა ქვეყანა"–დ წოდებულ აზერბაიჯანში მეცნიერების რომელი სფეროები ვითარდებოდა? განმარტეთ.*
3. *შეაგროვეთ ცნობები უზეირ ჰაჯიბეილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.*
4. *განმარტეთ ეროვნულ სულიერი ღირებულებების განადგურების მიზეზები.*
5. *თემაში მოცემული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ შეადგინეთ დროის ღერძი.*

VI თავი. აზერბაიჯანი მეორე მსოფლიო ომის დროს და შემდგომ პერიოდში

37. აზერბაიჯანის სსრ მეორე მსოფლიო ომის წლებში

მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის 1939–1945 წლებში მეორე მსოფლიო ომი მოხდა. იცით, რომ ამ ომში აზერბაიჯანი კიდევ ერთხელ დიდი ქვეყნების გეგმებში იყო? რამდენი აზერბაიჯანელი გაიგზავნა ფრონტზე? რა სახის გმირობები ჩაიდინეს მათ? იცნობთ არმედ მიშელკს, მიხაილოს? „ედელვეისის" გეგმის მიხედვით გერმენელებს რომელი ტერიტორიები ჰქონდათ მიზანში ამოღებული? როგორი გავლენა მოახდინა ომმა აზერბაიჯანის ეკონომიკაზე?

ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებული გეგმები. 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიის პოლონეთზე შეტევით დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. გერმანიამ მოკლე დროში დაიპყრო ცენტრალური და დასავლეთი ევროპა, ძალა ორმაგად გაეზარდა. საბჭოთა კავშირზე ელვისებური დარტყმებისათვის

„**ბარბაროსის**“ გეგმა შეიმუშავეს. გერმანია 1941 წლის 22 ივნისს სსრკ–ს დაესხა თავს. ამით აზერბაიჯანი ჩაერთო მეორე მსოფლიო ომში. გერმანია თავის დაპყრობით გეგმაში აზერბაიჯანის ნავთობს, სასარგებლო სტრატეგიულ პოზიციას ანიჭებდა განსაკუთრებულ მნიშვნე-ლობას. როზერნბერგის „კავკასიის მართვის გეგმის“ მიხედვით კავკასიის ცენტრში თბილისში რეიხკომისარიატი უნდა დაარსებულიყო და აზერბაიჯანის კომისარიატი მას უნდა დაქვემდე-ბარებოდა. შემდგომში გერმანიას სსრკ–ს დამარცხების შემდეგ თურქი ხალხების საცხოვრებელი ტერიტორიები უნდა დაეპყრო და მასზე დამოკიდებული „დიდი თურქისტანი“ სახელმწიფოს დაარსების გეგმა ჰქონდა შემუშავებული. აზერბაიჯანი მთლიანად ამ სახელმწიფოს უნდა შეერთებოდა. ჰიტლერმა ბაქოს ნავთობის ამოღების გადამუშავებისა და გადაზიდვისათვის გერმანიის „კონტინენტალ ნავთობის საზოგადოება“–ს სპეციალური დავალება მისცა.

რით განსაზღვრებოდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მნიშვნელობა ომში? გამოთქვით თქვენი აზრი.

გერმანიის გენერალურმა შტაბმა მოამზადა კავკასიაზე თავდასხმის გეგმა. „ედელვაისი”[1] (მთის ყვავილი) სახელწოდებით ამ გეგმის მიხედვით, 1942 წელს ბაქო უნდა დაეპყროთ. გერმანიის ჯარმა 1942 წელს ზაფხულში მძიმე ბრძოლების შემდეგ კავკასიის ჩრდილოეთი ნაწილი ჩაიგდო ხელში და დიდი კავკასიის შესახებ “ვილვეტი”[2]–ის გეგმა შეიმუშავა. ამ გეგმის მიხედვით, კავკასიის მძიმე თავდაცვითი ბრძოლების მწარმოებელი საბჭოთა ჯარების ნაწილები აქედან უნდა გაეყვანათ და სტალინგრადის დასაცავად დაეყენებინათ. კავკასიაში აშშ–სა და ინგლისის ჯარები უნდა ჩაეყენებინათ. ი. სტალინმა ეს გეგმა უარყო. საბჭოთა ხელმძღვანელობასაც კავკასიასთან დაკავშირებით ბინძური გეგმა ჰქონდა. ომის დროს კავკასიის თურქ–მუსლიმანური მოსახლეობის, მათ შორის, აზერბაიჯანელების ძალდატანებით ცენტრალურ აზიასა და ყაზახეთში გადასახლე-ბისათვის ემზადებოდა. აზერბაიჯანის სსრ–ს იმდროინდელმა ხელმძღვანელებმა მირჯაფარ ბაღიროვმა ამ პროცესის შეჩერება შეძლო. დაღესტანის მოსახლეობის დეპორტაციას იმდროინდელმა დაღესტნის ასსრ–ს ხელმძღვანელმა **აზიზ ალიევმა** არ მისცა საშუალება.

ეზიზ ალიევი

გერმანელებმა 1942 წლის შემოდგომაზე ჩრდილო კავკასიის დიდი ნაწი-ლი დაიპყრეს და დაღესტანს მიუახლოვდნენ. დაღესტნის მოსახლეობა პა-ნიკაში ჩავარდა და სახლებს ტოვებდნენ, ქალები, მოხუცები მთებში გაიხიზ-ნენ. დაღესტნის დაპყრობით ბაქოზე ვზა იხსნებოდა. როგორ გამოვიდეთ მდგომარეობიდან? ვის განდოთ დაღესტნის დაცვა? ამ კითხვებზე პასუხის ძიებისას მოსკოვში აზიზ ალიევზე გაჩერდნენ. დიდი მეცნიერი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე აზიზ ალიევი 1942 წელს ოქტომბერში დაღესტა-ნის ხელმძღვანელად დაინიშნა. აზიზ ალიევის მიერ ჩატარებულ პირველ შეკრებაზე იგი დაღესტანის უხუცესებს მიუბრუნდა და უთხრა: ''მოხუცე-ბიც, ქალებიც, ბავშვებიც ჯარისკაცები უნდა გახდნენ. თუ ხალხში ერთობა იქნება, მისი დამარცხება შეუძლებელია... მშობლიური კავკასიის დაცვა, მტ-რის ჩვენს მთებში არ შემოშვების მოვალეობა ჩვენ გვერგო.... ''.

რასთან იქნებოდა დაკავშირებული დაღესტანის მმართველად აზერბაიჯანელი სახელმწიფო მოღვაწის დანიშვნა?

[1] **ედელვაისი** - გერმანულ ენაზე მთის ყვავილს ნიშნავს.

[2] **ვილვეტი** - ინგლისურ ენაზე სარგებლობა

ისრაფილ მემედოვი

ჰეზი ასლანოვი

კაფარ მამედოვი

მეჰდი ჰუსეინზადე

აჰმადია ჯაბრაილოვი

აზერბაიჯანელების მონაწილეობა ბრძოლებში. აზერბაიჯანელმა ხალხმა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. **700 ათასი კაცის მობილიზაცია მოხდა.** აზერბაიჯანში **402–ე, 223–ე, 416–ე, 271–ე ეროვნული მსროლელი დივიზიები დაარსდა.** აზერბაიჯანელმა მებრძოლებმა ომის დასაწყისში ბრესტის ციხესიმაგრის დაცვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. 1941 წელს დეკემბერში ნოვგოროდის სოფელ პუსტინკასათვის ბრძოლებში ვაჟკაცობით გამორჩეული **ისრაფილ მემედოვი საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მფლობელი პირველი აზერბაიჯანელი გახდა.** მოსკოვის ბრძოლებში გამორჩეული სატანკო განყოფილების მეთაური **ჰეზი ასლანოვი** "**წითელი ვარსკვლავის**" ორდენით იქნა დაჯილდოებული, ლენინგრადის ზეცის დამცველი მფრინავი **ჰუსეინბალა ალიევის** ვაჟკაცობა მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელდა.

კავკასიის ფრონტზე მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით 1942 წლის 9 სექტემბერს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. ბაქოს მიდამოებში სიმაგრეები აშენდა. 416 ეროვნულმა დივიზიამ ჩრდილო კავკასიის გათავისუფლებაში დიდი როლი ითამაშა. დივიზიამ ტაგანროგის განთავისუფლებაში გმირობისათვის, „ტანგაროვის დივიზიის" საპატიო სახელი მიენიჭა. ტუაფსესათვის ბრძოლაში გაფურ მემედოვმა ვაჟკაცობა გამოიჩინა და სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირი გმირის წოდება მიენიჭა.

სტალინგრადის ფრონტზე ჰ. ასლანოვის სატანკო ბრიგადამ მტერს მძიმე დარტყმა მიაყენა და ამისათვის მას პირველად საბჭოთა კავშირი გმირის წოდება მიენიჭა. ჰ. ასლანოვის სატანკო ბრიგადამ 1944 წლის ზაფხულში ბელორუსიის 508 საცხოვრებელი პუნქტი გაანთავისუფლა და იგი მეორედ საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე წარადგინეს. ეს ბრძანება მხოლოდ 1991 წელს გაიცა. ზია ბუნიადოვს პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირობისათვის, **იუსიფ სადიგოვს** ბერლინისათვის, რეიხსტაგის აღებისათვის ბრძოლებში ვაჟკაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. საერთოდ **ომის დროს 121 აზერბაიჯანელმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიიღო.**

გაანიხილეთ აზერბაიჯანელი სამხედროების როლი მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვებაში.

აზერბაიჯანელები პარტიზანულ და ანტიფაშისტურ მოძრაობებშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. იუგოსლავიაში მეტსახელად "მიხაილო"-დ ცნობილმა **მეჰდი ჰუსეინზადემ** ათასზე მეტი ფაშისტი ოფიცერი გაანადგურა,უამრავი ადამიანი გაანთავისუფლა ფაშისტური ტყვეობიდან. იგი 1944 წელს გარდაიცვალა. 1957 წელს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს. საფრანგეთში ტყვეთა ბანაკიდან გაიქცა და პარტიზანებს შეუერთდა **ეჰმედია ჯაბრაილოვი** "არმედ მიშელი" (ხარგო)-ს მეტსახელით ბრძოლებში მონაწილეობდა. მას გამოჩენილი გმირობისათვის საფრანგეთის ყველაზე მაღალი სამხედრო ჯილდო - აღლუმზე ჯარისკაცის გენერალზე წინ წასვლის უფლების მიმცემი **საპატიო ლეგიონის** ორდენი გადასცეს.

რომელი ფილმებია გადაღებული აზერბაიჯანელი საბჭოთა კავშირის გმირების შესახებ?

ეკონომიკის ფრონტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე მიმართვა. 1941 წლის ივნისში აზერბაიჯანის ყველა სახის საქმიანობა ომის მოთხოვნილებებს შეუსაბამეს. სამუშაო დღე 11 საათი გახდა, სურსათისა და სამრეწველო საქონელის მისაღებად სატალონო სისტემა შემოიღეს. ომში წასული მამაკაცების ადგილები ქალებმა და ბავშვებმა დაიკავეს. ომის წლებში აზერბაიჯანელმა მენავთობეებმა ქვეყანას **75 მილიონი ტონა ნავთი, 22 მილიონი ტონა ბენზინი** მისცეს ეს საბჭოთა კავშირის მიხედვით მოპოვებული ნავთობის სამი მეოთხედის, ბენზინის 90 პროცენტის ტოლი იყო. ბაქოში კატიუშას ტიპის რაკეტები, MAK-3 გამანადგურებელი თვითმფრინავი, შპაგის ტყვიამფრქვევი, საერთო ჯამში **130 დასახელების იარაღი და საშხედრო ტექნიკა** იწარმოებოდა. ამუშავდ ჯულფა - მინჯივანი, სალიანი - ნეფთჩალა რკინიგზის ხაზებია.

შეავროვეთ ინფორმაცია ომის რეჟიმის თავისებურებების შესახებ.

კითხვები და დავალებები:

1. *როგორი ადგილი ეკავა აზერბაიჯანს ფაშისტური გერმანიის გეგმებში?*
2. *შეადგინეთ ცხრილი შინაარსისა და დამატებითი ინფორმაციების საფუძველზე აზერბაიჯანული დივიზიების შესახებ.*
3. *გაანალიზეთ პარტიზანულ მოძრაობებში მონაწილე აზერბაიჯანელების მოქმედება.*
4. *კიდევ რომელ აზერბაიჯანელ საბჭოთა კავშირის გმირებს იცნობთ?*
5. *შეავროვეთ ცნობები აზერბაიჯანის ეკონომიკის ფაშიზმზე გამარჯვებაში წვლილის შესახებ.*

38. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ აზერბაიჯანში

სამხრეთი აზერბაიჯანი მეორე მსოფლიო ომის წლებში, როგორც სტრატეგიული რეგიონი მნიშვნელოვან სამიზნედ იყო გადაქცეული. რით განისაზღვრებოდა სსრკ-ს ინტერესები? რა პოლიტიკური მანევრირება გააკეთა ირანის მთავრობამ ომის წლებში? ამ დროს რა სახის მოვლენების პირისპირ აღმოჩნდა სამხრეთ აზერბაიჯანის მოსახლეობა?

მოკავშირეების პოლიტიკური ხრიკები. XX საუკუნის 30-იან წლებში ირანმა დემოკრატიულ ფასეულობებზე უარი თქვა. შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმი. შაჰ რზამ საკუთარი თავი ჰიტლერს დაამგვანა და ირანის ფიურერად გამოაცხადა.

გერმანიის სსრკ-ზე თავდასხმის დროს, გერმანელების დაზვერვა სამხრეთ აზერბაიჯანში გააქტიურდა, საბჭოთა კავშირის მთავარი, თხევადი საწვავის ბაზას-ბაქოს, რეალური საფრთხე დაემუქრა. ამიტომაც **1941 წლის აგვისტოში** საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ შეატყობინა, რომ

1921 წლის საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულების საფუძველზე, ირანის ჩრდილოეთში სამხედრო ძალა შეჰყავს. ცოტა ხანში ინგლისმა და აშშ-მა ირანის სამხრეთში ჯარები შეიყვანეს. ომის ბოლომდე იქ დარჩნენ. ომის წლებში ირანი მოკავშირე ქვეყნებს შორის მთავარ სატრანსპორტო არტერიად გადაიქცა. აშშ-მა და ინგლისმა, ირანის ტერიტორიის დახმარებით საბჭოთა კავშირისათვის იარაღის, სამხედრო ტექნიკის, პროდუქციის გაგზავნა მოაწესრიგეს.

ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება. 1941 წლის სექტემბერში ინგლისის ზეწოლით **შაჰ რზა** გადადგა და ეგვიპტეში წავიდა, მისი შვილი **შაჰ მეჰმედ რზა** ტახტზე ავიდა. შაჰ რზას სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმი გაკოტრდა, დემოკრატიული მოძრაობა გამოცოცხლდა. სამხრეთი აზერბაიჯანი ამ მოძრაობას წინ უძღოდა. ირანის სახალხო პარტიის აზერბაიჯანის ორგანიზაციის წინადადებით, ჩამოყალიბდა ანტიფაშისტური საზოგადოებები, დაიწყეს დედაენაზე ჟურნალ-გაზეთების გამომცემა. საბჭოთა ჯარის აზერბაიჯანელმა ოფიცრებმა თებრიზში "სამშობლოსათვის" სახელწოდებით გაზეთის გამომცემლობას ორგანიზება გაუკეთეს. სამხრეთი აზერბაიჯანის დემოკრატიული მოძრაობის პირველი ეტაპი 1941 წლის შემოდგომიდან 1945 წლის ზაფხულამდე პერიოდს მოიცავდა. ამ პერიოდში დემოკრატიული წესების აღდგენა მოხდა, ეროვნული აზროვნება იღვიძებდა. ძირითადად სიძვირის, მექრთამეობის წინააღმდეგ იბრძვიან, დედა ენის და ეროვნული კულტურის განვითარებისათვის ნაბიჯები იდგმებოდა.

დაასაბუთეთ, რომ სამხრეთ აზერბაიჯანის მოძრაობა ეროვნულ-დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა.

1945 წლის ზაფხულში **ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობის ახალი ეტაპი** დაიწყო. ამ ეტაპზე ირანის მმართველმა წრეებმა სამხრეთ აზერბაიჯანის მსხვილმა მიწის მეპატრონეებმა, მაღალი რანგის წარმომადგენლებმა, დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობის მცდელობები გააძლიერეს. ისინი საზოგადოებრივი მდგომარეობის დაძაბვას ცდილობდნენ, შეიარაღებული ჯგუფები შექმნეს და ეროვნულ ნიააგზე, ადგილობრივ მოსახლეობასა და ნახევრადმომთაბარე ხალხს შორის შექმნეს ხელოვნური დაპირისპირებები. ამ პროვოკაციების აღკვეთისათვის სამხრეთ აზერბაიჯანის დემოკრატიული ძალები მოქმედებაზე გადავიდნენ.

1945 წლის სექტემბერში დემოკრატიული მოძრაობის აქტიური წარმომადგენლების წინადადებით **დაარსდა აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტია (ადპ). სეიდ ჯაფარ ფი-შევერი (1892-1947)** პარტიის თავჯდომარედ აირჩიეს. ადპ დაარსების შესახებ დებულებაში პარტიის დემოკრატიული ირანის სახელმწიფოს შემადგენლობაში აზერბაიჯანისათვის ავტონომიის მიცემისათვის ბრძოლის წარმოება გამოცხადდა. დებულებაში პარტიის ფართო სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ჩატარება, მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამხრეთ აზერბაიჯანში მცხოვრები ყველა პირის თანაბარუფლებიანობა, საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის ბრძოლის პირობა დადეს.

შეადარეთ ადპ-ს დაარსების შესახებ დებულება ადრ-ს დამოკოუკიდებლობის დებულებასთან.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელს სტალინს და აზერბაიჯანის კპბპ ცკ პირველ მდივანს მ.ჯ ბაღიროვს სამხრეთ აზერბაიჯანში ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის შესახებ სრული ინფორმაცია ჰქონდათ. საბჭოთა ხელმძღვანელობა ამ მოძრაობას ყოველმხრივ დახმარებას დაპირდა. იმ პერიოდში მთელი ჩრდილოეთი ირანის საბჭოთა ჯარების კონტროლზე ყოფნამ სამხრეთ აზერბაიჯანის დემოკრატიული ძალებს თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა.

1945 წლის შემოდგომაზე თებრიზში ადპ-ს ორგანომ გაზეთ "**აზერბაიჯანი**"-ს დედა ენაზე გამოქვეყნება დაიწყო. ადპ-მ ღიად შექმნა პატრიოტული ჯგუფები. მარაღაში, ზენჯანში, ერდებილში და სხვა ქალაქებში დემოკრატიული მთავრობის ორგანოები დაარსა. თებრიზში ხელისუფლება

ფაქტიურად გადავიდა **ადპ**-ს ხელმძღვანელების კონტროლის ქვეშ. მოიწვიეს აზერბაიჯანის სახალხო კონგრესი და ამ ორგანომ თავი დამფუძნებელთა კრებად[1] გამოაცხადა. დამფუძნებელთა კრებამ დაიყენა აზერბაიჯანის სამართავად ეროვნული მეჯლისის მოწვევის, ეროვნული მთავრობის შექმნის მოთხოვნა. **1945 წლის ნოემბერში ჩატარდა ეროვნული მეჯლისის არჩევნები. 12 დეკემბერს ეროვნულმა მეჯლისმა მუშაობა დაიწყო და ს.ჯ. ფიშეკერის მეთაურობით ეროვნული მთავრობა დააარსა.**

სეიდ ჯაფარ ფიშეკერი

ეროვნული მთავრობის რევოლუციური ღონისძიებები. საბჭოთა სამხედრო ნაწილების ჩრდილოეთ ირანში ყოფნამ შაჰის მთავრობას აზერბაიჯანში ღია სამხედრო ჩარევის საშუალება არ მისცა. აზერბაიჯანის ეროვნულმა მთავრობამ კიდევ ერთხელ დააყენა ირანის სახელმწიფოს ჩარჩოებში აზერბაიჯანის ავტონომიის მოთხოვნა. 1946 წლის პირველ თვეებში, ადგილობრივმა სახელისუფლებო ორგანოებმა მოქმედება დაიწყეს. ეროვნულმა მეჯლისმა მიიღო **აგრარული კანონი**, სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი მიწები და აზერბაიჯანიდან გაქცეული მიწათმფლობელების მიწები გლეხებს გადაუნაწილათ. მოგვიანებით, "**შრომის შესახებ**" კანონი იქნა მიღებული. ფაბრიკა-ქარხნებში დაწესდა მუშების კონტროლი. 1946 წლის იანვარში ეროვნულმა მეჯლისმა ენის შესახებ მიიღო კანონი: **აზერბაიჯანული ენა** მთელს სამხრეთ აზერ-ბაიჯანში ოფიციალურ სახელმწიფო ენად გამოცხადდა. **იმავე წლის ივნისში თებრიზის უნივერ-სიტეტმა მოქმედება დაიწყო**.

შეადარეთ სამხრეთ აზერბაიჯანის ეროვნული მთავრობა და ასფ-ის ეროვნულ-კულტურული წყობის ღონისძიებები.

ირანის მთავრობის ახალი მეთაური ეჰმედ კავამი 1946 წელს აპრილში მოსკოვში ჩავიდა, სტალინს შეხვდა და ჩრდილოეთ ირანში ნავთობის ამოღების კოსენსიის[2] პირობას დათანხმდა. სამაგიეროდ საბჭოთა მთავრობას სამხრეთ აზერბაიჯანის საკითხებში ნეიტრალური პოზიცია უნდა დაეკავებინა. მოსკოვში შეხვედრის შედეგად საბჭოთა კავშირმა ჯარები ირანიდან სასწრაფოს გაიყვანა.

აჰმედ კავამმა 1946 წლის ივნისში თებრიზში ეროვნულ მთავრობასთან ხელშეკრულება გააფორმა, მიაღწიეს თანხმობას ირანის შემადგენლობაში სამხრეთ აზერბაიჯანისათვის ზოგიერთი უფლებების მიცემის შესახებ. სახელმწიფოს მეთაურმა იმ დროს სსრკ-ს, აშშ-ს და ინგლისს შორის ირანთან დაკავშირებული ზოგიერთი წინააღმდეგობა შეძლებისდაგვარად გამოიყენა. "ირანის საკითხი" გაი-ტანეს **გაერო**-ში განსახილველად. აშშ-მა და ინგლისმა ეროვნული მთავრობის როგორც საბჭოთა ხელმძღვანელების მოთხოვნების მომსახურე ერთი ორგანოს შეფასებისათვის, ასევე სსრკ-ს ირანში გავლენაზე დარტყმის მიყენების მიზნით შაჰის მთავრობას ყოველმხრივი დახმარება გაუწია. 1 დეკემბერს ირანის ჯარებმა სამხრეთ აზერბაიჯანში დაიწყეს სამხედრო ოპერაციები, პატრიოტული დაჯგუფებები გაანადგურა და **12 დეკემბერს** თებრიზში შევიდა. **ადპ და ეროვნული მთავრო-ბის ხელმძღვანელები დახვრიტეს**. ხოლო ს.ჯ. ფიშეკერი ერთ ჯგუფ თანამებრძოლებთან ერთად საბჭოთა ხელმძღვანელობის მითითებით საბჭოთა კავშირში წაიყვანეს, ათასობით პატრიოტი აზერბაიჯანის სსრ-ში ემიგრირდა. ს.ჯ ფიშეკერი 1947 წელს გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

სამხრეთ აზერბაიჯანში ს.ჯ ფიშეკერის მეთაურობით ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა, ხალხის უფლებების, ეროვნული ღირებულებების, რელიგიის, კულტურის დაცვის და განვითა-რებისათვის ბრძოლის ნათელი ფურცელია.

---

[1] **დამფუძნებელი კრების** - კონსტიტუციის მომზადების და მიღების, ან ახალი სახელმწიფოს წყობის განხორციელები-სათვის გამოყოფილი უფლების მქონე ხალხის წარმომადგენლობის შეკრება.

[2] **კონსენსია** - ქვეყნის შიგნით მრეწველობის დაწესებულებების ორგანიზება, სასარგებლო გათხრებისათვის ნებართვა.

კითხვები და დავალებები:

1. დაასაბუთეთ, რომ აზერბაიჯანი ჰეგემონი ქვეყნებისათვის სტრატეგიული რეგიონია.
2. შეადარეთ ეროვნულ-დემოკრეტიულ მოძრაობის პირველი და მეორე ეტაპი.
3. გამოააშკარავეთ საბჭოთა ხელისუფლების სამხრეთ აზერბაიჯანის ეროვნული მთავრობასთან ურთიერთობის შეცვლის მიზეზები.
4. რა იყო ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის დაშარცხების მიზეზები?
5. რა ღონისძიებები გაატარა ეროვნულმა მთავრობამ ეკონომიკის სფეროში?

39. აზერბაიჯანის სსრ ომის შემდგომ ათწლეულში

სსრკ მეორე მსოფლიო ომიდან გამარჯვებული გამოვიდა. აზერბაიჯანელი ხალხიც, როგორც ამ ომის მთავარი გმირი ისტორიაში მოხვდა. ომის მთელი სიმძიმის გადამტანი აზერბაიჯანის სსრ ომის შემდეგ რა მოვლენების მოლოდინში იყო? კიდევ რომელი ძალადობრივი ღონისძიებები განახორციელა საბჭოთა ტოტალიტარულმა რეჟიმმა ჩვენი ხალხის წინააღმდეგ?

ტოტალიტარული[1] რეჟიმის გაძლიერება. ომის გამარჯვებით დამასრულებელმა საბჭოთა ხელმძღვანელობამ კავშირის ფარგლებში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა გააძლიერა. ი. სტალინის პიროვნების კულტმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო. საბჭოთა სახელმწიფოს ყველა წარმატება მას ეწერებოდა. აზერბაიჯანშიც მ. ჯ. ბაღიროვმა რესპუბლიკის მართვა სრულიად მიითვისა, პირადად მისი ერთგული ადამიანები მაღალ თანამდებობებზე დანიშნა. კრემლის მითითებით ნიჭიერ ადამიანების, კერძოდ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების წინააღმდეგ ღონისძიებები გაძლიერდა, დაიწყო რეპრესიების ახალი ტალღა. ადამიანების მიმრთა უნდობლობა, ჩუმად თვალყურის დევნებამ, დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნებების დევნამ, გამყიდველებისა და პირფერების თანამდებობაზე დანიშვნამ ფართო ხასიათი მიიღო. საზოგადოებაში საერთო პანიკამ, შიშის გრძნობამ იმატა.

ჰეიდარ ჰუსეინოვი

ცნობილი ფილოსოფოსი **ჰეიდარ ჰუსეინოვი** შეიხ შამილის მეთაურობით ბრძოლის, ჩრდილო კავკასიის ხალხების რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლად შეფასებისათვის გაიკიცხა. შემდეგ ყველა თანამდებობიდან გადააყენეს, „სტალინის პრემია“ ჩამოერთვა. ჩვენი ისტორიის დამახინჯებამ ფართო ხასიათი მიიღო. აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ნაწილის რუსეთის მიერ დაპყრობა, წარმოდგენილი იქნა როგორც „ნებაყოფლობით შეერთება“, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება და მოქმედება ისტორიიდან ამოიღეს. ცნობილი ისტორიკოსი ა. ბაქიხანოვი ბეგებისა და ხანების დაცვაში, რუსეთის აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერების ფუძემდებელი მირზა ქაზიმბეი ცარიზმის სამსახურში დაადანაშაულეს. მისი წიგნი-“დედე გორგუდ”-ის თქმულება შეფასდა როგორც ფეოდალური ცხოვრების ამსახველი ეპოსი. დაიწყო მკვლევარების დევნა. სემედ ვურღუნი, მირზა იბრაჰიმოვი და სხვა პოეტები და მწერლები სოციალისტური საზოგადოების ნაკლოვანებების გაკრიტიკებისათვის დამნაშავეებად ჩათვალეს.

[1] **ტოტალიტარული რეჟიმი** – პოლიტიკური მართვის ფორმა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მკაცრად სახელმწიფოს კონტროლქვეშ დაქვემდებარება.

რა იყო ჩვენი ისტორიის დამახინჯების მიზანი? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

სომხეთის მიერ მთიან ყარაბაღზე პრეტენზიების წამოყენება. ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა სახელმწიფოში მაღალი თანამდებობის პირის და სტალინთან დაახლოებული მიქოიანის ინიციატივით მთიანი ყარაბაღის სომხეთისათვის გადაცემის მოთხოვნა იქნა წამოყენებული. სომხეთში საიდუმლო „ყარაბაღის კომიტეტი“ დაარსდა და ***სომხეთის ხელმძღვანელობამ 1945 წლის შემოდგომაზე საბჭოთა ხელმძღვანელობის წინაშე დააყენა საკითხი მთიანი ყარაბაღის მათთვის გადაცემის შესახებ.*** სომხეთის მხარე *მუსო*-ის სომხეთის სსრ-სთან შეერთების მოთხოვნის იმით დასაბუთებას ცდილობდა, რომ მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის უმრავლესობა სომხები არიან და ოლქის "ეკონომიკის მეზობელ რესპუბლიკასთან მჭიდრო კავშირი და საერთო-საბჭოთა ღირებულებები" გააჩნიათ.

გაიხსენეთ მ.ჯ. ბაღიროვის ამ საკითხთან დაკავშირებით გაგზავნილი საპასუხო წერილი. გაანიხილეთ მისი პასუხის გავლენა მოვლენების მსვლელობაზე.

1945 წლის შემოდგომაზე სომხეთის კ(ბ)პ ცკ-ის ხელმძღვანელობამ ი. სტალინს კიდევ ერთხელ მიმართეს თხოვნით მთიანი ყარაბაღის საკითხი დააყენეს, ამ ტერიტორიის სომხეთისათვის გადაცემა მოითხოვეს. ი. სტალინმა იგივე წერილი ბაღიროვს გაუგზავნა. მ.ჯ. ბაღიროვმა საპასუხო წერილით შემდეგი აცნობა: "....თქვენთვის შეტყობინება აუცილებლად ჩავთვალეთ, რომ მყაო-ს სომხეთის სსრ-ს შემადგენლობაში შეყვანის საკითხის განხილვისას, სომხეთის სსრ-ს აზერბაიჯანის სსრ-სთან საზღვარზე არსებული და ძირითადად აზერბაიჯანელებით დასახლებული აზიზბეკოვის, გედის და ყარაბაღლარის რაიონების აზერბაიჯანის შემადგენლობაში გადაყვანის საკითხებიც გადასახედია...

ასევე საქართველოდან ამხანაგები აზერბაიჯანის სსრ-ის ბელექანის, ზაქათალისა და კახის რაიონების საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შეყვანის საკითხს აყენებენ. ამ შემთხვევაში საქართველოს სსრ-ში, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ აზერბაიჯანელებით დასახლებული და აზერბაიჯანის საზღვარზე არსებული ბორჩალოს რაიონის აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში გადაყვანის საკითხიც გადასახედია.

ასევე გთხოვთ დაღესტანის ასსრ-ის წარსულში აზერბაიჯანის ერთ-ერთი ნაწილი, ბაქოს გუბერნიის შემადგენლობაში არსებული და დღესდღეობით აზერბაიჯანის საზღვარზე მყოფი დარუბანდის და კასუმქენდის რაიონების ტერიტორიების აზერბაიჯანის სსრ-ის შემადგენლობაში გადაყვანის საკითხის გადახედვას."

ტექსტისა და წყაროს საფუძველზე განიხილეთ, მ.ჯ. ბაღიროვის მთიან ყარაბაღთან დაკავშირებული პოზიცია.

ცენტრის მიერ ამ საკითხს აზერბაიჯანი როგორ უყურებს კითხვაზე აზერბაიჯანის ხელმძღანელმა მ. ჯ. ბაღიროვმა, მოსახლეობის უმრავლესობის აზერბაიჯანელების წარმომდგენი შუშის რაიონის გამოკლებით, ყარაბაღის მთიანი ნაწილის სომხებისათვის გადაცემის ნაცვლად, სომხეთში, საქართველოში და დაღესტანში არსებული აზერბაიჯანელების უმრავლესობის წარმომდგენი აზერბაიჯანის ისტორიული მიწების - ზენგეზურის, გოგჩას, ბორჩალოს, დარუბანდის მხარეების აზერბაიჯანისათვის დაბრუნების პირობა წამოაყენა. საბჭოთა ხელმძღვანელობამ და სომხეთმა ასეთ ტერიტორიულ ცვლილებებს უარი უთხრეს. იმიტომ, რომ თუ ზენგეზური აზერბაიჯანს დაუბრუნდებოდა თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის გაუქმდებოდა ხელოვნურად შექმნილი 'სომხეთის ტერიტორია".

აზერბაიჯანელი მოსახლეობის დეპორტაცია სომხეთიდან. საბჭოთა ხელმძღვანელობამ 1946 წლის ოქტომბერში მიიღო დადგენილება საზღვარგარეთ მცხოვრები სომხების სომხეთში გადმოსახლების შესახებ. რესპუბლიკაში ახლად ჩამოსული სომხებისათვის აზერბაიჯანელების საცხოვრებელი მიწების დაცლით ადგილი უნდა მიეცათ. ამისათვის სსრკ-ს მინისტრთა საბჭომ 1947 წლის 23 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება „სომხეთის სსრ-დან აზერბაიჯანელების აზერბაიჯანის სსრ-ში მტკვარ-არაქსის დაბლობებში გადასახლების შესახებ“. გადაწყვეტილების მე-11 მუხლის მიხედვით, დაცლილ ტერიტორიებზე უცხოეთიდან ჩამოსული სომხების სასწრაფო ჩასახლება დაიწყო.

აზერბაიჯანელების გადასახლების ბილეთი. 1948 წელი

1948–1953 წლებში სომხეთში მცხოვრები **53 ათასი აზერბაიჯანელი**, რომლებიც ასობით წელი ცხოვრობდნენ თავიანთ მამა-პაპის მიწებზე, ძალის გამოყენებით გაიყვანეს. ისინი საბირაბადის, საათლის და სხვა რაიონებში დაასახლეს. ადამიანები, რომლებიც მთიან ზონაში ცხოვრობდნენ, მტკვარ-არაქსის დაბლობებში საცხოვრებლად გადასახლებულებს ყოველგვარი საცხოვრებელი პირობების გარეშე დარჩენილებს, ძალიან მძიმე შედეგები ხვდათ წილად. ძალიან მალე გადასახლებულების ერთი მესამედი განადგურდა. ხოლო აზერბაიჯანში ცენტრის მითითებით დაიწყო საწინააღმდეგო პროცესი. ომის შემდგომ წლებში ბაქოში, განჯაში, ახლად შექმნილ მრეწველობის ცენტრებში, ათასობით სომეხი ოჯახი ჩამოასახლეს. ბაქოში, მთიან ყარაბაღში სომხების ლობი დაარსდა.

ჩვენი ხალხის წინააღმდეგ ამ შეუბრალებელ ღონისძიებებს ჩვენი თანამემამულეების სიცოცხლისა და ქონების საწინააღმდეგო ძალადობას მხოლოდ 50 წლის შემდეგ მიეცა სამართლიანი შეფასება. **1997 წლის 18 დეკემბერს** აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის მიერ ხელმოწერილი ბრძანებით 1948-1953 წლებში სომხეთიდან აზერბაიჯანელების მასიური დეპორტაცია–**ეთნიკური წმენდის და გენოციდის პოლიტიკა დაიგმო**.

საზღვარგარეთიდან ნებისმიერი პირის სსრკ–ში ჩამოსვლისას ჯაშუშობის მიზეზის მძებნელი მთავრობა, რატომ ენდო საზღვარგარეთის სომხებს და ისინი სომხეთში დაასახლა? გვაცნობეთ თქვენი აზრი.

ეკონომიკური განვითარება. ომმა აზერბაიჯანის ეკონომიკას, კერძოდ ნავთობის მრეწველობას მძიმე დარტყმა მიაყენა. ფრონტის შეუსვენებლად ნავთობპროდუქტებით მომარაგებისათვის ნავთობის საბადოების საექსპლუატაციო წესების შეუსრულებლობა, სპეციალური კადრების უკმარისობა, ნავთობის მანქანათმშენებლობის დაწესებულებების სამხედრო შეკვეთების შესრულებისაკენ მიმართ-ვა, ომის ბოლოს ნავთობის მოპოვების ორჯერ და უფრო მეტჯერ დაცემის მიზეზი გახდა. სხვა სამრეწველო ქალაქებში და სოფლის მეურნეობაში მუშახელის უკმარისობა და სხვა პრობლემებთან დაკავშირებული საქონლის წარმოებამ მწვავედ იკლო.

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მოკლე დროის მანძილზე ეკონომიკის აღდგენა და ომამდელი დონის გასწრების ვალდებულება აიღო. ეკონომიკის ძირეული დაფინანსება გაზარდა. ათასობით

ახალ-გაზრდა პროფესიულ სასწავლებლებში მცირე დროით მომზადების შემდეგ ნავთობის საბადოებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში გაიგზავნა სამუშაოდ. ნავთობის მრეწველობაში გაფართოვდა ახალი ტექ-იკური მოწყობილობების და ტექნოლოგიების გა-მოყენება, ახალი ნავთობის საბადოები გადაეცა საექსპლუატაციოდ.

ნავთობის ქვები

აზერბაიჯანის მენავთობეებმა მსოფლიოში პირ-ველად დაიწყეს ღია ზღვაში ნავთობის ამოღება. **1949 წლის 7 ნოემბერს ნავთობის ქვებიდან პირველი ნავთობი შადრევანივით წამოვიდა.** მომდევნო წლებში კასპიის ზღვაში ახალი ნავთობ-ის ესტაკადები დაიდგა და ზღვის ღრმა ფენები-დან, ნავთობის მოპოვებამ სწრაფი მატება დაიწყო. აზერბაიჯანის გამოცდილმა მენავთობეებმა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებში, სახელდობრ ვოლგაზე და ურალში ახალი ნავთობის საბადოების აღმოჩენაში და ექსპლუატაციაში დიდი წვლილი შეიტანეს.

ჩვენს რესპუბლიკაში ომის შემდგომ წლებში ახალი ქიმია, სამთო მოპოვება, შავი და ფერადი მეტალურგია, მშენებლობა, მსუბუქი და კვების მრეწველობის დაწესებულებები განვითარდა, და-იწყო უზარმაზარი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობა. დაარსდა სუმკაითის, მინგაჩევირის, დაშქესანის, ალიბაირამლის (ახლანდელი შირვანი) ნაირი ახალი სამრეწველო ქალაქები. სუმკაითი გახდა საბჭოთა კავშირის ქიმიური მრეწველობის ერთ-ერთი ცენტრი. აქ უზარმაზარი ქიმიური კომბინატი, სინთეტიკური კაუჩუკის და მილსაგლინავი ქარხნები ამუშავდა. 1954 წელს კავკასიის უდიდესი **მინგაჩევირის ჰესი, აბშერონში ჩრდილოეთ დრეს–ი, დაშქესანის სამთო გამამ–დიდრებელი კომბინატი** საექსპლუატაციოდ გადაიცა. თუმცა საბჭოთა ხელმძღვანელობა აზერ-ბაიჯანში დიდი შემოსავლის მომტანი საბოლოო პროდუქციის წარმოების დაწესებულებების დაარსებას ხელს უშლიდა. ამიტომაც დაშქესანში გამამდიდრებელი რკინის მადნეული შემდგომი დამუშავებისათვის საქართველოში - რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში იგზავნებოდა.

მინგეჩაურის ჰესი

შეადარეთ სსრკ-ს მთავრობის აზერბაიჯანის ეკონომიკური პოლიტიკა მეფის რუსეთის კოლონიურ ეკონომიკურ პოლიტიკასთან.

ომის შემდგომ წლებში სოფლის მეურნეობის მოსავლის წარმოების გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. პატარა, მცირეშემოსავლიანი კოლმეურნეობები გაერთიანდა და მსხვილი სოფლის მეურნეობის კოლექტივები დაარსდა. ამ პერიოდში სახელმწიფო ბამბის, აბრეშუმის, თამბაქოს, ყურძნის და ხილის წარმოების ზრდას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. მაგრამ მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგების ძალიან მნიშვნელოვანი მარცვლეული კულტურის მოყვანას და მეცხოველეობის სფეროს სერიოზული ყურადღება არ ექცეოდა.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ ომის დროინდელი სიძნელეების აღმოფხვრის, მოსახლეობის ცხოვრების პირობების შემსუბუქებისათვის განახორციელა რიგი ღონისძიებები. სურსათისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების ყიდვისათვის სატოლონო სისტემა გაუქმდა. თუმცა ყოველდღიური მოთხოვნილების საქონელზე ფასები ომამდელ პერიოდზე ბევრად მაღალი იყო. ამიტომაც საბჭოთა ხელმძღვანელობამ პურის, ხორცის, კარაქის, თევზის, შაქრის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და სხვა საქონლის ფასების ყოველწლიურად გაიაფება დაიწყო. შედეგად, 1953 წელს ფართო მოხმარების საქონლის ფასები ორჯერ გაიაფდა.

კითხვები და დავალებები:

1. *შეადგინეთ სსრკ-ს ომის შემდეგ აზერბაიჯანელების წინააღმდეგ პოლიტიკის თავისებურებების შესაბამისი განტოტვა.*
2. *განმარტეთ სომხეთის მიერ მოიან ყარაბაღზე პრეტენზიების გაუმართლებლობის მიზეზები.*
3. *შეაგროვეთ ცნობები აზერბაიჯანელების ისტორიული მიწებიდან დეპორტაციის შესახებ.*
4. *რასთან იყო დაკავშირებული ნავთობის მოპოვებაზე ომის უარყოფითი გავლენა?*
5. *ნავთობის ქვების შესახებ უყურეთ დოკუმენტურ ფილმს და განიხილეთ.*

40. ეროვნული გამოღვიძების მცდელობები

საბჭოთა სახელმწიფოს 30 წელიწადზე მეტხანს ხელმძღვანელობდა ი. სტალინი, რომელიც 1953 წელს გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ, საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. რისგან შედგებოდა ეს ცვლილებები? როგორ ისარგებლა ჩვენმა ხალხმა კავშირის ფარგლებში დაწყებული დათბობის პოლიტიკით?

დათბობის პოლიტიკა. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ ნიკიტა ხრუშშოვი საბჭოთა კპ ცკ-ს პირველ მდივნად აირჩიეს. მისი მმართველობის პერიოდში მოხდა საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის შერბილება, სახელმწიფოს მართვის სისტემაში სტალინის დროინდელი შეუბრალებელი, სისხლიან მეთოდებზე უარი ითქვა, საპყრობილეებში ფართო შეწყალება დაიწყო.

ეროვნულ პოლიტიკაშიც დაიწყო "დათბობა". სამეურნეო გეგმების მომზადებაში და კულტურული ცხოვრების მართვაში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები გარკვეულ დონეზე გაფართოვდა. ცენტრალური მთავრობის სასამართლო წყობა, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და სასამართლო კოდექსების მიღება რესპუბლიკების განკარგულებაში გადაიცა. საბჭოთა კავშირის კპ-ის XX ყრილობაზე სტალინის დროინდელი დანაშაულები, თვითნებობა და უკანონობები გამოაშკარავდა, სტალინის პიროვნების კულტი გააკრიტიკებული იქნა.

რა არის პიროვნების კულტი? გამოთქვით თქვენი აზრი.

აზერბაიჯანის კპ ცკ-ის პირველი მდივანი მ.ჯ. ბაღიროვი თანამდებობიდან მოიხსნა, შემდეგ დააპატიმრეს. 1956 წელს კი როგორც ხალხის მტერს დახვრეტა მიესაჯა.

1954 წელს **იმამ მუსტაფაევი** აზერბაიჯანის კპ ცკ-ის პირველ მდივნად აირჩიეს, აზერბაიჯანში დაიწყო დემოკრატიული ცვლილებები, ეროვნულ საკითხის მიმართ ყურადღება გაიზარდა, ფართო ნაბიჯები გადაიდგა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. რეპრესიების მსხვერპლ, ათასობით აზერბაიჯანელს გამოუტანეს გამამართლებელი განაჩენი. აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ რაიონებიდან ბაქოში სამუშაოდ წასულიყვნენ. ბაქოს მიდამოებში არსებული დაბები ქალაქის ცენტრს დაექვემდებარნენ. გატარებულმა ამ და სხვა ღონისძიებებმა ბაქოს მომავალ ბედზე მოახდინა სერიოზული გავლენა. დაირღვა საბჭოთა ხელმძღვანელობის ბაქოში რუსულენოვანი მოსახლეობის სიმრავლის გამო, ინტერნაციონალური ქალაქივით აზერბაიჯანის შემადგენლობიდან გამოყვანისა და პირდაპირ მოსკოვისადმი დაქვემდებარების გეგმა.

რასულ რზა

ამ პერიოდში დაემატა აზერბაიჯანის სსრ-ს კონსტიტუციაში **სახელმწიფო ენის აზერბაიჯანული ენის შესახებ მუხლი.** რესპუბლიკის სახელმწიფო სამმართველოებში დოკუმენტების წარმოება დაიწყო აზერბაიჯანულ ენაზე. რესპუბლიკის საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაიზარდა აზერბაიჯანის ისტორიის საგნის სწავლებისადმი ყურადღება. მიღებული იქნა გადაწყვეტილება აზერბაიჯანის ისტორიის სახელმძღვანელოსა და განზოგადებული ნაწარმოებების შექმნის შესახებ. ხელახლა გამოქვეყნდა რეპრესიის მსხვერპლი მწერლების და პოეტების ნაწარმოებები.

აზერბაიჯანში ღიად იგრძნობოდა ეროვნული გამოღვიძება. ლიტერატურაში შეიქმნა ახალი, ხალხის ცხოვრებასთან დაკავშირებული, საზოგადოებისათვის საინტერესო პრობლემების გამბედავად გადმოცემული ნაწამოებები **ბახტიარ ვაჰაბზადეს** „გულისტანი“, **რასულ რზას** „ვარდი არ იქნებოდეს“ პოემებმა, ისა ჰუსეინოვის ნარკვევებმა ეროვნულ გამოღვიძებაზე დიდი გავლენა მოახდინა.

საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ აზერბაიჯანში ეროვნული გამოღვიძების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები. საბჭოთა ხელმძღვანელობა აზერბაიჯანში ეროვნულ გამოღვიძებას, აზერბაიჯანული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სამმართველოსა და ორგანიზაციებში გამოყენებას შეშფოთებით შეხვდა. ცენტრალური მთავრობა რუსულენოვანი მოსახლეობის ამასთან დაკავშირებულ წუხილს, უკმაყოფილებას იმიზეზებდა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობაზე ზეწოლას აძლიერებდა. აზერბაიჯანში გაფართოებული ეროვნული გამოღვიძების ჩახშობისათვის მოსკოვის მითითებით 1959 წელს ი. მუსტაფაევი თანამდებობიდან განთავისუფლდა. **ველი ახუნდოვი** აირჩიეს აზერბაიჯანის კპ. ცკ-ის პირველ მდივნად.



ბახტიარ ვაჰაბზადე

50-იანი წლების ბოლოს სომხების ინიციატვით მთიანი ყარაბაღის სომხეთისათვის გადაცემის საკითხი ისევ იქნა წამოყენებული. თუმცა ნ. ხრუშოვმა გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირში 30-მდე ასეთი სადავო ეროვნული კონფლიკტი იყო, მთიანი ყარაბაღის საკითხი განხილვის გარეშე დატოვა.

ამ დროს სომხეთში გაძლიერდა აზერბაიჯანელების მიმართ ზეწოლა.

თქვენი აზრით, რატომ ცდილობდა ასეთი მონდომებით ცენტრალური მთავრობა სახელდობრ ქ. ბაქოს პირდაპირ მოსკოვისადმი დაქვემდებარებას?

გაიხსენეთ რატომ აიკრძალა წიგნი – "დედე გორგუდი"?

სომხეთში აზერბაიჯანელების კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში შეწყდა აზერბაიჯანულ ენაზე გაზეთების გამოცემა. ერევნის აზერბაიჯანის დრამატული თეატრი, აზერბაიჯანული სკოლებისათვის მასწავლებლების კადრების მოსამზადებელი პედაგოგიური ტექნიკუმი დაიხურა.

1965 წელს სომხეთში მოგონილი სომხების გენოციდის 50 წლისთავის აღნიშვნამ რესპუბლიკაში გააძლიერა ანტიაზერბაიჯანული განწყობილება. სომხების „ყარაბაღის კომიტეტი" ღია მოქმედებაზე გადავიდა, ხანქენდიში მცხოვრები რამდენიმე აზერბაიჯანელი მოკლეს. მაგრამ აზერბაიჯანის ხელმძღვანელობამ მთიანი ყარაბაღის სომხების ნაცისტურ, კანონსაწინააღმდეგო მოქმედების გავრცელებას საშუალება არ მისცა.

აზერბაიჯანის პატრიოტმა ინტელიგენციამ და მეცნიერებმა ხალხის ინტერესების დასაცავად ორგანიზების გადაწყვეტილება მიიღეს. 1962 წელს ფარული შეკრება მოიწვიეს და „აზერბაიჯანის ეროვნული" შტაბი დააარსეს. ამ შტაბის ძირითადი მიზანი იყო მნიშვნელოვან თანამდებობებზე აზერბაიჯანელი კადრების მოწყობა.



შიხალი კურბანოვი

ცენტრის მითითებით ჩრდილო აზერბაიჯანის რუსეთთან „ნებაყოფლობით შეერთების" 150 წლისთავის საზეიმო ვითარებაში აღვნიშვნა ზოგიერთი ინტელიგენტისათვის გახდა უკმაყოფილების მიზეზი. 60-იან წლებში ეროვნულ კულტურული ღირებულებების შენარჩუნებისა და აღორძინების სფეროში გადაიდგა რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები. აზერბაიჯანის კპ. ცკ-ს მდივანი **შიხალი კურბანოვის** წინადადებით დაიწყო ნოვრუზ ბაირამის როგორც „ბაჰარ ბაიარამის", გაზაფხულის დღესასწაულის ოფიციალურად ჩატარება.

1969 წლის 7 მაისს აზერბაიჯანის სსრ-ს უმაღლესი საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა სასაზღვრო რაიონებიდან 2 ათასი ჰექტარი ტერიტორიის სომხეთისათვის გადაცემის შესახებ 1938 წლის 5 მაისს მიღებული გადაწყვეტილება. მხოლოდ 1969 წლის ივლისში ჰეიდარ ალიევის აზერბაიჯანში ხელმძღვანელად მოსვლის შემდეგ ამ გადაწყვეტილების აღსრულებას არ მისცა საშუალება.

ეკონომიკის სიახლეები. 1950-იანი წლების მეორე ნახევარი - 60-იან წლებში ბაქოში ფოლადის წრთობის, მაცივრის და საბურავების ქარხნები, სუმგაითში სუპერფოსფატის და ნავთობ-ქიმიის, მინგეჩაურში კაბელის, განჯაში ალუმინიუმის ქარხნები, ელიზაირამლიში თეს აშენდა. ბაქო -



სუმკაითის ნავთობ-ქიმიის ქარხანა

კრასნოვოდსკი (თურქმენბაში) გემი-ბორანის გზა და ევლახი - აღდამი რკინიგზა გაიხსნა. 1950-იან წლების მეორე ნახევარში მოხდა გლეხების პირადი დამხმარე მეურნეობების შევიწროება. ამან მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგებაზე მოახდინა უარყოფითი გავლენა. გაუქმდა მანქანა-ტრაქტორების სადგურები (მტს). მათი ტექნიკა კოლმეურნეობებს მიყიდეს ძვირად.

კითხვები და დავალებები:

1. *განსაზღვრეთ ეროვნულ პოლიტიკაში დათბობის მოვლენები.*
2. *განმარტეთ აზერბაიჯანელების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნის მნიშვნელობა.*
3. *რა იყო სომხეთის სსრ-ში ანტიაზერბაიჯანული ღონისძიებების განხორციელების მიზეზები?*
4. *შეადარეთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სიახლეები.*
5. *გაარკვიეთ კულტურის რომელი სფერო განვითარდა ბაქოში აშენებული მშენებლობების საფუძველზე.*

41. კულტურის სფეროს წარმატებები 1940-60-იან წლებში

მეორე მსოფლიო ომმა ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაზეც ღრმა კვალი დატოვა. ამ წლებში ჩვენი ერის როგორც ყველა წევრმა, ასევე შემოქმედმა ხალხმაც გამარჯვებისათვის არაფერი არ დაიშურა. რომელი მეცნიერულ-კულტურული წარმატებები ჰქონდა ჩვენს ხალხს ომის წლებში? ეს წარმატებები გაგრძელდა ომის შემდეგ? შეიძლება წარმატებად ჩაითვალოს 50-60-იან წლების კულტურის განვითარება?

კულტურის სფეროს სიახლეები მეორე მსოფლიო ომის წლებში. ომის პერიოდში ფაშიზმზე გამარჯვებაში აზერბაიჯანის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა დიდ წვლილი შეიტანეს. ქიმიკოს მეცნიერმა **იუსუფ მამედალიევმა** ავიაციისათვის დაამზადა მაღალოქტანიანი თვითმფრინავის ბენზინის წარმოების ახალი ტექნოლოგია. გეოლოგებმა აღმოაჩინეს ახალი სტრატეგიული ნედლეულის მადანი. ქირურგმა **მუსტაფა თოფჩუბაშოვმა** ახალი სამხედრო ქირურგიული ოპერაციის მეთოდები გამოიგონა და გადაარჩინა ათასობით დაჭრილი მებრძოლის სიცოცხლე.

იუსიფ მამედალიევი

1945 წლის მარტში სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალის საფუძველზე დაარსდა **აზერბაიჯანის სსრ-ს მეცნიერებათა აკადემია.** გამოჩენილი ქირურგი მ. მირკასიმოვი გახდა მისი პირველი პრეზიდენტი. ჩვენს რესპუბლიკაში გაფართოვდა მეცნიერული კვლევების არეალი.

ომის წლებში შეიქმნა მუსიკის, ხატვის სფეროში ახალი ნაწარმოებები. **კარა კარაევმა და ჯოვდათ ჰაჯიევმა დადგეს ოპერა ''სამშობლო''. მარალ რეჰმანზადემ, აზიმ აზიმზადემ** ომის თემაზე შექმნეს ტაბლოები, აზერბაიჯანის კინემატოგრაფებმა გადაიღეს ფილმები

„სამშობლოს შვილი“, „ბახტიარი“, „ტ-9 წყალქვეშა ნავი“. 1941 წლის ოქტომბერში საბჭოთა აზერბაიჯანის კულტურის მოღვაწეებმი სამხრეთ აზერბაიჯანში საბჭოთა ჯარისკაცების, თებრიზის მოსახლეობის წინაშე გამოვიდნენ, გამართეს დადგმები და კონცერტები.

კარა კარაევი

სსრკ-ს ხელმძღვანელობამ **1944 წელს დააარსა სამხრეთ კავკასიის მუსლიმების სასულიერო სამმართველო.** მთავრობის მიზანი იყო მორწმუნეების სამშობლოს დასაცავად აქტიურად ჩართვის მიღწევა.

გაიხსენეთ: როგორი იყო პირველ ხანებში საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა რელიგიის სფეროში?

განათლებისა და მეცნიერების განვითარება ომის შემდგომ პერიოდში. ომის შემდეგ კავშირის ფარგლებში საშუალო განათლების ამაღლებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დააწესეს გამოსაშვები გამოცდები. სკოლის ფრიადებზე დამთავრებისას დაიწყეს ოქროს და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება. ჯერ შვიდწლიანი სავალდებულო სწავლა იყო, შემდეგ გადავიდა რვაწლიანი სავალდებულო სწავლებაზე. **1966 წლიდან დაწესდა საკალდებული ათწლიანი სწავლება.** ომის შემდგომ წლებში გაიხსნა ახალი უმაღლესი სასწავლებლები-თეატრალური, უცხო ენების, რუსული ენის და ლიტერატურის ინსტიტუტები.

ომის შემდგომ პირველ წლებში ჩვენი ხალხის მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს დევნიდნენ და ზეწოლას ახდენდნენ მათზე. აზერბაიჯანის მეცნიერები არსებული რეჟიმის იდეოლოგიიდან[1] ცოტათი განსხვავებული აზრისათვის ხდებოდნენ რეპრესიების მსხვერპლი, აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ, მათი ნაწარმოებები კი იკრძალებოდა. უფრო ძლიერდებოდა მმართველი იდეოლოგიის ისტორიის მეცნიერებაზე ზეწოლა. განგებ ამახინჯებდნენ აზერბაიჯანელი ხალხის ფესვებს, ჩრდილო აზერბაიჯანის რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთების შესახებ აყენებდნენ არამეცნიერულ და მოგონილ აზრებს. სრულიად გაყალბდა აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის მეცნიერების მუშაკები წარმატებით აგრძელებდნენ კვლევებს სხვადასხვა სფეროებში, აზერბაიჯანული ენის და ლიტერატურის, აზერბაიჯანის ისტორიის მიმართულებით ქმნიდნენ ფუნდამენტალურ ნაწარმოებებს.

შეაგროვეთ ცნობები გობუსტანის კლდის ნახატების და ახიხის ვამოქვაბულის კვლევის შესახებ.

ამ პერიოდში გამოჩენილი აზერბაიჯანელი მეცნიერების მიერ დაარსდა ახალი მეცნიერული სკოლები. ამ მეცნიერულ სკოლებს ხელმძღვანელობდნენ ნავთობ-ქიმიის სფეროში იუსიფ მემმედალიევი, ასტრონომიაში ნადირ იბრაჰიმოვი, მათემატიკაში **ზაჰიდ ხალილოვი და აშრაფ ჰუსეინოვი,** მემცენარეობაში იმამ **მუსტაფაევი და ჰასან ალიევი, ენათმეცნიერებაში აბ–დულ–ეზელ დემირჩიზადე,** ლიტერატურათმცოდნეობაში მემმედ არიფ დადაშზადე, ისტორიისმცოდნეობაში **ისმაილ ჰუსეინოვი, ზია ბუნიადოვი და ალისეჰბეთ სუმბათზადეს** ნაირი ცნობილი მეცნიერები.

წარმატებები ლიტერატურის და ხელოვნების დარგში. ომის შემდგომ პერიოდში აზერბაიჯანის ლიტერატურაში პოეტ სემედ ვურღუნის შემოქმედებას უჭირავს განსაკუთრებული ადგილი. ლიტერატურის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლები პოეტები სულეიმან რუსტამი, რასულ რზა, ბახტიარ ვაჰაბზადე, მწერლები **მირ ჯალალ ფაშაევი, მეჰდი ჰუსეინი, მირზა იბრაჰი–**

[1] **იდეოლოგია** – ფილოსოფიაში, პოლიტიკაში, სამართალში, ზნეობაში, ხელოვნებაში, ბიოლოგიაში გამოსახული იდეები, წარმოდგენები.

მირჯალალ ფაშაევი

აშრაფ ჰუსეინოვი,

ალისეჰბათ სუმბათზადე



ზია ბუნიადოვი

მოვი, ილიას ეფენდიევი, აბით რეჰმანი და სხვები საბჭოთა იდეების ჩარჩოებში თავიანთ მხატვრულ შემოქმედებაში სამშობლოს სიყვარულს უმღერდნენ. 50-იანი წლების მეორე ნახევარში დათბობის პოლიტიკის შედეგად რეპრესირებული საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერებისა და ლიტერატორების ერთი ნაწილი შეიწყალეს. შეწყალებულთა შორის იყვნენ ჰუსეინ ჯავიდი, მიქაილ მუშფიკი, იუსუფ ვეზირ ჩამანზამინი და სხვა პოეტები და მწერლები. ასობით წიგნს მათ შორის "წიგნს - დედე გორგუდი"-ის თქმულებას. ა. ბაქიხანოვის, აკადემიკოსი ჰეიდარ ჰუსეინოვის ნაწარმოებებს ყადაღა მოეხსნა. ამ ნაწარმოებების ხელახლა მასიური ტირაჟით გამოცემის გადაწყვეტილება მიიღეს.

როგორია დამოკიდებულება დღესდღეობით წიგნი – "დედე გორგუდის" თქმულების მიმართ?

შოვქათ ალაქბაროვა

სარა კასიმოვა

აზერბაიჯანელი კომპოზიტორები ქმნიდნენ ახალ-ახალ ლამაზ კომპოზიციებს. **ფიქრათ ემიროვის** ოპერამ "სევილ", **კარა კარაევის** „შვიდი მზეთუნახავი" და ბალეტმა „ელვის გზებით" საკმაოდ გაამდიდრა ჩვენი ეროვნული მუსიკა. **ნიაზიმ** "რასტი", **სულეიმან ელესკეროვმა** "ბაიათი შირაზ" სიმფონიური მუღამები შექმნეს. ამ ნაწარმოებებმა საშუალება მისცა აზერბაიჯანის მუსიკის მსოფლიო მასშტაბით გაცნობას. ხალხური მუსიკის ლამაზმა შემსრულებლებმა ბულბულ მემმედოვმა, რაშიდ ბეჰბუდოვმა, ხან შუშინსკიმ, სარა კადიმოვამ, შოვქათ ალაქბაროვამ და სხვებმა სახელი მოიხვეჭეს.

1945 წელს გადაღებული ფილმით „არშინ მალ ალან" აზერბაიჯანის კინოფილმი გავიდა მსოფლიოს ეკრანებზე. სსრკ-ს და მსოფლიოს ბევრი ქვეყნების კინო-თეატრებში დიდი წარმატებით დემონსტრირებული ამ ფილმის შემოქმედთა კოლექტივს მიენიჭა სახელმწიფო პრემია. კინო ხელოვნების განვითარებაში „ის ნუ იქნება ეს იყოს", „შორს სანაპიროზე", „დედინაცვალი" მხატვრული ფილმების როლი დიდი იყო.

თქვენი აზრით შეიძლება იყოს ფილმები დროის საზოგადოებრივ–პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ისტორიული წყარო?

ამ პერიოდის განთქმული მხატვრები **სათთარ ბეჰლულზადე, თაჰირ სალაჰოვი, ვაჯიჰე სემედოვა, თოდრულ ნარიმანბეკოვი** და სხვები თავიანთ ტილოებზე აზერბაიჯანის გასაოცარ ბუნებას, შრომისმოყვარე ადამიანების ცხოვრებას ასახავენ მაღალი ოსტატობით. მეხალიჩე მხატვარი **ლატიფ ქერიმოვი** ეროვნული მოხატულობებს აერთიანებდა თანამედროვეობასთან. აზერბაიჯანის ხელოვნებას საგრძნობლად ამდიდრებდა მხატვრების მიერ შექმნილი ლამაზი ტილოები, მოქანდაკეების მიერ ბაქოში და სხვა ქალაქებში აღმართული ძეგლები. ამ პერიოდში დაარსდა ახალი არქიტექტურული ძეგლები. ბაქოში აშენდა მთავრობის სასახლე, რესპუბლიკის სტადიონი, აკადემიის ქალაქი, ბაქოს აეროპორტი, სახელმწიფო ცირკი. 1956 წელს აზერბაიჯანის ტელევიზია, 1967 წელს ბაქოს მეტროპოლიტენი გადაეცა ექსპლოტაციაში. 1940-60-იან წლებში აზერბაიჯანმა კულტურის ყველა სფეროს განვითარებაში დიდი წარმატებებს მიაღწია.

კითხვები და დავალებები:

1. *გაარკვიეთ და აღნიშნეთ ომისდროინდელი მეცნიერების და კულტურის სფეროს წარმატებები*
2. *რა იყო ომის შემდგომი წლების საშუალო განათლებასთან დაკავშირებული რეფორმების მნიშვნელობა?*
3. *რა იყო აზერბაიჯანის ისტორიის გაყალბების მიზანი?*
4. *მოამზადეთ პრეზენტაცია ხელოვნებაში მიღწეული წარმატებების შესახებ.*

42. სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობა 1970-1980-იან წლებში

1969 წლის ივლისი აზერბაიჯანის თანამედროვე ისტორიის გარდატეხის წერტილად ფასდება. რა მოხდა სსრკ-ს უზარმაზარი რეპუტაციის მქონე იმპერიის შემადგენლობაში მყოფ აზერბაიჯანის სსრ-ში? როგორ ხდებოდა ამ პერიოდში ჩვენი ხალხის ღირსების? რომელ დარგებში გატარდა სამომავლოდ გათვალისწინებული ღონისძიებები? რა სახის ღონისძიებები გატარდა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის?

ჰეიდარ ალიევის მოსვლა აზებაიჯანის ხელმძღვანელობაში. XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს რესპუბლიკის ეკონომიკის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ნელი ტემპით განვითარება, ეკონომიკური სიძნელეების ზრდა, დამთავრდა აზერბაიჯანის სსრ-ში ხელმძღვანელობის შეცვლით. აზერბაიჯანის კპ. ცკ-ის პირველ მდივნად აირჩიეს **ჰეიდარ ალიევი**.

რა იცით საერთო სახალხო ლიდერის ჰეიდარ ალიევის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ?

საერთო ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი

უკვდავმა ბელადმა ჰეიდარ ალიევმა 1960-იან წლებში აზებაიჯანის მდგომარეობა ასე დაახასიათა: "60-იან წლებში რესპუბლიკის ეკონომიკა მთლიანად მიიყვანეს ღრმა და გრძელვადიანი კრიზისის საფრთხის ზღვარზე. უნდა დამუშავდეს და გამზადდეს შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამოსავალი, ეკონომიკის განვითარებისათვის პრინციპული მხარეების ახალი კონფეტენციალური მიდგომი გზები. სოფლის მეურნეობაში სტრუქტურების ძირეული ცვლილებები უნდა მოხდეს, მეურნეობის და ეკონომიკის წამახალისებელ საქმეში უნდა დაინერგოს ახალი მეთოდები".

M *განიხილეთ აზერბაიჯანი სსრ-ში 1960-იან წლებში დაწყებული კრიზისისა და ჩამორჩენის აღმოფხვრისათვის აუცილებელი ღონისძიებები.*

ამ პერიოდში საკმაოდ რთული იყო რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა. ეკონომიკის ყველა დარგი სუსტად ვითარდებოდა და სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების მიხედვით მაჩვენებლები ძალიან დაბალი იყო. ჰეიდარ ალიევმა დაიწყო მმართველ ორგანოებში სერიოზული საკადრო ცვლილებებით, ყველა სტრუქტურაში კანონის დამრღვევი, რეპუტაციის არ მქონე და თავისი მოვალეობის ვერ შემსრულებელი კადრების ახლებით შეცვლით, რაც მთლიანობაში ხელისუფლების რეპუტაციის ამაღლების მიზეზი გახდა. რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური გარემოს გაჯანსაღების, შრომის წესრიგის დამყარების მიმართულებით გადაიდგა გადამწყვეტი ნაბიჯები, მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ დაიწყო მკაცრი ბრძოლა. მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანელების საცხოვრებელ სოფლებსა და რაიონებში ძალიან მძიმე საცხოვრებელ პირობებს ჰეიდარ ალიევი გაეცნო და განსაკუთრებით ქ. შუშას განვითარებასთან დაკავშირებით განახორციელა რიგი აუცილებელი ღონისძიებებისა. მისი აზერბაიჯანული ხალხის წინაშე ძალიან დიდი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ **1978 წელს აზერბაიჯანის სსრ ახალი კონსტიტუციის** მიღებისას ამ დოკუმენტში აზერბაიჯანული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ ცალკე 73-ე მუხლის შეტანა გახდა შესაძლებელი.

სომხეთის სსრ-ს ხელმძღვანელობამ სომხური გრიგორიანული ეკლესიის დაძალებით, 70-იან წლებში ხელახლა მთიანი ყარაბაღის სომხეთისათვის შეერთებასთან დაკავშირებით სსრკ-ს ხელმძღვანელობას მიმართა თხოვნით. ასევე 1977 წლის 23 ნოემბერს სსრკ-ს მთავრობის სხდომაზე სომხეთის ხელმძღვანელობის დაჟინებული თხოვნით განხილულ იქნა ეს საკითხი და მოთხოვნები წამოაყენეს.

ამ საკითხის შესახებ ჰეიდარ ალიევმა როგორც კი შეიტყო, სომხების პოლიტიკური აგრესიის აღკვეთისათვის გადადგა მკაცრი ნაბიჯები. მან აზერბაიჯანის სსრ-ს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტს ყარაბაღის რეგიონის აზერბაიჯანის უძველესი მიწების ყოფნის შესახებ სამეცნიერო ცნობის გამზადების შესახებ გასცა განკარგულება. ჰეიდარ ალიევმა ხსენებული ცნობა გაიტანა აზერბაიჯანის კპ ცკ-ის ბიუროს სხდომაზე. სომხეთის სსრ-ს ხელმძღვანელობის პრეტენზიების უსაფუძვლობის შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება. ეს დადგენილება სსრკ-ს ხელმძღვანელს ლ. ბრეჟნევს წარუდგინეს და სომხების ბინძური მიზნები იქნა აღკვეთილი.

M *ცნობების მოგროვებით მოამზადეთ პრეზენტაცია ჰეიდარ ალიევის მიერ ყარაბაღის მიწების რამდენიმეჯერ გადარჩენის შესახებ.*

ჰეიდარ ალიევი გლეხების, მუშების და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ყველა შეხვედრისას მათ საჩივრებს მოთმინებით უსმენდა, წამოჭრილ პრობლემებს წყვეტდა მცირე დროის მანძილზე. რაც დრო გადიოდა მოსახლეობის მიერ დაყენებული მოთხოვნებების დასაკმაყოფილებლად სერიოზული პრობლემების პირობებში ბინის, ავტომანქანის და სხვა დეფიციტური საქონლის სამართლიანი გზით განაწილების პრინციპით სერიოზულ შესრულებას პირადად აკონტროლებდა.

ეკონომიკის სწრაფი განვითარება. ჰეიდარ ალიევი 1969-1982 წლებში სანამ რესპუბლიკის ხელმძღვანელი იყო ამოქმედდა **250-ზე მეტი ფაბრიკა-ქარხანა.** მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1975 წელს ბაქოში აშენებული საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდი საყოფაცხოვრებო კონდიციონერების ქარხანა. ამ წლებში ახლით აშენდა ჩვენი რესპუბლიკის ნავთობმანქანათმშენებლობის მრეწველობა. აზერბაიჯანის ხელმძღვანელობამ ამ მიზნით ცენტრალურ მთავრობას დიდი რაოდენობით თანხა გამოაყოფინა. შედეგად აზერბაიჯანმა კავშირის ფარგლებში ნავთობის ამოღებით პირვანდელი პოზიცია დაკარგა, თუმცა ნავთობის მანქანათმშენებლობის სფეროში მოწინავე პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა.

რა იცით თანამედროვე აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობის შესახებ?

ჰეიდარ ალიევი სოფლის მშრომელთა შორის

რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ყველა სფეროს განვითარებას მეტი ყურადღება მიექცა. კერძოდ, მაღალი შემოსავლის მომტანი, მებამბეობის, მევენახეობის, მეთამბაქოეობის და მეხილეობის განვითარებაში მოიპოვეს დიდი წარმატებები. გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური მომარაგება. გაიყვანეს მთავარი მილი, ზემო შირვანის, შამქირის არხები, დაარსდა სერსენგის, შამქირის და სხვა წყალსაცავები. შედეგად, სარწყავი სახნავ-სათესი მიწები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

70-იან წლებში ტრანსპორტის განვითარებაც ყურადღების ცენტრში იყო. მოხდა ბაქო - დიდი ქესიქი და ბაქო - იალამას რკინიგზის ხაზების ელექტროფიკაცია. ამან რკინიგზის საშუალებით ტვირთგადაზიდვის რაოდენობის გაზრდის საშუალება შექმნა. **1979 წელს დამთავრდა აღდამი–ხანქენდის რკინიგზის გაყვანა.** ამით შეიქმნა მთიანი ყარაბაღის რეგიონის რესპუბლიკის სხვა რეგიონებთან უფრო მჭიდროდ დაკავშირების საშუალება.

მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების ღონისძიებები. 1970-იან წლებში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები. დიდი რაოდენობით ფაბრიკა-ქარხნების, ახალი საწარმოო სფეროების ამუშავებით დასაქმდა ათასობით ადამიანი. მოსახლეობის საცხოვრებელი ბინის საკითხის გადასაჭრელად ქ. ბაქოს გარეუბნებში აშენდა ახალი მიკრორაიონები, ახალი საცხოვრებელი მასივები გადაეცათ საცხოვრებლად. სუმგაითში, მინგეჩაურში და სხვა ქალაქებში ბინების მშენებლობამ მიიღო ფართო ხასიათი.

1971 წელს დასრულდა მტკვრიდან ბაქოში წყლის მილის მშენებლობა. ეს ქ. ბაქოს მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა. სატელეფონო ქსელის განვითარების მიზნით ახალი სატელეფონო სადგურები აშენდა, ჩატარდა ღონისძიებები საქალაქთაშორისო სატელეფონო ქსელის ხარისხის ამაღლებისათვის.

გაანალიზეთ XX საუკუნის დასაწყისისა და 70–იან წლებში აზერბაიჯანელი ოჯახების ცხოვრების დონე.

ამ პერიოდში აზერბაიჯანის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურულ სფეროში დიდმა მიღწევებმა მიიქცია ცენტრის ყურადღება. აზერბაიჯანის ხელმძღვანელი ჰეიდარ ალიევი 1976 წელს სკკპ ცკ-ის პოლიტიკური ბიუროს წევრობის კანდიდატად, ხოლო **1982 წელს** პოლიტიკური ბიუროს წევრად აირჩიეს, ამის შემდეგ წავიდა საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობაში **სსრკ–ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის** თანამდებობაზე. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში ყოფნის დროს ჰეიდარ ალიევმა ეს მაღალი თანამდებობა გამოიყენა აზერბაიჯანელი ხალხის სასარგებლოდ, რესპუბლიკის განვითარებისათვის.

კითხვები და დავალებები:

1. *განსაზღვრეთ 1960-იან წლებში აზერბაიჯანის სსრ-ში წამოჭრილი პრობლემები.*
2. *განიხილეთ აზერბაიჯანული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების მნიშვნელობა.*
3. *რა სიახლეები მოხდა 1970-იან წლებში მრეწველობის განვითარებაში?*
4. *განსაზღვრეთ ამ პერიოდში მოსახლეობის ცხოვრების სიახლეები.*
5. *განმარტეთ სომხეთის აზერბაიჯანის მიწებზე ახალი პრეტენზიები და ჰეიდარ ალიევის მიერ ვატარებული ღონისძიებები.*
6. *შეავროვეთ ცნობები ჰეიდარ ალიევის 1982 წლიდან დაწყებული მოსკოვში მოღვაწეობის პერიოდის შესახებ.*

43. გარდაქმნის პოლიტიკის კრახი

1985 წელს სსრკ-ის კპ ცკ-ის გენერალურ მდივნად აირჩიეს მიხეილ გორბაჩოვი. მ. გორბაჩოვმა აამოქმედა საბჭოთა სისტემის დაშლის აღკვეთისათვის „გარდაქმნის“ და „საჯაროობის“ მიმართულება. ამ პოლიტიკამ დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას მისცა საშუალება? ვინ ისარგებლა ამით? როგორი პროცესები დაიწყო აზერბაიჯანში? რა დაკარგა ჩვენმა რესპუბლიკამ?

უძრაობა სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. XX საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა კავშირში გაძლიერდა უძრაობა და კრიზისი, მრეწველობის ზრდის სიჩქარემ იკლო, გართულდა მოსახლეობის ყოველდღიური მოთხოვნილებების საქონლით მომარაგება. მ. გორბაჩოვის "გარდაქმნის" და "საჯაროობის" ლოზუნგების გამოყენებით მოსარგებლე ნაციონალისტური ძალები გააქტიურდნენ. საბჭოთა ხელმძღვანელობის დაუფიქრებელმა ნაბიჯებმა, დაუსრულებლად დარჩენილმა რეფორმებმა დააჩქარა საბჭოთა კავშირის დაშლა.

აზერბაიჯანში ეროვნული უფლებების შეზღუდვის, რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების მადნეულის დატაცების წინააღმდეგ უთანხმოება მატულობდა. რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელობა იმისათვის, რომ 70-იან წლებიდან გაძლიერებულ ეროვნულ აღორძინების პროცესისათვის მიმართულება მიეცა და ეხელმძღვანელა, პირიქით, ცდილობდა ცენტრის ყველა მითითების შესრულებას.

80-იან წლებში ექსპლოატაციაში გადაეცა რესპუბლიკის რიგი ახალი სამრეწველო დაწესებულებებისა და სხვა ობიექტები. ამოქმედდა ღრმა ზღვის ფენების ქარხანა. გაიხსნა ბაქო-აქტაუ, გემიბორანის გზა. ამოქმედდა აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთის რეგიონის ბაქო-თბილისის რკინიგზით დამაკავშირებელი ევლახ-ბელაქნის რკინიგზის ხაზი. **1983 წელს გაიყვანეს გროზნო-ბაქოს ნავთობის მილსადენი** და აზერბაიჯანი შეუერთდა საბჭოთა კავშირის ერთიან ნავთობის მილსადენს. შედეგად დაიწყო ციმბირის გოგირდოვანი ნავთობის გადამუშავებისათვის ბაქოში გამოგზავნა, ეს კი, თავის მხრივ სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემებს ბადებდა.

განიხილეთ გოგირდოვანი ნავთობის მიერ შექმნილი ეკოლოგიური პრობლემები.

არ გაგრძელდა დიდშემოსავლიანი სფეროს მევენახეობის სწრაფი განვითარება შემდგომ პერიოდში, პირიქით, 80-იან წლების შუა ხანებში, ცენტრის მითითებით „ალკოჰოლიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო და რესპუბლიკაში განადგურდა ათასობით ჰექტარი ვენახი. იმავე პერიოდში თანამედროვე დანადგარებით მოწყობილი ათობით ღვინის წარმოების ქარხანა დაიხურა.

სომხეთის მიერ მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანისაგან მოწყვეტის პოლიტიკა. მ. გორბაჩოვის საბჭოთა ხელმძღვანელობაში მოსვლის შემდეგ განხორციელებულმა გარდაქმნის პოლიტიკამ სასურველი შედეგი არ გამოიღო. საბჭოთა სისტემის დაშლისაგან გადარჩენისათვის გადადგმული ნაბიჯები სასარგებლო არ გამოდგა. მოსკოვმა ქვეყნის მოსახლეობის ყურადღების მნიშვნელოვანი საკითხებიდან გადატანისათვის ეროვნული უთანხმოების აალება დაიწყო. ჰეიდარ ალიევის საბჭოთა სახელმწიფოს ხელისუფლებაში ყოფნა მათ უქმნიდა სერიოზულ დაბრკოლებებს. ამიტომ მ. გორბაჩოვმა და თანამოაზრეებმა 1987 წლის ოქტომბერში მიაღწიეს ჰეიდარ ალიევის გადადგომას.

ამ მოვლენიდან ერთი თვის გასვლამდე სომხებმა ღიად მოითხოვეს მთიანი ყარაბაღის სომხეთისათვის გადაცემა. **1988 წლის 14 თებერვალს** მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სეპარატისტულმა სომხების მთავრობამ დააყენა სომხეთთან შეერთების საკითხი. ყარაბაღის სომხებმა აზერბაიჯანის მთავრობას ოლქის სტატუსის შეცვლა, ხოლო სსრკ-ს მთავრობას აზერბაიჯანის სსრ-ს შემადგენლობიდან გაყვანა და სომხეთის სსრ-სთვის გადაცემა მოსთხოვეს. ამის საწინააღმდეგოდ მოხდა აზერბაიჯანის ახალგაზრდების მიერ ხანქენდიზე მშვიდობიანი მსვლელობა. მათ შორის ორი კაცი ასკერანში მოკლეს. ხოლო აზერბაიჯანის ხელისუფლებამ არ გადადგა, არც ერთი მკაცრი ნაბიჯი, პირიქით, ამ პასუხსაგებ პერიოდში დაიკავა მშიშარა პოზიცია. ჩვენი ხალხის პატრიოტი შვილების სომხების ძალადობის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები „ხალხთა მეგობრობის მოშლის მცდელობად“ შეაფასა, შეეცადა მის აღმოფხვრას.

თქვენი აზრით რის გაკეთება შეიძლებოდა ამ პერიოდში სომხების მოთხოვნების წინ აღსადგომად? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

აზერბაიჯანის სუვერენული უფლებების უხეშად დარღვევას ჩვენმა ხალხმა უპასუხა თავისი საპროტესტო მიტინგებისა და დემონსტრაციების საშუალებით. აზერბაიჯანის ხალხის „დაწყნარებისათვის“ ცენტრმა აზერბაიჯანის და სომხეთის პირველი პირები თანამდებობიდან გაანთავისუფლა. **1988 წლის მაისში ქამრან ბაღიროვის ნაცვლად აბდურაჰმან ვეზიროვი** დანიშნეს აზერბაიჯანის კპ ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობაზე. აზერბაიჯანის პრობლემების, ეროვნული ღირებულებების არმცოდნემ და ცენტრის მითითებით მოქმედმა ა. ვეზიროვმა ამ ძნელ და საპასუხისმგებლო პერიოდში ეროვნულ კონფლიქტს გულგრილად შეხედა. მდგომარეობიდან გამოსავლის ძიების მაგივრად, დაიწყო მეორეხარისხოვანი საკითხების გადაჭრით დაინტერესება. ამრიგად, რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა.

დაასაბუთეთ ცენტრალური მთავრობის ღონისძიებებით ეროვნული კონფლიქტის კიდევ უფრო აალება.

1989 წლის იანვარში სსრკ–ის მთავრობამ შექმნა “**მყაო–ს სპეციალური სამმართველო**“. სპეციალურმა სამმართველო კომიტეტმა პროსომხური მიმართულების მყაო ფაქტიურად გაიყვანა აზერბაიჯანის დაქვემდებარებიდან. აზერბაიჯანელმა ხალხმა და დემოკრატიულმა ძალებმა ეს სასტიკად გააკრიტიკეს. ხალხის მოთხოვნით 1989 წლის ნოემბერში გაუქმდა სპეციალური სამმართველო კომიტეტი და მთიანი ყარაბაღი ოფიციალურად დააბრუნეს აზერბაიჯანის დაქვემდებარებაში. ამით გაბრაზებულმა სომხეთის ხელმძღვანელობამ 1 დეკემბერს მიიღო მყაოს სომხეთთან შეერთების გადაწყვეტილება.

განიხილეთ მთიანი ყარაბაღის საკითხებში ცენტრალური მთავრობის მიერ დაკავებული პოზიცია.

აზერბაიჯანის მოსახლეობის მასიური გამოძევება სომხეთიდან. სომხეთის ხელმძღვანელობამ და მათმა მოსკოველმა მხარდამჭერებმა მთიანი ყარაბაღის საკითხთან პარალელურად დაიწყეს აზერბაიჯანელი მოსახლეობის სომხეთიდან - მამა-პაპური მიწებიდან სრულად გაძევება. პირველი ლტოლვილები **სომხეთის კაფანის და მეჰრის რაიონებში** მცხოვრები აზერბაიჯანელები იყვნენ. **1988 წლის იანვარში** ამ რაიონებიდან ადგილობრივი მოსახლეობა სომეხმა ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ძალით გააძევეს. პირველი ლტოლვილი ჯგუფები აზერბაიჯანში-ბაქოში, სუმგათში ჩამოვიდნენ.



1988 წლის დასაწყისში აზერბაიჯანელების დეპორტაცია სომხეთიდან

ირევანის ნაციონალისტურმა ძალებმა მასიური მიტინგები მოაწყვეს „სომხეთი თურქებისაგან უნდა გაიწმინდოს! "სომხეთში სომხებმა უნდა იცხოვრონ!" ლოზუნგებს ახმოვანებდნენ. 1988 წლის თებერვალში სომხებმა მიწასთან გასწორეს ირევნის მეჩეთი.

სომეხმა ნაციონალისტებმა მსოფლიო საზოგადოების შეცდომაში შეყვანის, ველური აზერბაიჯანელის იმიჯის შექმნისათვის **1988 წლის 28 თებერვალს სუმგაითში პროვოკაციული ქმედება** ჩაიდინეს. ე. გრიგორიანად წოდებულმა სომეხმა საკუთარი თავი "აზერბაიჯანელ ფაშად" გაასაღა და თავისი ჯგუფით დაიწყო ქალაქში მცხოვრები სომხების ხოცვა, მათი ბინების დანგრევა. მათ მიერ დახოცილი სომხები, ეს ის სომხები იყვნენ ვისაც დაშნაკსუტიუნის პარტიის ფონდში ფული არ შეჰქონდა, ვინც სომეხ ნაციონალისტებს მხარს არ უჭერდა, ესენი უბრალო ხალხი იყვნენ. სუმგაითის მოვლენის შემდეგ, სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლების, კანონის დამცველი ორგანოების მონაწილეობით მთელი რესპუბლიკიდან აზერბაიჯანელი მოსახლეობის გაძევებამ მასიური სახე მიიღო. 1991 წელს 8 აგვისტოს აზერბაიჯანელების ბოლო საცხოვრებელი - **სოფელი ნუვადი** რუსი ჯარისკაცების მონაწი-ლეობით დაიცალა. საერთო ჯამში, **1988–1991 წლებში სომხეთის 185 საცხოვრებელი პუნქტიდან 230 ათასი აზერბაიჯანელი იძულებით გამოაძევეს, ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები სომეხი ნაციონალისტი ძალების მიერ იქნა დახოცილი, გენოციდის მსხვერპლი გახდნენ.**

შეაგროვეთ ცნობები სომხეთის სსრ-ში აზერბაიჯანელების კუთვნილი და განადგურებული ისტორიული ძეგლების შესახებ.

კითხვები და დავალებები:

1. *გაანალიზეთ XX საუკუნის 80-იანი წლების აზერბაიჯანის შიდა პოლიტიკური მდგომარეობა.*
2. *ვის ინტერესებს ეშსახურებოდა აზერბაიჯანში ეროვნული შუღლის კერის გაჩენა?*
3. *განმარტეთ ცენტრალური მთავრობის მყარ-სთან დაკავშირებული ორმაგი პოლიტიკა.*
4. *შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი თემასთან დაკავშირებით.*
5. *გაანალიზეთ ცენტრალური მთავრობის სომხებისა და ვერაგული პოლიტიკის შედეგები.*

44. ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული უფლებების დაცვისათვის

აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ, სომხეთში და მყაო-ში აზერბაიჯანელების წინააღმდეგ მზარდი ზალადობისადმი აქტებისადმი გულგრილი დარჩენა გახდა რესპუბლიკაში სახალხო მოძრაობის დაწყების მიზეზი. რა სახის მოთხოვნებს აყენებდა ხალხი? რა ფორმით ხდებოდა პროტესტის გამოხატვა? რა სახის ღონისძიებები გაატარა მთავრობამ სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ?

მოედნის მოძრაობა. მთიან ყარაბაღში სომეხი ნაციონალისტების სეპარატისტული გამოსვლების წინააღმდეგ **1988 წლის 19 თებერვალს ბაქოში გაიმართა პირველი სტუდენტური საპრო-ტესტო მიტინგი.** შემდეგ თვეებში საპროტესტო გამოსვლების მასშტაბი გაფართოვდა, სახალხო მოძრაობამ უფრო მასიური ხასიათი მიიღო.



უძველესი ისტორიის თოფხანას ტყე, სახელმწიფო ნაკრძალი, ყარაბაღის იშვიათი ბუნების რესურსთაგანი იყო. შუშას მიდამოების მომცველი ამ ტყეში მუხა, წიფელი, არყის ხე და სხვა იშვიათი ხეების სახეობები იყო. თოფხანა ბუნების ნამდვილი საოცრება იყო. სომხებმა ტყის ძირფასი ხეები საშენებლოდ გაკაფეს, სომხეთ-ში გადაავზავნეს.

რატომ გადაიზარდა მასიურ სახალხო მოძრაობაში თოფხანას ტყის გაკაფვის საწინააღმდეგო საპროტესტო გამოსვლები?

1988 წლის ნოემბერში მთიანი ყარაბაღის თოფხანას ტყის გაკაფვის წინააღმდეგ, საპროტესტოდ, ხალხი შეიკრიბა თავისუფლების მოედანზე. უკვე 17 ნოემბრიდან საპროტესტო გამოსვლა გადაიზარდა პერმანენტულ მიტინგებსა და დემონსტრაციებში. **მოედნის მოძრაობაში**, სომხეთის მიერ აზერბაი-ჯანის წინააღმდეგ აგრესიის შეჩერება, მთიან ყარაბაღში ანტიაზერბაიჯანული პოლიტიკის მატარებელი ორგანოს გაუქმება, სომხეთისათვის ეკონომიკური სანქციების დაწესების მოთხოვნები დააყენეს. გარდა ამისა, პირველად „სუვერენიტეტის“, „თავისუფლების“ ლოზუნგები გაისმა. მიტინგზე პირველად აღმართეს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამფერიანი დროშა.

[1] **სუვერენიტეტი** - დამოუკიდებლობა, საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე, ხელისუფლების უფლებამოსილება.

შუშა, თოფხანას ტყე

საბჭოთა ხელმძღვანელობამ სახალხო მოძრაობის ჩახშობისათვის ბაქოში, განჯასა და ნახიჩევანში საგანგებო მდგომარეობა და **კომენდანტის საათი**[1] დააწესა. ბაქოს ცენტრალურ მოედანზე (ახლანდელი თავისუფლების მოედანი) ჯარის ნაწილები შეიყვანეს, ხალხს ძალის გამოყენებით დაატოვებინეს მოედანი.

აზერბაიჯანში სახალხო მოძრაობის მიმართულების მისაცემად და მისი ხელმძღვანელობისათვის, მოძრაობის აქტიურმა წევრებმა **1989 წლის ივნისში** ბაქოში დაარსეს **აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი (ასფ).** შემაჯამებელ კონფერენციაზე ორგანიზაციის პროგრამა და წესდება იქნა მიღებული. **აბულფაზ ელჩიბეი** აირჩიეს ასფ-ის თავმჯდომარედ.

ხალხის ზეწოლით და ასფ-ის მოთხოვნით **1989 წლის 23 სექტემბერს აზერბაიჯანის უმაღლესმა საბჭომ "აზერბაიჯანის სსრ-ს სუვერენიტეტის შესახებ" მიიღო საკონსტიტუციო კანონი.** ამ დოკუმენტის მიხედვით, რესპუბლიკაში აზერბაიჯანის სსრ-ს კანონები კავშირის კანონებზე უპირატესი ითვლებოდა. საკონსტიტუციო კანონის მიხედვით, აზერბაიჯანის სსრ-ს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ მუხლის შეტანა იყო დემოკრატიული მოძრაობის დიდი გამარჯვება .

დემოკრატიული ძალების ზეწოლის შედეგად საბჭოთა ხელმძღვანელობამ დაიხია უკან: გააუქმა მთიანი ყარაბაღის სპეციალური სამმართველო კომიტეტი. მთიანი ყარაბაღის მართვისათვის დაარსდა აზერბაიჯანის საორგანიზაციო კომიტეტი.

1989 წლის 31 დეკემბერს ნახიჩევანში საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვარი დაიშალა, ადგილობრივი მოსახლეობა სამხრეთელ თანამემამულეებს შეხვდა. ამ პერიოდში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებიდან ერთ-ერთი იყო 30-იან წლებიდან კიროვაბადად წოდებული ძველი ქალაქის განჯისათვის ისტორიული სახელწოდების აღდგენა

გაარკვიეთ: რომელი დღესასწაულის სახელწოდებით მოიხსენიება ყოველწლიურად 1989 წლის 31 დეკემბრის საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის დაშლის მოვლენა?

20 იანვრის მოვლენა. სომხეთში ჩვენი თანამემამულეების უფლებების ფეხქვეშ გათელვა, მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანის სუვერენიტეტის დარღვევის გაგრძელება ხალხის ხელისუფლებისაგან უკმაყოფილებას აძლიერებდა.

სომხეთიდან გაგზავნილი შეიარაღებული დაჯგუფებები 1990 წლის 12 იანვარს ხანლარის (ახლანდელი გეიგელი) რაიონის სოფელ კუშჩუს დაესხა თავს. მთიან ყარაბაღში და სომხეთის საზღვრის გაყოლებით აზებაიჯანელების საცხოვრებელ პუნქტებზე თავდასხმის საშიშროება გაიზარდა. ასფ-მა სომხების თავდასხმების აღკვეთის მიზნით 1990 წლის იანვარში დააარსა ეროვნული თავდაცვის საბჭო, დაიწყო თავდაცვის ჯგუფების ორგანიზება.

ასფ-ს დიდი ავტორიტეტის მქონე პოლიტიკურ ძალად გადაქცევამ, აზერბაიჯანის ხელისუფლება, განსაკუთრებით კი მოსკოვი შიშში ჩააგდო. ამ დროს ბაქოში განგებ თავს დაესხნენ სომხების ბინებს. ამ მოვლენებმა ცენტრალურ ხელისუფლებას მიზეზი მისცა მყაო-ის პარალელურად, სხვა რაიონებშიც, კერძოდ ბაქოში საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინა.

[1] **კომენდანტის საათი** - საგანგებო ან სამხედრო მდგომარეობის დროს დადგენილი დროის შეზღუდვა.

საბჭოთა ჯარების დახმარებით სომხეთის სამხედრო დაჯგუფებები 19 იანვარს ნახიჩევანს დაესხნენ თავს. ნახჩევანის მოსახლეობა მშობლიური მიწის დასაცავად აღსდგა, მტერი იძულებული გახადა უკან დაეხია. ხოლო ნახჩევანის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა სსრკ-ს შემადგენლობიდან გამოსვლა.

შეაგროვეთ დამატებითი ცნობები სომხეთის ნახჩევანის ტერიტორიაზე თავდასხმების შესახებ.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ აზერბაიჯანში გაძლიერებული საერთო სახალხო პროტესტის ჩახშობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების კონტროლის ქვეშ შენარჩუნებისათვის მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ. **სსრკ–ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1990 წლის 20 იანვრიდან "ქალაქ ბაქოში საგანგებო მდგომარეობის შემოტანის შესახებ" ბრძანებულება გასცა.** თუმცა 19 იანვარს საღამოს ბაქოში აზერბაიჯანის ტელევიზიის ენერგიობლოკის განგებ აფეთქების გამო, მოსახლეობა არ იყო ინფორმირებული ამ ბრძანებულების შესახებ.

20 იანვარს გამთენიისას საბჭოთა ჯარებმა ბაქოზე სხვადასხვა მიმართულებით დაიწყეს თავდასხმები. მოსახლეობამ რუსების სამხედრო ძალების ბაქოში შესვლის პროტესტის ნიშნად ქალაქის შესასვლელ გზებზე ბარიკადები ამგებ მშვიდობიან მოსახლეობაზე ტანკები წაიყვანეს, ხალხს ცეცხლი გაუხსნეს, მოკლეს და დაჭრეს ასობით მშვიდობიანი ადამიანი.

წამებულთა ხეივანი

1990 წლის 21 იანვარს ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯანის სსრ–ს მოსკოვში არსებულ წარმომადგენლობას ეწვია, მომხდარი მოვლენების გამო მწვავე რეაქცია გამოხატა. მან საბჭოთა ხელმძღვანელობა დაგმო. "მთიანი ყარაბაღის მოვლენების პირველ ეტაპზე, ქვეყნის უმაღლესი პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ დროული აუცილებელი ღონისძიებები რომ განხორციელებულიყო, დაძაბულობა ამ დონეზე არ აიწევდა, მხარეებს დანაკარგები არ ექნებოდათ, რაც მთავარია, 1990 წლის იანვრის 19–დან 20–ზე გარდამავალ ღამეს, უამრავი ადამიანის ხოცვით დამთავრებული სამხედრო ჩარევისათვის მიზეზი არ იქნებოდა..."

განსაზღვრეთ 1988–1990 წლებში მომხდარი მოვლენების აღმოფხვრის შესაძლებლობები.

აზერბაიჯანელმა ხალხმა ნათლად გააცნოებიერა, რომ 20 იანვრის მოვლენების დროს მშვიდობიან მოსახლეობას სისხლიანი წამებით, რომ გაუსწორდა იმ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენას არავითარი აზრი არ აქვს. მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენით არის შესაძლებელი საკუთარი უფლებების დაცვა. გაღრმავდა საბჭოთა რეჟიმის მიმართ უნდობლობა.

20 იანვრის შემდეგ ე. ვეზიროვი აზერბაიჯანის ხელმძღვანელობიდან გადადგა და ბაქო დატოვა. **ცენტრის დაგვალებით აიაზ მუთალიბოვი მოიყვანეს აზერბაიჯანის კპ ცკ–ის პირველი მდივნის თანამდებობაზე. 1990 წლის 19 მაისს აზერბაიჯანის პრეზიდენტის თანამდებობა დამტკიცდა** და ა. მუტალიბოვი ამ თანამდებობაზე აირჩიეს აზერბაიჯანის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

1990 წლის 20 ივლისს ჰეიდარ ალიევი ჩამოვიდა ბაქოში. ვინაიდან ხალხი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა, მიიღეს როგორც მხსნელი, ამიტომაც, აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა მას ეჭვით შეხვდა და ბაქოში ცხოვრების საშუალება არ მისცა. ნახჩევანის მოსახლეობის მიწვევით ჰეიდარ ალიევი ნახიჩევანში წავიდა და სასარგებლო რჩევებით ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას დაეხმარა, ძალიან მძიმე დღეებში რთული პრობლემების გადაჭრაში.

კითხვები და დავალებები:

1. *განსაზღვრეთ ხალხის თავისუფლების მოედანზე საპროტესტო შეკრების მიზეზები.*
2. *განიხილეთ აზერბაიჯანის სსრ-ს სუვერენიტეტის შესახებ კონსტიტუციის კანონის მნიშვნელობა.*
3. *დაამტკიცეთ 20 იანვრის მოვლენებამდე განხორციელებული ღონისძიებების არაკეთილმოსურნეობა.*
4. *შეაგროვეთ ინფორმაციები 20 იანვრის მოწამეების შესახებ.*

45. სამხრეთ აზერბაიჯანი ომის შემდგომ პერიოდში

სამხრეთ აზერბაიჯანში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მძიმე სოციალ-ეკონომიკური პრობლემები ისევ არსებობდა. მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების დონე იყო სიღარიბის ზღვარზე. რა იყო, ყოველთვის ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ცენტრად მყოფ სამხრეთ აზერბაიჯანში ახალი საპროტესტო ტალღის დაწყების მიზეზი? რომელი რეფორმები გატარდა? როგორ იმოქმედა ირანში მომხდარმა რევოლუციურმა ცვლილებებმა სამხრეთ აზერბაიჯანზე?

სამხრეთ აზერბაიჯანში ს. ჯ. ფიშეერის მეთაურობით ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა აღკვეთეს, მაგრამ მისი გავლენით ცოტა ხანში, ირანში დაიწყო ახალი ბრძოლა. **1949–1953 წლებში** ირანის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია, ნავთობის მრეწველობაზე ინგლისელი მონოპოლიების დასრულებისა და ამ სფეროს ნაციონალიზაციის მოთხოვნებით დაიწყო მასიური გამოსვლები. შედეგად ნავთობის მრეწველობაზე ინგლისურ მონოპოლიებს ბოლო მოეღო და გადაიდგა ნაბიჯები მისი ნაციონალიზაციისათვის.

1960–იან წლების რეფორმები და სამხრეთი აზერბაიჯანი. ირანში და ასევე სამხრეთ აზერბაიჯანში სოციალური დაძაბულობის დასუსტების მიზნით 1960-იან წლებში, ისტორიაში „**თეთრი რევოლუციის**“ სახელწოდებით გატარდა რეფორმები. ამ რეფორმებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აგრარული რეფორმა. აგრარულმა რეფორმამ გლეხებს სახელმწიფოსაგან და მიწათმფლობელებისაგან მიწის ნაკვეთების შესყიდვის საშუალება მისცა. შედეგად ბანკების მიერ გაცემული სახსრების ხარჯზე, სამხრეთ აზერბაიჯანის გლეხების 80 პროცენტი გახდა მიწის მფლობელი.

ამ პერიოდში შეეძლოთ სამხრეთ აზერბაიჯანის გლეხებს სახელმწიფოსაგან მიწის შესყიდვა?

1960-1970-იან წლებში სამხრეთ აზერბაიჯანში მრეწველობა ნელა ვითარდებოდა. თუმცა, სამხრეთ აზერბაიჯანში მსხვილი წარმოების დაწესებულებების შექმნით შაჰის ხელისუფლება არ იყო დაინტერესებული და ამიტომაც კერძო კაპიტალის ჩამდები ძალიან ცოტა იყო. გამომდინარე აქედან, ხსენებულ პერიოდში სამხრეთ აზერბაიჯანში მცირე დაწესებულებები იყო უფრო მეტი. ირანში „ეროვნული ერთიანობის'' სახელით სხვა ერების გასპარსელების პოლიტიკა განხორციელდა. ამ პოლიტიკის შედეგად სამხრეთ აზერბაიჯანში აიკრძალა თურქული ენა, ამ ენაზე ყველა გაზეთის, ჟურნალის და წიგნის გამოცემა გაჩერდა, წინა წლებში გამოცემული პრესა შეაგროვეს და დაწვეს.

რა იცით ჩრდილოეთ აზერბაიჯანში აზერბაიჯანული ენის სტატუსისა და ეროვნული კულტურის მდგომარეობის შესახებ?

ირანის ისლამური რევოლუცია და სამხრეთ აზერბაიჯანი. 1970-იანი წლების შუა ხანებში ირანის სხვადასხვა ადგილებში სახალხო გამოსვლების გამო, ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაპირისპირება ღრმავდებოდა. შაჰის მთავრობის მკაცრმა დამსჯელმა ღონისძიებებმა ვერ აღკვეთა სოციალური აფეთქება. 1977 წლის 12 დეკემბერს ქალაქ თებრიზში, სამხრეთ აზერბაიჯანში ეროვნული მთავრობის დაარსების წლისთავის აღსანიშნავად ჩატარდა ღონისძიება.

ცოტა ხნის შემდეგ ქ. ყუმში მონარქიის გაუქმების მოთხოვნით გაიმართა ხალხმრავალი დემონსტრაცია. შაჰის რეჟიმი დაუნდობლად გაუსწორდა ამ გამოსვლების მონაწილეებს. **1978 წლის 18 თებერვალს** თებრიზში გავლენიანი სასულიერო წარმომდგენლების მოწოდებით 10 ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. მშვიდობიანი საპროტესტო დემონსტრაცია, არსებული წყობის წინააღმდეგ აჯანყებაში გადაიზარდა.

აჯანყებაში მონაწილეობდნენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენები: ინტელიგენცია, სტუდენტები, სასულიერო პირები, ხელოვანები, მცირე ვაჭრები და მესაკუთრეები, მუშები, სკოლის მოსწავლეები.

სახალხო მოძრაობა თებრიზში

შაჰმა ირანის სხვა ქალაქებიდან ჩამოყვანილი სამხედრო ნაწილების დახმარებით თებრიზის აჯანყება იარაღის ძალით ჩაახშო. თებრიზის აჯანყება 1978-1979 წლების რევოლუციის პირველი მაუწყებელი გახდა.

რევოლუციის მორიგ საფეხურზე გაიზარდა სასულიერო პირების როლი. მისი ლიდერის აიათულლაჰ რ. ხომეინის გავლენა გაძლიერდა ხალხის ფართო მასებში.

7 სექტემბერს თორმეტ ქალაქში, მათ შორის თებრიზში, დაიწყო ახალი საპროტესტო გამოსვლები. სახალხო მოძრაობას ნავთობის მრეწველობის მუშებიც შეუერთდნენ. გაფიცულებმა საიდუმლო პოლიციის ორგანოების გაუქმება, ირანის საზოგადოების დემოკრატიზაცია და სხვა მოთხოვნები დააყენეს.

მენავთობეების ორგანიზებულმა საერთო გაფიცვამ გადაწყვიტა რევოლუციის ბედი. რევოლუციური ძალების გაძლიერებული ზეწოლის შედეგად, **1979 წლის იანვარში** მაჰამად რზა შაჰი გაიქცა ირანიდან. რ. ხომეინი პარიზიდან ჩამოვიდა თეირანში.

ჯავად ჰეიათი

გაარკვიეთ სამხრეთ აზერბაიჯანის როლი ირანის რევოლუციაში.

1979 წლის 11 თებერვალს თეირანში რევოლუციამ გაიმარჯვა. შაჰის ხელისუფლება დაემხო. საერთო სახალხო გამოკითხვების საფუძველზე 1979 წ. 1 აპრილს გამოცხადდა **ირანის ისლამური რესპუბლიკა**. სამხრეთ აზერბაიჯანში დაიწყო დედა ენაზე დიდი რაოდენობით გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემა. მათ შორის გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ჯავად ჰეიათის მიერ გამოცემული ჟურნალი

„**სამდიდრე**“ უფრო ხანგრძლივი გამოდგა. ამ ჟურნალის გვერდებზე ჩვენი ხალხის ისტორიასთან, კულტურასთან დაკავშირებულ გამოქვეყნებული სტატიები დიდი ინტერესით იკითხებოდა.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში ირანი გადაიქცა რეგიონის ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ. აზერბაიჯანის რესპუბლიკამ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან ნორმალური ურთიერთობები დაამყარა. ჩვენს ქვეყანაში სომხეთის სამხედრო ჩარევის შედეგად 1 მილიონამდე ადამიანი ლტოლვილად და იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა. ამ პირობებში ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ გაგვიწია დიდი რაოდენობით ჰუმანიტარული დახმარება. ორგანიზება გაუკეთდა ლტოლვილებისათვის კარვების ქალაქის დაარსებას, კვების პროდუქტების რეგულარულად გაგზავნას.

2000-იან წლებში ირანი ბირთვული პროგრამების გამო, დაუპირისპირდა აშშ-ს და ევროპის კავშირის სანქციებს და საერთაშორისო იზოლაცია გაუკეთეს, აზერბაიჯანის რესპუბლიკა სანქციებს არ შეუერთდა, ირანთან გააგრძელა ყველა მიმართულებით თანამშრომლობა. დღესდღეობით აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის წარმატებით ვითარდება მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა.

კითხვები და დავალებები:

1. *მოაგროვეთ დამატებითი ცნობები “თეთრ რევოლუციად” წოდებული რეფორმების შესახებ.*
2. *გაარკვიეთ სამხრეთ აზერბაიჯანის მრეწველობის სუსტი განვითარების მიზეზები.*
3. *რაში გამოიჩნდა ირანის რევოლუციაში სამხრეთ აზერბაიჯანის მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა?*
4. *განმარტეთ ირანში განხორციელებული ცვლილებების გავლენა სამხრეთ აზერბაიჯანზე.*
5. *შეაგროვეთ ინფორმაცია თანამედროვე დროის სამხრეთ აზერბაიჯანში დედა ენისა და ეროვნული ღირებულებების მდგომარეობის შესახებ.*

46. კულტურის განვითარება 1970–1980–იან წლებში

1970-80-იან წლებში აზერბაიჯანის სსრ-მ, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, ეკონომიკური განვითარების ტემპის მიხედვით, გადაინაცვლა წინა რიგებში. ეკონომიკურმა შედეგებმა ხალხის ცხოვრების დონე აამაღლა. რა დონეზე იყო ჩვენი კულტურა? როგორი იყო ეროვნულ-სულიერი ღირებულებების მიმართ დამოკიდებულება?

განათლების სფეროს წარმატებები. ამ პერიოდში გაფართოვდა უმაღლესი და საშუალო სკოლების ქსელი. ბაქოში გაიხსნა სამშენებლო საინჟინრო ინსტიტუტი, განჯაში ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ნახიჩევანში და ხანქენდიში პედაგოგიური ინსტიტუტები. ამის გარდა 1970-80-იან წლებში მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში და სსრკ-ს სხვა ქალაქებში რეპუტაციის მქონე უმაღლეს სასწავლებლებში, ჩვენი რესპუბლიკისათვის აუცილებელი სფეროების მიხედვით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებამ მიიღო სისტემური ხასიათი, შედეგად ამ წლებში საბჭოთა კავშირი მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში **17 ათასი აზერბაიჯანელი ახალგაზრდა** დაეუფლა რესპუბლიკისათვის საჭირო პროფესიებს. პარალელურად, განათლების ყველა ეტაპზე, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდას ფართო ადგილი ეთმობოდა, აზერბაიჯანის ისტორიის, კულტურისა და გეოგრაფიის სწავლებას კი საკმარისი ყურადღება არ ეთმობოდა.

აზერბაიჯანის ეროვნული სამხედრო კადრების მომზადებისათვის **1971 წელს ჰეიდარ ალიევის ინიციატივით ბაქოში გაიხსნა ჯუმშად ნახიჩევანსკის სახელობის სპეციალიზირებული საშუალო სამხედრო სკოლა**. ეს სკოლის კურსდამთავრებული აზერბაიჯანელი ახალგაზრდების სსრკ-ს სამხედრო უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის პირობას ქმნიდა. იმ კურსდამთავრებულებმა დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ეროვნული ჯარის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს.

მეცნიერების განვითარება. აზერბაიჯანის მეცნიერებმა 1970-80-იან წლებში ფუნდამენტალურ და გამოყენებითი მეცნიერების სფეროებში მიაღწიეს დიდ წარმატებებს. **1987 წელს ბაქოში კოსმიური წარმოების გამოყენებითი მეცნიერების** გაერთიანების ამოქმედებით ახალმა სასარგებლო გათხრებმა, შექმნა სამშენებლო მასალების საბადოების აღმოჩენის პირობები. ამ პერიოდის შემახის ობსერვატორია სსრკ-ს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ასტროფიზიკის ცენტრად გადაიქცა. ასტრონომ ნ. იბრაჰიმოვის ამ სფეროში წარმატების საპატივსაცემოდ პლანეტა მარსის ერთ-ერთ კრატერს „იბრაჰიმოვის კრატერი“ დაერქვა.

ამ პერიოდში ბაქოს საბჭოთა კავშირის მასშტაბით იცნობდნენ „ნავთობის აკადემიად“. გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა ნავთობის, ნავთობ-ქიმიის, გეოლოგიის დარგებში კვლევები მთელი კავშირის მასშტაბით გაიცნეს და გამოიყენეს. აზერბაიჯანელი გეოლოგის ფერმან სალმანოვის ხელმძღვანელობით დასავლეთ ციმბირში აღმოაჩინეს მდიდარი ნავთობისა და გაზის საბადოები.

აზერბაიჯანის მეცნიერების კიდევ რომელი აღმოჩენები და გამოგონებები იყო საერთო საკავშირო მასშტაბის მნიშვნელობის? შეავროვეთ ინფორმაციები.

ისტორიაში, ლიტერატურაში, ენათმეცნიერებაში და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროებში დაიწერა ღირებული კვლევითი ნაწარმოებები. ეროვნული კულტურის აგიტაციისა და აღორძინების მიმართულებით მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს. ამ პერიოდში **აზერბაიჯანში გამოიცა საბჭოთა ენციკლოპედია**. ბაქოში დაიწყო ჟურნალ გამომცემლობა „**საბჭოთა თურქოლოგია**“-ს გამოცემა თურქოლოგიის მიმართულებით კვლევები გაფართოვდა.

ლიტერატურა და ხელოვნება. ამ პერიოდში აზერბაიჯანის ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლების რასულ რზას, ილიას ეფენდიევის, ისმაილ შიხლის, აზიზა ჯაფარზადეს, ბახტიარ ვაჰაბზადეს, ანარის, ელჩინის, იუსიფ სემედოღლის, მემედ არაზისა და სხვა პოეტების და მწერლების ნაწარმოებებს კეთილგანწყობით ხვდებოდნენ. მათ ნაწარმოებებში აკრიტიკებდნენ საბჭოთა ცხოვრების წესის სიმახინჯეებს, ადამიანის უფლებების წართმევას და საზოგადოებაში მომხდარ უკანონობებს. სამხრეთ აზერბაიჯანის დიდი პოეტის **შაჰრიარის** ლექსებმა განსაკუთრებით პოემამ „**ჰეიდარბაბას სალამი**“ ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ექო გამოიწვია და ხალხმა იგი აიტაცა.

გოვჩას რეგიონის სოფელ აღქილსაში აშუღ ალასკარის საფლავის ქვა. 1972 წელი.

1972 წელს აშიკ ალასკარის 150 წლის იუბილეს ჩატარების შესახებ ჰეიდარ ალიევის მიერ ხელმოწერილი დადგენილება თანამედროვე სომხეთში არსებული ისტორიულ- კულტურული მემკვიდრეობის აზერბაიჯანელი ხალხის კუთვნილების ოფიციალურად გამოცხადება და ამ მემკვიდრეობის დაპატრონების მაჩვენებელი იყო.

თურქოლოგიის პროპაგანდაში ბრალდებული, ციმბირში გადასახლებული და იქ გარდაცვლილი გამოჩენილი პოეტისა და დრამატურგის **ჰუსეინ ჯავიდის** ნეშტი 1982 წელს ჰეიდარ ალიევის ინიციატივით ირკუტსკის ოლქიდან გადმოასვენეს და სამშობლოში ნახჩევანში დაკრძალეს.

1977 წელს შუშა გადაიქცა ისტორიულ-არქიტექტურულ ნაკრძალად. აქ აღიმართა აზერბაიჯანელი პოეტების, მუსიკოსების და შემოქმედი პიროვნებების ძეგლები და ბიუსტები. დაარსდა მეცნიერული სახლმუზეუმები. შუშაში დიდი აზერბაიჯანელი პოეტის მ. ფ. ვაგიფის საფლავზე აშენდა მავზოლეუმი. ეროვნულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვამ და კულტურის მოღვაწეების პატივისცემით გახსენებამ დიდი გავლენა მოახდინა, ეროვნულ გამოღვიძებასა და ახალგაზრდების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაზე.

ჰეიდარ ალიევი შუშაში მ.ფ. ვაგიფის მავზოლეუმის გახსნაზე 1982 წელს.

განმარტეთ აზერბაიჯანის ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ მიმართული დევნისა და უკანონობის აღმოფხვრისათვის ჰეიდარ ალიევის მიერ გატარებული ღონისძიებები.

ჰეიდარ ალიევმა აშულ ალასკარის იუბილეს ღონისძიებების შემდეგ, 1981 წელს ხელი მოაწერა აშულ ალის 180 წლის იუბილეს ჩატარებასთან დაკავშირებით დადგენილებას. ჰეიდარ ალიევის ამ დადგენილებამ სომხეთის ხელმძღვანელობა იძულებული გახადა გოვჩაში იუბილეს ღონისძიებები ჩაეტარებინა და ძეგლები აღეძართა ჩვენი დიდი ხელოვანებისათვის. იმ წლებში სომხეთის სსრ-ს ოფიციალურ გაზეთებში კერძოდ "საბჭოთა სომხეთში" აზერბაიჯანელი ხალხის კუთვნილი, ასობით ფოლკლორის ნიმუში, ჩვენი აშიღებისა და პოეტების შესახებ ჯაჭვური სტატიები გამოქვეყნდა.

თქვენი აზრით რა მიზნებს ისახავდა სომხეთში (დასავლეთ აზერბაიჯანში) აზერბაიჯანელების ეროვნული კულტურის პროპაგანდა?

შეფიკა ახუნდოვა

ამ პერიოდში ფიქრათ ემიროვის ბალეტები „**ათას ერთი ღამე**“ და „**ნიზამი**“ და მსოფლიო ოპერის პირველი კომპოზიტორი ქალის შაფიკა ახუნდოვას **ოპერა** „**პატარძლის კლდე**“ იყო აზერბაიჯანის მუსიკალური ხელოვნების ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება. თოფიკ კულიევმა, ელექბერ თაღიევმა, სულეიმან ალასკაროვმა, ემინ საბითოღლუმ, ჯავანშირ კულიევმა და სხვა კომპოზიტორებმა შექმნეს ჩვენი ხალხის მოწონებული საყვარელი სიმღერები.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს აზერბაიჯანის კინოსა და თეატრის ხელოვნებაში. 1970-80-იან წლებში გადაღებული „ნასიმი“, „ბაბექი“, „უკანასკნელი გადალახვა“, „დედე გორგუდი“ და სხვა ფილმები აზერბაიჯანის კინოს ოქროს ფონდშია შესული.

თქვენი აზრით, რას ამტკიცებს 1970–80–იან წლებში ისტორიული ფილმების გადაღებების ზრდა?

აკადემიკოსი ზარიფა ალიევას ძეგლი. მოქანდაკე ომარ ელდაროვი

ამ პერიოდში აზერბაიჯანის ფერწერის ლამაზი ნიმუშების შექმნას აგრძელებენ ნიჭიერი მხატვრები თაჰირ სალაჰოვი, მიქაილ აბდულაევი, თოღრულ ნარიმანოვი და ლატიფ ქერიმოვი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოფენებზე წარმატებით უკეთდებოდა დემონსტრირება აზერბაიჯანის მხატვრების მიერ შექმნილ ტაბლოებს.

ჩვენი მოქანდაკეების **ჯელალ კარიაღდის, მირალას–კარ მირკასიმოვის, თოკაი მამედოვის, იბრაჰიმ ზეინა–ლოვის, ფუად აბდურაჰმანოვის და ომარ ელდაროვის** მიერ ბაქოში, ბუხარაში, დუშანბეში და სხვა ქალაქებში აღიმართა გრანდიოზულობით გამორჩეული ძეგლები და მიენიჭათ მაღალი ჯილდოები.

თქვენი აზრით, შეიძლება 1970–80–იან წლებში კულტურის განვითარებას ეწოდოს აღმავლობის პერიოდი?

70-იან წლებში ბაქოში აშენდა საზღვაო პორტი, ახლანდელი ჰეიდარ ალიევის სახელობის რესპუბლიკის სასახლე, 80-იან წლებში გულუსტანის სასახლე.

საზღვაო პორტი

ჰეიდარ ალიევის სასახლე

გულუსტანის სასახლე

ჰეიდარ ალიევის შორსმჭვრეტელური პოლიტიკის შედეგად კულტურის განვითარებაში მიღწეული დიდი წარმატებები, ძლიერი ეროვნული გამოღვიძების მიზეზი გახდა.

კითხვები და დავალებები:

1. *განსაზღვრეთ ამ პერიოდში განათლებაში მიღწეული წარმატებები და უარყოფითი მხარეები.*
2. *განმარტეთ ქ. ბაქოს როგორც "ნავთობის აკადემიის" აღიარების მიზეზები.*
3. *განმარტეთ მთიან ყარაბაღში კულტურის სფეროში განხორციელებული ღონისძიებები.*
4. *რატომ ვერ შეძლეს ხელი შეეშალათ სომხეთში აზერბაიჯანის კულტურის ავიტაციისათვის? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.*
5. *დაასაბუთეთ რომ ამ პერიოდში განხორციელებული სამუშაოები, ეროვნული ღირებულებების ავიტაციისა და ეროვნულ გამოღვიძებას ეშსახურებოდა.*

VII თავი. აზერბაიჯანის რესპუბლიკა დამოუკიდებლობის პერიოდში (1991–2000 წლები)

47. სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა

აზერბაიჯანის მძიმე მდგომარეობამ, შიდა და საგარეო საფრთხეების გაძლიერებამ, გამოიწვია გადაუდებელი გადაწყვეტილებების მიღების, ღონისძიებების გატარების აუცილებლობა. 20 იანვრის მოვლენებმა ხალხს იმედი გაუცრუვა საბჭოთა ხელმძღვანელობის მიმართ. მაშ, რომელი გზა აირჩიეს ქვეყნის შიგნით რესპუბლიკის მომავლისათვის? როგორ მოიქცა ამ დროს ხალხი? რა სახის მოვლენებმა იჩინა თავი მთიან ყარაბაღში? გვქონდა სამხედრო წარმატებები?

სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა. 1990 წლის სექტემბერში აზერბაიჯანში ჩატარდა უმაღლესი საბჭოს არჩევნები, ჰეიდარ ალიევი აირჩიეს აზერბაიჯანის და ნახიჩევანის უმაღლესი საბ-ჭოს დეპუტატად. მისი ინიციატივით ნახიჩევანის უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 17 ნოემბერს ჩატარებულ კრებაზე, გამოთქმა „საბჭოთა სოციალისტური“, ამოღებულ იქნა ნახიჩევანის **სსრ** სახელწოდებიდან. ხოლო უმაღლეს საბჭოს ეწოდა უმაღლესი მეჯლისი. პირველად პოლიტიკური შეფასება მიეცა 20 იანვრის მოვლენებს. **ადრ**-ის სამფეროვანი დროშა მიღებულ იქნა, როგორც ნახიჩევანის ოფიციალური დროშა.

დაამტკიცეთ 1991 წელს ნახიჩევანის არ–ში განხორციელებული ღონისძიებების დემოკრატიულობა.

1991 წლის 5 თებერვალს აზერბაიჯანის სსრ-ს უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით აზერბაიჯანის სსრ-ს ეწოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკა და ადრ-ის სამფერიანი დროშა დაამტკიცეს როგორც სახელმწიფო დროშა. პარალელურად, აზერბაიჯანის ხელმძღვანელობამ სსრკ-ს შენარჩუნების შესახებ რეფერენდუმში მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო. მხოლოდ ნახიჩევანმა განაცხადა უარი რეფერენდუმში მონაწილეობაზე.

აზერბაიჯანის უმაღლესმა საბჭომ ხალხის მოთხოვნით 30 აგვისტოს მიიღო “დადგენილება აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ”. აზერბაიჯანში აიკრძალა კომუნისტური პარტია.

1991 წლის 3 სექტემბერს ჰეიდარ ალიევი აირჩიეს ნახიჩევანის არ–ის უმაღლესი მეჯლისის თავმჯდომარედ. მის მიერ განხორციელებული მიზანდასახული ღონისძიებების შე-დეგად, საბჭოთა ჯარის ნაწილები გაყვანილ იქნა ნახიჩევანიდან. ასევე, მისი საქმიანი ვიზიტებისას თურქეთში და ირანში წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, აღმოფხვრა რეგიონში ბლოკადის[1] გამო შექმნილი კრიზისი, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეკონომიკური პრობლემების და ენერგეტიკული საკითხების გადაწყვეტაში. ხელახლა აშენდა ნახიჩევანის აეროპორტი. აშენდა ჯულ-ფასა და შაჰტახტის გამშვები პუნქტები. 1992 წელს აშენდა ავტონომიური რესპუბლიკის თურ-ქეთთან დამაკავშირებელი და ხალხში “იმედის ხიდად” წოდებული სედერექის ხიდი.

1991 წლის შემოდგომაზე გამძაფრდა მდგომარეობა მთიან ყარაბაღში. სექტემბრის დასაწყისში გამოაცხადეს ფიქტიური “მთიანი ყარაბაღის” რესპუბლიკის შექმნა.

1991 წლის შემოდგომაზე, 18 ოქტომბერს ხალხის მოთხოვნით აზერბაიჯანის უმაღ-ლესმა საბჭომ მიიღო კონსტიტუციური აქტი „აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ“. აღდგა აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა.

[1] **ბლოკადა** - პოლიტიკურად და ეკონომიკურად იზოლირება.

რომელ ისტორიულ დღეს აღნიშნავენ აზერბაიჯანში ყოველწლიურად 18 ოქტომბერს?

დაწესდა რაიონებსა და ქალაქებში აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურების, სახელმწიფო მდივანისა და სახელწიფო მრჩევლის თანამდებობა და შეიქმნა პრეზიდენტის აპარატის სამმართველო. თუმცა გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ გაამყარა მთავრობის პოზიცია.

1991 წლის 8 დეკემბერს მოეღო ბოლო სსრკ-ს არსებობას. შეიქმნა **დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობა (დსთ)**. აზერბაიჯანში ჩატარებულ რეფერენდუმზე ხალხმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სახელმწიფო დამოუკიდებლობას.

სომხების მხეცობა მთიან ყარაბაღში. 1991 წლის ნოემბერში მთიანი ყარაბაღის ხოჯავენდის რაიონში აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში თარეშობდნენ სომხების შეიარაღებული დაჯგუფებები. მდგომარეობის ადგილზე შესასწავლად გაემგზავრნენ რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის სახელმწიფოს და მთავრობის წარმომადგენლები. 20 ნოემბერს, ვერტმფრენი, რომლითაც ისინი მიფრინავდნენ ჩამოგდებულ იქნა კარაქენდის დასახლებულ პუნქტთან ახლოს. ამ ტერორისტული აქტის შედეგად, დაიღუპნენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები. ამ მოვლენამ კიდევ უფრო გაამწვავა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა.

თქვენის აზრით, რა იყო კარაქენდში ტერორისტული მოვლენის მიზეზი? დაასაბუთეთ თქვენი ვარაუდი.

მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების მიერ სომხეთის მხარდაჭერამ, მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარების საშუალება არ მოგვცა. ისინი უბიძგებდნენ სომხებს ახალი აგრესიისაკენ. მთიანი ყარაბაღის სომხებმა რუსების დახმარებით დაიწყეს ღია ომი აზერბაიჯანის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დაარსება იყო აუცილებელი. უმაღლესმა საბჭომ მიიღო „აზერბაიჯანის ეროვნული თავდაცვის ძალების შესახებ კანონი“. ამ კანონის თანახმად საზღვრისპირა რეგიონებში დაარსდა მოხალისეთა თავდაცვის ბატალიონები.

1992 წლის იანვარში აზერბაიჯანის არმიამ განახორციელა თავისი პირველი ოპერაცია, რომლის მიზანი იყო, ქალაქ შუშას მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფელ დაშალთის სომეხი შეიარაღებული დაჯგუფებებისაგან გაწმენდა. მაგრამ, დაშალთის ოპერაცია დასრულდა წარუმატებლად. ამის შემდეგ სომხებმა და მათმა მხარდამჭერებმა, რუსმა სამხედროებმა ხელში ჩაიგდეს სოფლები ქერქიჯაჰანი, მალიბეილი, კუშჩულარი და კარადაღლი.

დაშალთის ოპერაციაში მონაწილეობდნენ ახლად დაარსებული აზერბაიჯანის ჯარის მოხალისეებისაგან შემდგარი 3 დანაყოფი და ქალაქ შუშას თავდაცვის ჯგუფის მებრძოლები. დაჯგუფებებს შორის კავშირის უქონლობის, საბრძოლო ტაქტიკაში შეცდომების და ოპერაციის საიდუმლოს გაჟონვის გამო დაშალთიში შესული აზერბაიჯანის მებრძოლები გაებნენ მტრის ხაფანგში და გმირულად დაიღუპნენ, ხოლო დანარჩენმა დაჯგუფებებმა დიდი დანაკარგების შემდეგ, უკან დაიხიეს.

M *გაარჩიეთ დაშალთის ოპერაციის წარუმეტებლობის მიზეზები.*

ხოჯალოს გენოციდი. მტრის მორიგი სამიზნე იყო ხოჯალო, იმიტომ, რომ ხოჯალო ასკერან-ხანქენდის გზაზე მდებარეობდა და აქვე იყო მთიანი ყარაბაღის ერთადერთი აეროპორტი. **1992 წლის თებერვლის 25-დან 26-ში გარდამავალ ღამეს** ქალაქ ხანქენდიში მდებარე საბჭოთა ჯარების 366-ე პოლკი და სომხების შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ ხოჯალოს. ქალაქის მოსახლეობის მიმართ მოხდა სისხლიანი ანგარიშსწორება. ამ მასიური ხოცვის შედეგად გაანადგურეს 613 ხოჯალის მცხოვრები, მათ შორის 63 ბავშვი, 106 ქალი, 70 მოხუცი, 8 ოჯახი სრულიად განადგურდა 25-მა ბავშვმა ორივე დაკარგა - დედაც და მამაც, ხოლო 130-მა ბავშვმა მშობლებიდან ერთ-ერთი.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის მონაწილეობით საერთო სახალხო მსვლელობა "სამართლიანობა ხოჯალოს" კამპანიის ჩარჩოებში

ელიფ ჰაჯიევი

ელიფ ჰაჯიევი იყო ხოჯალოს აეროპორტის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი. იგი ამავე დროს დაინიშნა ხოჯალის აეროპორტის სამხედრო კომენდანტად. მისი, ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, ხოჯალოს აეროპორტის საშუალებით შეიარაღებული დაჯგუფებების შემოყვანას ბოლო მოეღო.

ელიფ ჰაჯიევმა ყველა ძალებს გაუკეთა მობილიზაცია ხოჯალის დასაცავად. იგი ჩაერთო ბრძოლებში სხვა ღირსეულ მოქალაქეებთან ერთად, მან ააფეთქა აეროპორტის სადისპეჩერო, იმისათვის, რომ მტრის ხელში არ ჩავარდნილიყო საიდუმლო დოკუმენტები. მტრის ჯავშნოსანი ტექნიკის ხოჯალოში შემოსვლის დროს, ელიფ ჰაჯიევმა მშვიდობიანი მოსახლეობის აღდგომის სოფელ სელის მიმართულებით გასვლა უზრუნველყო. ხოლო თვითონ დაბრუნდა და ხელახლა ჩაერთო ბრძოლაში. იგი დაიღუპა სამშობლოსათვის. ხოჯალოს დაცვაში გამოჩენილი გმირობისათვის, ელიფ ჰაჯიევს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა გმირის წოდება.

M შეავროგეთ და განიხილეთ ინფორმაცია, ხოჯალოში დაღუპული სხვა ეროვნული გმირის თოფიკ ჰუსეინოვის შესახებ.

სახელმწიფო გადატრიალებები და მათი გავლენა ომის მდგომარეობაზე. ხოჯალოს ტრაგედიამ კიდევ უფრო გაამძაფრა პოლიტიკური მდგომარეობა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. ა. მუთალიბოვი ხალხის მოთხოვნით გადადგა პრეზიდენტის თანამდებობიდან. ახალმა ხელმძღვანელობამ ირანის ისლამური რესპუბლიკის საშუალებით, დაიწყო შვიდობიანი მოლაპარაკება სომხეთის პრეზიდენტთან. ამ დროს, 8 მაისს სომხებმა დაიპყრეს ქალაქი შუშა. შეწყდა მოლაპარაკებები.

ამ მოვლენამ ხელახლა შექმნა სახელისუფლებო კრიზისი. ა. მუთალიბოვი დაბრუნდა ხელისუფლებაში და გამოსცა ანტიკონსტიტუციური ბრძანებულება საგანგებო მდგომარეობის შესახებ. მოსახლეობაში ეს ბრძანებულება ზიზღის გამომწვევი გახდა. ამით ისარგებლეს ასგ-ს შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა და აიღეს უმაღლესი საბჭოს შენობა, პრეზიდენტის სასახლე და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები. ბაქოს არეულობით ისარგებლეს სომხებმა, რუსი სამხედროების დახმარებით 18 მაისს

დაიპყრეს მთიანი ყარაბაღის სომხეთთან დამაკავშირებელი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ლაჩინის რაიონი.

1992 წლის მაისში მოეწერა ხელი სსრკ-ს სამხედრო ქონების განაწილების გამთვალისწინებელ ტაშკენტის ხელშეკრულებას. ხელშეკრულების თანახმად აზერბაიჯანის რესპუბლიკას წილად ხვდა დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა. ასევე აზერბაიჯანს წილად ხვდა კასპიის ფლოტის სამხედრო გემები, რომლის მეშვეობითაც დაარსდა სამხედრო ფლოტი. 1992 წლის 7 ივნისს ასშ-ს თავმჯდომარე აბულფაზ ელჩიბეი აირჩიეს პრეზიდენტად.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მართვისათვის დაარსდა ერთიანი სამხედრო შტაბი.

აზერბაიჯანის არმიის წარმატებული შეტევა. 1992 წლის ივნისში აზერბაიჯანის არმია გადავიდა შეტევაზე. გორანბოისა და ასკერანის ოპერაციების შემდეგ რუსეთ-სომხეთის სამხედრო ძალებს დაახევინეს უკან.

ვაგიფ კურბანოვი

ვაგიფ კურბანოვი მსახურობდა სითალჩაიში, დსთ-ს საავიაციო პოლკში, იყო სამხედრო თვითმფრინავის პილოტი. ვაგიფმა და მისმა მეგობრებმა 1992 წლის 8 აპრილს გაიტაცეს სუ-25 ტიპის გამანადგურებელი-ბომბდამშენი თვითმფრინავი. თვითმფრინავი წაიღეს შექში. 8 მაისს სომხეთის შუშაზე თავდასხმის დროს სუ-25-მა პირველად განახორციელა საბრძოლო ფრენა. 12 ივნისს აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები მთელ ფრონტზე გადავიდნენ შეტევაზე. ვაგიფ კურბანოვმა დაბომბა სომხეთის სამხედრო ძალების თავდაცვა. ამის შემდეგ აზერბაიჯანის გორანბოი – აღდერას მიმართულებით განახორციელა წარმატებული შეტევები, მაგრამ 3 საბრძოლო ფრენის შემდეგ ვაგიფის თვითმფრინავი ჩამოაგდეს ასკერანთან ახლოს.

M

თქვენ რომ ყოფილიყავით მის ადგილას მოიქცეოდით ისე, როგორც მოიქცა ვაგიფ კურბანოვი? განიხილეთ.

აზერბაიჯანელი ჯარისკაცები ყარაბაღში

4 ივლისს აღდერას რაიონი გაანთავისუფლეს სომეხი დამპყრობლებისაგან. ივლისის ბოლოსათვის მთიანი ყარაბაღის ტერიტორიის დაახლოებით ნახევარი გაათავისუფლეს სომეხი სეპარატისტებისაგან. აზერბაიჯანის არმიის დანაყოფებს ხანქენდის ახლოს სოფელ სირხავენდში ეკავათ პოზიცია.

მაგრამ ყარაბაღში აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების მეთაურმა სურათ ჰუსეინოვმა თავისი ერთგული ძალები წაიყვანა განჯაში, სხვა მხრივ, რუსეთის მიერ სომხებისათვის ახალმა სამხედრო დახმარებებმა ფრონტზე შეცვალა ვითარება. **1993 წლის აპრილში ქელბეჯარის რაიონი გადავიდა სომხების ხელში.**

იმ დროის ხელისუფლების წარმომადგენლები, სახალხო ფრონტისა და მუსავათის ლიდერები აწარმოებდნენ წარუმატებელ საგარეო პოლიტიკას, შედეგად ცენტრალური აზიის დამოუკიდებელ თურქულ სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება ვერ შეძლეს. აშშ-ს კონგრესმა აზერბაიჯანის რესპუბლიკა დაადანაშაულა სომხეთის ბლოკადის გამო და 1992 წლის ოქტომბერში „თავისუფლების დაცვის აქტზე“ **907 დანართით** აშშ-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის სახელმწიფოს დონეზე დახმარება აეკრძალა.

კითხვები და დავალებები:

1. მოამზადეთ პრეზენტაცია ჰეიდარ ალიევის მიერ ნახჩევანის არ-ში ჩატარებული სამუშაოების შესახებ.
2. განიხილეთ 1991 წელს ხალხის მოთხოვნით მიღებული გადაწყვეტილებები.
3. შეადარეთ ცნობები აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჰიმნისა და გერბის მიღების შესახებ.
4. რა იყო გორანბოი-აღდერას ოპერაციებში ჩვენი გამარჯვების მიზეზი?
5. შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი თემის მიხედვით.

48. ხსნის მოძრაობა

წარუმატებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად, 1993 წლის გაზაფხულზე დამძიმდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. მოსახლეობის რწმენა შეირყა მთავრობისადმი. რა მოხდა ქვეყანაში? რატომ არ მოხერხდა აზერბაიჯანის დაქუცმაცება? რა მოხდა 1993 წლის 15 ივნისს, რატომ მოიხსენიება ისტორიაში ეს დღე, როგორც ხსნის დღე?

ხსნის მოძრაობა. 1993 წლის აპრილის დასაწყისში ქელბეჯარის დაპყრობამ აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის და მუსავატური პარტიის ხელმძღვანელებისაგან შემდგარმა მთავრობამ ხალხს რწმენა შეურყია და ეს გახდა რესპუბლიკაში ღრმა კრიზისის მიზეზი. **1993 წლის ივნისის დასაწ-ყისში განჯაში დაიწყო სამხედრო ბუნტი**. მთავრობამ გამოიტანა დადგენილება სურათ ჰუსეინოვის მეთაურობით ბუნტის მონაწილე სამხედრო ნაწილის განიარაღებისა და მისი გაუქმე-ბის შესახებ. ამ დადგენილების შესასრულებლად 1993 წლის 4 ივნისს სამთავრობო ჯარის ნაწი-ლებმა დაიწყო სახედრო ოპერაცია. თუმცა ამ ოპერაციამ სრული კრახი განიცადა და სამთავრობო ჯარები დამარცხდნენ.

შეიძლება განჯის მოვლენების დაერქვას სამოქალაქო ომი? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.

ბუნტის მონაწილეები დაიძრნენ ბაქოს მიმართულებით. ქვეყანა აღმოჩნდა სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე. შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო მთავრობა იძულებული გახდა ბუნ-ტის მონაწილეებთან გაემართა მოლაპარაკება. ბუნტის მონაწილეების მოთხოვნით გადააყენეს პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ მინისტრი და ძალოვანი მინისტრები, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. ქვეყანაში შეიქმნა ხელისუფლების, ფაქტიურად ბუნტის მონაწილეების ხელში გადასვლის საფრთხე.

ასეთ კრიზისულ პერიოდში აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ალიქრამ ჰუმბათოვმა ფრონტის ხაზებიდან გამოყვანილი სამხედრო ნაწილები, სამხრეთ რეგიონ-ში გადაიყვანა. მან ლენქორანის კანონიერი მთავრობა დაამხო და დე-ფაქტო „თალიშ-მუღანის რესპუბლიკის“ დაარსება გამოაცხადა. ამრიგად, 1993 წლის ზაფხულში რესპუბლიკაში კრიზისი გაღრმავდა და ხელისუფლებაში სიცარიელე შეიქმნა.

თქვენი აზრით, რომელი ქვეყნები უჭერდნენ მხარს იმ სეპარატისტულ ძალებს, რომლებსაც სურდათ აზერბაიჯანის დაქუცმაცება? დაასაბუთეთ თქვენი ვარაუდი.

საერთო ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანის დაშლის მცდელობის აღკვეთა. აზერბაიჯანის პოლიტიკური კრიზისიდან გამოყვანა და ჩვენი სახელმწიფოს განადგურებისაგან ხსნა შეეძლო ერთადერთ პიროვნებას, დიდი პოლიტიკოსს და სახელმწიფო მოღვაწეს ჰეიდარ ალიევს.

სახალხო ფრონტის მთავრობის წინააღმდეგ განჯაში სამხედრო ბუნტის დროს, ჰეიდარ ალიევმა ღიად გამოთქვა, რომ დაიცავს სახელმწიფოს. კრიზისიდან გამოსავალის მოძებნაში ქვეყნის პრეზიდენტმა აბულფაზ ელჩიბეიმ ჰეიდარ ალიევს სთხოვა დახმარება. ხალხის მოთხოვნით ნახჩევანიდან ბაქოში ჩამოსულმა ჰეიდარ ალიევმა, რესპუბლიკის მძიმე პოლიტიკური კრიზისიდან გამოსაყვანად გადადგა რამდენიმე აუცილებელი ნაბიჯი. იგი პირველ რიგში გაემგზავრა განჯაში და სამხედრო ოპოზიციის ლიდერებთან აწარმოა მოლაპარაკებები, არსებული მდგომარეობიდან იპოვა გამოსავალი. **1993 წლის 15 ივნისს ეროვნული მეჯლისის სესიაზე ჰეიდარ ალიევი აირჩიეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ.** აზერბაიჯანის ისტორიაში ეს დღე არის ახალი ხანის დასაწყისი. ეს თარიღი ეროვნული მეჯლისის მიერ 1997 წელს გამოცხადდა **ეროვნული ხსნის დღედ**.

რესპუბლიკაში შექმნილ რთულ პროცესებთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ა. ელჩიბეიმ დატოვა ბაქო. ეროვნულმა მეჯლისმა რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებები უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ჰეიდარ ალიევს მიანიჭა. სახელმწიფოს მეთაურის გადამწყვეტი მცდელობების შედეგად აზერბაიჯანის სამხრეთი რეგიონი გაწმენდილ იქნა დივერსანტ-სეპარატისტული ძალებისაგან. 1993 წელს ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით აღიკვეთა სეპარატისტული მოძრაობა. ამით აზერბაიჯანი გადაურჩა დაშლის საფრთხეს.

1993 წლის 3 ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებში ჰეიდარ ალიევი ხმათა უმრავლესობით აირჩიეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტად. მან ყურადღება გაამახვილა არმიის შექმნაზე. ეროვნული არმიის სამხედრო ნაწილები ცალ-ცალკე გამოიყვანა პოლიტიკური დაჯგუფებების გავლენიდან. დაიწყო არმიის შეიარაღების, ტანსაცმლითა და პროდუქტებით მომარაგება-მოწესრიგება. **1 ნოემბერს** რესპუბლიკის ყველა სახის შესაძლებლობების ჯარის ჩამოყალიბებაზე მიმართვისათვის დაარსდა **სახელმწიფო თავდაცვის საბჭო**. შეიქმნა ახალი ეროვნული ჯარის ნაწილები.

კითხვები და დავალებები:

1. *გაანალიზეთ განჯის ბუნტის გამო შექმნილი კრიზისი.*
2. *კიდევ რა მოვლენებმა გააღრმავა კრიზისი რესპუბლიკაში? განმარტეთ.*
3. *გაანალიზეთ დიდი ბელადის, ჰეიდარ ალიევის მიერ რესპუბლიკის კრიზისიდან და სამოქალაქო ომიდან ხსნა.*
4. *მოამზადეთ პრეზენტაცია ეროვნული არმიის შესახებ.*
5. *როგორ იმოქმედა რესპუბლიკის მდგომარეობაზე სახელმწიფო გადატრიალებებმა?*

49. ყარაბაღის ომი

1993 წლის ივნისის კრიზისმა სომხეთს თავდასხმის ოპერაციების გაფართოებისათვის ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. მძიმე შიდა და საერთაშორისო პირობებმა აზერბაიჯანელი ხალხი დანაკარგებში ჩააგდო. რა წარმატებები გვქონდა ყარაბაღის ომში? რა იყო დამარცხების შიდა და საგარეო მიზეზები? რა გამოსავალი ნახეს ომის მძიმე მდგომარეობიდან?

პოლიტიკური კრიზისის გავლენა ყარაბაღის ომზე. 1993 წელს ივნისის კრიზისმა ქვეყნის შიგნით სეპარატისტულმა გადახრებმა გზა გაუხსნა სერიოზულ დანაკარგებს ყარაბაღის ომში. მტერი დიდი სისწრაფით წამოვიდა და **23 ივნისს დაიპყრო ქალაქი აღდამი**. სომეხ და რუს სამხედროებთან ბრძოლებში ძალთა თანაფარდობის არ არსებობის გამო აღდამის მოსახლეობამ გაიღო ასობით მსხვერპლი.

1993 წლის ზაფხულ-შემოდგომის ოპერაციების დროს დაიკარგა ახალი, უფრო დიდი ტერიტორიები. **25 აგვისტოს ჯაბრაილი და ფიზული, 31 აგვისტოს გუბადლი, 30 ოქტომბერს ზანგილანის** რაიონები ოკუპირებული იქნა სომხეთის შეიარაღებული ძალების მიერ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უსაფრთხოების საბჭომ მიიღო აზერბაიჯანის რაიონების ოკუპაციასთან დაკავშირებული რეზოლუციები. ამ დოკუმენტებში მოითხოვეს აგრესორი სომეხი სამხედრო შენაერთების დაპყრობილი აზერბაიჯანის ტერიტორიებიდან სრულიად და უპირობოდ გაყვანა. რუსეთის, აშშ-ს, საფრანგეთის და სხვა დასავლეთის ქვეყნების ყოველმხრივი მხარდაჭერის შედეგად სომხეთმა არ შეასრულა ეს რეზოლუციები.

სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა 1993 წლის ნოემბერში მთელი ფრონტის ხაზზე ხელახლა დაიწყეს სამხედრო ოპერაციების ჩატარება. თუმცა ამ შემთხვევაში წააწყდნენ ჰეიდარ ალიევის ინიციატივით გაძლიერებულ აზერბაიჯანის არმიის სერიოზულ წინააღმდეგობებს. **დეკემბრის შუა რიცხვებში ჩვენი ეროვნული არმიის მებრძოლებმა ბეილაკანის მიმართულებით ტანკების შემოტევებს წინააღმდეგობა გაუწიეს** და მათი შვიდი ტანკი გაანადგურეს. ჩვენი ეროვნული არმიის მებრძოლები გადავიდნენ კონტრშეტევაზე და 30 კილომეტრით წაიწიეს წინ.

1994 წლის 5 იანვარს აზერბაიჯანის არმიამ წარმატებული სამხედრო ოპერაციების შედეგად ფიზულის რაიონის 22 საცხოვრებელი პუნქტი და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ჰორადიზის დასახლება გაწმინდა მტრისაგან.

მომდევნო დღეებში ეროვნული არმიის ნაწილებმა შეტევის ოპერაციების მასშტაბი კიდევ უფრო გააფართოვეს, ჯაბრაილის და ქელბეჯარის რაიონების 10-ზე მეტი სოფელი გაანთავისუფლეს დამპყრობელი სომხების შენაერთებისაგან.

ეროვნული არმიის წარმატებულმა ოპერაციებმა, აზერბაიჯანის ნატოსთან სტრატეგიული თანამშრომლობის დაწყებამ, ჩვენი რესპუბლიკის მიერ ძნელად მოპოვებულმა დამოუკიდებლობამ, ხალხის რწმენა გაამყარა. ამის აღკვეთის, სამხრეთ კავკასიის რეგიონში საკუთარი პოზიციის შენარჩუნებისათვის, რუსეთის იმპერიის ძალებმა სომხებს სამხედრო დახმარებები, საბრძოლო მასალების გამოგზავნას კიდევ უფრო გაუზარდეს.

სწორედ, ამის შედეგად, **სომეხურ–რუსულმა** სამხედრო შენაერთებმა **1994 წლის თებერვალში** აზერბაიჯანის არმიის ქელბეჯარის რაიონის მიმართულებით წარმატებით განხორციელებული „**მუროვდაღი**“-**ის ოპერაციის აღკვეთა შეძლეს**. დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი იყო სამხედრო ოპერაციისათვის ზამთრის ყველაზე სუსხიანი დროის შერჩევა და მუროვის მთის მძიმე ბუნებრივი პირობები.

განსახღვრეთ რუკაზე განსაზღვრეთ ტექსტში დასახელებული ადგილები.


ბუხარი
ადჯაქენდი
შიხარხი
ოგრთერი
ბარდა
ალპოუტი
ლენბერანი
ყარაველი
ქოჩარლი
ლევი
გილიჯლი
ქელბეჯარი
X.1992-02.IV.1993
ბოთქ ალაველი
ბაშლიბელი
ისტისუ
ოღულდერე
შელვე
ფარაში
ხოჩაზსუ
მინქენდი
ლაჩინი
XII.1991-18.V.1992
V.1993
გულიაბინდი
ბაშარატი
ზანგეზური
ზანგეზური
08.VI.1992-
26.III.1993
ხარხანის
წყალსაცავი
III.1993
ადდერე
ხანაბადი
ადდაბანი
ბოთიახმედლი
ხარიჯალი
ვენგი
ბირლერი
ადდაბი
I.1993-
23.VII.1993
ხინდარხი
მინახერლუ
არაზბარი
ასკერანი
18.II.1992
23.XII.1991
ქარადაღლი
ბეშალი
ქერქიჯახანი
ხოჯავენდი
24.II.1990
ბონეიხერმანი
XI.1991-08.V.1992
ბუშა
ბაზარი
ბუზული
ბუგი
V.1993-
23.VIII.1993
ქოშნა
ადლარი
ბადრუტი
VIII.1993
კარაკოლლუ
ბორადი
V.1993-
26.VIII.1993
ჯაბრაილი
დიდ ოუმახი
ხოჯაკი
შახველილი
ხანლიდი
ხოჯახანი
ბუშლაგი
VII.1993-
26.X.1993
ზენგილანი
მინჯავანი
ბოთქ ალაველი
ბარაქა
ბარაქა
ბარაქა

მუროვის მთის ოპერაციებში გმირულად დაღუპული აზერბაიჯანელი მებრძოლისადმი მიძღვნილი ძეგლი

განთავისუფლებულ ჰორადიზში აზერბაიჯანის დროშა ამაყად ფრიალებს.

შეადარეთ ფოტოებზე ნანახი.

აზერბაიჯანს შესთავაზა 1994 წლის აპრილში რუსეთმა თავისი ჯარების ცეცხლის ხაზზე განლაგება და აზერბაიჯანის პოლიტიკური და ეკონომიკური შეღავათების მოპოვების გათვალიწინებით სამშვიდობო მოლაპარაკება. იმისათვის რომ, აზერბაიჯანს მიეღო, სომხეთის მიერ მოწონებული ეს პროექტი, 10 აპრილს სომხებმა დაიწყეს შეტევა მთელ ფრონტზე. აზერბაიჯანის არმიამ წარმატებით მოიგერია მტრის შემოტევები.

ამრიგად, კომფლიქტის მხოლოდ რუსეთის შუამდგომლობით და მის მიერ შეთავაზებული პირობებით მოგვარების გეგმა არ შედგა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის შორსმჭვრეტელი საგარეო პოლიტიკის, ეროვნული არმიის გაძლიერების შედეგად სომხეთმა და მისი მხარდამჭერებმა ყარაბაღის კონფლიქტის იარაღის ძალით, ძალისმიერი მეთოდებით მოგვარების შეუძლებლობა შეიგნეს. **1994 წელს 8 მაისს** აზერბაიჯანის რესპუბლიკამ **ბიშკეკის პროტოკოლს** მოაწერა ხელი, მიაღწიეს ფრონტზე ცეცხლის შეწყვეტას.

მოაგროვეთ ინფორმაცია ბიშკეკის პროტოკოლის შესახებ.

იმ დროიდან დაიწყო რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი და მოლაპარაკებების გზით უზრუნველყოფის გამთვალისწინებული ძალიან ძნელი და გრძელვადიანი ცეცხლის შეწყვეტის პერიოდი.

ცეცხლის შეწყვეტის პერიოდში აზერბაიჯანის არმიის გაძლიერებისათვის გატარდა თანმიმდევრული და მიზანშეწონილი ღონისძიებები. შეიარაღებული ძალების თანამედროვე სამხედრო ტექნიკით და უნარიანი კადრებით აღჭურვა იყო ყურადღების ცენტრში. არმიის პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობა გაიზარდა და გაძლიერდა წესრიგი სამხედრო ნაწილებში. ამ მიმართულებით აზერბაიჯანის ნატოსთან მშვიდობისათვის პარტნიორობის პროგრამის ჩარჩოებში განხორციელებული ღონისძიებების, ასევე იყო თურქეთის რესპუბლიკის სამხედროების დიდი დახმარება. აზერბაიჯანის ხალხის მიერ არმიის დახმარების დარეგულირების მიზნით 2002 წლის 17 აგვისტოს ჰეიდარ ალიევის ბრძანებულებით დაფუძნდა „აზერბაიჯანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დახმარების ფონდი“.

შეადარეთ აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის არმიის ჩამოყალიბების სფეროში განხორციელებული ღონისძიებები.

კითხვები და დავალებები:

1. გაარკვიეთ და განიხილეთ 1993 წლის ზაფხულ- შემოდგომაზე სამხედრო ოპერაციებში აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების დამარცხების შიდა და საგარეო მიზეზები.
2. შეადგინეთ სქემა 1993 წლის დეკემბრიდან დაწყებული აზერბაიჯანის არმიის მიერ ფრონტზე მიღწეული წარმატებების შესახებ.
3. რა იყო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ პროტოკოლის ხელმოწერის მიზეზი?
4. განიხილეთ აზერბაიჯანის არმიის გაძლიერებისათვის გაწეული ღონისძიებები.

50. აზერბაიჯანის რესპუბლიკის გაწევრიანება საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში

აზერბაიჯანმა სახელმწიფო დამოუკიდებლობა მოიპოვა ძალიან ძნელ საერთაშორისო პირობებში. საერთაშორისო საზოგადოებაში ახალი ნედლეულის წყაროების და ბაზრების ხელში ჩაგდების მსურველ დიდ სახელმწიფოებსა და ყოფილი სსრკ-ს მემკვიდრე რუსეთს შორის დაიწყო სერიოზული ბრძოლა. ეს ბრძოლა მდიდარი მატერიალური რესურსების მქონე აზერბაიჯანთან დაკავშირებულ ურთიერთობებში კიდევ უფრო ღიად იგრძნობოდა. როგორ საგარეო პოლიტიკას ატარებდა რესპუბლიკა ასეთ პირობებში? რომელი პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა რესპუბლიკაში?

წარმატებები საგარეო პოლიტიკაში. აზერბაიჯანის რესპუბლიკა ცდილობდა დამოუკიდებლობის აღდგენიდან ყველა სახელმწიფოსთან ურთიერთობა სამართლიანი თანასწორობის საფუძველზე ჩამოეყალიბებინა. ჩვენმა ქვეყანამ თავის საგარეო პოლიტიკაში ძალის გამოუყენებლობა, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მიღებული სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, ურთიერთობის მშვიდობიანი გზით მოგვარება, სხვა სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩაურევლობის მიმართულება აირჩია.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობა პირველმა ცნო **თურქეთის რესპუბლიკამ, შემდეგ რუმინეთმა და პაკისტანმა,** ცოტა მოგვიანებით სხვა სახელმწიფოებმა. 1993 წელს აზერბაიჯანის სახელმწიფო დამოუკიდებლობა ცნო 116-მა ქვეყანამ, 70 ქვეყანასთან იქნა დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობა. რიგ ქვეყნებში გაიხსნა აზერბაიჯანის საელჩოები.

განიხილეთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მსოფლიოს ქვეყნების მიერ ცნობის მნიშვნელობა.

1991 წლის დეკემბერში აზერბაიჯანის რესპუბლიკა ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში (ამ ჟამად ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაცია ეწოდება), შემდგომი წლის დასაწყისში მიიღეს ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრად. **1992 წლის 2 მარტს** აზერბაიჯანის რესპუბლიკა გახდა **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის** სრულუფლებიანი წევრი.

1992 წლის 10 ივლისს აზერბაიჯანი გახდა **ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის სათათბიროს (ეუთს) წევრი**. ევროპის სახელმწიფოების ამ გავლენიანმა ორგანიზაციამ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის შექმნა მინსკის ჯგუფი. 1994 წელს

ბუდაპეშტის სამიტზე ამ ორგანიზაციას დაერქვა **ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობი-სორგანიზაცია (ეუთო)** და რუსეთის, აშშ-ს, საფრანგეთის წარმომადგენლები დაინიშნენ მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებად.

ჰეიდარ ალიევის ხელისუფლებაში მოსვლით, აზერბაიჯანის მსოფლიო ქვეყნებს შორის ცნობის სფეროში მოქმედებებმა მიიღო უფრო მიზანმიმართული და ფართო ხასიათი.

1993 წლის სექტემბერში, რუსეთის ზეწოლის შესუსტების მიზნით აზერბაიჯანის რესპუბლიკა შევიდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობაში (დსთ). თუმცა დსთ-ს წევრი ქვეყნების თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა არ დაკმაყოფილდა, ამ ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებს შორის არ ჩატარებულა კონფლიქტების აღმოფხვრის ეფექტური ღონისძიებები.

ჰეიდარ ალიევი დსთ-ს სახელმწიფო მეთაურების, შეიძლება ითქვას, ყველა შეხვედრაზე, თანამეგობრობაში არსებული არაჯანსაღი ურთიერთოებების მიუღებლობას, სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას აქცევდა ყურადღებას. ამიტომაც აზერბაიჯანმა უფრო მეტი უპირატესობა მიანიჭა დსთ-ში შემავალ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერებას.

შეიძლება დსთ ჩაითვალოს სსრკ-ს მემკვიდრედ? გვაცნობეთ თქვენი აზრი.

აზერბაიჯანი-საქართველოს და აზერბაიჯან-უკრაინის სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულება დადო. **1997 წლის შემოდგომაზე საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას** რესპუბლიკების მეთაურებმა **სუამ**-ის ორგანიზაციის დაარსების შესახებ ოფიცია-ლურ პროტოკოლს მოაწერეს ხელი. ამ ქვეყნებს შორის შეიქმნა ახალი პირობები ტრანსპორტის, ვაჭრობის და ეკონომიკურ სფეროებში თანამშრომლობისათვის.

განმარტეთ დსთ-ს ჩარჩოებში სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობისა და ცალკ-ცალკე ქვეყნებთან თანამშრომლობას შორის განსხვავება.

1998 წლის 8 სექტემბერს ბაქოში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე **აბრეშუმის გზის აღდგენის შესახებ ბაქოს დეკლარაციას** მოაწერეს ხელი.

2000 წლის სექტემბერში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა ჰეიდარ ალიევი. მან არსებულ ვითარებაში ამ ქვეყნებისათვის ტექნოლოგიური დახმარების, ეროვნული კონფლიქტების მოგვარებისათვის ეფექტური ღონის-ძიებების ჩატარების აუცილებლობას გაუსვა ხაზი. ჰეიდარ ალიევმა აღნიშნა, რომ კულტურის, ურთიერთგაუგებრობის აღმოფხვრისათვის დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში სხვადასხვა ხალხების თავისებურებების გათვალისწინებაა აუცილებელი.

განიხილეთ ჰეიდარ ალიევის მიერ, ყურადღება გამახვილებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

2001 წლის იანვარში აზერბაიჯანის რესპუბლიკა მიიღეს **ევროპის საბჭოს** წევრად. ამით, აზერბაიჯანი გახდა ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი. იმავე წლის შემოდგომაზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (ესსა) საშემოდგომო სესიაზე მიიღეს აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის დამამტკიცებელი დოკუმენტი. **2003 წლის იანვრის სესიაზე, ილჰამ ალიევი აირჩიეს ესსა-ს ვიცე-პრეზიდენტად და ავტორიტეტული ორგანოს ბიუროს წევრად.**

აზერბაიჯანის რესპუბლიკა მიიღეს **ნატო-ს** „**მშვიდობის დაცვის**“ **პროგრამაში**. აზერბაი-ჯანელი სამხედროების კოსოვოსა და ავღანეთის საერთაშორისო მშვიდობისმყოფელი ძალების

ოპერაციებში მონაწილეობა ნატოსთან ურთიერთობებს უფრო აფართოებს. რესპუბლიკის ცნობილმა პოლიტიკურმა, საზოგადოებრივმა, მეცნიერების და კულტურის მოღვაწეებმა დაარსეს ნატოსთან თანამშრომლობისა და ურთიერთობის ცენტრი "ნატო და აზერბაიჯანი". აზერბაიჯანის რესპუბლიკა მიიღეს ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წევრად.

კითხვები და დავალებები:

1. *განმარტეთ აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის აუცილებლობა.*
2. *რომელ ეკონომიკურ შესაძლებლობებს გაუხსნა გზა, აზერბაიჯანის რესპუბლიკას დამოუკიდებელმა საგარეო პოლიტიკამ?*
3. *შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი თემის შესახებ.*
4. *რა პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენას აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის?*

51. სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განმტკიცების ღონისძიებები

1990-იანი წლების შუა ხანებში დემოკრატიული, სამართლიანი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების წყობის სფეროში გადაიდგა პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯები. სახელმწიფოს მთავარმა კანონმა რომელი პრინციპები დაიდო საფუძვლად? რომელი რეფორმები გატარდა? როგორ გაძლიერდა სახელმწიფოს სტრუქტურა? როგორ გაძლიერდა სახელმწიფოს ეკონომიკა?

დამოუკიდებელი აზერბაიჯანის პირველი კონსტიტუცია. 1995 წლის ივნისში ეროვნული მეჯლისის გადაწყვეტილების საფუძველზე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის მომზადებისათვის გამოიყო კომისია. ჰეიდარ ალიევის მეთაურობით ამ კომისიაში შედიოდნენ ცნობილი სამართალმცოდნეები, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები. კომისიის წევრებმა მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, მოამზადეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი. პროექტი საერთო სახალხო განხილვისათვის პრესაში გამოქვეყნდა და განიხილებოდა საზოგადოებაში დიდი ინტერესით. ზოგიერთ საკითხებზე, მაგალითად, სახელმწიფო ენის სახელწოდებასთან დაკავშირებით ინტელიგენციის მონაწილეობით, ფართო დისკუსიები გაიმართა.

გაარკვიეთ: აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია რამდენი დანაყოფისაგან, თავისაგან და მუხლისაგან შედგება?

1995 წლის 12 ნოემბერს ჩატარებული რეფერენდუმით, მიღებულ იქნა **აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია** - დამოუკიდებელი აზერბაიჯანის სახელმწიფოს პირველი ძირითადი კანონი. კონსტიტუციის მიღებით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დაარსდა სახელმწიფო წყობის სამართლიანი, კანონიერი საფუძველი.





აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში მოქალაქეების ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მოვალეობებია აღნიშნული. **აზერბაიჯანის სახელმწიფოს უმაღლესი მიზანი, ადამიანის და მოქალაქის უფლებების და თავისუფლებების უზრუნველყოფა იქნა დეკლარირებული.**

სქემის მიხედვით, გამოაამკარავეთ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მართვის სტრუქტურებში დამკვრვებელი და პასუხისმგებელი მხარეები.

როგორც მსოფლიო მოწინავე დემოკრატიულ ქვეყნებში, ახალ კონსტიტუციაში ხელისუფლების დაყოფა იყო გათვალისწინებული: აღმასრულებელი ხელისუფლება-აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს, საკანონმდებლო ხელისუფლება-ეროვნულ მეჯლისს, ხოლო სასამართლო ხელისუფლება-დამოუკიდებელ სასამართლოების კუთვნილებად დამტკიცდა. ამ კონსტიტუციის მიღება იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქვეყანაში დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

1995 წლის 12 ნოემბერს პირველად ჩატარდა დამოუკიდებელი საპარლამენტო არჩევნები, ახლად არჩეულმა აზერბაიჯანის პარლამენტმა, მაშინვე დაიწყო ფართო საკანონმდებლო მოქმედება. პარლამენში შეიქმნა ადამიანის უფლებების, მეცნიერების, განათლების, კულტურის, ეკონომიკის, ეკოლოგიის და სხვა სფეროების მიხედვით მუდმივი კომისიები. აზერბაიჯანის პარლამენტმა დაიწყო მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოების გამოცდილების შესწავლა. პარლამენტის წარმომადგენლებმა მრავალჯერ მიიღეს მონაწილეობა ევროპის საბჭოს სესიებზე. ეს ყველაფერი რესპუბლიკაში გვიხსნიდა დემოკრატიულ საკანონმდებლო ფორმირებას და განვითარების ფართო საშუალებებს. პარლამენტში მიღებული კანონ-



აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია

ნების საფუძველზე აზერბაიჯანში განხორციელდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, დემოკრატიული რეფორმები.

ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცება. 1998 წელს შეიქმნა საკონსტიტუციო სასამართლო. იმავე წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გაუქმდა ცენზურა და სიკვდილით დასჯა. მოქალაქეებს შეექმნათ ადამიანის თავისუფლების, თავისუფალი პოლიტიკურ–საზოგადოებრივი მოქმედების რეალური შესაძლებლობები. ეს დადებითი ცვლილებები **1998 წლის 11 ოქტომბერს** ალტერნატიული პრინციპით ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ჰეიდარ ალიევის ხმათა უმრავლესობით გამარჯვების მიზეზი გახდა. ხალხმა იგი ხელახლა აირჩია აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტად. ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შექმნამ, სახელმწიფოებრიობის განვითარებამ, განსაკუთრებით სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებამ, აზერბაიჯანის, როგორც სანდო პარტნიორის ცნობამ საერთაშორისო არენაზე, ავტორიტეტის მოპოვებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

განმარტეთ აზერბაიჯანელი ხალხის საპრეზიდენტო არჩევნებში ხელახლა ჰეიდარ ალიევისათვის ხმის მიცემის მიზეზები.

ახალი კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად ადგილობრივმა თვითმმართველმა ორგანოებმა დაიწყეს არჩევის გზით ბელადიების დაარსება. 1999 წლის დეკემბერში ჩატარდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პირველი ბელადიას არჩევნები.

2001 წლის 28 დეკემბერს ეროვნულმა მეჯლისმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადამიანის უფლებების დამცველის (ომბუცმენი) შესახებ მიიღო კონსტიტუციის კანონი. შედეგად როგორც მოწინავე დემოკრატიულ ევროპის ქვეყნებში, აზერბაიჯანში დაარსდა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დამცველი ომბუცმანის ინსტიტუტი.

შეავროვეთ ინფორმაცია ომბუცმანის ინსტიტუტის მოქმედების შესახებ.

2002 წლის აგვისტოში ჩატარებულ რეფერენდუმზე კონსტიტუციის კიდევ უფრო დემოკრატიულობისათვის ბევრი ცვლილებები და დამატებები განხორციელდა. მნიშვნელოვანი ცვლილებებიდან ერთ-ერთი იყო ის, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნებისმიერ მოქალაქეს მიეცა უფლება პირდაპირ მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

წარმატებული ნავთობის სტრატეგია. ჰეიდარ ალიევის ხელისუფლებაში მოსვლით განისაზღვრა აზერბაიჯანის ახალი ნავთობის სტრატეგია. **1994 წლის 20 სექტემბერს** აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის კომპანიამ მსოფლიოს მსხვილ ნავთობ კომპანიებთან მოაწერა ხელშეკრულებას, კასპიის ზღვის აზერბაიჯანის ნაწილში ნავთობის მოპოვების შესახებ. ეს ხელშეკრულება მსოფლიოში ძალიან მალე ცნობილი გახდა როგორც „**საუკუნის ხელშეკრულება**". კასპიის ზღვიდან ამოღებული აზერბაიჯანის ნავთობის რუსეთის საშუალებით, შავი ზღვის პორტებში გასატანად ბაქო-ნოვოროსიისკი ნავთობსადენი 1997 წელს გადაეცა ექსპლოატაციაში. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ბაქო-სუფსა ნავთობსადენის მშენებლობა დასრულდა 1998 წლის ბოლოს.

1999 წლის 18 ნოემბერს სტამბოლში კასპიის ზღვიდან ამოღებული ნავთობის ნედლეული- **ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო ნავთობსადენის** საშუალებით გადაზიდვის შესახებ ხელი მოეწერა შეთანხმებას. 2001 წელს აზერბაიჯანის გაზის, **ბაქო–თბილისი–ერზრუმის გაზსადენის** საშუალებით მსოფლიო ბაზარზე გატანის შესახებ, თურქეთსა და საქართველოსთან ხელი მოეწერა შეთანხმებას.

განმარტეთ დადებული ხელშეკრულებების სტრატეგიული მნიშვნელობა აზერბაიჯანისათვის.



ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენი

საბაზრო ეკონომიკისაკენ. ეკონომიკური აღორძინების დასაწყისი. 1990-იანი წლების მძიმე პოლიტიკურმა მდგომარეობამ, გეგმიური მეურნეობიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკის ყველა სფეროზე. რესპუბლიკის მძიმე ეკონომიკური კრიზისული მდგომარეობიდან გამოსაყვანად, პირველ რიგში მიღებულ იქნა ახალი კანონები, გატარდა რეფორმები. 1994 წელს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება საგარეო ვაჭრობის თავისუფლების შესახებ. იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა მოიპოვეს უცხო ქვეყნებში ვაჭრობის უფლება. იმავე წელს **ეროვნული ვალიუტა–მანათი** გამოცხადდა რესპუბლიკაში ერთადერთი გადახდის საშუალებად. ინფლაცია[1] აღიკვეთა.

დამოუკიდებლობის პერიოდში რესპუბლიკის ეკონომიკაში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების მნიშვნელოვანი მიმართულებებიდან ერთ-ერთი იყო მიწის რეფორმის განხორციელება. **1996 წლის ივლისში მიიღეს „მიწის რეფორმის შესახებ კანონი.“** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სხვა დამოუკიდებელი რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანში მიწა, სოციალური სამართლის პრინციპის შესაბამისად სოფლის მოსახლეობის მფლობელობაში გადაიცა უსასყიდლოდ. რესპუბლიკის ერთიანი მიწის ფონდის საფუძველზე გამოვლინდა სახელმწიფო, ბელადიისა და მიწის კერძო საკუთრების ფორმა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკა მესამე ათასწლეულში შევიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტაბილურობის გამყარების, ეკონომიკის წარმატებით განვითარების, ახალი კულტურული მიღწევების პირობებში.

[1] **ინფლაცია** - ფულის გაუფასურება.

დიდი ბელადის ჰეიდარ ალიევის სიტყვით გამოსვლა "საუკუნის ხელშეკრულების" ცერემონიაზე

კითხვები და დავალებები:

1. *განიხილეთ ხალხის აზრი ახალი კონსტიტუციის პროექტის მიმართ.*
2. *განმარტეთ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ხელისუფლების დაყოფა.*
3. *შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი თემის შესახებ.*
4. *დაამტკიცეთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების აუცილებლობა.*
5. *რა გავლენა მოახდინა ყარაბაღის კონფლიქტის ფაქტორმა ნავთობის სტრატეგიაზე?*
6. *გამოააშკარავეთ სხვაობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიწის რეფორმასა და საბჭოთა მთავრობის მიწის რეფორმას შორის.*

52. ახალი ეტაპი აზერბაიჯანის რესპუბლიკის განვითარებაში

აზერბაიჯანის რესპუბლიკა ვითარდება მთელი ძალით. წარმატებულმა შიდა და საგარეო პოლიტიკამ უკან ჩამოიტოვა ქვეყნის მძიმე წლები. რა სიახლეები მოხდა XXI საუკუნის დასაწყისში რესპუბლიკის ცხოვრებაში? რა ნაბიჯები გადადგა აზერბაიჯანის რესპუბლიკამ კავკასიასა და მსოფლიოში საკუთარი პოზიციის გასამყარებლად?

აზერბაიჯანის ახალი ლიდერი. 2003 წლის არჩევნების წინა პერიოდში, ჰეიდარ ალიევი მკურნალობდა აშშ-ს კლივლენდის კლინიკაში. ხალხს თავისი ლიდერის კიდევ ერთხელ პრეზიდენტად ნახვა სურდა. თუმცა ჰეიდარ ალიევმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არჩევნებში არ მიიღო მონაწილეობა. ხალხმა ხმა მისცა მისი პოლიტიკური კურსის ღირსეულად გამგრძელებელ **ლიდერს–ილჰამ ალიევს.** ილჰამ ალიევმა ოქტომბერში ჩატარებულ არჩევნებში გაიმარჯვა და დაიწყო მოღვაწეობა როგორც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა. **2003 წლის 12 დეკემ–ბერს** გარდაიცვალა აზერბაიჯანელი ხალხის საერთო სახალხო ლიდერი ჰეიდარ ალიევი.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი

2005 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული მეჯლისის გადაწყვეტილებით დაარსდა "ჰეიდარ ალიევის" ორდენი. "ჰეიდარ ალიევის" ორდენი დაარსდა აზერბაიჯანელი ხალხის საერთო სახალხო ლიდერის, და–მოუკიდებელი აზერბაიჯანის სახელმწიფოს არქიტექტორის და ჩამოყალიბებლის ჰეიდარ ალიევის აზერბაიჯანელი ხალხის და სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული ისტორიული დამსახურების გათვალისწინებით და მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

გაარკვიეთ: რომელი დამსახურებისათვის ეძლევა "ჰეიდარ ალიევის" ორდენი აზერ–ბაიჯანის მოქალაქეებსა და უცხოელ თანამოქალაქეებს?

ილჰამ ალიევმა შიდა და საგარეო პოლიტიკის სფეროში ჰეიდარ ალიევის კურსი დამაჯერებ-ლად გააგრძელა. აზერბაიჯანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და კულტუ-რულ განვითარებაში ახალი ეტაპის დასაწყისს დაუდო საფუძველი. აზერბაიჯანში სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში და სამოქალაქო საზოგადოების შექმნაში გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. მან შეძლო აზერბაიჯანის სამხრეთ კავკასიის ლიდერ ქვეყნად გადაქცევა. გაამართლა ხალხის რწმენა და ნდობა. ამიტომაც ილჰამ ალიევმა **2008–2013 წლებში** ჩატარებულ საპრეზი-დენტო არჩევნებშიც ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა.

ნავთობის სტრატეგიის წარმატებით გაგრძელება. ჰეიდარ ალიევის მიერ საფუძველ-ჩაყრილი დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ნავთობის სტრატეგია XXI საუკუნის პირველ წლებში წარმატებით გაგრძელდა. ამ აუცილებელი და სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროში დიდი რაოდენობით ინვესტიციები ჩაიდო, კასპიის ზღვაში „აზერი“, „ჩირაღი“, „გუნაშლი“ მიდამოებში ახალი ნავთობის საბადოების ექსპლუატაცია დაიწყო. „შაჰდენიზის“ საბადოებში წარმატებულმა გათხრით სამუშაოებმა აზერბაიჯანი აქცია დიდი რაოდენობით გაზის მწარმოებელ ქვეყნად. ნავთობის ფაქტორმა აზერბაიჯანის საერთაშორისო საზოგადოებაში საკუთარი ადგილის გამყარებაზე სერიოზული გავლენა მოახდინა. მსოფლიოს წამყვან ნავთობკომპანიებთან ორმხრივი სასარგებლო თანამშრომლობის გაღრმავებით იგივე კამპანიების მფლობელ სახელმწიფოებთან პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობა შეიქმნა.

აზერბაიჯანი ნავთობისა და გაზის წარმოების სწრაფი მატების შედეგად გადაიქცა რეგიონის და მთლიანობაში მსოფლიოს მსხვილი ნავთობის და გაზის ექსპორტიორ ქვეყანად. **2006 წლის 13 ივლისს დამთავრდა ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის მთავარი საექსპორტო მილსადენის** მშენებლობა. ამ ნავთობსადენის გაყვანით აზერბაიჯანის „შავი ოქროს“ მსოფლიო ბაზარზე ყველაზე მოკლე და უსაფრთხო გზით გატანა იქნა უზრუნველყოფილი. დღესდღეობით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი გადაიქცა თურქეთის და ევროპის ენერგო უსაფრთხოების სისტემის განუყოფელ ნაწილად.

სამხრეთი კავკასიის რომელი სახელმწიფო დარჩა განხორციელებული პროექტების მიღმა?

იმავე წელს ამუშავდა **ბაქო–თბილისი–ერზრუმის გაზსადენი.** ამ გაზსადენმა საქართველოს და თურქეთის ბუნებრივი გაზით მომარაგებასთან ერთად, აზერბაიჯანის გაზის თურქეთის საშუალებით საბერძნეთისა და ევროპის სხვა ქვეყნებისათვის მიწოდების შესაძლებლობა შექმნა. აზერბაიჯანმა ბუნებრივი გაზის ევროპისათვის უფრო მეტი რაოდენობით ამოღებისათვის **2013 წლის დეკემბერში** რიგი ევროპული ქვეყნების წარმომადგენლების მონაწილეობით ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰან ალიევმა აქცია რეალობად **“XXI საუკნის ხელშეკრულებად”** წოდებული ეს დოკუმენტი ტრანს-ანადოლუ (ტანაპ), ტრანს-ადრიატიკის (ტაპ) მშენებლობით. ამავე დროს კასპიის ზღვიდან იტალიის მიმართულებით, ევროპის ენერგო უსაფრთხოებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე ახალი “სამხრეთი” გაზის კორიდორის (დერეფნის) შექმნის შესაძლებლობა შეიქმნა.

არანავთობის სექტორის განვითარება. აზერბაიჯანის მთავრობამ XXI საუკუნის დასაწყისში რესპუბლიკის ეკონომიკის ნავთობისა და გაზის წარმოებისა და ექსპორტზე დამოკიდებულების შემცირებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის განახორციელა რიგი ღონისძიებები გატარებულმა სახელმწიფო პოლიტიკამ ნავთობის მრეწველობის გარდა არანავთობის სექტორის განვითარებით გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი.

მრეწველობის რომელი დარგები იგულისხმება, როცა ვამბობთ არანავთობის სექტორი? განსაზღვრეთ მისი განვითარების მნიშვნელობა.

2003–2015 წლებში მაღალხარისხოვანი სხვადასხვა ტყავის წარმოების გონ-ტყავის ქარხანა, სხვადასხვა ზომების ტელევიზორების მწარმოებელი *“Star LTD”* ქარხანა, ასტარასა და შექში ელექტრო ენერგიის მწარმოებელი მოდულის ტიპის სადგურები ამუშავდა, ნახიჩევანში ამუშავდა ახალი საავტომობილო ქარხანა. ზოგადად, ბოლო წლებში ბაქოსთან პარალელურად რესპუბლიკის რეგიონებში ახალი საწარმოო დაწესებულებების შექმნით ადგილობრივი წარმოების განვითარებას, მოსახლეობის დასაქმების და ეკონომიკის არანავთობის სექტორის სწრაფ განვითარებას მიეცა ბიძგი.

განიხილეთ თქვენს საცხოვრებელ ადგილებში (ქალაქი, რაიონი, სოფელი, დაბა) ბოლო პერიოდში განხორციელებული კეთილმოწყობის სამუშაოები და საახლეები.

რესპუბლიკაში განხორციელდა დიდი პროექტები ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. დაიგო ახალი საავტომობილო გზები ან ახალი გზები გაიყვანეს. აშენდა აღმოსავლეთის დასავლეთთან, აზიის ევროპასთან დამაკავშირებელი სტრატეგიული და დიდი ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე **ბაქო–თბილისი–ყარსი რკინიგზის** ხაზი.

ბაქოს ელეთის დასახლებაში აშენდა კასპიის ზღვის ყველაზე დიდი და თანამედროვე საერთაშორისო საპორტო კომპლექსი. ბაქოში 572 კმ გზა იქნა გარემონტებული, 32 გზის კვანძი, 35 ხიდი და გვირაბი ამოქმედდა.

სოციალური პროექტების რეალიზება. XXI საუკუნის პირველ ათწლეულში, შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის ყველა რაიონში აშენდა ახალი ტიპის და თანამედროვე აღჭურვილობით მომარაგებული სკოლები, მუზეუმები, პარკები. უმეტეს რაიონებში გაიხსნა სამკურნალო დიაგნოსტიკის ცენტრები და საავადმყოფოები. რესპუბლიკის რაიონებში 18 თანამედროვე ოლიმპიური კომპლექსი ამოქმედდა. დღესაც გრძელდება ოლიმპიური კომპლექსების მშენებლობა. ზღვისპირა ბულვარი სრულიად ხელახლა აშენდა და შედეგად, ბაქოს ჩრდილოეთი მთლად შეიცვალა.

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკისა და ქალაქი ბაქოს სხვადასხვა რაიონებსა და დასახლებებში აშენდა საცხოვრებელი სახლები. **2007 წელს გაუქმდა რესპუბლიკაში არსებული კარვების ქალაქები.**

ქალაქი ბაქოს მოსახლეობის მაღალი ხარისხის სასმელი წყლით მომარაგებისათვის ამოქმედდა დროის ერთ-ერთი უზარმაზარი პროექტი ოღუზ-კებელე-ბაქო წყალსადენი. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის **2012 წლის 13 ივლისს** ბრძანებულების საფუძველზე, მოქალაქეების დამატებითი ხარჯების და დროის დაზოგვის მიზნით, უფრო მეტი გამჭვირვალობისათვის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით დაარსებულ იქნა "***ASAN მომსახურების***" ცენტრები. ასეთი ცენტრების გახსნა, ქვეყანაში სახელმწიფო-მოქალაქე ურთიერთობებს უფრო ხარისხიანს ხდის, უფრო მჭიდრო კავშირი მყარდება სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის.

შეავროვეთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა მომსახურება არსებობს "ASAN მომსახურების" ცენტრებში.

მსოფლიო აზერბაიჯანელების ორგანიზება. XXI საუკუნის დასაწყისში ჩვენი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმატება იყო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრები აზერბაიჯანელების შეკრება, ჩვენი თანამემამულეების ეროვნული უფლებების დაცვისათვის, გრძელვადიანი სამუშაოებისათვის საჭირო გახდა შესაბამისი ორგანოების დაარსება. **2001 წლის ნოემბერში ქ. ბაქოში ჩატარდა მსოფლიოს აზერბაიჯანელების პირველი ყრილობა**. ყრილობაზე მონაწილეობდა 36 ქვეყნიდან ჩამოსული 2 ათასზე მეტი წარმომადგენელი და სტუმრები. ჰეიდარ ალიევი გახდა მსოფლიო აზერბაიჯანელების შემკრები პირველი სახელმწიფო მოღვაწე. ჩვენს ისტორიაში ახალი ეტაპის ფუნდამენტის ჩამდებმა ამ ყრილობამ გვიჩვენა, რომ ძლიერი აზერბაიჯანის შექმნისათვის ყველა აზერბაიჯანელის გაერთიანებაა საჭირო. მიუხედავად იმისა თუ სად ცხოვრობს, არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი არის სამშობლოს ნაწილი, ეროვნული ღირსების დაცვისათვის უნდა იღწვოდნენ მთელი ძალით.

ეროვნულმა მეჯლისმა მიიღო "საზღვარგარეთ მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან მიმართებაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ კანონი". **2002 წლის 5 ივლისს შეიქმნა საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტი** (2008 წლიდან ეწოდება დიასპორის საკითხებში სახელმწიფო კომიტეტი).

ნიმუშების საფუძველზე განმარტეთ მსოფლიო აზერბაიჯანელების სოლიდარობა.

მსოფლიო აზერბაიჯანელების ერთობის გაძლიერებაში 2006 წლის 16 მარტს ჩატარებულმა მეორე ყრილობამ დიდი როლი ითამაშა. ყრილობამ გააანალიზა საზღვარგარეთ მცხოვრები აზერბაიჯანელების პრობლემები და საზრუნავები, მათი ერთობისა და ორგანიზაციის სფეროში არსებული მდგომარეობა. ყრილობაზე საზღვარგარეთ მცხოვრები აზერბაიჯანელების ქვეყანასთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაძლიერების, აზერბაიჯანთან დაკავშირებული რეალობის მსოფლიო საზოგადოებისათვის გაგებინების, დიასპორის სრულყოფის საკითხებზე მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

მსოფლიო აზერბაიჯანელების ერთი დროშის ქვეშ გაერთიანების მიმართულებით წინ მორიგი ნაბიჯი გადაიდგა. **2011 წლის ივლისში** მსოფლიო აზერბაიჯანელების მესამე ყრილობა გაიმართა ბაქოში. ყრილობაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი აირჩიეს მსოფლიო აზერბაიჯანელების ურთიერთდამაკავშირებელი საბჭოს თავჯდომარედ.

ეროვნული არმიის სამხედრო ძლიერების გაზრდა. აზერბაიჯანის არმია დღესდღეობით შედგება სახმელეთო ძალების, სამხედრო საჰაერო ძალების და სამხედრო საზღვაო ფლოტისაგან.

მუბარიზ იბრაჰიმოვი აზერბაიჯანის ეროვნული გმირი

აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა და ტერიტორიის 20 პროცენტი აგრესორი სომხეთის სახელმწიფოს მიერ არის დაპყრობილი, ამიტომ სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი სამხედრო ხარჯებზე არის მიმართული.

შედეგად XXI საუკუნის მეორე ათწლეულში აზერბაიჯანის წლიური სამხედრო ბიუჯეტი სომხეთის რესპუბლიკის მთელი ბიუჯეტის ხარჯებზე მეტი გახდა. ესეც ეროვნული არმიის უახლესი სამხედრო ტექნიკით, იარაღით, საბრძოლო მასალებით და სხვა საბრძოლო საშუალებებით უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა.

აზერბაიჯანი უცხოეთიდან თანამედროვე და ბრძოლისუნარიანი იარაღისა და სამხედრო ტექნიკის შეძენასთან ერთად, ეროვნული არმიის იარაღით, საბრძოლო მასალებითა და სამხედრო ტექნიკით აღჭურვის სფეროში უცხო ქვეყნებისაგან დამოკიდებულების შემცირებისათვის დაიწყეს ეროვნული სამხედრო წარმოების ფორმირება. 2005 წელს დაარსებული სამხედრო მრეწველობის სამინისტროს დაწესებულე-ბებში ასობით დასახელების იარაღის - საბრძოლო მასალების და სამხედრო ტექნიკის წარმოება დაიწყო, მათ შორისაა **სნაიპერის შაშხანა "თავისუფლება" და ჯავშნოსანი საბრძოლო მანქანების** წარმოება.

სნაიპერული შაშხანა "თავისუფლება"

ახლა აზერბაიჯანი ნატოს სტანდარტების შესაბამისი გაწვრთნილი ძალიან ძლიერი შეიარაღებული ძალების მქონე და სამხედრო პოტენციალის მიხედვით სამხრეთ კავკასიაში ლიდერი ქვეყანაა.

დღესდღეობით აზერბაიჯანის არმია ითვლება სამხრეთ კავკასიაში ყველაზე ძლიერ და მომზადებულ არმიად. ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი სომეხი სამხედროების მხრიდან ხშირად ირღვევა, მაგრამ ჩვენი არმიის მხრიდან ხდება შემოტევის აღკვეთა და მტერს საპასუხო სროლებით ადგილზე აჩუმებენ. 2014 წლის ზაფხულში და 2015 წლის სექტემბერში ფრონტის მთელ ხაზზე ცეცხლის შეწყვეტის დამრღვევი სომხეთის სამხედრო ძალებმა დიდი დანაკარგები განიცადეს და ეს ამის დადასტურებაა.

კითხვები და დავალებები:

1. *განმარტეთ ნავთობის სტრატეგიის გავლენა აზერბაიჯანის მსოფლიო ქვეყნებთან პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებაზე.*
2. *რა არის სახელმწიფოს მიზანი არა-ნავთობის სექტორის განვითარებაში?*
3. *გაარკვიეთ მსოფლიო აზერბაიჯანელების ერთ ცენტრში ორგანიზების მნიშვნელობა.*
4. *მოამზადეთ პრეზენტაცია თავდაცვის სამინისტროს დაწესებულებებში დამზადებული იარაღის-საბრძოლო მასალის და სამხედრო ტექნიკის შესახებ.*
5. *უყურეთ თანამედროვე აზერბაიჯანის არმიის შესახებ დოკუმენტურ ფილმს და განიხილეთ იგი.*
6. *მოამზადეთ პრეზენტაცია ჩვენი ხალხის გმირი შვილის მუბარიზ იბრაჰიმოვის და სხვა ეროვნული გმირების შესახებ.*

53. საგარეო პოლიტიკა

დღესდღეობით აზერბაიჯანის რესპუბლიკა არის მსოფლიოს ყველაზე დინამიკურად განვითარებადი ქვეყნების რიგებში. რესპუბლიკის წინაშე ყველაზე აუცილებელი საკითხი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაა. რა სამუშაოები ტარდება ამ მიმართულებით? რის საფუძვლებზე ვითარდება ჩვენი რესპუბლიკის ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან? რაში მდგომარეობს ჩვენი ქვეყნისათვის აშშ-სა და ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის უპირატესობა?

მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა. 2003-2015 წლებში აზერბაიჯანის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მთავარი ხაზი არის აზერბაიჯანის მსოფლიო ქვეყნებს შორის ავტორიტეტის გაძლიერება, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებთან და მეზობელ სახელმწიფოებთან ორმხრივი სასარგებლო თანამშრომლობის განვითარება და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის აზერბაიჯანის ეროვნული ღირსების შესაბამისად, სამართლიანად გადაწყვეტის მიღწევის ორგანიზება.

აზერბაიჯანს, აგრესორი სომხეთის გამოკლებით, ყველა მეზობელ ქვეყნებთან აქვს ნორმალური ურთიერთობა. **თურქეთის რესპუბლიკასთან** ურთიერთობები უმაღლეს დონეზე ავიდა. თურქეთთან ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და კულტურის სფეროებში ურთიერთობა მაღალ დონეზე ვითარდება. 2009 წელს აზერბაიჯანი და თურქეთი ძალიან ძნელი გამოცდის პირისპირ აღმოჩნდნენ. აშშ-ის და ზოგიერთი ევროპული ქვეყნების ზეწოლით თურქეთი სომხეთთან საზღვრებს ხსნიდა. პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა დიპლომატიური საშუალებებით ჩვენი ეროვნული ინტერესების შემლახველი ეს ნაბიჯები აღკვეთა. თურქეთმა გვაცნობა, რომ იგი არ გადადგამდა არც ერთ ნაბიჯს, რომელიც აზერბაიჯანის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. თურქეთ-სომხეთის შეთანხმება არ დამტკიცდა. აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის გამოთქმით „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“- ამ ქვეყნებს შორის სამხედრო-პოლიტიკურმა თანამშრომლობამ XXI საუკუნეში კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. დროგამოშვებით მათი ერთობლივი სამხედრო წვრთნებიც ამას მოწმობს.

დაასაბუთეთ გამოთქმა თურქეთსა და აზერბაიჯანთან დაკავშირებით "ერთი ერი, ორი სახელმწიფო".

ჩვენს ჩრდილოეთ მეზობელ **რუსეთს** სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ჩათვლით, ყველა სფეროში სომხეთთან აკავშირებს მჭიდრო სამოკავშირეო ურთიერთობები. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანი მსოფლიოს ამ დიდ სახელმწიფოსთან ნორმალური ურთიერთობის განვითარებას ანიჭებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ატარებს სასიცოცხლო მნიშვნელობას აზერბაიჯანისათვის. 2008 წელს რუსეთის საქართველოში სამხედრო ჩარევის დროს, აზერბაიჯანი აღმოჩნდა ძნელი არჩევანის პირისპირ. რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობის შენარჩუნება ჩვენი ქვეყნისათვის იყო აუცილებელი. ამავე დროს რეგიონში მთავარი სტრატეგიული მოკავშირის, საქართველოს მხარდაჭერა აუცილებელი იყო. აზერბაიჯანის მთავრობამ რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობა შეინარჩუნა. ამით უზრუნველყოფილი იქნა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობისა და გაზსადენის სტრატეგიული უსაფრთხოება. ასევე საქართველოს დიპლომატიურად, პოლიტიკურად დავუჭირეთ მხარი. დღესდღეობით დინამიკურად ვითარდება ურთიერთობა რუსეთთან და საქართველოსთან, იმ ქვეყნებთან, სადაც დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ჩვენი თანამემამულეები.

განსაზღვრეთ, საქართველოსთან სტრატეგიული ურთიერთობების დამყარების მნიშვნელობა.

აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს **ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან** ორმხრივ სასარგებლო ურთიერთობას. **2004 წელს თებრიზში აზერბაიჯანის საკონსულოს გახსნამ** ბიძგი მისცა ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაფართოებას. 2016 წლის თებერვალში აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ირანში ოფიციალური ვიზიტის დროს ხელი მოაწერა ორმხრივი სასარგებლო თანამშრომლობის შესაძლო გაღრმავების დიდი რაოდენობით დოკუმენტებსა და შეთანხმებებს.

2014 წლის 29 სექტემბერს კასპიის ზღის ქვეყნების - აზერბაიჯანის, რუსეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის და ირანის სახელმწიფო მეთაურების ასტრახანში ჩატარებულ სამიტზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა კასპიის ზღვის სტატუსის გარკვევაში.

აშშ–თან, ევროპის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. აზერბაიჯანი თავისი საგარეო პოლიტიკით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს **ამერიკის შეერთებულ შტატებთან** ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას. ჩვენი ურთიერთობა აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობის ტოლფასია. აშშ აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს. ამავე დროს კასპიის ზღვის აუზში ყველა სახის საერთაშორისო ნავთობისა და გაზის პროექტების განხორციელებაში მჭიდროდ მონაწილეობს. პრეზიდენტმა ილჰამ ალიევის 2006 წელს აშშ-ში პირველიმა ოფიციალურმა ვიზიტმა დიდი როლი ითამაშა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაძლიერებაში. ჩვენი რესპუბლიკა აშშ-ს საერთაშორისო ტერორის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში ამ ქვეყნის ერთ-ერთი სანდო პარტნიორთაგანია.

გამოიკვლიეთ: დღესდღეისობით მსოფლიოს რომელი ქვეყნები იტანჯებიან ტერორისაგან?

აზერბაიჯანი **ევროპის კავშირის** "ახალი სამეზობლო"-ს პოლიტიკაშია ჩართული. ჩვენს რესპუბლიკას სამხრეთ კავკასიის რეგიონში და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე კასპიის აუზში საკუთარი წვლილი შეაქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ამავე დროს ევროპის ქვეყნებთან უფრო ფართო ურთიერთობების დამყარებისათვის დგამს გადამწყვეტ ნაბიჯებს. ასევე მაღალი დონის ურთიერთობები ინგლისთან, გერმანიასთან, საფრანგეთთან და იტალიასთან განვითარების ფაზაშია.

NATO-ს "მშვიდობისათვის პარტნიორობა" პროგრამის ჩარჩოებში ამ ძლიერ სამხედრო პოლიტიკურ დაჯგუფებასთან თანამშრომლობა გრძელდება.

უკვე 20 წელიწადზე მეტია, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომის დამთავრებისა და **მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტისათვის** ევროპა-ს მინსკის ჯგუფის საშუალებით წარმოებს მოლაპარაკებები. თუმცა დიდი ქვეყნების მიერ აგრესორი სომხეთის მფარველობის გამო მოლაპარაკებებმა არავითარი დადებითი შედეგი არ გამოიღო.

2004 წლიდან პრეზიდენტ ილჰამ ალიევის მიერ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში აზერბაიჯანის სამართლიან პოზიციასთან დაკავშირებით საინფორმაციო ომში „თავდასხმის დიპლომატიის" წარმოების საკითხი იქნა დაყენებული. ამ დიპლომატიის საფუძველზე ბოლო წლებში სომხური ლობი და მათი დამცველები იძულებული გახდნენ აერჩიათ დაცვითი ტაქტიკა.

2015 წლის 7 თებერვალს მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციის ჩარჩოებში უკრაინის გარდა ევროპაში გადაუწყვეტი კონფლიქტების თემაზე პანელის გარჩევა ჩატარდა. პანელში სახელმწიფოს მეთაური ილჰამ ალიევი გამოვიდა სიტყვით და კითხვებს უპასუხა.

სომხეთის წარმომადგენლების ბოღმით სავსე კითხვას ასე უპასუხა: "...სომხეთის წარმომადგენლების ცეცხლის გახსნასთან დაკავშირებით თქვენი შეკითხვის პასუხად მინდა გითხრათ, რომ სინამდვილეში სომხეთის მხარის ტაქტიკა არის ის, რომ დანაშაული ჩვენ გადმოგვაბრალოს. მათ დაიპყრეს ჩვენი მიწები, დაარღვიეს საერთაშორისო სამართლის ნორმები, მოაწყვეს ხოჯალის გენოციდი, ვაანადგურეს ისტორიული და რელიგიური ძეგლები და ჩვენ გვადანაშაულებენ. კითხვა ასეთია, რა უნდათ სომეხ ჯარისკაცებს დაპყრობილ ტერიტორიებზე? თუ სიკვდილი არ მოენატრათ, ნუ წამოვა აღდამში, დარჩეს იქ სადაც არის, ერევანში, გუმრუში, დარჩეს თავის ქვეყანაში. პირადად თქვენ საკმარისი ადგილი გავაჩინეთ თქვენს ქვეყანაში. სომხეთში არც თუ ისე ბევრი ხალხი დარჩა. თქვენ რა გესაქმებათ აღდამსა და ფიზულიში?".

წყაროზე დაყრდნობით ვაარკვიეთ ვამოთქმა "შეტევითი დიპლომატია".

აზერბაიჯანის რესპუბლიკამ **2011 წელს** მოაგროვა გაეროს-ს 151 წევრი ქვეყნის ხმები და აირჩიეს ავტორიტეტული ორგანიზაციის **უსაფრთხოების საბჭოს დროებით წევრად**. აზერბაიჯანმა ორი წლის განმავლობაში წარმატებით შეასრულა ამ ორგანიზაციაში მისთვის მიცემული უფლება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკამ ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებთან ორმხრივი სასარგებლო ურთიერთობების განვითარებაში გამოიჩინა დიდი ინტერესი. ასევე ცდილობს კორეასთან, იაპონიასთან და ჩინეთთან თანამშრომლობის გაფართოებას. ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკა კიდევ უფრო აფართოებს ურთიერთობებს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან.

კითხვები და დავალებები:

1. *განსაზღვრეთ აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.*
2. *ილჰამ ალიევის პრეზიდენტობის პერიოდში, როგორი პოზიცია ეკავა აზერბაიჯანს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ?*
3. *გამოააშკარავეთ "ახლო სამეზობლოს პოლიტიკის" ძირითადი მიმართულებები.*
4. *შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი თემის შესახებ.*
5. *მოამზადეთ პრეზენტაცია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხრეთ კავკასიაში, როგორც წამყვანი და ლიდერი ქვეყნის შესახებ.*

54. დიდი წარმატებები კულტურის განვითარებაში

აზერბაიჯანელმა ხალხმა ისტორიის ყველა ეტაპზე მსოფლიოს კულტურაში თავისი წვლილი შეიტანა. დღესდღეობით ჩვენი ხალხი სწრაფი ეკონომიკური განვითარებით გადაიქცა გამორჩეულ კავკასიის ლიდერ სახელმწიფოდ. მაშ, ჩვენი კულტურა შეესაბამება ამ განვითარებას? რომელი დიდი წარმატებები გვქონდა კულტურის სფეროში?

სახელმწიფოს ზრუნვა განათლების განვითარებაზე. აზერბაიჯანის სახელმწიფო თანამედროვე დროს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სკოლების ქსელის განვითარების და ახალგაზრდობის მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი განათლების უზრუნველყოფას და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე განსაკუთრებით ზრუნავს და აქცევს ყურადღებას. ბოლო 10 წელიწადში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლების სფეროზე გამოყოფილი თანხა გაიზარდა 3-ჯერ და უფრო მეტად. სახელმწიფო ბიუჯეტისა და **ჰეიდარ ალიევის ფონდის** ფინანსური წყაროების ანგარიშზე ბოლო წლებში აშენდა ან საფუძვლიანად გარემონტდა **3 ათასზე მეტი სკოლის შენობა**. გატარებული მიზანმიმართული ღონისძიებების შედეგად რესპუბლიკის მასშტაბით ყველა ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში I – XI კლასის მოსწავლეებს სახელმწიფოს ანგარიშზე უსასყიდლოდ გადაეცათ სახელმძღვანელოები. აზერბაიჯანში განათლების რეფორმების გაფართოებისა და მთელი განათლების სისტემის მსოფლიოს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელებისათვის 2009 წელს მიიღეს ეროვნული მეჯლისის ახალი კანონი "განათლების შესახებ".

რომელი რეფორმები იყო გათვალისწინებული განათლების პროგრამაში მე-9 კლასის მოსწავლეებთან დაკავშირებით? გამოიკვლიეთ

აზერბაიჯანის რესპუბლიკა შეუერთდა ევროპის ერთიანი განათლების ადგილის დაარსების გამთვალისწინებელი ბოლონიის პროცესს. აზერბაიჯანის ჩართვამ ამ პროცესში ქვეყანაში უმაღლესი განათლების სისტემის დახელოვნებას და სუფუძვლიანი რეფორმების გატარებას მისცა ბიძგი. ამ მიზნით 2009-2013 წლებში განხორციელდა სახელმწიფო პროგრამა.

აზერბაიჯანის სახელმწიფო ახალგაზრდების საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე უნივერსიტეტებში განათლების მიღებას აქცევს განსაკუთრებული ყურადღებას. ამ აუცილებელ საკითხთან დაკავშირებით მიღებული სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად ყოველწლიურად სახელმწიფოს ხარჯზე ასობით ახალგაზრდა განათლების მისაღებად აშშ-სა და ევროპის გავლენიან უმაღლეს სასწავლებლებში იგზავნებიან.

მოაგროვეთ ინფორმაცია მსოფლიოს გავლენიან უნივერსიტეტებში განათლებამიღებული აზერბაიჯანელების შესახებ.

მეცნიერების განვითარება. რესპუბლიკის ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება მეცნიერების განვითარებისათვის დღითიდღე უფრო მეტი თანხის გამოყოფისა და ეკონომიკაში წარმოებული რეფორმების მეცნიერული მომარაგებისათვის უფრო მეტი ყურადღების მიქცევის საშუალებას იძლევა. ამ მიზნით ეროვნული მეცნიერების აკადემიას მეცნიერების და ტექნიკის, მეცნიერული კვლევების სამუშაოების დაკავშირება, საერთაშორისო მეცნირეული თანამშრომლობის უზრუნველყოფის სფეროში მიეცა უმაღლესი სახელმწიფო მეცნიერების ორგანიზაციის სტატუსი.

2009 წელს აზერბაიჯანში მიღებულ იქნა **"მეცნიერების განვითარების ეროვნული სტრატეგია და სახელმწიფო პროგრამა"**. ამ პროგრამის მიღების შემდეგ აზერბაიჯანის მეცნიერებმა ფუნდამენტალური მეცნიერების სფეროებში კვლევები გააფართოვეს, გეოლოგიაში, ნავთობსა და

ნავთობქიმიაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში, ფიზიკაში, მათემატიკის სფეროებში ბევრი აღმოჩენის ავტორები გახდნენ. მათი დაძაბული ძიების შედეგად ნავთობის სფეროში დაიწყეს ახალი მიმართულების რადიოტექნოლოგიური ხერხების გამოყენება. რეაქტიული **ძრავებისათვის ახალი საწვავის სახეების გამოგონება** და შემუშავებულ იქნა ავიაციაში ფრენების უსაფრთხოების მეცნიერული საფუძვლები.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის "აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული ენციკლოპედიის გამოცემის შესახებ" და "აზერბაიჯანულ ენაზე ლათინური გრაფიკით მასიური გამომცემლობის განხორციელების შესახებ" ბრძანებულებების საფუძველზე, დიდი რაოდენობით მეცნიერული და მხატვრული ნაწარმოებები ჩაბარდა მკითხველს.

ბოლო ათწლეულში ეკონომიკის, გეოგრაფიისა და ტოპოგრაფიის, აზერბაიჯანის ისტორიის ფილოლოგიისა და ენათმეცნიერების სფეროში გაგრძელდა ფუნდამენტური კვლევები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება აზერბაიჯანის ისტორიის მიხედვით დაწერილ ნაწარმოებებს. დაპყრობილი მიწების ისტორია ხელახლა დაიწერა, ითარგმნა ბევრ ენაზე და გავრცელდა მსოფლიოში.

2011 წლის 26 აპრილს პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წლიურ საერთო შეკრებაზე თავის გამოსვლაში აღნიშნა: "...მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენი ისტორიკოსები ძალიან წონიან და საფუძვლიან ნაწარმოებებს ქმნიან. განსაკუთრებით სომხეთ-აზერბაიჯანის, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის არსებობა გვკარნახობს, რომ უფრო მეტი ყურადღება დავუთმოთ ამ სფეროს. იმიტომ რომ ამ მხარის ისტორიას სომხები აყალბებენ, შუდმივად უკეთებენ ფალსიფიკაციას. ძალიან მიხარია, რომ ჩვენმა მეცნიერებმა ჩემი მოწოდების პასუხად მოკლე დროის მონაკვეთში ამ რეგიონის ისტორიასთან დაკავშირებით ძალიან ლამაზ და რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით შექმნეს ნაწარმოებები. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს ერევნის სახანოს ისტორიასთან დაკავშირებით შექმნილი ნაწარმოებები. თუმცა სამწუხაროა, რომ მსოფლიომ შეიძლება ითქვას არ იცოდა, რომ დღევანდელი სომხეთის სახელმწიფო შექმნილია ისტორიული აზერბაიჯანის მიწაზე".

M *განსაზღვრეთ აზერბაიჯანის ისტორიის მეცნიერების განვითარების მნიშვნელობა.*

წარმატებები ხელოვნების სფეროში. აზერბაიჯანის სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში იყო ხელოვნების სხვადასხვა სფეროს განვითარება. ჰეიდარ ალიევის ფონდის აქტიურობაშიც მთავარ ადგილს იკავებს აზერბაიჯანის კულტურისადმი ზრუნვა და მისი განვითარება.

კულტურისა და ხელოვნების სფეროებში მიღწევების ფართო ფორმით აგიტაციისათვის აზერბაიჯანის ტელევიზიაში „კულტურის" არხმა დაიწყო მაუწყებლობა. კლასიკური მუსიკის ხელოვნების განვითარებისათვის დაარსდა **საერთაშორისო მუღამის ცენტრი**. მუღამის სატელევიზიო კონკურსის ჩატარებას, აზერბაიჯანის მუღამების აგიტაციის და პოპულარიზაციის თვალსაზრისით მიენიჭა დიდი მნიშვნელობა.

2009 წლიდან ყოველწლიურად გაბალაში ტარდება საერთაშორისო მუსიკის ფესტივალი. ფესტივალზე ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებიდან ჩამოსულ მუსიკოსებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ევროპის, აშშ-ს და ისრაელის მუსიკოსები. ფესტივალის ჩარჩოში კლასიკური მუსიკის კონცერტებთან ერთად ორგანიზება უკეთდება ჯაზისა და მუღამის საღამოებს.

პირველი ევროპული თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარე, ჰეიდარ ალიევის ფონდის პრეზიდენტი მეჰრიბან ხანუმ ალიევა

2011 წელს აზერბაიჯანელი მომღერლების "**ევროვიზიის**" **სიმღერის კონკურსზე** 39 ქვეყნის მონაწილეებს შორის მუსიკის სამყაროში პირველი ადგილის დაკავება გახდა ნამდვილი კულტურული მოვლენა. მომდევნო წელს "ევროვიზიის" სიმღერის კონკურსი ჩატარდა ბაქოში, დიდებულ "კრისტალ დარბაზში" დიდი ზარ-ზეიმით. ასეთი საერთაშორისო ღონისძიებების აზერბაიჯანში ჩატარება, ძირითადად ემსახურება რესპუბლიკის მსოფლიო მასშტაბით აგიტაციას, ჩვენი ხალხის კულტურის გაცნობას.

ბაქოში პირველი ევროპის თამაშების ჩატარება არის ბოლო წლებში აზერბაიჯანის საზოგადოებრივ პოლიტიკური და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენათაგანი.

რესპუბლიკის პირველი ლედის, ჰეიდარ ალიევის ფონდის პრეზიდენტის, პირველი ევროპული თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარე მეჰრიბან ხანუმ ალიევას მიზანმიმართული მოქმედების საფუძველზე 68 ათასზე მეტ ადგილიანი ოლიმპიური სტადიონი, ბაქოს მსროლელთა ცენტრი და სხვა თანამედროვე სპორტული ნაგებობები გადაეცა საექსპლუატაციოდ.

ბაქოს ოლიმპიური სტადიონი

2015 წლის ივნისში ბაქოში უმაღლეს დონეზე ჩატარდა პირველი ევროპული თამაშები. აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიას, კულტურას, ეროვნულ-მორალური ღირებულებებს მთელ მსოფლიოში გაუკეთდა დემონსტრირება.

ჩვენმა სპორტსმენებმა პირველ ევროპულ თამაშებზე სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით მიაღწიეს ისტორიის დაწერას. შეჯიბრებებში მათ მიიღეს 21 ოქროს, 15 ვერცხლის და 20 ბრინჯაოს მედალი. ამრიგად, აზერბაიჯანმა კონტინენტზე მეორე ადგილის დაკავებით, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი არის სპორტული ქვეყანა.

ჰეიდარ ალიევის ცენტრი

ახალი საუკუნის პირველ წლებში მიღებულ იქნა რიგი კანონებისა, რომლებიც მიმართული იყო კულტურის სხვადასხვა სფეროს განვითარების, მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვისაკენ. საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და აზერბაიჯანის მთავრობას შორის ხელმოწერილი "კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში დახმარების შესახებ" დებულებების შესაბამისად ბაქოში შირვანშაჰების სასახლე-კომპლექსში, ნახიჩევანის არ-ში მომინა ხათუნისა და ყარაბაღის მავზოლეუმში, შექის ხანების სასახლეში აღდგენითი და გარდაქმნის სამუშაოები განხორციელდა.

დროშის მოედანი

2010 წლის 1 სექტემბერს ქალაქ ბაქოს ზღვისპირა **ეროვნულ პარკში გაიხსნა სახელმწიფო დროშის მოედანი.**

ქალაქ ბაქოში მისთვის დამახასიათებელი არქიტექტურის სტილით აშენებული **ჰეიდარ ალიევის ცენტრი** ითვლება თანამედროვე ბაქოს ერთ-ერთ სიმბოლოდ. "ცეცხლის გუმბათები" არის არქიტექტურული კომპლექსი, რომელიც ბაქოს განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებს.

ბოლო წლების დიდებული არქიტექტურული ძეგლებიდან ერთ-ერთი ქალაქ ბაქოს შირვან-აბშერონის არქიტექტორული სტილით აშენებული ოთხმინარეთიანი ჰეიდარ ალიევის მეჩეთია. ეს მეჩეთი არათუ აზერბაიჯანის, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის უდიდესი რელიგიური არქიტექტურული ძეგლია.

ჰეიდარის მეჩეთი

კითხვები და დავალებები:

1. *განსაზღვრეთ აზერბაიჯანის განათლების განვითარების მიმართულებები.*
2. *განმარტეთ მეცნიერების სფეროებისა და ეკონომიკის ურთიერთობა.*
3. *განმარტეთ აზერბაიჯანის ისტორიის კვლევისა და ავიტაციის მნიშვნელობა.*
4. *უყურეთ და განმარტეთ ჰეიდარ ალიევის ფონდის მოქმედების შესახებ დოკუმენტურ ფილმს და ან ვიდეო რგოლს.*
5. *მოამზადეთ პრეზენტაცია თანამედროვე პერიოდის აზერბაიჯანის არქიტექტურის განსაკუთრებულობაზე.*
6. *რისი მაჩვენებელია ჩვენი წარმატებები სპორტის სფეროში? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.*

გამოყენებული ლიტერატურა

აზერბაიჯანულ ენაზე

1. აბდულაევი მ.კ. სახანოები და რუსული კოლონიალიზმის ხანაში აგრარული ურთიერთობები ჩრდილოეთ აზერბაიჯანში (XIX საუკუნის 40-იან წლებამდე). ბაქო, 2005.
2. აბიშოვი ვ.ვ. 1918 წლის მარტის გენოციდი ბაქოში. ბაქო, 2017.
3. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია. ტ.I, ბაქო, 2014; ტ.II, ბაქო, 2014.
4. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ისტორია (1991-2003) (მეცნიერ-რედაქტორი ი.მ. მაჰმუდოვი). ტ.I, ბაქო, 2016.
5. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ისტორია (2003-2016) (მეცნიერ-რედაქტორი ი.მ. მაჰმუდოვი). ტ.II ბაქო, 2016.
6. აზერბაიჯანის ისტორიის წყაროები (ს.ს. ელიაროვისა და ი.მ. მაჰმუდოვის რედაქტირებით), ბაქო, 2007.
7. ალიევი კ. ა. აზერბაიჯანის ტრანსპორტი და ეკონომიკა (XIX საუკუნე - XX საუკუნის პირველი ათწლეულები), ბაქო, 2001.
8. ხელილოვი ა. აზერბაიჯანის სსრ 1920-1930-იან წლებში: შიდასახელისუფლო დაპირისპირებები. ბაქო, 2015.
9. ირევანის სახანო: რუსეთის მიერ დაპყრობა და სომხების ჩრდილოეთ აზერბაიჯანის მიწებზე გადმოსახლება. ბაქო, 2009.
10. მაჰმუდოვი ი. მ. რეალური ისტორია და გამოგონილი “დიდი სომხეთი”. ბაქო, 2017.
11. რასულზადე მ. ე. აზერბაიჯანის რესპუბლიკა. ბაქო, 1990.
12. რასულზადე მ. ე. თანამედროვე აზერბაიჯანის ისტორია. ბაქო, 1990.

რუსულ ენაზე

13. Вердиева Х.Ю. Переселенческая политика Российской империи в Северном Азербайджане (XIX - начале XX вв.). Баку, 1999.
14. Махмудов Я.М. Геноцид тюрко-мусульманского населения Азербайджана в 1918-1920 годах. Баку, 2015.

Buraxılış məlumatı

AZƏRBAYCAN TARİXİ 9

Ümumtəhsil məktəblərinin 9-cu sinfi üçün
Azərbaycan tarixi fənni üzrə

DƏRSLİK

(Gürcü dilində)

Tərtibçi heyət:

Müəlliflər:	**Mahmudlu Yaqub Mikayıl oğlu** **Əliyev Qabil Əli oğlu** **Abdullayev Mehman Qəhrəman oğlu** **Hüseynova Leyla Əhliman qızı** **Cabbarov Hafiz Əkbər oğlu**
İxtisas redaktoru	**Güntəkin Nəcəfli**
Tərcümə edən	**Abdurahmanov Çalabi**
Buraxılışa məsul	**Sevil İsmayılova**
Baş redaktor	**Gültəkin Cəfərova**
Dizayner	**Nurlan Nəhmətov**
Səhifələyici	**Ramin Abdurahmanov**
Texniki redaktor	**Fəridə Səmədova**
Texniki direktor	**Xəqani Fərzalıyev**
Nəşriyyat direktoru	**Kəmalə Qarayeva**

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin
03.06.2016-cı il tarixli 369 nömrəli əmri ilə
təsdiq edilmişdir.

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi. Fiziki çap vərəqi 12. Formatı 70x100 1/16.
Səhifə sayı 192. Ofset kağızı. Jurnal qarnituru. Ofset çapı.
Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017

"Şərq-Qərb" ASC
AZ1123, Bakı, Aşıq Ələsgər küç., 17



Əziz məktəbli!

Bu dərslik sənə Azərbaycan dövləti tərəfindən bir dərs ilində istifadə üçün verilir.

O, dərs ili müddətində nəzərdə tutulmuş bilikləri qazanmaq üçün sənə etibarlı dost və yardımçı olacaq.

İnanırıq ki, sən də bu dərsliyə məhəbbətlə yanaşacaq, onu zədələnmələrdən qoruyacaq, təmiz və səliqəli saxlayacaqsan ki, növbəti dərs ilində digər məktəbli yoldaşın ondan sənin kimi rahat istifadə edə bilsin.

Sənə təhsildə uğurlar arzulayırıq!